

საქართველოს მედიკამენტების რეგისტრაციის ცენტრი

# სხაი უმკობელი

ახვისტო-სექტემბერი 2010 №63  
ფასი 5 ლარი

## ისტორიები

### ირაკლი ჩარკვიანი

დავით ჩიხლაძე

ჯენეზის კი-ორიჯი

შურა ჯიშკარიანი

ალექსანდრა ზელმან-დორინი

ნათია გულიაშვილი

მთის რესპუბლიკა

ქეთი ქანთარია

## წერილი

მარკ ტვენის საბრაფოდან

ია შერკვილაძე

## დისკუსია

ქართული ლიტერატურის

უკანასკნელი 20 წელი

ნინო ბაქიშვილი

## საუბაროები

როსა თვრამეტი წლის ვიყავი

## საავტორო

დათო

ლევან ბარკენიშვილი

სამ ლვთისა და სამ ქრისა

გიორგი მაისურაძე

## ლიტერატურა

სავერ მარინსი

სტივენ კინგი

ეკა ქვიციანიშვილი

ორლანდო ფაიჯინი

ISSN 1512-2220



საქართველოს მედიკამენტების რეგისტრაციის ცენტრი





წაიღე ინტერნეტი  
ნებისმიერ ადგილას!

მოემზადე ზაფხულისთვის  
და შეიძინე  
ჭეოსელი - კონექტი  
**99** ლაჩად.









სასწავლო ცენტრი

# "British Connection"

ბთავაზობთ მოსამზადებელ კურსებს  
სხვადასხვა სასერტიფიკატო გამოცდებისთვის:

FCE (B1-B2)

CAE

TOEFL

IELTS

მაგისტრატურის ინგლისური ენის გამოცდისთვის

მოსამზადებელი ჯგუფები

ფუნქციონირებას იწყებენ 1-7 ივნისიდან

კურსის ხანგრძლივობა – 12 კვირა

☺ სასარგებლო რჩევა – ეწვიეთ საიტს

[www.britishconnection.ge](http://www.britishconnection.ge)

მისამართი: ბუღაჩეშვილის ქ. 1

ტელეფონი: 308 135 / 855 301 390





ETCETERA  
EDUCATION



# ინგლისურენოვანი ბანაკი კვარიათში **Camp etc.**

ინგლისური ენის გაკვეთილები / თამაშობები / ექსკურსიები / ღონისძიებები

ინგლისალი და ამერიკელი მასწავლებლები და ხელმძღვანელები

მაღალი ხარისხის სასწავლებელი პირობები

სამწერადი კვება

ბრწყინვალე აღზღოვება

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი: 8 907 907 07 / 8 908 908 08

[www.etcetera.ge](http://www.etcetera.ge)



**გარეკანზე:** ირაკლი ჩარკვიანი  
**ფოტო:** გურამ ნიბახაშვილი

# სხალი შოქოლადი

N63, აბჰისტომ-სექტემბერი 2010

**მთავარი რედაქტორი:**

ნინო ლომაძე

**არტ-რედაქტორი:** გიორგი ნადირაძე

**რედაქტორ-სტილისტი:** ნინო სვანიძე

**კორექტორი:** ნინო საითიძე

**წომიერა მუშაობენ:** დავით ბუხრიკიძე, დავით ჩიხლაძე, ლევან ბერძენიშვილი, გიგი გულუდანი, გიორგი მაისურაძე, მაგდა კალანდაძე, დათო ტურაშვილი, ია მერკვილაძე, ზურა ჯიშკარიანი, ნათია გულიაშვილი, ქეთი ქანთარია, ნინო ბექაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, აკა მორჩილაძე, ირმა ტაველიძე, პაატა ქურდაძე, ზურაბ ქარუმიძე, დავით ქართველიშვილი

**ფოტო:** მარიკა ქორიაშვილი, გურამ ნიბახაშვილი, დავით მესხი, ირინა ხუციშვილი, ლევან ხერხეულიძე

**ილუსტრაცია:** მარიამ ზაღდასტანიშვილი, მაია სუმბაძე

**დირიჟირი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**საზოგადოებასთან ურთიერთობა:**

ლელა შუბითიძე

**სარედაქციო განყოფილება:** შალვა ჩუბინიძე

**დისტრიბუცია:** ზვიად შენგელია

**გამომცემელი:** შორენა შავერდაშვილი

**გამომცემლობა:**

შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

**სხვა გამომცემები:** ლიბერალი, ბიზნეს-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი, თიბისი და თიბისელეები.

**სტამბა:** „ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან

© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამოცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

- 8 რედაქტორის წერილი
- 10 ჩვენი ავტორები
- მიმოხილვები** 12 ფაბლიკ არტის სემინარი გოეთეს ინსტიტუტში **დავით ჩიხლაძე**
- 14 ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის მსოფლიო პრემიერა **დავით ჩიხლაძე**
- 16 კონტექსტებსა და დაძაბულობებს შორის **დავით ჩიხლაძე**
- 18 ჯაზი ფრანგულად, ანუ მსუბუქად და მელანქოლიურად **დავით ბუხრიკიძე**
- 19 მხურვალე პატრიოტული ვნება „გრილი“ ოკუპაციის წინააღმდეგ **დავით ბუხრიკიძე**
- კომენტარები** 20 ყველაზე კარგი „საბა“ **მაგდა კალანდაძე**
- 23 „ლამის მანიაკი 2“ **გიგი გულუდანი**
- 24 სიამაყე, როგორც ადამიანის უფლება **პაატა საბელაშვილი**
- წერილები** 26 სულ სხვა ირანი **დათო ტურაშვილი**
- 30 ძალიან ხანმოკლე მოგზაურობა მარკ ტვენის საგრაფოში და მისი „საფლავის პრივილეგია“ **ია მერკვილაძე**
- ისტორიები** 34 ირაკლი ჩარკვიანი  
მანონი, პარანოია და ისევ თბილისი **დავით ჩიხლაძე**
- 40 *Genesis P. Orridge*  
კულტურული ინჟინერია **ზურა ჯიშკარიანი**
- 46 *ალექსანდრა ზელმან-დორინგი*  
მეტაფორის წინასწარმეტყველური ძალის, თარგმანის ხიბლის და სხვათა შესახებ **ნათია გულიაშვილი**
- 50 Я - "доходяга" - дойду куда угодно **ანა კორძაია-სამადაშვილი**
- 66 მთის რესპუბლიკა **ქეთი ქანთარია**
- სუცპროექტი** 55 როცა თვრამეტი წლის ვიყავი...
- ფოტოპროექტი** 70 სავარჯიშოები ზაფხულისთვის **დავით მესხი**
- ესეი** 80 აბა, სად არის ავტარი? **ვუდი ალენი**  
**თარგმან ირმა ტაველიძე**
- დისკუსია** 84 ქართული ლიტერატურის უკანასკნელი 20 წელი **ნინო ბექაშვილი**
- საავტორო** 90 დათო **ლევან ბერძენიშვილი**
- 96 ხმა ღვთისა და ხმა ერისა **გიორგი მაისურაძე**



**ქვეყნის ჯანდაცვის**

გარანტირებული ჯანდაცვის კომპანია

## ჩვენ გიპარტივებთ ექიმთან ვიზიტის პროცესს

- ✓ თქვენს სახლთან ახლოს
- ✓ სწრაფი მომსახურება
- ✓ ხელმისაწვდომი ფასი
- ✓ მოსახერხებელი სამუშაო  
საათები
- ✓ წინასწარ ჩაჯირით  
შესაძლებლობა



**აღვიღალ ხელმისაწვდომი,  
სწრაფი სამედიცინო მომსახურება**

თბილისი: გამსახურდიას ქ. 23/25, ჭავჭავაძის გამზ. 24,  
ჭავჭავაძის გამზ. 50, ეოსტავას ქ. 23, გორგასლის ქ. 39;  
ტელეფონი: 0-007; 20 12 12

**ქვეყნის ჯანდაცვის**  
გარანტირებული ჯანდაცვის კომპანია

ექიმის ასისტენტი



როდესაც მარკ ტვენმა ამ ესეის წერდა, უკვე იცოდა, რომ თითქოს დაბადებისთანავე ბოძებული პრივილეგიის (სიტყვის თავისუფლების) სიცოცხლეში გამოყენებას ვერასდროს შეძლებდა. მის მოსაპოვებლად მან სხვა გზა მოძებნა, გზას „საფლავის პრივილეგია“ უწოდა და ასეთი რამ თქვა: „მართალი სიტყვა ძალიან ძვირად ფასობს. მის გამო ადამიანს საკუთარი ბიზნესი შეიძლება თავზე დაემხოს, მეგობრები დაკარგოს და თვითონ საყოველთაო გაკიცხვისა და შეურაცხყოფის საგნად იქცეს... საზოგადოებრივი სიბრძნე საკუთარი აზრის გამოთქმას ყველას უკრძალავს. განსხვავებულ მოსაზრებას იმიტომ ვმაღავთ, რომ მართალი სიტყვისთვის მწარე საფასურის გადახდის გვეშინია. არავის უნდა, რომ შეიძულონ; არავის უნდა, რომ უფრთხოდნენ“. არც ტვენს უნდოდა. მას სჯეროდა, რომ სანამ ადამიანებმა სიტყვის თავისუფლების ფასი იციან, ამას უანგაროდ, სამყაროს გადარჩენისთვის არასდროს გააკეთებენ. უბრალოდ, გამბედაობა არ ეყოფათ. ტვენი ფიქრობდა, რომ სიმართლის ბოლომდე თქმა მხოლოდ გვამებს შეუძლიათ. ამიტომ, ფრთხილებს და მხდალებს გვითხრა გული არ გაგვეტეხა – თუკი სიტყვის თავისუფლების პრივილეგიის გამოყენებას მოვისურვებდით, ეს სიკვდილის მერეც შეგვეძლო გაგვეკეთებინა. ის, რაც სულ გვინდოდა გვეთქვა, გვირჩია დღიურებში ჩაგვეწერა. ჩვენს ნაწერებთან ერთად, ჩვენი მართალი სიტყვით მეგობრებს და შთამომავლობას რომ ეამაყათ. მარკ ტვენი სულგრძელი ადამიანი იყო.

მას მერე თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და სამყაროს ჯენეზის პი-ორიჯი მოველინა. ის დაუნდობელი და სასტიკია, როცა სიმართლეს ამბობს. ბევრისთვის ის შთაგონების წყაროა, ისტებლიშმენტს მისი ეშინია, უმეტესობას კი მთელი არსებით სძულს. პი-ორიჯი ყველა პრივილეგიით სიცოცხლეშივე სარგებლობს და ჯიუტად იმეორებს, რომ: „ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ფარსია! ექსპერიმენტის გარეშე არ არსებობს იმედი, იმედის გარეშე არ არსებობს აზრი, აზრის გარეშე ცხოვრება – ტყუილია... რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს სურთ, მოგახვიონ წესრიგი, კანონები არსებობისთვის – სურთ, განსაზღვრონ შენი აზროვნება. შენი მთავარი მიზანია, საკუთარი ცნობიერების მართვა. იფიქრე დამოუკიდებლად!“

მაშინ, როდესაც ჯენეზისი „ძალიან საშიში“ გახდა, „ისტებლიშმენტმა“ გონივრული ნაბიჯი გადადგა – ის აღიარა. მის იმიჯს პრესტიჟული გალერეები დაეპატრონნენ და პი-ორიჯი „თვითგამოხატვის ექსპონატად“ აქციეს. მისმა ამბობმა თითქოს სიცოცხლის ძალა დაკარგა და თვითონაც ძლევამოსილი სისტემის უდრეკელობის ერთ-ერთ დასტურად იქცა.

თუმცა, ჯენეზისის არსებობა მაინც იმას ამტკიცებს, რომ – „გარღვევა“ ყოველთვის და ყველგან შესაძლებელია. მეორეა ფასი. სიცოცხლეში ვის რამდენის გადახდა შეუძლია.

ნინო ლომაძე  
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge



შეიძინე სწრაფად და  
მარტივად!

30  
წუთში




## ავტომანქანა

- ▲ სესხის დამტკიცება 30 წუთში
- ▲ მხოლოდ პირადობის მოწმობით
- ▲ თანამონაწილეობა 30%-დან

☎ 27 27 27 | 📠 \* 27 27 | [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)

 თიბისი ბანკი  
T B C B A N K

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



### ნათია გულიაშვილი

ალექსანდრა ზელმან-დორინგი ნიუ-იორკელი პოეტია. ნუ წარმოიდგენთ ტიპურ ამერიკელს ლევისის ჯინსით და ბენეტონის მაისურით. ან უცნაურად ჩაცმულ, საკრალურ საბურველში გახვეულ პოეტესას. უფულო ბომუს ან მდიდარი ბურჟუას ოჯახში დაბადებულ ესთეტს. ნურც ლექტორის ტიპის აკადემიურ პოეტს, როგორც მაგალითად ელიოტს (არა, ელიოტი კი ძალიან უყვარს და თვითონ ბრაუნის, კოლუმბიის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში სწავლობს) და ნურც ეგზოტიკის და ველური ცხოვრების მოტრფიალეს (საქართველოში ყოფნისას მასპინძლებმა, რა თქმა უნდა, ყაზბეგი და სვანეთი მოატარეს, მაგრამ ამბობს, რომ დიდად არ გიჟდება ლაშქრობებზე და ბევრ ხალხთან ერთად ხეტიალზე).

უყვარს ლექსზე მუშაობისას „ინტელექტუალურად დახარჯვა“ – ამაზე კრიტიკოსები და უნივერსიტეტის პროფესორები უკრავენ ტაშს, და შეულამაზებელი, პირველყოფილი, მოულოდნელად მოსული ემოციით ნერაც – უნდა, რომ მისმა ექიმმა და კარის მეზობელმაც გაუგონ.

მისთვის თარგმნა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთარ ლექსებზე მუშაობა, ამ პროცესში ხვდება პოლ ვალერის საყვარლობის ჩრდილში დარჩენილი ქალის ლექსები, არაეის რომ არასდროს წაუკითხავს და ათასჯერ თარგმნილი ლერმონტოვიც, ათასმეერთე საუკეთესო თუ არა, უბრალოდ განსხვავებული, მაგრამ საკუთარი ვერსიის შესაქმნელად.

თუ ხელოვნების დანიშნულებაზე, ხელოვანის მემამბოხეობასა და პოლიტიკურად აქტიურობის აუცილებლობაზე ჰკითხავთ, პასუხად ამ მოლეგენდო ამბავს გაიმბობთ: „ერთხელ ლენინს ბეთჰოვენის აპასიონატას მოსმენისას უთქვამს, – უნდა შევწყვიტო ამის მოსმენა, თორემ ხალხთან ჩახუტება მიხდება და რევოლუცია როგორ გავაგრძელო?“



### ზურა ჯიუხარიანი

დრიმერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში აქვთ ერთი ასეთი პრაქტიკა, რომელსაც „რეალობის გადამოწმება“ ჰქვია. იმისათვის, რომ დრიმერი სიზმარში მიხვდეს რომ სძინავს და გააცნობიეროს საკუთარი თავი მძინარე პიროვნებად, ის დღის განმავლობაში რამდენჯერმე ატარებს ასეთ ტესტს – რასაც არ უნდა აკეთებდეს: არეფრემებდეს თავის ფეისბუქს, ცეკვავდეს ფართიზე, იპარავდეს კევებს მაღაზიაში თუ ასეირნებდეს ბავშვს პარკში – ის უცებ ჩერდება და თავის თავს ეკითხება: ახლა მართლა ვაკეთებ ამას თუ მძინავს? სხვა დრიმერები, ოთახიდან ოთახში ან რამე შენობაში შესვლისას გულში იმეორებენ: Reality Check, Reality Check... ხრიკი იმაში მდგომარეობს რომ ასეთი გადამოწმება დრიმერს ჩვევაში უჯდება. ჩვენი ჩვევები კი ჩვეულებრივი რეფლექსების სახით გვიმეორდება სიზმრებში, ანუ ადრე თუ გვიან ასეთი პრაქტიკით დაკავებული დრიმერი სიზმარშიც დაუსვამს საკუთარ თავს შეკითხვას: მძინავს თუ არა? რეალურია რასაც ვხედავ? და ამ დროს, თუ მას მართლა სძინავს, ის აცნობიერებს რომ სიზმარშია და გადადის ლუციდური სიზმრის ფაზაში, სადაც უკვე თვითონ აკონტროლებს მოვლენებს. პრინციპში, დაახლოებით იგივე პრაქტიკის გადმოტანა მარტივად შეიძლება ჩვენს სოცო-კულტურულ სფეროშიც, სადაც ცხოვრების უდიდეს ნაწილს გაუცნობიერებლად ვატარებთ, როგორც ალბათ მორიგი კულტურული პროგრამები, ასეთი სახის თვითგაცნობიერება კი შეიძლება დაგვეხმაროს, უფრო მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფალი ნების ელემენტი შევიტანოთ ხშირად საზოგადოებრივი აზრით განპირობებულ ურთიერთობებში. ისტორია ჯენეზის პი-ორიჯის შესახებ ალბათ დიდი დოზით უფრო კულტურულ ინჟინერიაზეა, ვიდრე უბრალოდ ერთი არტისტის ცხოვრებაზე.



**- 20% +**  
**ფასდაკლება**



**მიიღე 20%-იანი ფასდაკლება  
ჯიპისი-ს აფთიაქებში  
და შეავსე ვაშლებით  
შენი ზღარბი ბარათი!**

აქცია მიმდინარეობს მხოლოდ თბილისის,  
ქუთაისის და რუსთავის აფთიაქებში

**ჯიპისი – თქვენზე ზრუნავენ!**



**ფაბლიკ არტის სემინარი გომთეს ინსტიტუტში**

28 ივნისს გომთეს ინსტიტუტში გაიმართა სემინარი „ხელოვნება საჯარო სივრცეში“. შეხვედრა, სემინარის კურატორის პეტრა რაიხენსპერგერის მოხსენებით გაიხსნა. მან, სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში, ფაბლიკ არტის სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესახებ გვიამბო. რაიხენსპერგერმა აუდიტორიას სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრების სლიალები აჩვენა: კლეი ოლდენბურგის, ფელიქს გონზალეზ-ტორესის, შარონ ჰაიესის, ლენა და ვიქტორ ვორობიოვების და სხვა პროექტები. საერთოდ, საჯარო არტს გონებადამახვილობის ელფერი დაჰკრავს და მისთვის მშვენიერების კატეგორია სოციალური ინტერაქტიულობის ცნებისგან განუყოფელია. ანუ ეს ნამუშევრები პერფორმატიულია, მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი არსებითი ამ ტიპის არტისთვის ცხოვრებისეული კონტექსტია. ფაქტობრივად, ეს საზოგადოებრივ სივრცეში კონცეპტუალური ხელოვნების დივერსიაა, საქართველოში კი ეს გამოცდილება მხოლოდ ცალკეული შემთხვევებისგან შედგება. ამიტომაც, მცირე შესვენების შემდეგ, საინტერესო იყო საქართველოში ფაბლიკ არტის თემა, რომელზეც არტ კრიტიკოსმა ხათუნა ხაბულიანმა ისაუბრა. ამ კუთხით ერთი ყველაზე ორგანიზებული ივენთი იყო პოლონელი კურატორის იოანა ვარშას მიერ შარშან განხორციელებული ბეთლემის პროექტი პოლონეთის არტ-ზონის პროგრამის დღეებში. მაშინ იოანა ვარშამ სცადა, გაეცოცხლებინა თბილისის ეს ძველი უბანი და თანამედროვე ქართული ხელოვნება საცხოვრებელ სახლებში შეიტანა. რუკაც დაბეჭდა და 3 დღის განმავლობაში აქ მოსულ მაცურებელს არა მხოლოდ გამოფენები, პერფორმანსები და ინსტალაციები, არამედ ძველ თბილისთან ახლებური ინტეგრაციაც ელოდა. ხათუნა ხაბულიანმა ასევე გაიხსენა მაშუკა ჯაფარიძის საზოგადოებრივი სივრცეების პერფორმანსები. მაშუკა ჯაფარიძე თითქმის ერთადერთი არტისტია, ვინც ამ ფორმას სისტემატურად და ყველაზე მეტი ენთუზიაზმით მიმართავს. ხათუნა ხაბულიანმა მოგვითხრო მისი „ოპტიმისტიკური ტაქსისა“ და „საუზმე ბალახზე“ შესახებ. ეს უკანასკნელი, როგორც სურათებიდან ვნახეთ, რაღაც მხიარულ თეატრს ჰგავდა. 1997 წელს, მხატვარმა თავის მეგობრებთან ერთად რუსთაველზე, სახელმწიფო გალერეის უკანა მხარეს, ალექსანდროვის ბაღის დალაგება დაიწყო. ცოტა ხანში ფესტივალი „საჩუქარი“ იწყებოდა, დედაქალაქის ეს ცენტრალური ბაღი კი დაულაგებელი და მოუნესრიგებელი იყო. გურამ ნიბახაშვილმა მოხსენება საკუთარი ფოტოკოლექციის ფონზე წაიკითხა. მან შემთხვევითი ფაბლიკ არტის ფორმით მოგვანოდა ის არტე-ფაქტები, რომლებიც წლების განმავლობაში თბილისის ქუჩებში მოაგროვა და გადაიღო. ის ამას სახალხო არტს უწოდებდა, რაც ძალიან საინტერესო ისტორიას გვიამბობდა. ვინრო გაგებით, ეს არ არის ფაბლიკ არტი, მაგრამ გურამ ნიბახაშვილის მონათხრობი ძალიან სასიამოვნოდ აჩვენებდა არტეფაქტების პოტენციურ შინაარსებს და ძალიან საინტერესო იყო როგორც სანახავად და, ასევე, როგორც ნარატივი. ფოტოგრაფმა, რა თქმა უნდა, ქართველი არტისტების მიერ ამ სფეროში შექმნილი ნამუშევრებიც გვიჩვენა, მაგრამ ქალაქისა და მისი მოსახლეობის მიერ სპონტანურად შექმნილი ხელოვნების დისკურსი გამორჩეულად შემოქმედებითი და ორიგინალური იყო. ცალსახად არტისტული პრეზენტაციის ფორმა ჰქონდა მხატვარ გიო სუმბაძის მოხსენებას, რომელიც მთლიანად მისსავე ნამუშევრებს შეეხებოდა. გიო სუმბაძე „გოსლაბის“ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო, ჯგუფის, რომელმაც გრაფიკული დიზაინის მარტივი ესთეტიკის პლასტიკა მიამატა თანამედროვე ქართულ ხელოვნებას. მან პოლანდიაში, ქალაქ ამჰემში განხორციელებულ საკუთარ პროექტზე st-air case ისაუბრა, რომელიც ეკლესიის ლიფტს და სუპერმარკეტის ესკალატორს აკავშირებდა და სულიერებისა და მატერიალიზმის პოლარიზაციის საინტერესო კონცეფციას წარმოადგენდა. საქართველოს კონტექსტს შეეხებოდა ასევე ნინო ჭოლოშვილის, მათა ქოიავა-ყიფიანის და ნატა ვანაძის გამოსვლები. უჩვენეს ფილმი, რომელიც რუმინელი მხატვრის კრისტინა ლუსიან ჰამსესას თბილისის სამხატვრო აკადემიაში სტუდენტების ერთ ჯგუფთან ჩატარებულ უორქშოპს ასახავდა. აქ ჩანდა, როგორ შეიქმნა საგამოფენო ნამუშევრების სერია სტუდენტების მიერ მთლიანად საჯარო სივრცეებში მოპოვებული რესურსების გამოყენებით.

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ირინა ხუსიშვილი






**დააზღვრე ავტომანქანას და დაისვენე!**  
მიიღე საჩუქრად ბილეთი ანტალიაში!



ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის მსოფლიო პრემიერა



წელს, აგვისტოში ბერლინში მორიგი მუსიკალური ფესტივალი Young Euro Classic გაიმართება, სადაც საქართველოდან ახალგაზრდა კომპოზიტორი არჩილ გიორგობიანი მიიღებს მონაწილეობას. მის ნამუშევარს, რომელსაც „აზარი“ (დაკრძალვის აფხაზური რიტუალი) ეწოდება, „საქართველოს სინფონეტა“ შეასრულებს. ეს მსოფლიო პრემიერა იქნება და, იმედია, არჩილ გიორგობიანის ამ ნაწარმოების მოსმენის საშუალება თბილისელ მსმენელსაც მალე მიეცემა. „საქართველოს სინფონეტა“ 2008 წელს დაარსდა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერა მოიპოვა. მისი წევრები სტუდენტები არიან თბილისიდან, მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან. 1 წლის განმავლობაში მათ დაახლოებით 35 კონცერტი გამართეს. „საქართველოს სინფონეტას“ რეპერტუარი შედგება ბახის, ჰენდელის, მოცარტის, ბარბერის, შოსტაკოვიჩის და ჰინდემითის ნაწარმოებებისგან. ანსამბლი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ქართველ კომპოზიტორებზე, როგორცაა ყანჩელი, ცინცაძე და მაჭავარიანი. 11 აგვისტოს კონცერტს ალექსანდრე ხაინდრავა უდირიფორებს. არჩილ გიორგობიანის „აზართან“ ერთად შესრულდება მოცარტის სიმფონია №1, შოპენის საფორტეპიანო კონცერტი №2 და ალექსი მაჭავარიანის სიმფონია №4, რომელიც გერმანული პრემიერა იქნება. არჩილ გიორგობიანი 2006 წლიდან სწავლობს სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე. 2007 წელს მისი კამერული ნაწარმოები ფრაიბურგის თანამედროვე მუსიკის ანსამბლმა Recherch-მა შეასრულა, ხოლო მეორე კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებით „სეპტეტი“ ის გერმანიის საკომპოზიტორო კონკურსის გამარჯვებული გახდა. 2010 წელს ანსამბლ პრეარტის შეკვეთით ფესტივალ-ისათვის კონვერგენცია დაწერა ნაწარმოები „რეგთაიმის შემდეგ“. გარდა საკომპოზიტორო საქმიანობისა, ახალგაზრდა მუსიკოსი რადიო „მუზას“ ეთერში საავტორო პროგრამას, „მუსიკალურ აღმოჩენებს“ უძღვება, შაბათ-კვირას კი გადაცემას „რეგთაიმის შემდეგ“ წარუდგენს მსმენელს.

პეტრო: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ირინა ხუსიშვილი

ტანიანუტი

ორი ზღვის კვეთა ბათუმში

21-იდან 26 სექტემბრამდე ბათუმში შავი და ჩრდილოეთის ზღვები ერთმანეთს გადაკვეთს. ეს გეოგრაფიული ანომალია არაა, საუბარი მხოლოდ კულტურულ კვეთაზეა. პროექტ SEAS X-ში გაერთიანებული 18 არტისტი შეედითიდან, ხორვატიიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და ბათუმიდან, თავის თავს ამოცანის წინაშე აყენებს – ქალაქში, რომელიც საკუთარ ისტორიას ხელახლა წერს და ინდუსტრიული ნავთობმოპოვებითი ადგილიდან ქვეყნის ტურისტულ მექად გადაქცევას ცდილობს, შეძლებენ თუ არა ისინი, საზოგადოებრივ ადგილებში მოხეტიალე ადამიანები, ზედაპირული ტურისტული ინტერესის მიღმა, საკუთარი ნამუშევრებით სერიოზულად დაინტერესონ. SEAS X შედური დამოუკიდებელი გაერთიანება Intercult-ის პროექტია, რომელიც 1996 წლიდან ევროპის ქვეყნების არტისტებთან თანამშრომლობს. საქართველოში SEAS X-ის პარტნიორი იქნება როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურები. მათ შორის ბათუმის დრამის თეატრი და აჭარის კულტურის სამინისტრო. Intercult-ი მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ადგილებს, გეოგრაფიული და მენცალური საზღვრების გადაკვეთის წერტილებს ეძებს, სადაც ნაციონალისტური კომპლექსებისგან ჯერ კიდევ თავსვერდალწული ევროპული ქვეყნების არტისტებს საუკეთესო საშუალება აქვთ ერთმანეთის კულტურათა გაზიარებისთვის. შავი და ჩრდილოეთის ზღვის ქვეყნების ურთიერთშერწყმას კი ბათუმში, პროექტის ორგანიზატორთა აზრით, ხელსაყრელი პირობები აქვს. „ეს ნამდვილად ქროს-კულტურული ქალაქია როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, რამდენადაც ის თურქეთის საზღვართან ახლოა, ისე ბუნებითაც, ის ხომ შავი ზღვისპირა ქალაქია“.





The Piccolo Teatro di Milano, იტალია

ლეგენდარული სპექტაკლით

კარლ გოლდონი

ორი ბატონის მსახური

რეჟისორი ჯორჯო სტრალერი



თბილისის საერთაშორისო  
თეატრალური ფესტივალი

29 სექტემბერი – 15 ოქტომბერი

[www.tbilisiinternational.com](http://www.tbilisiinternational.com)



# კონტექსტებსა და დაკავშირებას შორის

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: ირინა ხუსიშვილი

24 ივნისს, ანუ როდესაც ჩვენთან კულტურული სეზონი უკვე დასასრულს უახლოვდება ხოლმე, „გალერეა 9“-მ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოფენა შემოგვთავაზა. პირველ რიგში, ეს ექსპოზიცია იმით იყო საინტერესო, რომ აქ მხატვართა ახალგაზრდა თაობის ერთი ჯგუფი მთლიანად ჩამოყალიბებული საგალერეო პლატფორმით და ახალი ესთეტიკური გადაწყობებით წარმოჩნდა. ამით კი, დამკვიდრებულმა თუ ახალგაზრდა მხატვრებმა საინტერესო გამოწვევა მიიღეს. გარდა ამისა, გამოფენაში მონაწილე მხატვრებს ერთი წინააღმდეგობრივი ფაქტორი აერთიანებდა – ისინი სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები არიან, მაგრამ მათი დიდი ნაწილი უდიპლომო მხატვრებს უწოდებს საკუთარ თავს. ახალგაზრდა მხატვარი და სამხატვრო აკადემიის ყოფილი ლექტორი და ერთ დროს რექტორის ოფიციალური მრჩეველი გიორგი კეკელიძე ამ გამოფენით სერიოზულ განაცხადს აკეთებს, უკვე არა რეფორმებისკენ მოწოდებებით, არამედ თვით გამოფენის გამორჩეული ხარისხით. მხატვრები ამბობდნენ, რომ პუბლიკა მათგან ისევ მძაფრ სოციალურ-პოლიტიკურ განცხადებებს ელოდა და გამომხატვრებით მიხვდნენ, რომ უნებურად იმედგაცრუებული დაუტოვებიათ ისინი, ვინც მათგან ასეთ მორიგ შოუს ელოდა. სამაგიეროდ,

მათ სხვა განაცხადი გააკეთეს, რომ მძაფრი ვნებების მიღმა, მათი ხელოვნება და გამოფენის მოწყობის უნარი შედარებით ახალი, კლიშეებისგან თავისუფალი და პროფესიონალურ მოთხოვნებს საჭიროზე მეტად აკმაყოფილებს.

გამოფენის კურატორი გამოფენის მონაწილე ახალგაზრდა მხატვარი ქეთო ლოგუა იყო და საგამოფენო რეპრეზენტაციის წარმატებაში დამსახურების დიდი ნაწილიც სწორედ მას ეკუთვნის. თვით გამოფენის დასახელება – „შორის“ ჯგუფის ორმაგ არჩევანზე ამახვილებს ყურადღებას – ერთი მხრივ, აქ ტრანზიტულობაზეა გამახვილებული ყურადღება, რაც საქართველოში ორდეკადიან, გარდამავალ პერიოდს გულისხმობს, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოებაზე, არამედ ხელოვნების პოლიტიკაზეც აისახება; მეორე მხრივ კი, რამდენადაც არ არის მითითებული ობიექტები, თუ რასა და რას „შორის“ ობიექტებზეა საუბარი, მათი კონცეფცია სწორედ ინტრანზიტულობის განაცხადია, სადაც მთავარია სუბიექტი, სინტაქსი და უშუალოდ მხატვრის ენა.


ბოლო დროს გამართულ გამოფენებს შორის ეს ტექსტუალურად ყველაზე კარგად აღჭურვილი გამოფენა იყო. პროშურა, რომელიც გამოფენისთვის მომზადდა, გამოირჩევა ზუსტი და ლაკონური თხრობით, თანამედროვე სალიტერატურო ენით, რაც

არამხოლოდ მხატვრებისთვის, სწორედ ხელოვნებათმცოდნეებისთვისაც შესაშური შეიძლება აღმოჩნდეს. ბროშურას ხელს არავინ აწერს და ის სოლიდარულ ენთუზიაზმსა და კოლექტიურობაზე მიგვიითხებებს.

საპროგრამო ბროშურიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ის არის, რომ მხატვრები პროტესტს უცხადებენ ყოველგვარ რომანტიკულ დეკორატიულობას, რაც ჩვენი მხატვრობის ისტორიის, როგორც ადრინდელის, ასევე ახლის, უმეტეს ნაწილს ახასიათებდა – ანუ მხოლოდ განყენებულ ესთეტიკურ ტკობას ფერთა და ფორმით, ტრაფარეტული შინაარსებით. მაშინ, როდესაც მშვენიერების საწყისი კრიტიკულ აზროვნებასა და, თუნდაც, პოლიტიკურ კრიტიკაში უნდა მოიძებნოს. ისინი თვით ავანგარდისტულ გატაცებასაც კი რომანტიკულს უწოდებენ, ისევე როგორც ეჭვის თვალთ უყურებენ დღეს მომძლავრებულ საყოველთაო ინტერესს პერფორმანსზე, როგორც მხოლოდლა სავალდებულო ფორმაზე თანამედროვეობასთან შესატყვისობის.

ამიტომაც, მართლაც ზუსტი სტრატეგია აღმოჩნდა, რომ გამოფენა მთლიანად 2-განზომილებიანი იყო და მხოლოდ კედლისა და სასურათე ზედაპირისგან შედგებოდა. თანამედროვე ხელოვნება სულ უფრო არამატერიალური ხდება და და-





სანანი იქნება, თუ ის საშუალებები, რომლებიც ამ ტენდენციამ წარმოშვა, ახალი მატერიალიზმის საგნად იქცევა.

დემატერიალიზაციის საუკეთესო ექსპონატი იყო თეკლა ასლანიშვილის პორტრეტის სტენსილით შექმნილი 42-ფრაგმენტური პანო, რომლის ფრაგმენტებიც სხვადასხვა ქართველი მხატვრების მიერ განხორციელდა ავტორის თხოვნით. მან დაარიგა საკუთარი პორტრეტის ტრაფარეტი, რათა მხატვრებს საკუთარი დამახასიათებელი ხელნერით შეეცოთ ის. აქ თითქოს დაკარგულია საზღვარი, თუ ვინ არის ავტორი, მაგრამ ამ 42 კლიშეს თეკლა ასლანიშვილის იდეა, ანუ არამატერიალური კომპონენტი აერთიანებს. მხატვარს თითქოს უნდოდა, ეჩვენებინა, რომ ის, რაც ცნობილ ავტორში გაყიდვადია, მხოლოდ ბრენდინგია, მაშინ, როდესაც ნამდვილი სათქმელი ხშირად მაცურებლამდე ვერ აღწევს.

დაახლოებით ამ თემას განავითარებენ გამოფენის დანარჩენი მონაწილეები. ქეთო ლოგუას ნამუშევარი „თეთრი კუბი“ ლონდონის ცნობილ გალერეას სივრცით განზომილებას აცლის და სიბრტყეზე, დაშლილი კუბის სახით წარმოგვიდგენს, როგორც თანამედროვე ხელოვნების ინდუსტრიაში ინტიმური შინაარსების დაკარგვაზე მინიშნებას; სადაც, ვთქვათ, მევა არტისტი დანიელ ჰირსტი და ასეთივე მასშტაბის არტ დილერი ჯეი ჯოპლინგი მუშაობენ. ეს თითქოს სათქმელის ახალი კულტია. არადა, სათქმელის ყოველგვარი რომანტიკა და მასზე ნოსტალგია გაუქმებული გვეგონა. ალბათ, ფორმისა და შინაარსის

ურთიერთობის სწორედ ასეთ, მუდმივად დაუდგენელ პლასტსაც გულისხმობს გამოფენის სახელწოდება „შორის“.

გიორგი კველიშვილი მხიარულ, სასიამოვნო და სიმშვიდის ფერად პანოს ქმნის ზედ გალერეის ერთ კედელზე, რომლებიც ფანქრების თავისუფალი გასმით არის განხორციელებული მისი დამხმარე არტისტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კველიშვილის სახელი რადიკალურთან და პროტესტთან ხშირად ცალსახად არის გაიგივებული, ეს ნამუშევარიც და თუნდაც ადრინდელი, მართლაც, რადიკალური პერფორმანსი, როდესაც მან ანესთეზიის ინექცია გაიკეთა გალარეაში 2005 წელს, და მთლიანად გამოეთიშა გარემოს, პარადოქსულად სწორედ სიმშვიდეს, ნამდვილ სოლიდარობასა და რაღაც ყველასთვის ძვირფასს შეგვახსენებენ. გიორგი კველიშვილისთვის კი ეს სწორედ ძლიერი ბრენდინგი შეიძლება აღმოჩნდეს – პოლუსების ამბივალენტურობა, როდესაც დაპირისპირება და რადიკალურობა არაეგოისტურ ინტეგრირებაში გადაიზრდება, როგორც მხატვრის ჰუმანური ქმედების უტყუარი ნიშანი.

ნატალია ნებიერიძის „პალიმფსესტი“ გადანერების და ინტერტექსტის თემაა. მან საკუთარი მშობლების ნახატები გადააკეთა, გადანერა და სხვადასხვა დეტალით ჩაანაცვლა. გია ეძგვერადის, როგორც ახალგაზრდა მხატვრები ამბობენ, სოლიდარობის ნიშნად გამოგზავნილი საგამოფენო ტექსტობრივი მასალა, ელექტრონული დისკუსიის ამონაწერი სახელწოდებით TTT (The Total Thirst), სწორედ ასეთი დე-

მატერიალიზაციის უნებლიე ექსპონატად გარდაისახება. მელანო სოხაძე ერთ-ერთი ანტიკაპიტალისტური მანიფესტაციის შედეგად დამტვრეული ბილბორდების ფერად ფოტოებს გვთავაზობს, როგორც საგამოფენო სურათებს და კვლავ დეჰუმანიზაციის თემას შეეხება, უკვე სოციალური წინააღმდეგობის რაკურსში.

მოკლე მიმოხილვის გამო, ამ მართლაც შინაარსობრივად დატვირთული გამოფენის ზოგი ავტორის ნამუშევრების დეტალების თუნდაც მოკლედ აღწერა ვერ მოვახერხეთ. აღსანიშნავია, რომ გამოფენის მომზადებაში არტისტებთან ერთად სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ერთმა ნაწილმაც მიიღო მონაწილეობა, ზოგიერთი კი გამოფენის მონაწილეც გახდა. მაგალითად, თეო ბიჩინაშვილი, მესამე კურსის სტუდენტი, რომელსაც უკვე ჩამოყალიბებული ინტერესები აქვს და გამოფენების პრაქტიკაც მისთვის ახალი არ არის.

გამოფენაში მონაწილეობდნენ: გიორგი ხანიაშვილი, თეკლა ასლანიშვილი, თეო ბიჩინაშვილი, მელანო სოხაძე, ნატალია ნებიერიძე, ქეთო ლოგუა, დავით კუხალაშვილი, გიორგი კველიშვილი, გაეძგვერადე, ლადო დარახველიძე, გიორგი (გაგო) გაგომიძე, ვაჟიკო (Whats), თორნიკე ჭაფოძე. ამ ახალგაზრდა მხატვრებს საერთაშორისო სერიოზული რეპრეზენტაციები უკვე გაკეთებული აქვთ ევროპის სხვადასხვა გალერეაში, მუზეუმებსა და ბიენალებზე; და მაინც, იმედი გვეკონდეს, რომ სასურველ კონტექსტს ისინი საქართველოშიც მალე შექმნიან და მოძებნიან.



# ჯაზი ფრანგულად, ანუ მსუბუქად და მელანქოლიურად

ავტორი: ლავით ბუხრიქიძე

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე თბილისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი ბერნარ კუშნერი ჩამოვიდოდა და ბასტილიის ალების დღეს პოლიტიკური დიპლომატიის გაკვეთილს ჩაგვიტარებდა სახელწოდებით – „ესაუბრეთ რუსეთს“, გაცილებით სასიამოვნო ევრო-ჯაზ-კულტურული მესიჯი მისმა თანამემამულემ, ცნობილმა ჯაზმუსიკოსმა და საქსოფონისტმა სილვენ ბეფმა რუსთაველის თეატრში გამართული კონცერტით გვამცნო.

ვერ ვიტყვოდი, რომ თანამედროვე ფრანგული ჯაზი ჩვენთვის ისე ახლობელი და ნაცნობია, რომ მის შესახებ შეიძლება ბევრი და შთამბეჭებლად ისაუბრო. ასე რომ, ჯაზფესტივალებით ცოტათი მაინც განებივრებულ საქართველოში, დასავლეთ ევროპაში საკმაოდ პოპულარული საქსოფონისტის სტუმრობა უფრო სასიამოვნო მოულოდნელობაა. კომპანია „თაგის არტის“ არტისტული მარიფათის, საფრანგეთის საელჩოსა და დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრის დახმარებით გამართული საღამო რუსთაველის სახელობის თეატრში, ფრანგ მუსიკოსთა გაცნობა-შეფასების სურვილს აღძრავდა. სილვენ ბეფის „ახალი სექსტეტის“ ცინცხალი ალბომის პრეზენტაცია სახელწოდებით Joy მსმენელისათვის (რომელიც სიჭრელით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე დახვეწილობით) აღმოჩენას თუ არა, მოულოდნელობას ნიშნავდა.

უნდა ითქვას, რომ ჯაზკონცერტმა

ერთი კეთილშობილური მისია ნამდვილად შეასრულა: ორგანიზატორების დახმარებით კონცერტს რუსთაველის თეატრში უსინათლოთა სკოლის ორასზე მეტი მოსწავლე დაესწრო. ხოლო მუსიკალური კოლექვის სტუდენტებს უფასოდ შეეძლოთ საკუთარი მუსიკალური გამოვლების შემოწმება და ვინძლო დახვეწა. ჯაზი ხომ მუსიკალური გამოვლების ტესტირების საშუალებას ნამდვილად იძლევა.

რაც შეეხება კონცერტის მთავარ მონაწილეებს: ტენორ-საქსოფონისტი, ბატონი სილვენ ბეფი ისე გრძნობდა თავს კოლეგა მუსიკოსებთან, როგორც კერლინგის გუნდის კაპიტანი, რომლის მთავარი მიზანია გრანიტის ბურთულა ზუსტად და შეცდომების გარეშე შეასრიალოს შემოხაზულ ცენტრში... საგანგებო „ცოცხების“ დახმარებით! უკვე რამდენიმე კომპოზიციის შესრულების შემდეგ („სუში“, „ლიმილი“ ან „ბაიკალის ტბა“) ცხადია გახდა, რომ „ახალი სექსტეტი“ სინამდვილეში კარგად დაეინყებულ იყვნენ, ფანკისა და მინორული ბლუზის ნაზავია.

მუსიკალური ექსპერტი: პიერ პედრინი (ტენორ-საქსოფონი), დენი ლელუ (ტრომბონი), ფრანსუა ტებერუი (ალტ-საქსოფონი), ტომა გრემონპრეზი (დასარტყამი ინსტრუმენტი), ჟან-ივ იუნგი (ფორტეპიანო) და ჟერომ რეგარდი (კონტრაბასი) არ გვაოცებდა განსაკუთრებული ტექნიკით ან შესრულების მანერით. ცხადი და უკვე მიგნებული ხერხების

გადმოცემა, თემების მეტ-ნაკლებად ზუსტი დალაგება და თანმიმდევრობა (და არა თავანყვეტილი იპროვიზაციის უნარი), მუსიკალური კომპოზიციების აგების მოულოდნელობა და კონტრასტულობა – ეს არის ძირითადი პრინციპი, რაც დაახლოებით 70-წუთიან კონცერტს მაინც სძენდა გარკვეულ მსუბუქ შარმსა და მიზიდულობას.

როგორც ნაცნობმა ჯაზის მოყვარულმა განმიცხადა, „ვისაც მსუბუქი ფრანგული ჯაზისა სჯერა, იმას პორტუგალიური „ფადოს“ მელანქოლიის დაჯერებაც უნდა შეეძლოს“-ო. ხოლო თუ ორივეს ერთად შევავრთებთ და დავიჯერებთ, რომ ფრანგული ჯაზი მსუბუქიცაა და მელანქოლიურიც, მაშინ შეგვიძლია 2010 წელს ჩანერილი ალბომი Joy არა მხოლოდ ინტერნეტში მოვიძიოთ, არამედ უკვე ვიყიდოთ კიდეც. ცხადია, თუ ფრანგული მსუბუქ-მელანქოლიური ჯაზი მეტ-ნაკლებად აღმაფრთოვანებლად მოგეჩვენათ. ამისათვის კი შორს წასვლა არც იყო საჭირო. კონცერტის დამთავრების შემდეგ, იქვე რუსთაველის თეატრის ფოიეში სილვენ ბეფის „ახალი სექსტეტის“ ახალი ალბომი იყიდებოდა...

სხვათა შორის, საფრანგეთის ელჩი, ბატონი ერიკ ფურნიე ასეც მოიქცა და მალე მას თითო-ოროლა მიმბაძველიც გამოუჩნდა. დანარჩენები კი ალბათ ფიქრობდნენ, რომ ჯაზი მაინც ვნებიანი და ამერიკული სჯობს, ვიდრე ფრანგული და თუნდაც დახვეწილი.





## მხურვალე პატრიოტული ვნება „ბრილი“ ოკუპაციის წინააღმდეგ

ავტორი: დავით ბუხრიკიძე

როგორც ჩანს, მწარე ისტორიული გამოცდილება, მუდმივ პოლიტიკურ ცაიტნოტში ყოფნა, ქვეყნის თვითგადარჩენის ან ისტორიის წინაშე თავის გამართლებების სურვილი და კრიტიკული თვითრეფლექსია გამუდმებით აიძულებს ხელოვანებს რუსული ოკუპაციის თემას კვლავაც აქტუალურად შეეხონ. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდი: ქართლ-კახეთის სამეფოს ინტრიგები, შინაურთა ლალატი, სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამ ციციშვილის სიამაყე და გმირობა (მან ხანჯლით განგმირა რუსი გენერალი ლაზარევი), მთავარ კატალიზატორად იქცა ქალაქ რუსთავის მუნიციპალური თეატრის ახალ სპექტაკლში „უკანასკნელი დედოფალი“.

ორმოქმედებიანი სპექტაკლი რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა და მსახიობმა გოჩა კაპანაძემ ჯაბა იოსელიანის ისტორიულ თემაზე შექმნილი პიესის („საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“) მიხედვით და საკუთარი ინსცენირებით დადგა. უფრო ზუსტად, პიესა დრამატულ-პოლიტიკურ იმპროვიზაციად აქცია და იგაფურ ფორმაში მოაქცია. სიუჟეტურ სფერებს რეჟისორი სულხან-საბა ორბელიანის არაკებს, აღმოსავლურ სიბრძნესა და სახარებისულ იგავეებს უხამებს. თანაც ისე, რომ თეთრებით შემოსილი ქალების ქოროს „გადადახილი“ სპექტაკლის ყოველ ეპიზოდთან ლოგიკურ კავშირშია და აქტუალურია.

80-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა საჯაროდ პირველად გაისმა, ჯაბა იოსელიანის აკრძალული პიესა ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნება“ დაბეჭდა. მოგვიანებით, 1992 წელს იგი რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა. იმ სპექტაკლს დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი, რომელმაც ფაქტობრივად, საკუთარი სახელმწიფოებრიობის, ანუ სამეფოს ტრაგიკული აღსასრულის შესახებ საჯაროდ, სცენაზე პირველად შეიტყო. საინტერესო სცენური სახეები შექმნეს ნინო კობერიძემ (მარიამი), ოთარ მეღვინეთუხუცესმა (სოლომონ ლიონიძე), კოტე მახარაძემ (ციციანოვი), ვია ბურჯანაძემ (გადილა), თამარ სხირტლაძემ (დარეჯანი).

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიდან დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და უკვე დღევანდელი ოკუპაციის გათვალისწინებით, გოჩა კაპანაძე მეტი სიფხიზლით, სიმძაფრით, პოლიტიკური პათოსით გვიხატავს ეპიზოდებს. მაგალითად, გაცოდებით უნიათოდ წარმოაჩენს გიორგი მეთორმეტეს (გია ტყემელაშვილი). მოლაღატე ციციანოვს (ნუკრი არჩვაძე) საერთოდ უკარგავს ერთგვარ მახვილგონივრულ და მომხიბვლელ ელფერს (რითაც გამოირჩეოდა კოტე მახარაძის პერსონაჟი). გროტესკული და შურისმაძიებლური კუთხით ამძაფრებს ერეკლეს მეუღლის, დედოფალ დარეჯანის სახეს

(თეა შარვაშიძე) და პირიქით, მეტ უბრალოებას, ასკეტურობას და თავგანწირვას ანიჭებს დედოფალ მარიამს (ნათელა მუხლიშვილი).

დამდგმელ მხატვართან, ლომგულ მურუსიძესა და კოსტიუმების ავტორებთან (თამარ მაჭარაშვილი და ქეთი ციციშვილი) ერთად, რეჟისორი ქმნის, უფრო ზუსტად, აღადგენს მეოცე საუკუნის ეპიკურ-პოლიტიკური თეატრის ატმოსფეროს. სცენური სითეთრე და ალაგ-ალაგ „ჩამორღვეული“ ზეცა, ისევე როგორც მიზანსცენები და სცენური მეტაფორები (სამეფო გვირგვინი, კიბე, რომელიც თითქოს ქვესკნელში ჩადის, შავი ქოლგები, საქანელა, რომელიც ფინალში ჯვარად იქცევა, დარეჯანის ხელჯოხი) გვახსენებს სტურუას 70-80-იანი წლების „პოლიტიკურ თეატრს“. მის სცენოგრაფიულ სამყაროს და ხელისუფლებით მოთამაშე რიჩარდისა („რიჩარდ მესამე“) და გროტესკული ლენინის („ლურჯი ცხენები ნითელ ბალახზე“) სახელისუფლო „თამაშებსა“ თუ სამეფო კარის პარადოქსულ ვნებებს.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე გოჩა კაპანაძე შედარებით მარტივ, გასაგებ და პუბლიცისტური ზემოქმედების ფორმას ირჩევს. პუბლიკასაც შესაბამისი, უფრო ზეანეული და პათეტიკური ტონალობით მიმართავს. სპექტაკლში იგავეები (მაგალითად, „მოშულარი ძაღლები“ ან „ძალა ერთობაშია“) თუ სცენოგრაფიული სიმბოლოები მხოლოდ აკონკრეტებენ და უფრო აშიშვლებენ სათქმელს, რომელშიც ისტორიულად გასაგები გზავნილი იკითხება – გათითოკაცებულთ მტერი ყოველთვის ადვილად მოერევა.

და კიდევ ერთი და უკვე სუბიექტური მოსაზრება: სპექტაკლის მეორე მოქმედებაში, მარიამისა და დარეჯანის ერთადერთი შეხვედრის სცენა ერთგვარად ჩამოჰგავს დედოფალ ელისაბედისა და მარიამ სტიუარტის შეხვედრას შილერის პიესიდან. ეს თითქოს მუდმივად შეურიგებელ გვირგვინოსანთა დუელია, რომელიც რეჟისორმა ერთხელ უკვე წარმოგვიგინა რუსთაველის თეატრში დადგმულ „მარიამ სტიუარტი“. ამჯერად კი მოქიშე ქართველ გვირგვინოსანთა (და არა მხოლოდ მათ) ისტორიულ გამოფხიზლებას ისტორიის მწარე გამოცდილებითა და იგავეებით ცდილობს.



## ყველაზე კარგი „საბა“

ავტორი: მახლა კალანდიაძე

როგორ ხდება ხოლმე? როგორ და, ერთი ამბავი ატყდება, ციებ-ცხელება იწყება. ჟიურის წევრების საზეიმო-სატელევიზიო წარდგენა და ლონგლისტებიდან შორთლისტის გადარჩევაზე ფსონების გათვლა თითქმის ერთმანეთს ემთხვევა, მერე შორთლისტები და მედია-ბუმი: ჩემი შენსას სჯობია – ჩემი წიგნი კი არა, ჩემი მწერალი. კრიტიკოსების მართონი – ამ გაზეთში, იმ ჟურნალში, აქ ინტერვიუ, იქ დისკუსია... ბოლოს, რომელიმე სამეფო დარბაზში შეკრებილები, ტრიბუნასთან გამარჯვებულს იხმობენ, ან სულაც არ იხმობენ და რომელიმე მედიასაშუალებით ამცნობენ: თქვენ, ბოდიში და, რამდენიმე ათასის მფლობელი გახდით, ამა და ამ მიზეზების გამოო. ჰო და, ისე ხდება ხოლმე, რომ ჯილდოს გადაცემისას ეს გამარჯვებულები თვალზე ხელსაც კი იფარებენ – რამდენიმეკაციან დარბაზში ჩაკარგულებს უცებ რომ დააცხრებათ ხოლმე მკვეთრი ფოტოგანათებები, მერე მოულოდნელობისა და სიხარულისგან დაბნეულებისთვის ეს მდგომარეობა სულაც არ არის საპატიო მიზეზი – ტრიბუნასთან მისულები აუდიტორიას თავიანთ წიგნსა და შემოქმედებაზე ესაუბრებიან. ან, სულაც, უკეთესი – პრემიის მფლობელის გამოცხადებისას ლაურეატები სუპერმარკეტში იოგურტების სექციასთან ფუსფუსებენ, კატის ბენჯის მოვლით არიან დაკავებულნი, ანდა სამხრეთი აფრიკის ჯუნგლებში დანავარდობენ, და მერე, როცა მიკროფონებითა და კამერით შეიარაღებული ჟურნალისტების შემოტევა დაჟინებით ითხოვს, გადმოსცენ ჯილდოს მოლოდინითა თუ მისი მიღებით გამონვეული ემოცია, პასუხად გულწრფელ გაცემას მიაგებენ და, – რა გინდათ, რას მერჩითო, – იბღვირებიან. არც არაფერს ველოდებოდით, არც არაფერი ვიცოდით... ჩვენო, ერთი სიტყვით, მარმელადას ვჭამდითო, – როგორც იტყოდა კლასიკოსი...

ასე ხდება. იქ. ჩვენთან კიდევ სულ სხვანაირადაა. როგორაა და, მწერლები, არამწერლები, მკითხველები, არამკითხველები ერთ დიდ ეზოში. ჯილდოს წინასწარი მოლოდინი – თითქმის გარანტირებული (ლიტერატურის ხარისხის მეტ-ნაკლებობით თუ წინა წელს გაცემული პრემიის გამო გამორიცხვის მეთოდით ნავარაუდევია), ნომინაციების სიმრავლე და მოულოდნელობების ნაკლებობა, წინასწარ ფარული ჟიური და ჟიურის წევრების ნომინანტებთან ერთად გამომჟღავნება, დუმილი,

დუმილი, მილოცვებში, ოვაციებში, ტაშა და შეძახილებში შეფუთული დუმილი. ასე ხდება ჩვენთან და ასე მოხდა ახლაც – ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების მერვე ცერემონიალი 4 ივლისს, „თიბისი“ ბანკის ეზოში ჩატარდა. ისევე, როგორც წინა წლებში, „თიბისი“ ლიტერატურისათვის ახლაც გამოყო თანხა – 36 ათასი ლარი რვა სხვადასხვა ნომინაციაზე გადანაწილდა. როგორც უნდა ხდებოდეს, ჩვენთან ამაზე უკეთესი ჯერ არაფერი მომხდარა – წელიწადში გამოცემული ყველა წიგნის ერთად თავმოყრა და მათგან საუკეთესოების არჩევა, მერე კი საუკეთესოთაგან საუკეთესოების დაჯილდოება ტყბილი მოლოდინია, მთელი წლის საგზალი და შემდეგი წლისთვის მზადების კარგი სტიმული. წელს, თურმე, 140 ახალი წიგნი განიხილა „საბას“ ჟიურიმ. მათგან კი 40 საუკეთესო შეარჩია და ასე მივიღეთ შორთლისტი – მოთხრობების, ლექსების, ესეების, ნარკვევების, თარგმანების, რომანებისა თუ პიესების საინტერესო რჩეული. პრინციპი ერთია და მარტივი: „საბას“ ხუთკაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები და უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი. გარდა ამისა, გაიცემა ერთი გამორჩეული ჯილდოც – ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ამაზე – მოგვიანებით. ახლა კი თანმიმდევრობით მივყვეთ.

ზემოთ ვთქვი, ჟიურის ვინაობა დაჯილდოების დღემდე გასაიდუმლოებულია-მეთქი, ასე რომ, დაჯილდოების დაწყების წინ მათ გამოცხადებაზე აუდიტორიის მღელვარების პირველი ტალღა გადადის. „საბას“ ჟიურის ყოველ წელს სხვადასხვა წევრი აკლდება-ემატება, თუმცა, წელს ლიტერატურულმა ხუთკაცამ თითქმის მთლიანი როტაცია განიცადა და შემადგენლობაც ასეთი მივიღეთ: რისმაგ გორდეზიანი, ირაკლი ჯავახიძე, გიორგი ლობჯანიძე, გურამ ოდიშარია და თეონა დოლენჯაშვილი. ხდება ხოლმე – ყველგან ხდება, როცა ჟიურის სუბიექტურობა-ობიექტურობაზე, სწორ თუ არასწორ გადაწყვეტილებებზე წერას მოჰყვებიან. უკვე უინტერესოც კია ამაზე მსჯელობა, უსაგნო ლაპარაკი მოცემულობაზე. ამიტომაც, ერთს ვიტყვი მარტო – წლევანდელმა ჟიურიმ კარგად იმუშავა. ჯერ მარტო შორთლისტის შედგენა ამის დასტური – როგორც დაჯილდოებაზე აღინიშნა, წლევანდელ „საბაზე“ ფინალისტებს შორის მოხვედრილი ნებისმიერი ავტორისა თუ წიგნის გამარჯვების გამო უკმაყოფილება და საყვედური არ დასცდებოდა კაცს.

დაჯილდოება ნომინაციით „წლის საუკეთესო დებიუტი“ დაიწყო. გამარჯვებული ოთხ ავტორს შორის შეირჩა. მაკა ლდოკონენის მოთხრობების კრებული „ქიშმიშიანი ამბები“ წლის საუკეთესო სადებიუტო კრებულად დასახელდა. მართალია, წელს გამარჯვებულს თითქმის ერთგვაროვანი კონკურენტები ჰყავდა, მაგრამ წინა წლებს თუ გავისწავნებთ, დებიუტზე ერთად იყო წარდგენილი პოეზია, პროზა, თარგმანი, ესეისტიკა... მოკლედ, სრული გაუგებრობა და ძალთა არათანაფარდობა. თუმცა, თუ კონკურსის პრინციპები არ შეიცვალა, ამ გაუგებრობისათვის თავის დაღწევა, ცოტა არ იყოს, უტოპიაა. ვითომ, საჭიროა ასეთი ნომინაცია? დაიჯერო, შარშანდელი გამარჯვებული პოეტი დებიუტანტები (გიორგი კეკელიძე, დიანა ანფიმიაძი) ლირსულ კონკურენტებს ვერ გაუწევდნენ თავიანთ





## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამა

მოკლედ და კონკრეტულად, თეატრალურს ოქტომბერში დიდი ესთეტიკური ენებათაღელვა ელით. მიზეზი დამაჯერებელი და საპატიოა – თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის წელს უკვე მეორედ გაიმართება და როგორც ფესტივალის ოპტიმისტი დირექტორი ეკა მაზმიშვილი ამბობს, კლასიკურად ღირსშესანიშნავ მოვლენებსა და საინტერესო ექსპერიმენტებს გვპირდება.

ფესტივალის უმთავრეს მოვლენად თითქმის გოდოს, ანუ დიდი იტალიელი რეჟისორის, ჯორჯო სტრელერის 60 წლის წინ დადგმული სპექტაკლი „ორი ბატონის მსახური“ შეიძლება მივიჩნიოთ, რომელსაც სახელოვანი „პიკოლო თეატრი“ ორჯერ წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრის შენობაში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ისტორიული მოვლენაა, რადგან პირველად საქართველოში მაყურებელი იხილავს ჯორჯო სტრელერის სპექტაკლს, რომელიც კარლო გოლდონის პიესის კონვენიალური სცენური ვერსიაა.

სტრელერის „ორი ბატონის მსახური“ ევროპულ თეატრში დაახლოებით იგივე ისტორიული მნიშვნელობისაა, როგორც რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრე“ ქართველებისთვის. ამდენად, „ასაკის“ მიუხედავად, სპექტაკლის დახვეწილი ესთეტიკა, მისი რეჟისორული ენა და მთავარი როლის – არლეკინის როლის შემსრულებელი, ბრწყინვალე ფერუზო სოლოერი უკვე ფესტივალის წარმატების გარანტიებია.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა ორი დიდი „ჰამლეტი“ ერთი პატარა ლიტვიდან. მჭმუნვარე მეტაფორების დიდოსტატი და ფილოსოფიური მასშტაბის ეიმუნტას ნეკროუსი რამდენიმე წლის წინ დადგმულ „ჰამლეტს“ სპეციალურად თბილისის თეატრალური ფესტივალისთვის ალადაგნს. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის გარდაცვალების გამო სპექტაკლი კარგა ხნის განმავლობაში გაჩერებული იყო. თბილისის ფესტივალზე მას ლიტვური დასი „მონო ფორტას“ მხოლოდ ერთჯერ, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგენს.

ახალგაზრდა რეჟისორი, ამბიციური და გაბედული ექსპერიმენტატორი, ერთდროულად ირონიულ-პოეტური წიაღსვლებით გამორჩეული ოსკარას კორშუნოვასი კი თავის „ჰამლეტს“ გრიბოედოვის თეატრში გვიჩვენებს. გასულ წელს ფესტივალზე წარმოდგენილი ტრიუმფატორი-სპექტაკლის, „რომეო და ჯულიეტას“ შემდეგ ყველაზე დიდ შექსპირულ ოპუსს ყველა დიდი ინტერესით ელის.

სიურპრიზი გველის ირანიდან, რადგან რეჟისორ ბეჰრუზ გაიპურის მარიონეტული ოპერა „როსტამი და ზოჰრაბი“, ორგანიზატორების აზრით, მნიშვნელოვნად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ირანულ თეატრალურ კულტურაზე. იქნებ სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლის „კოპენჰაგენის“ შემდეგაც შეგვეცვალოს წარმოდგენა რუსულ თეატრზე? მით უმეტეს, რომ თემურ ჩხეიძის რაფინირებულ რეჟისორულ ნამუშევარს, ბრწყინვალე სამსახიობო ნამუშევარიც დაემატება. სპექტაკლში, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატზე, ფიზიკოს ნილს ბორზე მოგვითხრობს, მთავარ როლს ოლეგ ბასილაშვილი ასრულებს.

გარდა ზემოაღნიშნული და გამორჩეული წარმოდგენებისა, მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს დიდი თუ პატარა კომპანიები ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან, ხორვატიიდან, პოლონეთიდან, ესტონეთიდან, პლუს სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრები და შორეული ჩინელები. მომავალ წელს კი ფესტივალის დირექტორი ეკა მაზმიშვილი სახელოვანი ტაივანური საცეკვაო დასის, Cloud Gate მონვევასაც აპირებს. მოკლედ, მაყურებელი 3-15 ოქტომბერს 13 ქვეყნის 22 წარმოდგენას იხილავს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფესტივალის ქართული პროგრამა, რომელიც თითქმის ყველა მოქმედი პროფესიული თეატრის 33 სპექტაკლისგან შედგება და რომელიც საერთაშორისო პროგრამამდე ცოტათი ადრე, 29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე გაიმართება.

მერე კი... სტრელერი, ნეკროუსი, კორშუნოვასი და სხვა ქრელი კომპანიები გველოდება.



ჟანრში არადებიუტანტ ავტორებს? ან კიდევ, იმის წინანდელი ლაურეატი – მთარგმნელი ქეთი ქანთარია ვერ ჩაენერებოდა თარგმანში ჭიპმოჭრილთა შორის? კი, როგორ არა. კარგი ასეც კარგია და ისეც. გავიხსენოთ, ბუკერის პრემიაზე როგორ მოიტოვა დებიუტანტმა დიბისი პიერმა ლონგლისტში ნობელიანტი კუტხეე, მერე კი, შორთლისტში მარგარეტ ეტუელიც არ დაინდო ჟიურიმ და რახან პიერის რომანი საუკეთესოდ ჩათვალა, პრემიაც მას მიაკუთვნა. არავინდ ადიგაც პირველი რომანით არ გაგვაცნო ბუკერის ჟიურიმ? კი, ასე იყო. უფრო მეტიც – მასთან ერთად კიდევ სამი დებიუტანტი ავტორის წიგნი მოხვდა შორთლისტში, რომლის მიღმაც, არც მეტი, არც ნაკლები – სალმან რუშდი დარჩა. ასე რომ, მგონი, ჩემი შენიშვნა „საბას“ ორგანიზატორების მიმართ არცთუ ისე გადაჭარბებულია.

წლის საუკეთესო მოთხრობების კრებულად კოტე ჯვანდიერის „კონკიას ლამე“ დასახელდა. კრებული ავტორის მეორე წიგნია, პირველი კი, „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან“, 1995 წელს გამოცა. იცით, როგორი წიგნია „კონკიას ლამე“, აი, ისეთია ზუსტად, როგორც უნდა იყოს მოთხრობების კარგი კრებული. ავტორი კი ისეთია, რომლის აღმოჩენაც ლიტერატურულ პერიოდიკაში იშვიათი ბედნიერებაა და რომელიც ძალზე იშვიათად აჩენს საკუთარ ტექსტებს. კონკურენტებიც არანაკლები ჰყავდა (ზურაბ ლეჟავა, ბესო ხვედელიძე, რეზო თაბუკაშვილი), თუმცა, ჟიურიმ „საბა“ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს მიაკუთვნა.

ღია სტურუა, დიანა ანვიმიადი, ზაზა ბიბილაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, ზვიად რატიანი – ასე გამოიყურებოდა წლის საუკეთესო პოეტური კრებულის ნომინაციაზე წარდგენილ ავტორთა სია. „საბა“ ზვიად რატიანს ერგო, კრებულისათვის „ნეგატივი“. როგორი იყო შარშანწინდელი გულისწყვეტა, როცა რატიანის „გზები და დღეები“ უპრიზოდ დარჩა? როგორი და, დიდი. თუმცა, ორჯერ დიდი იყო სიხარული ახლა, როცა კრებული საუკეთესოდ დაასახელა ჟიურიმ. როგორც იქნა. კრებულში 1996-2009 წლის ლექსებია შესული, უფრო სწორად კი, 2009-1996 – ქრონოლოგიურად უკუღმა დალაგებული. ზვიად რატიანიც იმ მცირერიცხოვან ავტორთა შორისაა, რომელთა პუბლიკაციებს თუ წიგნებსაც მკითხველი წლობით ელოდება ხოლმე. „ნეგატივსაც“ კარგა ხანს ველოდეთ. ჯილდოსაც.

ნომინაცია, სადაც, როგორც წესი, ყოველ წელს ყველაზე მეტი ნომინანტი იყრის თავს, წლის საუკეთესო თარგმანია. თუმცა, რაოდენობა ხარისხზე არასდროს მოქმედებს – ასევე, ტრადიციად იქცა ისიც, რომ ამ ნომინაციაში წინასწარი პროგნოზის გაკეთება ყოველთვის ძნელია, რადგან ერთიმეორეზე უკეთესი თარგმანებია წარდგენილი. ასე იყო ახლაც – წელს შორთლისტში თერთმეტი წიგნი მოხვდა, თუმცა, ღირსეულთა შორის საუკეთესოს გამოვლენა ჟიურის არც ამ შემთხვევაში გასჭირვებია – „საბა“ მანანა ლარიბაშვილს გადაეცა გაიუს ვალერიუს კატულუსის „ლექსების წიგნის“ თარგმანისათვის. მართალია, ანტიკური ლიტერატურის მკითხველთა წრე დღითი დღე ვიწროვდება, მაგრამ კატულუსის ქართული თარგმანი თამამად აცხადებს პრეტენზიას ანტიკურობასა და თანამედროვეობას შორის გავლებული ზღვარის მოშლაზე და მისი ლექსები ნებისმიერ დროში ისეთივე სიმძაფრით აღიქმება, როგორც თანამედროვე პოეტების. რა თქმა უნდა, ამაში უდიდესი წვლილი მთარგმნელს, მანანა ლარიბაშვილს მიუძღვის.

ქართული ლიტერატურის დიდი მოვლენა – ასე დავარქმევდი ზურაბ ქარუმიძის „ჯაზის ცხოვრებას“, რომელსაც „საბა“ ნომინაციაში „წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“ – ერგო. კარგი წიგნი კარგ მუსიკაზე – რა უნდა ინატროს ამაზე უკეთესი მკითხველმა? მით უმეტეს, თუ მკითხველი კარგი მსმენელიცაა. ლიტერატურის მსმენელიც – ისეთი, ვისაც სიტყვის მელოდია, ტექსტის პოლიფონიაც ესმის, ისეთი, ვისთვისაც ზურაბ ქარუმიძის დოკუმენტური პროზა მხატვრულ ლიტერატურად აღიქმება.

წლის საუკეთესო პიესა – ორი ნომინანტი და ერთი გამარჯვებული (თამარ ბართაია, „მთავარი როლი“). აბა, რა უნდა ვთქვა სხვა – როცა არჩევანი არაა, ავკარგინოების გარკვევას აზრი არა აქვს. იყო წელი, როცა პრემია არ გასცეს, – არავინაა ღირსეული. მერე ამაღ ჟანრის მავანმა კლასიკოსმა „ჟანრის მკვლელობა“ უწოდა. ასე არაფერი გამოვაო, – თქვა. მე კი მაინც მგონია, რომ არაფერს ვერც მოკლავ და ვერც გაანადგურებ, რაც არ არის, იმას სისხლს ვერ გამოადენ. ასე რომ, ჯობია, დაველოდოთ, სანამ ისეთი პიესები არ დაინერება, რომელთათვისაც სასახელო ჯილდოები არ დაგენანება კაცს.

ის თუ გახსოვთ, როგორ იყო, საუკეთესო რომანის მარადიული ავტორი რომ გვყავდა? – სხვა ნომინანტებს შიშის ზარს რომ სცემდა და ყოველგვარ იმედს უწურავდა? თქვენი არ ვიცი და, მე კი ყოველთვის მახარებდა აკა მორჩილაძის „საბა“. თვითონ, ალბათ, უკვე შეჩვეული იყო, მაგრამ მე კი მაინც ყოველ წელს მიხაროდა – იმიტომ, რომ დღემდე ამ აზრზე ვარ: მწერლის ჯილდო მწერალზე მეტად მკითხველს უნდა ახარებდეს, იმ მკითხველს, რომლის საყვარელ მწერალსაც საუკეთესოდ ასახელებენ. ამაყი ვიყავი! ჰო და, რა მოხდა: აკა მორჩილაძე წელსაც ვიხილე ნომინანტთა სიაში. „მამლუქი“. სიას რომ გადავხედე, მივხვდი: წელს არავის შეეშინებოდა აკასი (თუმცა, არც შარშან ეტყობოდა ვინმეს მუხლების კანკალი, ჩემ გარდა). სხვა ნომინანტებიც იყვნენ: ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბულაძე, ნაირა გელაშვილის ორი რომანი... ბევრი იყო ნაირა. ბევრი და კარგი. კარგი და დიდი. „საბა“ „პირველ ორ წრეს“ ერგო. რომანი, სადაც ერთმანეთშია შერწყმული დოკუმენტურობა და გამოგონილი სინამდვილე, პოლიფანური ტექსტი, რომელიც ყოველი ახალი გვერდიდან უფრო და უფრო ითრევს მკითხველს, გემოვნებით შეზავებული სიტკბო-სიმწარე, თამაში საკუთარი და სხვების ბიოგრაფიებით – ეს ის წიგნია, რომლის გამოჩენასაც, დიდი ხანია, ველოდებოდი ქართულ ლიტერატურაში. მოლოდინმა გაამართლა.

გავედით ფინალში? გავედით. მაგრამ ნუ გეჩქარებათ – ზემოთ რომ შეგპირდით, ბოლოს-მეთქი, რაზე იყო? რაზე და, ლიტერატურის განვითარებაში შეტანილ წვლილზე. ჩვენთვის, გამომცნობებისთვის, პრინციპი ყოველთვის მარტივია: „ვინლა დარჩა“? ... და ვინც დარჩა, ესე იგი, პრიზიც მას ერგება. იმასაც ხვდებით ალბათ, რომ რაც დრო გადის, პრიზიორის ვინაობის გამოცნობა უფრო და უფრო იოლი ხდება. რას ვიზამთ – ცოტა დარჩა. როცა ჯილდოს გადასაცემად სცენაზე გურამ დოჩანაშვილს უხმეს, მომავალ წელზე დაფიქრდი, შევეცადე, აქედანვე გამომეცნო, ვის ერგება 2011 წლის „საბას“ დასკვნითი პრიზი... დაფიქრდი და მოვიწყინე: ძალიან ცოტა დარჩა.



Grant Wood, The Midnight Ride of Paul Revere, 1931

# ლამის მანიაკი 2

## ჟურნალისტური გამოძიება

ავტორი: გიგი გულადანი

ქალაქი იწვოდა რამდენიმე დღე და ბოლოს, ზუსტად ჟურნალში ტექსტის გაგზავნის ვადის ამოწურვისას ფეისბუქში დაიპოსტა ქუჩაში გამოკრული განცხადების ფოტო, რომელზეც მსურველებს ახალი ქართული მძაფრსიუჟეტის დეტექტივის – „ლამის მანიაკი 2“-ის გადაღებების კასტინგზე იწვევდნენ.

გაცრეცილი აფიშის თხელ ქალაღზე დაბეჭდილი განცხადება ჩემ გარშემო მყოფებში ნდობას არ იწვევდა და ფოტოს ნახვისთანავე, ქალაღის, შრიფტისა და განცხადების ტექსტის გათვალისწინებით, თავიდანვე განწირული იყო სკეპტიკური დამოკიდებულებისთვის.

ლოგიკურად, ეს უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაუხედავ, კინოში ყოფნის მსურველ ხალხზე აწყობილი ფულის კონვეიერი, დაახლოებით ისეთი, კვაზიპედოფილური ბავშვთა წრეები რომაა, გამოპრანჭული პატარების კონცერტებს რომ აჩვენებენ საეჭვო სატელევიზიო არხებზე.

მაგრამ, იმ დღის უკიდურესი უსაქმურობიდან გამომდინარე, მაინც ვფიქრობდი, რომ კასტინგის ან სტუდიის რამე მზა პროდუქციის ნახვამდე არ იქნებოდა სწორი კინოკომპანიაზე რაიმე აზრის შექმნა მხოლოდ განცხადების მახასიათებლებზე დაყრდნობით. იყო ძალიან პატარა მსახიობი, რომ „ლამის მანიაკი“ ყოფილიყო პრიმიტიული კინოს ლოკალური შედეგები (არ ვლადობ). სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, პირველ რიგში, როგორმე მეშოვნა „ლამის მანიაკი 2“-ის პირველი სერია – „ლამის მანიაკი 1“.

ერთადერთი ლამის მანიაკი, ვისაც აქამდე ვიცნობდი, იყო პოლ რევერი – ვერცხლის ბოსტონელი ოსტატი, ამერიკის რევოლუციის ერთ-ერთი გმირი, რომელმაც თავის დროზე ააწყო ამერიკის ნაპირებიდან ბრიტანული ხომალდების სათვალთვალ დაზვერვის სისტემა. მასობრივად, პოლ რევერი ყველაზე უფრო ე.წ. „ლამის ქენების“ გამო ახსოვთ – ასე მოიხსენიებენ მის ცხენით რობლას ბოსტონიდან ლექსინგტონში 1975 წლის 18-19 აპრილის ღამეს, როცა მან გაველინა ამერიკელ პატრიოტებს ლექსინგტონში ბრიტანელების ჯარების შემოსვლა აუწყა. რევერისვე სიტყვებით, გზად ის შემხვედრ ხალხს უძახდა „რეგულარულები მოდიან!“ (ბრიტანეთის რეგულარული არმია) და არა „ბრიტანელები მოდიან!“ (როგორც მას ამას თავიდან მიაწერდნენ), რადგან, სავარაუდოდ, ბოსტონშიც

და მის შემოგარენშიც მოსახლეობა საკუთარ თავს სწორედ ბრიტანულად მიიჩნევდა, რადგან ბრიტანეთის ქვეშევრდომები იყვნენ.

ეს ზაფხულის თბილისისთვის საერთოდ დამახასიათებელია, მაგრამ განსაკუთრებით ბოლო დღეებში, აბსურდულობამდე მისული სიცხის გამო, ქალაქში მოძრაობა ღამის ათი საათიდან იწყებოდა და დილაამდე ქუჩები სავსე იყო „ღამის მანიაკებით“, რომლებსაც მე და ჩემი მეგობარი „პოლ რევერებს“ ვეძახდით. ამ დღეებში შუქნიშნებთან ღამის სამ-ოთხ საათზეც კი რკინის ცხენებზე ამხედრებული პოლ რევერების შთამბეჭდავი ნაკადები გროვდებოდა.

სანამ განცხადებაზე მითითებულ მობილურის ნომერს ვკრფედი, პარალელურად ვფიქრობდი, რომ წესით და რიგით, თუ აცხადებ კასტინგს „ღამის მანიაკი 2“-ზე, უკვე დასრულებული უნდა გქონდეს მისი პირველი სერია, ორი გამოწვლილის გარდა: 1. თუ, რალაც ექსპერიმენტული მარკეტინგული გათვლებით არ იღებ ორივე სერიას ერთად; 2. თუ ციფრი „2“ სათაურში სერიას კი არ აღნიშნავს, არამედ უბრალოდ ვილაცის ნაკიფარია – რის გაგებასაც მე ვაპირებდი კიდევ, ვიდრე ზუმერზე პასუხს ველოდებოდი.

ყურმილში ზარის ნაცვლად უკრავდა, როგორც მომეჩვენა, რალაც ფანკი. შეიძლება ჯეიმს ბრაუნიც, ან რამე მსგავსი. ვუსმინე ძალიან დიდხანს და მერე მეორე – ქალაქის ნომერზე დავრეკე. იქ მიპასუხა ერთმა გოგონამ და მკითხა, „რომელ ფილმზე მაინტერესებდა“. მე გავიხარე ყველაფერი, რაც იმ წამს ხდებოდა და ვუთხარი: „ღამის მანიაკი 2“, ოღონდ იქვე დავამატე, რომ გადაღება კი არ მაინტერესებდა, მინდოდა გამეგო, სადმე თუ შეიძლება ამ ფილმის პირველი სერიის – „ღამის მანიაკი 1“-ის შექმნა.

სულ რალაც ორწამიანი პაუზის შემდეგ გოგონამ მითხრა, რომ ამ საკითხზე ჯობდა მივსულიყავი სტუდიაში და პირადად მენეჯერს გავსაუბრებოდი. ჩავთვალე, რომ გოგონას ზუსტად ვერ მივახვედრე, რა მინდოდა, და კიდევ ერთხელ გაუუმეორე, რომ მე უბრალოდ მსურდა პირველი სერიის დისკის, ან უარეს შემთხვევაში კასეტის ყიდვა, რაზეც გოგონამ საკმაოდ ზრდილობიანად კიდევ ერთხელ გამიმეორა, რომ უნდა დავლაპარაკებოდი მენეჯერს. ვიკითხე მენეჯერის სახელი, რაზეც გოგონამ ისევ მირჩია მენეჯერთან გასაუბრება. ყველაფერი ეს სულ უფრო ემსგავსებოდა დილოგს ავტომობილსაუბრისთან. გოგონას მაინც ჩავეკითხე, ვისი იყო აფიშაზე მითითებული მობილურის ნომერი. მან მითხრა, რომ ეს იყო დირექტორის ნომერი და, მენეჯერის გარდა, ის იყო ერთ-ერთი ადამიანი, ვისაც ასევე შემეძლო დავლაპარაკებოდი იმ საკითხებზე, რაც მაინტერესებდა.

მობილურის ნომერი მეორედ ავკრიფე. ისევ ჩაირთო ფანკი. ისევ ვერ მივხვდი ზუსტად, ვინ მღეროდა, არადა ისეთი რალაც იყო, ათასჯერ რომ გაქვს მოსმენილი და შეიძლება აიპოვებოდა კი გქონდეს. სიმღერა რომ მორჩა, გავთოვე.

დავხედე მისამართს. ენერა, – კოლმეურნეობის მოედანთან. ნელა ავდექი, ფანჯარასთან მივედი და ფარდა ოდნავ გავწიე. სახეში სიმზურვალე მეცა. იქნებოდა, ასე, 43 (?). უკან მოვბრუნდი, ვენტელატორთან დავჯექი და დავფიქრდი სამ რამეზე:

ვაკითხე ჯობდა წასვლა თუ პავლოვით.

მეორე – წავსულიყავი დღისით თუ მხოლოდ და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ.

და მესამე – თუ „ღამის მანიაკი 1“ საერთოდ არსებობდა, როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ ფილმის გმირი.

*(გაგრძელება იქნება)*



# სიამაყე, როგორც ადამიანის უფლება

ავტორი: პაატა საბაღაშვილი

1969 წელი მნიშვნელოვანი იყო მთელი რიგი მოვლენების გამო. ეს იყო სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობების გაძლიერების წელი.

პირველად შედგა „ბოინგ 747“-სა და „კონკორდის“ ფრენები; საბჭოელთა თანამგზავრი ვენერასკენ გაფრინდა, ამერიკელებმა კი მთვარეზე დადგეს ფეხი; რიჩარდ ნიქსონმა ლინდონ ჯონსონი შეცვალა ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე; სულეიმან დემირელმა მთავრობა დააკომპლექტა, მუჰამარ კადაფიმ მონარქია დაამხო ლიბიაში, იასირ არაფატი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი გახდა, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია დაფუძნდა, ისრაელში პრემიერის პოსტი პირველად ქალმა დაიკავა; დე გოლის მმართველობა დასრულდა და საფრანგეთს სათავეში პომპიდუ ჩაუდგა, გერმანიის კანცლერი ვილი ბრანტი გახდა, რომელმაც დასავლეთი გერმანიის პოლიტიკა აღმოსავლეთის მიმართ რადიკალურად შეცვალა.

სტუდენტების ამბოხი მრავალ ქვეყანას მოედო. ნახევარ მილიონამდე ადამიანმა ვაშინგტონში ვიეტნამის ომი გააპროტესტა;

ვუდსტოკის ლეგენდარული ფესტივალი გაიმართა; ჯგუფი „ბიტლზ“ ბოლოჯერ წარდგა ცოცხალი შესრულებით მსმენელის წინაშე, ელტონ ჯონმა და „ლედ ზეპელინმა“ პირველი ალბომები გამოუშვეს; პელემ მე-1000 გოლი გაიტანა; გაკეთდა ხელოვნური გულის პირველი გადანერგვა და ჰაიტიდან ამერიკაში აივ ვირუსმა პირველად შეაღწია; შლეზინგერმა ოსკაროსანი ფილმი „შუალამის ქოვბოი“ გადაიღო. მსახიობი და მომღერალი ჯუდი გარლანდი გარდაიცვალა... გარლანდი ყველა დროის ყველაზე დიდი გეი იკონა იყო. მისმა გარდაცვალებამ ნიუ-იორკის გეი თემს დიდი მწუხარება მოუტანა. მისი გარდაცვალება, ფაქტობრივად, მთავარ იმპულსად იქცა მოვლენებისთვის, რომელთაც დღეს სტოუნვოლის ამბოხის სახელით ვიცნობთ.

## სათავეებთან

ნიუ-იორკის გეი უბანში, გრინვიჩ ვილიჯში, ქრისტოფერის ქუჩაზე პატარა გეი ბარი „სტოუნვოლ ინ“ მდებარეობდა. მას გეები და ტრანსვესტიტები სტუმრობდნენ. მაშინდელი ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) მოძრაობა სუსტი იყო და გეები

საკუთარი ძალებით უმკლავდებოდნენ პოლიციას. 27 ივნისი თენდებოდა, როდესაც პოლიციამ ბარში მორიგი რეიდი განახორციელა. თუმცა, ცვლის ახალმა მეთაურმა, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, აშკარად გადაამლამა და ჯუდი გარლანდის გარდაცვალებით განერვიულებული ტრანსვესტიტებისგან საპასუხო აგრესიაც მიიღო. გრინვიჩ ვილიჯში უდარდელად მოსიერნე გოგობიჭებმა ბარის სიახლოვეს მოიყარეს თავი და დაიწყო ნამდვილი სამოქალაქო ომი ბარიკადებით, ცეცხლით, სპეცდანიშნულების რაზმებით, ლოზუნგებით და ყველაფრით, რაც ამგვარ მოვლენას შეეფერება. სტოუნვოლის ამბოხი სამი დღე და ღამე გრძელდებოდა, მას შეუერთდნენ ფემინისტები, აფრიკელ-ამერიკელთა მოძრაობა, პაციფისტები და სხვები. ეს იყო უპრეცედენტო პროტესტი, რომელმაც მსოფლიო ლგბტ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

ერთი წლის თავზე სწორედ სტოუნვოლის მოვლენების გასახსენებლად გაიმართა სოლიდარობის, ხსოვნისა და სიამაყის მარში. 1970-იან წლებს კი „სტოუნვოლის ერა“ ეწოდა.

ეს ის პერიოდია, როდესაც მსოფლიოს ნამყვანმა საზოგადოებებმა ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციასა და პათოლოგიზაციაზე დაიწყეს უარის თქმა. სიამაყის მარშები კი ყოველწლიურად ახალი მოთხოვნებით, ახალი მიზნებით გამართული პოლიტიკური მსვლელობები იყო, რომელთაც აქტივისტების მობილიზაციაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს და საზოგადოებას დაანახეს, თუ როგორ ხდება პირადი – პოლიტიკური.

2009 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ივნისი ლესბოსელებისა და გეების სიამაყის თვედ გამოაცხადა და დააჯილდოვა 1978 წელს მოკლული გეი აქტივისტი და პოლიტიკოსი ჰარვი მილქი. წელს პრაიდ მოძრაობას 40 წელი შეუსრულდა.

## პირადი, როგორც პოლიტიკური

დღეს სიამაყის მარშები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება. პოლიტიკური გზავნილების გარდა, ზოგიერთმა მათგანმა კარნავალიზებული სანახაობის ელფერიც შეიძინა. იყო პერიოდი, როდესაც მსვლელობების კონცეფცია მკვეთრად პროვოკაციული იყო. არ ერიდებოდნენ რომის პაპისა და სხვა ავტორიტეტების პაროდიზირებას, რათა დემარცხებინათ მითები, წინ აღდგომოდნენ პატრიარქალურ ტირანიას და დღის წესრიგში დაეყენებინათ პირად სივრცეში წარმოშობილი პრობლემები.

როგორც წესი, პრაიდი მრავალფეროვან პროგრამას მოიცავს. იმართება სპორტული და კულტურული ღონისძიებები, დისკუსიები. საღამოს პროგრამა დატვირთულია კონცერტებითა და საკლუბო წვეულებებით. ადამიანები ზეიმობენ მრავალფეროვნებას, სიყვარულს და იმ მდგომარეობას, რომელიც მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად მოიპოვეს.

სკეპტიკოსები ამბობენ, რომ ადამიანის პირადი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანა არ შეიძლება. თუმცა, აქტივისტების აზრით, სწორედ მათი პირადი ცხოვრება ხდება საზოგადოებრივ სივრცეში მათდამი უარყოფითად მოპყრობის წინაპირობა. როდესაც ქუჩაში მოგმართავენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით, როდესაც პოლიტიკოსები საარჩევნო უფლების ჩამორთმევას მოითხოვენ, როდესაც ეკლესია სქესის ქირურგიული გზით შეცვლას გმობს, ეს არ ხდება კონკრეტული ადამიანების ინტიმური ცხოვრების დაკვირვების შედეგად. როდესაც ადამიანს ათავისუფლებენ სამსახურიდან, ის გამოდის ქუჩაში. ის პოულობს თავის უფლებას იქ, სადაც ის ირღვევა.



ამ ადამიანის სხეული ამ თემის მიმართ არსებული პოლიტიკის ცენტრალური ფიგურაა. მისი სურვილი შეთქმულების თეორიების მთავარი საკვებია. მისი სიყვარული შერისხულია და ერის დემოგრაფიული პრობლემის მთავარ წყაროდ აღიქმება. მაშ, რა არის პირადი და რა – პოლიტიკური? რა არის მოქალაქე და რა – სახელმწიფო? რას არეგულირებს კანონი, თუ არა – ადამიანთა თანაცხოვრების წესებს?

როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს პირობებს უყენებს: თუ რა უნდა მოითხოვონ, სად გამოჩნდნენ და სად არა, როგორ ჩაიცვან, როგორ ილაპარაკონ, რა ეკრძალებათ მათ, იმიტომ რომ სხვებს ასე „უნდათ“, სწორედ მაშინ ხდება პირადი – პოლიტიკური.

**რეაქსია**

პრაიდ მარშების მიმართ წინააღმდეგობა ყოველთვის არსებობს. მონინააღმდეგენი ორ ნაწილად იყოფიან: ერთნი ფიქრობენ, რომ ეს არის ცოდვის პროპაგანდა, რომ არ უნდა ხდებოდეს პირადი ცხოვრების აფიშირება, რომ ამის ყურება დამლუპველია მოზარდი თაობისათვის; მეორენი, რომლებიც პრინციპულად არ ეწინააღმდეგებიან ლესბოსელებისა და გეებისათვის თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის შექმნას, ამბობენ, რომ პრაიდ მარში შეიძლება კონტროლდებული იყოს; რომ, ამით ხდება ნეგატიური განწყობის გამძაფრება და ფემინიზმისა და მასკულინიზმის ლეგტიმაცია-ნებზე არსებული სტერეოტიპების განმტკიცება. ეს თემა დღემდე საკამათოა, რადგან აქტივისტები მარშებს მხოლოდ გარკვეული მიზნის მისაღწევად საშუალებად იყენებენ, სხვა მეთოდებთან ერთად, თუ ეს თვითმიზანი ხდება.

პირველი ტიპის ოპონენტები, როგორც წესი, ამას იმიტომ ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია ჰეტერონორმატიულობის მიღმა ნებისმიერი მოვლენის საზოგადოებრივ სივრცეში დამკვიდრება. მათთვის ყველა დანარჩენი არის „უცხო“ – „ქსენო“. იმიტომაც მისი ადგილი საზოგადოებაში არ არის. ის უნდა ცხოვრობდეს მინის-ქვეშეთში – „ქლოზეთში“ და იმ ნიშის გარეთ, რასაც მას საზოგადოება გამოუძებნის საზოგადოებრივი ტუალეტისა თუ არანაკლებ აქოთებული მინისქვეშა გადასასვლელის სახით; მისი ადგილი არ უნდა იყოს საერთო ციხეში; ის უნდა იჯდეს „საქათმეში“ არა იმიტომ, რომ დაცული იყოს სხვა პატიმრებისგან, არამედ იმიტომ, რომ მასთან ერთად ჭამა და საცხოვრისის გაზიარება არ მოხდეს; იმიტომაც, ჰეტერონორმატიული „ჩვენისთვის“ ჰომო აბსოლუტური ქსენოა, მის მიმართ ქსენოფობია კი ჰომოფობიაში ვლინდება.

პრაიდისადმი პროტესტის გამომხატველთა ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტია, რომ სექსუალური მრავალფეროვნების დემონსტრირების რეალური მიზანი ჰეტეროსექსუალი ახალგაზრდობის გადამბრება, ჰომოსექსუალური ცხოვრების წესის პროპაგანდაა. ეს არგუმენტი რამდენიმე წინააღმდეგობას შეიცავს: თუ ინფორმაციის გავრცელებას შეუძლია ვინმეს ჰომოსექსუალად ქცევის მიზეზი გახდეს, მაშ რატომ, რომ გეები და ლესბოსელები არასოდეს იქცევიან ჰეტეროსექსუალად ისეთ ჰეტერონორმატიულ საზოგადოებაში, როგორც მაგალითად საქართველოა, სადაც ჰეტეროცენტრიზმი ცხოვრების ყველა სფეროშია ფესვგადგმული. ლესბოსელები და გეები ხომ ჰეტეროსექსუალურ ოჯახში იზადებიან. მაშ, რატომ სიამოვნებთ მათ მუდმივად დევნილის მდგომარეობაში ყოფნა? არ დაევიწყოთ ის გარემოებაც, რომ სტერეოტიპი, თითქოს

ტოლერანტულად განწყობილ საზოგადოებაში უფრო მეტი ჰომოსექსუალია, მომდინარეობს იქიდან, რომ ასეთ საზოგადოებაში ადამიანები ნაკლებად მალავენ საკუთარ ორიენტაციას. ასეთ ქვეყნებს თავს აფარებს უამრავი ადამიანი, რომელიც საკუთარ სამშობლოში არსებულ ფიზიკური განადგურების საფრთხეს გაურბის.

არავინ იცის, რატომ ხდება ჰომოსექსუალების დემონიზაცია შეთქმულების თეორიებითა და ვარაუდებით – თითქოსდა მათ ტრადიციული ოჯახის მოშლა სურდეთ. რატომ უნდა აძლევდეთ ხელს გეებს და ლესბოსელებს რეპროდუქციის დონის დაცემა, მაშინ, როდესაც მათ მსგავსად სწორედ ტრადიციულ ოჯახში იზადებიან სხვა გეები და ლესბოსელები?

**ქართული პროტესტი**

საქართველო უნიკალურია ამ საკითხებისადმი მიდგომაში. ერთი მხრივ, ეს იმის გამო ხდება, რომ ადამიანებს, რომლებიც პრაიდის წინააღმდეგნი არიან, არ აქვთ შეხება იმ ცოდნასა და გამოცდილებასთან, რომელსაც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში იყენებენ პრაიდების წინააღმდეგ. მეორე მხრივ კი, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქართველოში შეკრების თავისუფლებამ მკვეთრად დამახასიათებელი განვითარება ჰპოვა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული 2009 წლის ოპოზიციის საპროტესტო აქციების ჩათვლით. ჩვენ არ გვაქვს სამოქალაქო მანიფესტაციის გამოცდილება, შესაბამისად ჩვენი კრიტიკა მსგავსი მოვლენებისადმი ბავშვური და გულუბრყვილია.

რამდენიმეჯერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგემებოდა პრაიდ მარშის თბილისში გამართვა. არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. ყველა შემთხვევაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ევროპიდან აპირებენ ათასობით უცხოტომელი ჰომოსექსუალის ჩამოყვანას და პრაიდის ჩუმად გამართვას. არც ერთ ქვეყანაში პრაიდი ჩუმად არ იმართება, რადგან პრაიდ მარშის მიზანია, ფართო საზოგადოებამ ყურადღება მიაპყროს პრობლემებს, რომლის წინაშეც მათი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი თანამოქალაქეები დგანან. ხშირად ამგვარ თემებზე ყურადღების გამახვილება, ქვეყანაში არსებული რეალური პრობლემების მისა-ვინყებლად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კითხვების თავიდან ასაცილებლად ხდება.

**და ბოლოს...**

ადამიანებს იდენტობის რამდენიმე შრე გვაქვს. ჩვენ ერთდროულად შეგვიძლია ვიყოთ კავკასიელი, ეთნიკურად ქართველი, თეთრკანიანი, მართლმადიდებელი, მამაკაცი, ჰომოსექსუალი, თბილისელი და ხარფუხელი. ადამიანი საკუთარი იდენტობით ამყობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი არსების მთლიანობა დაირღვევა. სიამაყის სხვადასხვა გამოვლინება არსებობს. იშვიათად თუ აღიზიანებს ვინმეს სარვაშარტო ლონისძიებები, ალილო, თბილისობა, ვერობა, 26 მაისი ან იდენტობასთან დაკავშირებული გამოხატვის სხვა რაიმე მეთოდი. თუმცა, თუ ჩემი ჰომო სიამაყის გამოხატვა მინდა, ამის ნებართვა რატომღაც უნდა მოვთხოვო მას, ვისაც ჩემი იდენტობა მთელი არსებით სძულს.

მე ვამაყობ საკუთარი თავით და არასოდეს მომბეზრდება ამის შესახებ ადამიანებთან საუბარი, იმისდა მიუხედავად, მოსწონთ ეს მათ თუ არა. ეს არის ჩემი უფლება. მომისმენენ თუ არა სხვები, ეს მათი უფლებაა.



# სულ სხვა ირანი

ავტორი: ღათო ტუკაშვილი

შეიძლება მართლა ძალიან მიხდოდა რომ სულ სხვა ირანი აღმოჩენინა და ამიტომაც მომეჩვენა, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ განსხვავდება იმ სტერეოტიპული წარმოდგენებისაგან, რომელიც ჩვენ ირანის შესახებ გაგვაჩნია.

მცდარი შეხედულებები სპარსეთზე, საქართველოში ალბათ მანამდეც არსებობდა, მაგრამ ორასწლოვანმა რუსულმა პრობანდამ, განსაკუთრებულად აგრესიული ირანის იმიჯი შექმნა. ასეთი ირანის ხატს, ახლაც (უნებლიეთ), სხვებიც ქმნიან ხოლმე – მაგალითად ამერიკელები, რომლებიც (სხვათა შორის მაშინ) სადამ ჰუსეინს უჭერდნენ მხარს, როცა ერაცმა ირანს ომი გამოუცხადა.

ჩვენს არცთუ შორეულ წინაპრე-

ბს კი (სინამდვილეში), არცთუ ისეთი ცუდი წარმოდგენები ჰქონდათ სპარსეთის შესახებ, როგორც ამას საბჭოთა პერიოდის კინო გვინერგავდა. მეტიც, მეჩვიდმეტე საუკუნის ისფაჰანი, ალბათ ისეთივე საოცნებო ქალაქი იყო ქართველებისთვის, როგორც მეოცე საუკუნის მოსკოვი ან დღევანდელი პარიზი თუ ლონდონი. ისეთი ენერგიული ქართველები კი, რომლებსაც საქართველო, როგორც ასპარეზი, უბრალოდ ეპატარავებოდათ, ყოველთვის იქ მიდიოდნენ, სადაც დიდი სასახლეები ეგულეობდათ. სპარსული სასახლეების ბრწყინვალეობა კი, ახლაც ისეთი მომწუსხველია, რომ მაშინდელ კომფორმისტ ქართველებს სულ არ გაუჭირდებოდათ არჩე-

ვანის გაკეთება. თუმცა სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ სპარსელებთან, გარდა არცთუ იშვიათი დაპირისპირებისა, მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდებიც გვქონდა. ასეთ დროს კი შეუძლებელი იყო ჭკვიან და გემოვნებიან ქართველებს სპარსული კულტურისა და ლიტერატურის გავლენა არ განეცადათ. განსაკუთრებით მაინც გაგვაშიდრა სპარსულმა პოეზიამ, რომლისგანაც ჩვენი ლიტერატურა იმდენად არის დავალებული, რომ ყველა პოეტსა და მწერალს (ვინც ირანში გავიცანით), ხელის ჩამორთმევისას, მაღლობაც ვუთხარი.

სხვათა შორის ირანში უცნობი ქალებისთვის ხელის ჩამორთმევა სა-





სურველი არ არის, მაგრამ თეირანში ისეთ ლამაზ ქალებსაც აღმოაჩინეთ, რომ აუცილებლად გაგიკვირდებათ რა მიზნით მიჰყავდათ სპარსეთში ქართველი ქალები. თუმცა ლეგენდა ქართველი ქალის სილამაზის შესახებ, არათუ ძველ სპარსეთში, დღევანდელ ირანშიც კი არსებობს და ისიც უნდა ითქვას, რომ სპარსელებს ქართველი კაცების შესახებაც გადაჭარბებულად კარგი წარმოდგენები აქვთ. ირანელებს რომ ჰგონიათ, მართლა ასეთი კარგები რომ ვიყოთ, ასე პირდაღებულელებსაც არ შეგვჭურდებოდა მათი წიგნების ფესტივალის გამო, რომელიც თეირანში ყოველწლიურად ტარდება და ირანელებმა წელს, ქართველებიც სულგრძელად მიგვიწვიეს. ალბათ აღმოსავლეთისთვის თეირანის წიგნების ფესტივალი ისეთივე მნიშვნელობის მოვლენაა, როგორც დასავლეთისთვის ფრანკფურტის ბუხმესე და მათი მასშტაბები კი მართლაც გრანდიოზულია – წარმოიდგინეთ რომ თბილისიდან

ხაშურამდე გზად არაფერი გხვდებოდეთ წიგნების გარდა.

ამდენი წიგნის გამო, ცოტა შემშურდა კიდევ ირანელების და მერე ისიც აღმოვაჩინეთ რომ არათუ ფესტივალზე, თეირანის ნებისმიერ წიგნის მაღაზიაშიც კი, ძალიან მაგარი ხარისხის წიგნები იყიდება. მგონი ამაზე ვილაპარაკე კიდევ იმ დარბაზში, რომელიც თეირანის საერთაშორისო ფესტივალზე ქართულ დელეგაციას გამოგვიყვეს. ზუსტად კი ის მახსოვს, რომ ტრიბუნიდან ხმამაღლა გადავუხადე მადლობა (დაფასებისათვის) ირანელ პოეტებს, რომლებმაც იმავე დარბაზში გიორგი ლობჯანიძეზე დაწერილი ლექსები წაიკითხეს. ჩვენ რომ სულ ბოლოები ვაფასებთ ხოლმე საკუთარ მწერლებსა და პოეტებს, ამაში ახალი და გასაკვირი არაფერია და ლაშა ბულაძე რომ არა, გიორგი ლობჯანიძეს ალბათ იმ ერთადერთ „საბასაც“ არ მისცემდნენ იმ მართლა გენიალური თარგმანისათვის.

მადლობა ასევე გადავუხადე ქალბატონ თეა შურლაიას, რომელიც თეირანის წიგნების ფესტივალზე, ჩვენსავით მიიწვიეს ირანელებმა და მისი (და კიდევ სხვა ქართველი ირანისტების) წყალობით, ჩვენ უკეთ ვიცნობთ სპარსულ ლიტერატურასა და საერთოდ ირანს, ვიდრე ისინი – ჩვენ.

იმ დარბაზში ბასა ჯანიკაშვილმა რა ბრძანა (მაღალი სიცხის გამო), კარგად არ მახსოვს, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს მისი შემოთავაზება თეირანიდან წამოსვლის წინა დღეს – იქნებ რომელიმე მეჩეთი ვნახოთო და წავედით. წავედით და იმდენი ვიარეთ ოცმილიონიან თეირანში მეჩეთის მოსაძებნად, რომ ახლაც არ მჯერა, თუ ასე ძალიან განსხვავდება ირანის ისლამური იმიჯი იმ რეალობისაგან, რომელიც თეირანში ვნახეთ. იმ მაინც მიგნებული მეჩეთის რბილ, ხალიჩებით მოფენილ იატაკზეც ისე გემრიელად წამოვიპლაკეთ რომ სიამოვნებით ჩამეძინა და იქვე აღმოვა-



ჩინეთ კიდევ განსხვავება ხალიჩებსა და ნამდვილ, სპარსულ ხალიჩებს შორის.

მაგალითად ერთ მაღაზიაში, სადაც ხალიჩებს კი არა, ნამდვილ შედევერებს ჰყიდდნენ, ჯერ ლოყებს ვადებდით იმ ხალიჩებს სიამოვნების მისაღებად და მერე იმავე ხალიჩების ალოკვა რომ დაეინყეთ, გამყიდველი ქალი პოლიციის გამოძახებით დაგვემუქრა.

თეირანი ისეთი სუფთა ქალაქია, რომ სპარსული ხალიჩების კოცნისას, ოდნავაც არ გაგვჩენია ბაქტერიებისა და მავნე მიკრობების შიში და იმ უბანში კი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ისეთი სიმშვიდე იყო, რომ ვერაფრით წარმოვიდგენდით იმას, რაც ჩვენს მეზობელ უბანში ხდებოდა. სწორედ იმ დღეებში, ირანის პრეზიდენტი თეირანის სახელოვან უნივერსიტეტს ესტუმრა და სტუდენტებმა დიდი საპროტესტო აქციაც მოაწყვეს, მაგრამ ჩვენ (სამწუხაროდ), არაფერი გავგიგია.

ყველაზე მშვიდი ადგილები კი თეირანში, მაინც ულამაზესი ბალებია, სადაც ხეების ჩრდილქვეშ ირანელები სხედან და მუსაიფობენ და იმ ხეებზე კი ისეთი ჩიტები ცხოვრობენ, რომლებიც გამოუდმებით გალობენ და უსტვენენ. ჩიტები ისეთი დიდები და ძლიერები არიან, რომ მათი ჭიკჭიკის ხმა მთელს თეირანში გამოუდმებით ისმის.

რაზეც გამოუდმებით ვფიქრობდი ირანში ყოფნის დროს, ეს საკვირველი სისუფთავეც იყო, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე თვალშისაცემია თეირანში და ასეთი დაკრიალებული სადარბაზოები, თბილისში არასოდეს მინახავს.

სხვათა შორის, ასეთი მოვლილი ქალებიც სხვაგან არსად მინახავს და შავი კეტებითაც უფრო მეტი გოგო დადის ირანში, ვიდრე საქართველოში. რაც ყველაზე მეტად განასხვავებს ქართველ ქალს სპარსელისაგან, მისი პასიურობაა და ირანში ქალები ისევე იბრძვიან თავიანთი უფლებების დასა-

ცავად, როგორც კაცები. ქართველი ქალები კი (სამწუხაროდ) არასოდეს, არცერთხელ არ გამოსულან ქუჩაში იმ ძალადობის წინააღმდეგ (ქართველი მამრების მხრიდან), რომელიც ნამდვილად არსებობს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ხმადაბლა საუბრობენ. რასაკვირველია ქალების დაჩაგვრა უფრო ძნელია (ვიდრე მაგალითად კაცების) და ყველგან, სადაც ქალებს ჩაგრავენ, იქ კაცებიც იჩაგრებიან, თუმცა ქალებს მაინც აქვთ ერთი უპირატესობა, რადგან ისინი კაცებზე ძლიერები არიან.

მცდარი სტერეოტიპების საპირისპიროდ, ირანელი ქალებიც ისევე ქმნიან თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას, როგორც მამრობითი სქესის ირანელი მწერლები და ქართული ირანისტიკის წყალობით, მათი გაცნობაც შეგვიძლია. ქართველი მთარგმნელების დამსახურებაა ისიც, რომ ქართველ მკითხველს შეუძლია უკეთ იცოდეს ყველაფერი ირანის





შესახებ, რადგან სწორედ ლიტერატურა ქმნის ყველაზე რეალურ და ზუსტ წარმოდგენებს იმ ქვეყნების შესახებ, რომლის ლიტერატურასაც იცნობ. მაგალითად, ძალიან საეჭვოა, რომ ლიმაში ბევრი ქართველი იყოს ნამყოფი, მაგრამ ვისაც მარიო ვარგას ლიოსას ნიგნები წაუკითხავს, მისთვის პერუ აღარ არის შორეული და უცნობი ქვეყანა. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქეც, ვისაც საქართველოს გაცნობა სურს, უპირველესად ნიგნის მაღაზიაში შედის ქართული ლიტერატურის შესაძენად, მაგრამ იშვიათი გამონაკლისების გარდა, მას იქ არაფერი ხვდება.

ამიტომაც, თუ მართლა გვსურს, რომ დანარჩენი სამყაროსთვის ისევ არ დავრჩეთ უცნობი და შორეული გაურკვევლობად, ჩვენს პოლიფონიურ საგანძურთან ერთად, ის ნიგნებიც უნდა გავავრცელოთ მთელს მსოფლიოში, რომელსაც ყველგან ნაიკითხავენ.

ირანელებსაც (ჩვენგან განსხვავებით) იმიტომ არ ეშინიათ არცერთი მტრის (და შეთქმულების თეორიის), რომ მთელს მსოფლიოში სპარსულ ლიტერატურას მილიონობით მკითხველი და მეგობარი ჰყავს. ვინც ნიგნს კითხულობს, ის ყოველთვის მეგობარს ეძებს და უნიგნურებს კი ყველგან მტრები ელანდებათ. ირანის მიმართ ჩვენი (ძნელი სათქმელია ავადმყოფური) დამოკიდებულებაც რომ მაქსიმალურად დაშორდეს ჩვენს არასწორ წარმოდგენებს და უკეთესობისკენ შეიცვალოს, სამკურნალოდ სპარსული ლიტერატურა საუკეთესო ნამალია.

ირანელებს კი ქართველების მიმართ ისეთი სტუმართმოყვრული, მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვთ, რომ ამის გამოც აუცილებლად მოგიწდებათ მაღლობის თქმა და ჩვენც ყველას ნაცვლად გიორგი ჯანჯღავას ვაწუხებდით, რომელიც საქართველოს ელჩია

ირანში და თვითონაც ირანელებს შორის, მხოლოდ მეგობრებს ეძებს...

P.S. ყველაზე გავლენიანი, მაინც კინოპროპაგანდა იყო და ამიტომაც დღემდე გვჯერა, რომ შაჰ-აბასმა (როგორც ფილმებში იყო), სულ მათარხების რტყმევით გარეკა ქართველები შორეულ სპარსეთში. მეჩვიდმეტე საუკუნეში ისფაჰანი, სამყაროს მაშინდელი ცენტრი გახლდათ და თითქმის ისეთივე ფენომენი იყო, როგორც დღევანდელი ლონდონია. „ქართლის ცხოვრებაში“ კი გარკვევით წერია, რომ შაჰ-აბასმა ქართველებს, სპარსეთში გადასახლების წინ, რამდენიმე დღე მისცა მოსამზადებლად. წარმოიდგინეთ, ახლა რომ ბრიტანეთის ელჩმა გამოაცხადოს, – ქართველები ლონდონში უნდა გადაგასახლოთ რამდენიმე დღეში, იმ რამდენიმე დღის მანძილზე რამდენი ათასი ქართველი მოგროვდება თბილისის მრავალტანჯულ აეროპორტში...



## ძალიან ხანმოკლე მოგზაურობა მარკ ტვენის საბრაფოში და მისი „საფლავის პრივილეგია“

ავტორი: ია მერკვილაძე


სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, 22 დეკემბერი, 2008

როგორ უნდა გიყვარდეს და გენატრებოდეს ტომი და ჰეკლბერი ან ჯერ ჰეკლბერი და მერე ტომი, რომ გიჟი, წვიმიანი შაბათს, დილაუთენია ღამის ნიუ-იორკის „პენ-სთეიშენის“ მიმართულებით, მატარებლების მიწისზედა სადგურამდე ნახევრად-მიწინარემ ცარიელ ვაგონში იმგზავრო, მერე კვლავ მატარებლით – პენსილვანიისკენ და ბოლოს „სოფლის ავტობუსებით“ ელმაირაში ჩაჩაქჩაქდე. ელმაირა საგრაფოში მდებარეობს. საგრაფოს „ჩემანგ“ ჰქვია. ელმაირა დიდი ხნის წინ მე და ჩემს ფილადეფიელ მეგობარს გვექონდა დაგეგმილი. მეგობარს ფილადეფიაში უნდა შევხვდე, მერე ელმაირა-მდე ერთად უნდა გავწიოთ.

ელმაირაში მარკ ტვენი ცხოვრობდა. იქაა დასაფლავებული. ჩემანგის საგრაფოს „მარკ ტვენის საგრაფოსაც“ უწოდებენ. ამ ამინდში შტატიდან შტატში სამოგზაუროდ მხოლოდ ტომ სოიერი და მისი მეგობარი თუ გამო-მადგებოდა. მათი ხათრით მივდივარ, უფრო – ჩემი ბავშვობის ხათრით, კაპიტალური გამომშვიდებობისთვის. დამგზავრებული, წყნარი და ყურებში ყურსასმენგაყრილი ადამიანები რომ არა, უშველებელ ინგლისურენოვან გაზეთებს თხა და გიგოსავით რომ ჩაჰკირკიტებენ, მერე მალევე კეცავენ და მერე ისევ კეცავენ ღამის აიფონის ზომამდე, მეგონებოდა, რომ პირდაპირ ჩემს ქუთაისში მივემგზავრები. ეყაყანათ მანაც, ანდა მობი-

ლურზე ხმამალა ესაუბრათ – თბილისიდან ქუთაისში ანდა ქუთაისიდან თბილისში მიმავალ „მარშრუტკას“ გავისწენებდი. ოლონდ მძღოლის მაგნიტოფონზე „ქართულების“ გარეშე. თუმცა ახლა ცოცხა ხანს მოვეუსმენდი, არასნობურად, სამი წუთით. ჰეკლბერიფინურად. არა, ჯიბრზე, ყველას თავი ჩაუქინდრ-აუქინდრია და სძინავთ. ბავშვებსაც კი. ტომისა და ჰეკლბერის არაფერი აცხიათ. თუმცა ვინ იცის, იქნებ ფხიზლობისას მათზე უარესებიც კი არიან. უბრალოდ მატარებელი მყუდროდ მიქანქარებს, გარეთ წვიმს, სიჩუმეა, ოდნავ ცივა. ასეთ მატარებელში და თანაც დილის ნ საათზე ამათ კი არა, ტომს და ჰეკლბერსაც ერთმანეთზე მიეძინებო-





დათ. იმ გემზე რომ მსხდარიყვნენ, რომლითაც მათი მამილო ტვენი ოკეანის ნისლში ევროპაში გაემგზავრა, ნაძღვეს ვდებ, მაინც ჩათვლემდნენ. გემს „კვაკერ სითი“ ერქვა. ვერც კი წარმომიდგენია, მაშინდელი გემების სახელწოდებაში „კვაკვაკვა“ როგორ არ უნდა ყოფილიყო?

ევროპიდან გამოგზავნილი სტატიების კრებულს მარკ ტვენმა „გულუბრყვილონი უცხოეთში“ შეარქვა. ნეტავი ვის გულისხმობდა? რატომ „მარკი“ ფსევდონიმად? „მარკი“ და „კვა“ რალაცნაირად რომ ერთმება ერთმანეთს, იმიტომ ხომ არა? ტვენი. რატომ „ტვენი“, როცა ინგლისურად – Twain-ია, რომელიც ორს, წყვილს ნიშნავს? Mark Twain – სიტყვასიტყვით – „აღნიშნე ორი“.

ამბობენ, სემუელ კლემენსს ფსევდონიმი „მარკ ტვენი“ მისისიპიზე ლოცმანის დამხმარედ რომ მუშაობდა, მაშინ მოეწონაო. „აღნიშნე ორი“ (საყენი), ნიშნავს იმ მინიმალურ სიღრმეს, რომლითაც სამდინარო გე-

მების გავლას სჭირდება. იგი 3,5 მეტრზე ოდნავ მეტია. იმასაც ამბობენ, ველურ დასავლეთში ორმაგ ვისკის რომ სვამდნენ და გადახდა მაშინვე არ უნდოდათ ან არ შეეძლოთ, ბარმენს ომახიანად გასძახებდნენ: „აღნიშნე ორი!“ ანუ ჩემს ანგარიშზე ჩაწერეო. ოოო, რამხელა იქნება ასეთი ერთობლივი ნისია – ანგარიშის ფაქტურა ქუთაისში? ელმაირას და ნიუ-იორკის შტატს კი არა, ჩრდილოეთ ამერიკას სულ ლინინ-ლინინით შემოუფლიდა. თანაც რამდენჯერმე და კიდევ მისისიპისა და რიონს სიგრძეშიც გაასწრებდა. ვხუმრობ. დალევას ქუთაისში ვინ დაგამადლის. ელმაირაში როგორაა ამის საქმე – ვერაფერს გეტყვით.

City of Elmira ადმინისტრაციული ცენტრია, მთლად ისეთი არა, ქუთაისი რომ იყო ინდუსტრიის მშენებელი და თანაც ძველი აია. ეს ელმაირაა. ძველად იგი მანუფაქტურებისა და ნავთობის მწარმოებლების იყო. საბეჭდი მანქანის დედაქალაქადაც კი

ითვლებოდა. ახლა კი იგი პატარა, კოკროჭინა, 35 ათასი მცხოვრებით, უამრავი სხვადასხვა დომინაციის ეკლესიითა და 6 ხიდით, რამდენიმე კვანკვანა ვარდისფერი სვეტებიანი შენობის ქალაქია. მარკ ტვენს აქაური კოლეჯის კურსდამთავრებული მოუყვანია ცოლად. კოლეჯი ძველია, თითქმის 150 წლის. ახლა აქ მარკ ტვენის კვლევის თუ შესწავლის ცენტრია. ტვენი სხვას იკვლევდა, ახლა მას იკვლევენ.

როცა ელმაირაში ჩავედით, თითქმის არ წვიმდა – ოდნავ, სულ ოდნავ. ქოლგა არც გაგვიშლია. რა ვიცი, მარკ ტვენმა თქვა: ჩემი მოთხრობები წყალაო და სხვების – ღვინოო, თუ რაღაც ამდაგვარი. ქალაქის შესასვლელთან დიდი ბანერია – ზედ თეთრებში გამოწყობილი მარკ ტვენის დიდი, ნიცმეანური, ოლონდ თეთრი უღვაშებით, თეთრი კოსტიუმით, ჩემთვის უცნობი ხალხის გვერდით. არა მგონია, მაშინდელი თუ ამჟამინდელი სენატორ-კონგრესმენ-





გუბერნატორ-მერები იყვენ. ალბათ ელმაირას მოსახლეები არიან. აქაურებს ერთი ქალი ასტრონავტი უნდა ჰყავდეთ და ერთი კაციც – ოსკაროსანი. ქუთაისიც არაა ნაკლები. ტაქსის მძღოლი ყველას ჩამოგიტვლით. რასაკვირველია, არა კოსმონავტს ან პოლივედელს, სხვებს, ადგილობრივებს. ქართულად და რუსულად. ინგლისურად მხოლოდ „ველქამს“ და „გუდს“ გეტყვის. თუ საერთაშორისო ორგანიზაციაშია ნამუშევარი – მეტსაც.

რომ გითხრათ ელმაირა ზალცბურგივითაა, სადაც მოცარტი ოპერაში, შოკოლადებზე, ხელსახოცებსა და სანერ კალმებზე კი არა, საცვლების მაღაზიაშიცაა, მოგატყუებთ. არც ისეა, როგორც ავსტრიულ ქალაქში, ძველი და ახალი არქიტექტურა მკვეთრად რომაა გამოყოფილი. მოცარტინა აქ ნელინადის ყველა დროსაა, განსაკუთრებით – ზაფხულის ბოლოსკენ. მარკტვენინანს კი ელმაირაში დიდად ვერ ვგრძნობთ. ალბათ, ეს მარკე-

ტოლოგების ბრალია. წიგნების მაღაზიაში მარკ ტვენი ნამდვილად არის. არ ვიცი, ტომსა და ჰეკზე ფილმებს თუ აჩვენებენ აქაური საკაბელოთი, ორ თვეში ერთხელ მაინც. ამერიკაში სოიერისა და ფინის თავგადასავალზე უამრავი ფილმია გადაღებული. აი, პატარა რესტორანი სახელად „მარკ ტვენი“ კი ქალაქში არაა. ღვინოც კი არაა ამ სახელწოდების. სამაგიეროდ, არის „ვინჩენცოს პიცერია“ და „ჰორიგენის ტავერნა“... შუა ხნის ტაქსის მძღოლს, რომელმაც მანქანაში ჩასხდომისთანავე თხელი, ტურისტული ბუკლეტები გადმოგვცა, ჩვენი კითხვა მარკ ტვენის რესტორნის შესახებ გაუკვირდა, – ისედაც მთელი საგრაფო მისია და მეტი რაღა უნდაო? მე მგონი, ქუთაისური კითხვა დავსვი. მარკ ტვენის გარდაცვალების 100 წლისთავისთვის ჩამოხვედითო? როცა მივუგეთ, – ასეა-თქო, ივლისში უფრო ხალისიან ამბავზე, ქუჩის მხატვრობის ფესტივალზე დაგვპატიუა. Facebook-ში ხომ ხართ, ჰოდა, იქ ადევნეთ თვალიო.

თქვენც იქა ხართ-თქო? – ვკითხე. მაშ-ო?! – მიპასუხა, – „ფეისბუქშიც“ და „თვიერშიც“, „მაისფისზე“ უკვე გაწევრიანდიო. მთავარია ასეთი ამინდი არ იყოსო. აი, იქ ნახავთ, ასფალტზე რამდენ მარკ ტვენს, ტომს და ჰეკლებერს დახატავენო. ზოგსაც ცარცით და ზოგსაც – საღებავებითო. ჯაზფესტივალზეც დაგვპატიუა, ვერტმფრენით გასეირნებაზე „ღვინის საგრაფოში“ (მისი ძმა პილოტია და ამ ბიზნესში ყოფილა ჩართული), „თითის ტბის“ თავზე. საგრაფოსაც და ტბასაც ასეთი სახელები ჰქვია. შემოდგომაზე აქაურ რთველზე ჩამოდიო. მერე დამატა, – ტვენი ცოცხალი რომ იყოს, მერად ავირჩევდიო. მერის ხსენებაზე ისე მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშა, აღარაფერი გვიკითხავს. ისიც გვითხრა, თუ შინაურ ცხოველთან ერთად ჩამოხვალთ, ამისთვის სპეციალური სასტუმროც გვაქვსო, ოღონდ ძალიან ძველიო.

>>> ბაზრქმეზა გვ. 100



101.9 FM

# მისამინე

08:00-11:00



**დილა რადიოქალაქში გეგა ონიანთან  
და ნინი გუკიასთან ერთად**

101.9 FM

101.9 FM



ირაკლი, კაკაბუ და ირაბა ლეშავა, 1995



# განმონი, პარანონია და ისევ თბილისი

ირაკლი ჩარკვიანი

ავტორი: დავით ჩიხლაძე  
ფოტო: გურამ ნიზანაშვილი



რეაქტიული კლუბის პრეზენტაცია 1992 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. რეაქტიული კლუბის წევრები მთავარ შესასვლელში მაგიდაზე ახტნენ. მათ ბლუზ ბრაზერს სტილის კოსტიუმები ეცვათ – თეთრი პერანგები, შავი შარვლები, შავი ჰალსტუხები და სათვალე. საღამოს ცნობილი ლიტერატორები ესწრებოდნენ სამწერლო აკადემიიდან, და ისინი, ვისაც უბრალოდ ახალი მოძრაობები აინტერესებდა. ქართველი ნოვატორი პოეტი ტარიელ ჭანტურია იყო, პრეზენტაციას ესწრებოდა კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძეც. დადა-სემინარს ბევრი სტუმარი ჰყავდა, მათ შორის – ქართველი კლასიკოსის გერონტი ქიქოძის შვილიშვილი, მოსკოველი ხელოვნებათმცოდნე, ჟენია ქიქოძე. ასეთ შეხვედრებზე ყოველთვის შეხვედებით უბრალოდ გულია ხალხს, ვისაც სიახლე, თუნდაც მხოლოდ სიახლის გამო უხარია. მანამდე კარლო კაჭარავამ ირაკლი ჩარკვიანზე და კოტე ყუბანეიშვილზე გაამახვილა ყურადღება – ერთხელ გვამცნო, რომ გამოჩნდა ძალიან საინტერესო და ორიგინალური პოეტური წყვილი, რომლებიც ტანდემში მუშაობდნენ. მაშინ ერთად წავედით მათ გასაცნობად ირაკლის სახლში, ვერაზე.

1992 წელს ბიბლიოთეკაში გამართული პირველი დადა-სემინარი თანმხლები პროგრამა იყო მთავარი პლატფორმის – ვიზუალური პოეზიის საერთაშორისო გამოფენის, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკის და „ლიტერატურული საქართველოს“ ხელშეწყობით და ფინანსური დახმარებით განხორციელდა და დღეს რაც უნდა მოულოდნელი იყოს ჩვენთვის, იმ შორეულ დროს ამ ღონისძიებაში თანამედროვე პოეზიის ცნობილი პოეტი გურუბიცი მონაწილეობდნენ – ჯონ მ. ბენეტი, ჯოფ ჯიუზი, რი ნიკონოვა, სერგეი სიგეი და სხვ. კატალოგის ყდაზე ბელგიელი პოეტის, კრისტინ დოტრემონის, სახელგანთქმული „კობრას“ ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებლის ნამუშევარი მოხვდა, რომელიც მისმა ძმამ, გი დოტრემონმა გამოგვიგზავნა. დადა-სემინარის გახსნაზე მთარგმნელმა დარეჯან კაპანაძემ თანამედროვე ექსპერიმენტული პოეზიის შესახებ ძალიან საინტერესო სტატიის თარგმანი წაიკითხა, რომელიც ამერიკელ პოეტს, სან დიეგოს უნივერსიტეტის პროფესორს, ჰარი პოლკინჰორნს ეკუთვნოდა, და ასევე ამ სემინარისთვის გამოგზავნა. მომზადებულ გარემოში გამოჩნდა თბილისის სცენაზე პირველად რეაქტიული კლუბი. თვითონაც ასეთივე მომზადებულები აღმოჩნდნენ – გარდა შესანიშნავი პოეტური გამოსვლისა, მათ, როგორც მახსოვს, გემოვნებით შედგენილი პოლიგრაფიული გამოცემა მაყურებელს უფასოდ დაურიგეს. ირაკლი ჩარკვიანს საკუთარი შემოქმედებითი ნარსული უკვე გააჩნდა – და თუ კოლექტიურ შემოქმედე-

ბას ვიგულისხმებთ, პირველ რიგში, ეს იყო ჯგუფი „საბავშვო მედიცინა“ 80-იანების მიწურულს, სადაც ირაკლი, დიმა დადიანთან და ჯოზეფასთან ერთად, საინტერესო მუსიკას ქმნიდა პოსტ-პანკის, ელექტრონიკის და პოეტური რეჩიტატივის გადაკვეთაზე.

მოგვიანებით, როდესაც რეაქტიული კლუბის წიგნი გამოვიდა, იქ, ორი ავტორის ნაცვლად, უკვე ავტორთა მთელი გუნდი აღმოვაჩინეთ. თუმცა, ამ პოპულარულ წიგნში უმეტესობა გამოგონილი სახელები იყო და მათ უკან, როგორც ჩანს, ისევ ირაკლი ჩარკვიანი, კოტე ყუბანეიშვილი და ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში უკვე მოგვიანებით მოხვედრილი პაატა ქურდაძე აღმოჩნდნენ.

იმხანად ერთი პოპულარული სატელევიზიო გადაცემა იყო, „მეორე დუბლი“ ერქვა. გადაცემას გოგლიკა მეძმარიაშვილი და გოგიტა მეცხოვრიშვილი აკეთებდნენ მეორე არხზე და ხელოვნების ალტერნატიული სცენის რეპორტაჟს გადასცემდნენ. პირველი ხანგრძლივი სატელევიზიო პრეზენტაცია რეაქტიულმა კლუბმა სწორედ აქ გააკეთა ირაკლის ერთოთახიანი ბინიდან. რეაქტიული კლუბი საკუთარ გარემოსთან ინტეგრაციას ცდილობდა. მათ განსხვავებული კონტექსტის შექმნა ან აღმოჩენა უნდოდათ. ერთ გადაცემაში მათთან ერთად მეც მიმიწვიეს, საღამოს ეთერში მაშინ ლექსი „პლუსი“ წავიკითხე.

„+ ირაკლი (ლენა) ჩარკვიანი + კოტე („დადა“ დადიანი) ყუბანეიშვილი“... – ასე არიან ისინი მოხსენიებულნი ამ ლექსში.


ლენა ირაკლის პირველი ცოლი იყო და ირაკლის შვილთან, მაქსიმესთან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა. ის და, განსაკუთრებით მაქსიმე, ირაკლის პირადი პოეტური მითოლოგიის ერთი მხარე იყვნენ. თუმცა, ერთხელ მაინც მომიხდა ამ მორიდებულ და უხილავ ქალთან შეხვედრა, ირაკლისთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს.

მითებისა და რეალობის მტკიცეული დაპირისპირება ასეთი დაჯგუფებების ისტორიებს ყოველთვის ახლავს თან. პაატა ქურდაძე უკვე ემიგრაციაში იმყოფებოდა საფრანგეთში, რადგან არც





დავ სამინარი, ბრიშნულ ბიბლიოთეკა, 1992



მაშინ და არც შემდგომ, მიუხედავად ხანგრძლივი და ახლო ურთიერთობისა რეაქტიულ კლუბთან, მე ის იქ არასოდეს მინახავს. პაატა ქურდაძე კრებულის ერთ-ერთი ავტორი იყო. ერთი გამოგონილი პერსონაჟი ამ კრებულიდან, შოთა გაგარინი რამდენიმე წლის წინ მთელი არსებით ცხადად მოგვევლინა და აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობაც კი დაიწყო – ახალგაზრდა პოეტმა და ლიტერატორმა შოთა დილმელაშვილმა სწორედ რეაქტიული კლუბის კრებულიდან აიღო შოთა გაგარინის ფსევდონიმი.

მოგვიანებით რეაქტიულმა კლუბმა რეპრეზენტირების სხვა ფორმების ძიება დაიწყო, რომ უფრო პერფორმატიული, პოპულარული ყოფილიყო ის, რასაც აკეთებდნენ. მათ არ უნდოდათ ქალაქში დარჩენა და პირველი კონცერტი პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში გამართეს, სადაც აჟიოტაჟი და სრული ანშლაგი იყო. აღარ მახსოვს, რატომ დაიმსახურა პირველივე კონცერტმა ასეთი ყურადღება საზოგადოებისგან, ალბათ რაღაც წინაპირობები უკვე შექმნილი იყო. შემთხვევით არაფერი ხდება, თბილისის პოსტპანკურ სუბკულტურაში ახალგაზრდა ადამიანებმა იცოდნენ, რომ რაღაც ახალი დაიწყო საქართველოს პოეტურ და საკონცერტო სცენაზე და ეს „რაღაც ახალი“ უკვე თვით „საბავშვო მედიცინის“ ჰომოგენური, ჩაკეტილი სტილის ვაკუუმისგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

სარკეებიან დარბაზში გამართული საღამო პოეტური და მუსიკალური პერფორმანსი იყო – აქ ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანეიშვილი თანაბარი წარმომადგენლები იყვნენ. მოგვიანებით ირაკლი ჩარკვიანმა რეაქტიული კლუბის დაშლა დაიწყო – მან გადანაცვლება, რომ ცალკე გამოსვლა ერჩივნა, როგორც უკვე მუსიკოსს, და წმინდა საკონცერტო საქმიანობა გააგრძელა. მახსოვს, ამ გადანაცვლებას ბევრი არ ეთანხმებოდა. თვლიდნენ, რომ ამგვარი მიდგომით ის პერფორმატიული ეფექტი დაიკარგებოდა, რაც სწორედ კოტეს და ირაკლის ტანდემით გაჩნდა. მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბევრი თ-

ლიდა, რომ ირაკლიმ მთავარი, თუმცა კუთვნილი ნაჭერი ჩამოაჭრა საერთო შოუს და კოტე ყუბანეიშვილის ტალანტის რეალიზებას, ირაკლის მუსიკალური აჟიოტაჟის გარეშე, სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა.

ეს ასე არ მოხდა. კოტე ყუბანეიშვილმა მწერლების წრესთან დაახლოება სცადა. ის მწერალთა კავშირში ერთ კონფერენციაშიც მონაწილეობდა, რომელმაც საინტერესოდ ჩაიარა. თუ არ ვცდები, კონფერენცია თანამედროვე ლექსიკის თემაზე იმართებოდა, კარლო კაჭარავაც გამოვიდა კრიტიკული და ირონიული სიტყვით. მაგრამ კოტეს რეაქციები და გამოსვლები გაცილებით მძაფრი იყო. მან თავი დაიმკვიდრა როგორც პერფორმერმა პოეტმა – იპოვა მინიმალისტური, რითმიანი ფორმა, რომელიც საჯარო შესრულების არამოსაწყენ გარემოს ქმნიდა. კოტე ყუბანეიშვილმა პოეზიაში თანამედროვე მინიმალისტური კაფია და გამოგონილი ურბანისტული აფორიზმი შექმნა. მაგალითად, როდესაც მობილური ტელეფონები შემოვიდა, ყველამ იცოდა მისი „ვისაც არა აქვს ნოკია, ის მართლა ადინოკია“; ასევე, „როცა გისმენს ნორჩი, რიჟა ბაზარს მორჩი“, „ეკლესიაში მამო ჩვენო, გარეთ ქუჩაში დედაო თქვენო“ და სხვა და სხვა.

კოტე ყუბანეიშვილმა ყველაზე ექსპერიმენტულ და ელიტურ ძიებებს პოპულარული, ყველასთვის გასაგები და მისაღები ფორმა უპოვნა. თავის მხრივ, იგივე გააკეთა ირაკლი ჩარკვიანმაც, თუმცა ცოტა მოგვიანებით, როდესაც მან ქართული მელოდია, ინტონაცია და საცეკვაო პანკური ჟღერადობა გააერთიანა. მიუხედავად იმისა, რომ კოტე ყუბანეიშვილი რადიკალური პოეტი იყო, მისი ლექსები ყველას მოსწონდა, ხოლო ირაკლი ჩარკვიანს არა მხოლოდ პანკები უსმენდნენ. პარადოქსია, მაგრამ უსისტემობის ქართულ სინამდვილეში მათ ნამდვილი პერფორმატიული პოპ-არტის პრეცედენტი შექმნეს და რომ არა ისევ ეს უსისტემობა, ისინი არასდროს იქნებოდნენ მოაზრებულნი ანდერგრაუნდში, რადგან ეს ორი ცნება თავისთავად ურთიერთგამომრიცხავია.

>>> ბაბრქეილა ბვ. 103







ირაკლი და ლევა





# GENESIS P. ORKIDGE

## კულტურული ინჟინერია

ავტორი: ზურა ჯიშკარიანი

„ადამიანი, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, არის სხვების მიერ დანერვილი ტექსტი. მაგრამ ცხოვრების რალაც მომენტში იგრძნობთ, რომ გასურთ საკუთარი ისტორიის ავტორი გახდეთ“.

ტიმოთი ლირი სადღაც წერდა: „მე ყველა დროში ვიყავი ადამიანი, რომელიც პრომეთესავით იბრძოდა, ღმერთებისგან ცეცხლს იპარავდა და ისევ ხალხს უბრუნებდა“. „ყველა დროში“ იმას ნიშნავს, რომ მითის ტრანსლირება და მოდერნიზება ნებისმიერი ანალოგიური სიტუაციისთვის შეიძლება. და თუ ცეცხლს თავისუფლებით, ან ინფორმაციით ჩავანაცვლებთ, ღმერთებს – ძალაუფლების ლოკალური და უნივერსალური სისტემებით, ხალხს კი დავტოვებთ ხალხად, ამ შემთხვევაში, მორიგი პრომეთეს ნაცვლად, შეგვიძლია ჩავსვათ ჯენეზის პი-ორიჯი – მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პროვოკაციული ანტიგმირი, არტისტი, ინდუსტრიული მუსიკის „შემქმნელი“ და ონტოლოგიური ექსპერიმენტატორი. მოკლედ, მაპატიეთ პათეტიკისთვის, მაგრამ ეს იქნება ტრანსგრესიული სექსუალობის, ელექტრომაგიის და აქამდე არარსებული, არაჩვეულებრივი სიყვარულის ისტორია.

### დაბადება

როგორც საინტერესო ზღაპრების [ცნობიერების მითოლოგიური რუკა-შაბლონი] უმრავლესობა და ლეგენდა დიდ მეომარზე ან ადამიანზე, რომელმაც სამყარო შეცვალა – ჩვენი ანტიგმირის ისტორიაც იწყება „გეტო-დან“. სინამდვილეში ეს შეიძლება შაბლონიც არ არის, უბრალო ისტორიული ფაქტია, რადგან მილიონობით ჩვენგანი სწორედ გეტოებში იბადება

და მრავლდება, სპამივით ფუსფუსებს და იღვლება.

მეორე მსოფლიო ომიდან 5 წლის შემდეგ მუშათა კლასით დასახლებული მანჩესტერის მიდამოებში დაიბადა ბიჭი, ნილ ენდრიუ მეგსონი. სამი წლის შემდეგ ბიჭის მშობლებმა რალაც სასწაულებრივად იშოვეს ტელევიზორი, რომ დედოფლის კორონაციის ცერემონიალი ენახათ. ჯენეზისისთვის ეს მისი პირველი ბავშვური მოგონებაა, შავ-თეთრი მაგიური ყუთი, კორონაციის სანახავად შეკრებილი მეზობლები და ეიფორია. ეს იყო პირველი „შეხება“ დედოფალთან, რომელიც, როგორც ძალაუფლების წარმომადგენელი ფიგურა, კიდევ არაერთხელ ჩნდება მის ცხოვრებაში.

ნილ ინდრიუ 14 წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი ბირმინგემში გადავიდა საცხოვრებლად. იქ ნილი პრესტიჟულ კერძო სკოლაში შეიყვანეს, რომელიც დედოფლის „კუროთხევით“ არსებობდა და იქაურობა მისადმი მადლიერების გრძნობით იყო აღსავსე. ნილის სწავლის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებდა, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ნიჭიერი ბავშვების პროგრამით. პირველივე დღეს მეგსონმა ცარიელ კორიდორებში ბევრი იხეტიალა, მაგრამ თავის კლასს მაინც ვერ მიავნო. გაკვეთილების ცხრილი არ იცოდა. ერთ-ერთ დერეფანში ინსტრუქტორს შეხვდა და ჰკითხა: სად არიან დანარჩენები? ეს დიდი მკრეხელობა იყო, რადგან მან არ იცოდა, რომ ამ დროს ყველა მოსწავლე იქვე, სალოცავში იკრიბებოდა და ლოცულობდა. ინსტრუქტორმა ენდრიუ საჯაროდ დასაჯა. ამას დამატა მისი „გაუგებარი, სულელური“ აქცენტიც და იმ დღის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში ნილი დაუსრულებელი

აგრესიის, ცემის, ლანძღვის ობიექტად იქცა. მას ერჩოდნენ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. სკოლაში მოქმედებდა ჩამოყალიბებული სისტემა: არსებობდა მოსწავლეების გარკვეული, პრივილეგირებული კლასი (ძირითადად, უფროსკლასელები), რომლებსაც მასწავლებლები მოსწავლეებს შორის წესრიგის და დისციპლინის დამყარებას ავალბებდნენ. სწორედ მოსწავლეთა ამ კლასის (სახელად „ბრენჩერები“) განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ცხოვრობდა მეგსონი მომდევნო რამდენიმე წელიწადს. მოგვიანებით ერთ-ერთ ყურნალში წერდნენ, „მეგსონი ძალიან მალე მიხვდა, რომ ეს არ იყო პერსონალური მტრობა – ეს იყო ინსტიტუციონალური, რიტუალური ძალადობა – ავადმყოფური საზოგადოების მიერ დაკანონებული. და როცა დადგა დრო, რომ თვითონაც ჩაწერილიყო პრივილეგირებულთა კლასში, სკოლის არსებობის მანძილზე ის აღმოჩნდა პირველი, ვინც ამ სტატუსზე უარი თქვა“.

18 წლისამ, ჯერ კიდევ „ნილ ენდრიუ მეგსონის“ სახელით, ჩააბარა ჰალის უნივერსიტეტში, იორკშირში, სადაც სწავლობდა სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებას, თუმცა კურსი ბოლომდე არ დაუსრულებია. სწორედ უნივერსიტეტში იწყება მომავლის ანტიგმირის ჩამოყალიბება. მორიგი სტუდენტური წვეულების შემდეგ მას არქმევენ ახალ მეტსახელს – „ჯენეზისი“, რომელსაც ცოტა ხანში მან გვარიც მოუგონა – პიორიჯი. აქვე დაიწყო ახლად მონათლულმა ჯენეზისმა საუნივერსიტეტო ჟურნალის Worm-ის გამოშვება, რომელიც მეოთხე ნომრის შემდეგ აკრძალეს ანტიიერარქიული და ანტისოციალური შინაარსისთვის.



1969 წელს ჯენეზისი დროებით უერთდება საოცარი ხალხის ჯგუფს – სახელად Transmedia Exploration. ჯგუფის მთავარი მიზანი იყო კულტურული პროგრამირების (დასწავლით შექმნილი ჩვევების, მიდრეკილებების, აზროვნების სტილის და მანერის) ტოტალური გადაფასება და ახალი პროგრამირების დაინსტალება. 69 წელი ვუდსტოკის, ელესდეს, რევოლუციების და კომუნების ჯადოსნური კარნავალი, ერთგვარი შავი ხვრელი იყო მოწესრიგებული დასავლეთის ყოველდღიურობაში. სწორედ ამ პერიოდში Transmedia Exploration ჩამოყალიბდა, როგორც კომუნა უცნაური სახალისო „კანონმდებლობით“, რომელმაც შეიძლება აღისას მოგზაურობა ან მონთი პაითონის ბრიტანული იუმორი მოგაგონოთ. კომუნის წევრებს ეკრძალებოდათ, მაგალითად, ჩანგლით ჭამა. სანაცვლოდ, კომუნარებს რამე „უფრო ორიგინალური“ უნდა მოეფიქრებინათ; ეკრძალებოდათ ერთი და იგივე





ქმედების ორჯერ გამოვრება დღის განმავლობაში. კომუნარები იღვიძებდნენ და იძინებდნენ არეულ რეჟიმში, ამზადებდნენ ერთსა და იმავე კერძს სხვადასხვა რეცეპტებით, ცდილობდნენ, განსხვავებული კომუნიკაციის გზები ეპოვათ ერთმანეთთან. კომუნის მთავარი მიზანი იყო ყოველდღიურ რუტინაში გამყარებული ჩვევების განადგურება და ყოველდღიურ ცხოვრებაში შემთხვევითობის და არაჩვეულებრივობის ელემენტების მაქსიმალურად შეტანა. ჯენეზისზე ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა ამ გამოცდილებამ, თუმცა ის კომუნაში დიდხანს არ გაჩერებულა. ალტერსოციალურმა კომუნალურმა გამოცდილებამ მას ახალი კვლევებისკენ უბიძგა სოციალური კონტროლის, ძალაუფლების და პიროვნული თავისუფლების სფეროში.

სწორედ ამ პერიოდში ახალგაზრდა ნეილ ენდრიუ მეგსონი ძველ კანს იცვლის და რეპრესიებზე დაფუძნებული ცივილიზაციის „ნგრევას“ იწყებს.

### COUM TRANSMISSIONS

„ჩემი მთავარი ინტერესები დროსა და სივრცეში (ანუ სიტუაციაში, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ეძახის „ცხოვრებას“, ან უფრო ინტელექტუალურ დღეებში ეძახის „რეალობას“) არის: კონტროლი, ადამიანის ქცევა და ეჭვი, რომ ყველაფერს საფუძვლად უდევს პარალელური მიზეზებისა და პარალელური შედეგების ქსელი, რომელზეც ჩვენ გაცილებით ძლიერად შეგვიძლია ზემოქმედება, ვიდრე ამის საშუალებას ზემოხსენებული საზოგადოება გვაძლევს“.

„ძალაუფლების ყველა ტრადიცია და რიტუალი საუკუნეების განმავლობაში დაფუძნებული იყო სექსზე“, ამბობს პი ორიჯი.

1969 წელს ჯენეზისმა და მისმა მეგობარმა გოგომ – კოზი ფანი ტუტიმ, შექმნეს პერფორმანს-არტ ჯგუფი C.O.U.M. Transmissions და დაიწყო პროვოკაციული პერფორმანსების სერია ქუჩებსა და გალერეებში. მათი მიზანი იყო პუბლიკის გამოწვევა, status quo

ძილისაგან გამოღვიძება, საზოგადოების ბნელი მხარის კვლევა და დღის სინათლეზე გადმოტანა.

პუბლიკის პირქუში ძილიდან გამოღვიძებისთვის კარგი მეთოდი აღმოჩნდა ტრანსგრესიული სექსუალური პრაქტიკა, რომელიც მოქმედებს როგორც ელექტროშოკი, სილის განვნა, მძინარისთვის ცივი წყლის გადასხმა. რატომ – აქცენტი სექსუალობაზე? ყველა მთავრობა, ძალაუფლების ესა თუ ის სისტემა, იქნება ეს რელიგიური, ოჯახური თუ ტომური სისტემები – ყოველთვის ცდილობდა, გაეკონტროლებინა სექსუალობა; ყოველთვის ჩნდებოდა რიგი კანონებისა, რომელიც განკუთვნილი იყო სპეციალურად ამ თემისადმი. იმავე ეპოქის სხვა ანტი-გმირი, ლირი წერდა:

„ყოველი გენოფონდი მის მოზარდ თაობას თავს ახვევს მორალს, წესებს, ტაბუს, ეთიკურ წანამძღვრებს, რომელთა მეშვეობითაც მართავს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს – სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრე-

დის შეხვედრის მომენტს. სექსუალური აგზნების გენეტიკური მექანიზმის ინდივიდუალური მართვა ყოველთვის საფრთხეს უქმნის სკურ შეჯვარებას (ფუტკრების სკა იგულისხმება). პირველყოფილ-თემურ და ფეოდალურ საზოგადოებებში განაყოფიერების ყველა რიტუალი („საქორწილო ცეკვები“, პაემნები, კონტრაცეპციები, აბორტი) უკიდურესად გამარტივებულია. პერსონალურ ნოვატორობას სასტიკად კიცხავენ და ეწინააღმდეგებიან. ინდუსტრიული დემოკრატიის საზოგადოებებში სექსუალური თავისუფლების დონე ოდნავ მაღლდება, მაგრამ ჩინეთის ან ირანის მაგვარ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში პურიტანული მორალი მტკიცედ აკონტროლებს შეჯვარების რეფლექსებს. ჩინელი დიქტატორის – მასოს მმართველობისას აკრძალული იყო „სასიყვარულო რომანები“, იმიტომ რომ ამით ხალხში იკლებდა სახელმწიფოსადმი ფანატიკური ერთგულება. თუ ახალგაზრდა ადამიანები თვითონ გადაწყვეტენ, ვისთან და როდის „შქონდეთ სიყვარული“ (ვისთან „შეჯვარდნენ“), მაშინ არსებობს იმის მაღალი შესაძლებლობა, რომ განაყოფიერება მოხდეს სკის გარეთ, ხოლო იქ აღმოჩნდება, რომ ახალგაზრდები გადაწყვეტენ, თავად მართონ თავიანთი ცხოვრება და არ მოუხდებთ საკუთარ შთამომავლებში გენოფონდისადმი ბრმა ერთგულების აღზრდა“.

ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ჯენეზისი აცხადებს – ჩვენ ვფიქრობთ, სექსუალური ენერჯია იმდენად ძლიერია, რომ მას კონტროლის ნებისმიერი სისტემა საფრთხედ აღიქვამს. ჯენეზისს ამ ენერჯიის გამოთავისუფლება სურს, რაც მარტივად მიიღწევა არტ-პრაქტიკით, სადაც უხეში აქტივობა საზოგადოებრივი სფეროების გადაადგილება, რუბიკის კუბიკით არევა. როგორც არტ-ჯგუფის ერთ-ერთ ტექსტში წერია, მათ აინტერესებთ „ინდივიდუალური გამოცდილება სახალხოოდ“. მათ აინტერესებთ, რატომ ითვლება რაღაცები ნორმალურად, თუკი ამას სიმარტოვეში აკეთებ და სოციალური ნორმის უხეშ დარღვევად აღიქმება, როდესაც იგივეს აკეთებ სახალხოდ. საზოგადოებრივი სფეროების არევით

და ბრუტალური, სისხლიანი, ძალადობრივი პერფორმანსების სერიებით COUM Transmissions ცდილობდა, საზოგადოებაში მიღებული ნორმების ილუზორულობა და დროებითობა ეჩვენებინა. „ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ფარსია“, „ექსპერიმენტის გარეშე არ არსებობს იმედი, იმედის გარეშე არ არსებობს აზრი, აზრის გარეშე ცხოვრება – ტყუილია“.

ძალიან მალე ჯგუფის პერფორმანსებმა არტ-სამყაროს ყურადღებას მიიქცია და ცოტა ხანში ჯგუფის ბრუტალურ ექსპიზიციონიზმს უკვე აფინანსებდნენ ლონდონის წამყვანი გალერეები და უნივერსიტეტები, მათ შორის – ბრიტანეთის კულტურის საბჭო. ჯენეზისი და მეგობრებიც სიამოვნებით იღებდნენ ფულს და სულ უფრო ბრუტალურ ტრანსგრესიას სთავაზობდნენ საზოგადოებას. ჯგუფში უკვე შედიოდნენ ქრის კარტერი და პიტერ „სლიზი“ ქრისტოფერსონი (რომელმაც შემდგომში ჩამოაყალიბა ლეგენდარული ინდუსტრიული ჯგუფი Coil). პერფორმანსებს უფრო იმპროვიზაციული, ძალდაუტანებელი ჰეფენინგის და კონცერტის სახე ეძლეოდა, აქ ერთდროულად შეგედლოთ „დამტკბარიყავით“ ავანგარდული გამოფენებით, მოგესმინათ ექსპერიმენტული მუსიკალური გაფორმებისთვის (რომელიც ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად, მაგრამ უკვე ყალიბდებოდა მუსიკის სრულიად ახალ უანრად... ამაზე ცოტა ქვევით), შეგედლოთ გენახათ შიშველი ჯენეზისი და მისი მეგობარი გოგო მათრახებით და სისხლებით, დაგელიათ ნატურალური წვენი, გეზასავათ პერფორმერებთან.

ჯგუფმა სახელი გაითქვა. ერთ-ერთ მორიგ პერფორმანსს ამსტერდამში 2000-მდე ადამიანი დაესწრო. 1975 წელს არტ-ჯგუფი გამოვიდა პარიზის ყოველწლიურ ბიენალეზე ინგლისის სახელით, 76-ში კი მასშტაბურ არტ-ფესტივალზე ესპანეთში.

სახელმწიფო ფინანსების და პოპულარულობის პარალელურად, 1975-ში ჯენეზისი იწყებს, როგორც თვითონ ამბობს, „სოფთ-პორნო ღია ბარათების დაგზავნას, დედოფლის გამოსახულებით“, რის გამოც, მას მიუსაჯეს ერთ-

წლიანი პატიმრობა, რომელიც პირობითად შეუფარდეს, თუ შემდეგი სამი წლის განმავლობაში სადმე კიდევ არ დაფიქსირდებოდა მსგავსი რამ. ჯენეზისი მორჩილად დაეთანხმა და არტ-სამყაროს და საზოგადოების ლიბერალურობის საზომად, აქცია გამართა იმავე, 1976 წელს, თანამედროვე ხელოვნების ცენტრში.

ჯენეზისმა და გოგო-ბიჭებმა გააკეთეს თავიანთი ყველაზე ცნობილი და ყველაზე სკანდალური რეტროსპექტივა და პერფორმანსი, სახელად „პროსტიტუცია“. ეს იყო რეალური ცხოვრების გამოფენა, გადმოტანა არტ-სივრცეში. კედლები აივსო გაზეთების ნახევებით, სადაც ჩანდა ჯენეზისის მეგობრის – კოზი ფანი ტუტის ჟურნალებში დაბეჭდილი პორნო-ფოტოები, სხვადასხვა გაზეთიდან ამოჭრილი სათაურებით, კუთხეებში იდგა ჯენეზისის ინსტალაცია სისხლებით და ტამპონებით, რომლებიც დეფორმირდებოდნენ და ახალ ფორმებს იღებდნენ სითხესთან შეხებისას, დედოფლის ფოტოები ამოჭრილი თვალებით და ისევ საგაზეთო სტატიებით.

„ჩვენ გადავინაცვლეთ სახალხო არენიდან. ჩვენ ვქმნით პირად დოკუმენტაციას და ვიყენებთ პოპულარულ კულტურულ არქეტიპებს. ჩვენ ვცხოვრობთ პირად ცხოვრებას როგორც კინოს; ვცდილობთ, ყოველი სცენა უფრო საინტერესო გავხადოთ. ვიყენებთ ჩანერის ლილაკს, რომ დავაფიქსიროთ ჩვენი აქტივობები როგორც დღიური. ჟურნალები და გაზეთები ჩვენი დოკუმენტაციაა“. და ჟურნალები და გაზეთები მკვლევარებზე, რიგითი ინგლისელების პურიტანიზმზე, ეკონომიკურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე – მართლა მათი ცხოვრების ნაწილი იყო.

კოზი ფანი ტუტე მართლა მუშაობდა მოდელად პორნო გამოცემებისთვის, რათა საარსებო ფული შქონოდა. სლიზი მართლა იყო მოხალისე და პირველადი დახმარების კოცნებს ჩუქნიდა ადამიანებს, ვინც მოულოდნელად ცუდად ხდებოდა, ცხოვრების არც ერთ მომენტს ისინი არ აცალკევებდნენ თავიანთი ხელოვნებისგან.





# მეტაფორის წინასწარმეტყველური ძალის, თარგმანის ხიზლის და სხვათა შესახებ

ავტორი: ნათია გულიაშვილი  
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

## ბასნობა პირველი. ლიტერატურის მუზეუმში

ალექსანდრასთვის არ მითქვამს, რომ ივლისის იმ ცხელი დღის გამო, ლიტერატურის მუზეუმში მისი პოეზიის საღამოზე მისვლამდე ფეხს ვითრევედი და ამასობაში 15 წუთითაც დავაგვიანე. უცხო პოეტისთვის დიდი რისკია, ჩახუთულ დარბაზში სკეპტიკურად განწყობილი და ნახევრად გაბრუებული მსმენელი არ ჩამოაძინო. მე კი შესვლისთანავე ყურში მომხვდა ცოცხალი, ენერგიული და საოცრად ექსპრესიული საუბრის მანერა – ალექსანდრა უკვე თავის მორიგ ლექსს კითხულობდა. იმ საღამოს შესახებ მანამდე პატარა ანოტაციით შევიტყვე, რომ რამდენიმე ლიტერატურული ჯილდოს მფლობელ, ახალგაზრდა ამერიკელ პოეტს თავისი ლექსები აქ უნდა წაეკითხა. არამერიკული ჟღერადობის გვარი, ზელმან-დორინგი კი, იმთავითვე ყურადღება რომ მიიქცია, უკვე მეუბნებოდა, რომ იმ დღეს, სულ მცირე, საინტერესო გარეგნობის გოგონა უნდა მენახა. ასეც აღმოჩნდა – მოჩალისფრო თმით და მწვანე თვალებით ბელგიელს ჰგავდა, სლაური თვალის ქრილით, საუბრის მგზნებარე და ექსპრესიულ მანერაზე კი უდავოდ სისხლის ესპანური ნაწილი აგებდა პასუხს.

სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რა მოლოდინი უნდა მქონოდა ამ გოგონას პოეზიისადმი. ახალგაზრდა ამერიკელ პოეტებზე ბევრი არაფერი მსმენოდა, როგორ წერენ, ვის ბაძავენ – პაუნდს, პლათს თუ ეშერის? თუ ეგენიც ბიტნიკებს აღმერთებენ, როგორც ახალგაზრდა ქართველი პოეტები? ან იქნებ ახალ მიმდინარეობებს ქმნიან?

იმ დღეს კი გავიგე, რომ მართალია, ამერიკულ პოეზიაში საყვარელი

ავტორები ჰყავს, მაგრამ ალექსანდრა კონტინენტის არც ერთ პოეტურ სკოლას არ მიაკუთვნებს თავის ლექსებს; მეტიც, ევროპული კულტურა უფრო ახლობლად მიაჩნია და ამბობს, რომ ბრიტანეთში უკეთ უგებენ, ვიდრე მშობლიურ ნიუ-იორკში.

ამ სიტყვებში რამდენიმე ლექსის მოსმენის შემდეგ ვრწმუნდები, როცა მისი თავისუფალ რიტმს, პირქუმ, გოთიკურ მოტივებს, ბევრ ზამთარს და სიზმარს, არა ყოფითი ცხოვრების თემებს და უხვ მეტაფორებს, ერთი სიტყვით ყველა კომპონენტს სიმბოლიზმისკენ მივყავარ. მოგვიანებით, ინტერვიუს დროს აღმოჩნდება, რომ ფრანგულად საუბრობს და წერს კიდევ. ამ მიმდინარეობით გატაცება კი ამჯერად ბეზოს მხრიდან წამოსულ სისხლის ფრანგულ-ბელგიურ შენაკადებს დავაბრალოთ.

თუმცა, პოეტური კრიზისები, რაც, როგორც იმ საღამოს გაგვანდო, ხშირად ჰქონია, უბიძგებს, ერთი კუთხით განვითარებაზე არ „ჩაიციკლოს“ და ახალი გზები, თემები და ენა ეძებოს. ამ პროცესმა კი ანტიკური საბერძნეთის მითებთან და ტრაგედიებთანაც მიიყვანა და მეგობარ პოეტთან ერთად ექსპერიმენტიც ჩაატარებინა. ორივე შემთხვევაში, შედეგი ლექსების ახალი ციკლი იყო.

## ბასნობა მეორე. ბიობრაფია. დეტალი – ბავშვობა

თბილისში ვიზიტამდე კი ალექსანდრას 24-წლიანი ცხოვრების გზაა, და იმ მიზნით, რომ გავარკვიო, რა ხდებოდა მის თავს ამ ხნის მანძილზე, მეორედ ვხვდები.

„რალაც პერიოდი საერთოდ არაფერი მახსოვდა ჩემი ბავშვობიდან, მერე ნელ-ნელა, ფრაგმენტულად და-

ვინყე გახსენება და გაცნობიერება; შეგრძნების დონეზე ეს ვილაც უცხო ცხოვრების აღმოჩენას და დაკვირვებას ჰგავდა“. ინტერვიუც ასე დაიწყო, თავიდან უჭირს კონკრეტული ამბების გახსენება და ბავშვობის დროინდელ შეგრძნებებზე ლაპარაკი. მერე, ნელ-ნელა ეშხში შედის და ისეთებსაც ჰყვება, აქამდე თვითონ რომ არ გახსენებია.

ნიუ-იორკში დაიბადა, მაგრამ ისევე როგორც ეს ქალაქი, სისხლით მთელ მსოფლიოს ატარებს. დედის ესპანურ-გერმანულ სისხლს + ბეზოს ფრანგულ-ბელგიური + მამის მხრიდან სლაური = ალექსანდრა ზელმან-დორინგს. დიდი ბაბუა მექსიკის პრეზიდენტიც კი იყო, მაგრამ იქ ახლა აღარც მიტოვებულ სასახლეს სტუმრობს და მეხიკოც მსოფლიოში ყველაზე სამიმ ქალაქად მიაჩნია, თავისი ქურდობებით, მოტაცებებით და არალეგალური ვაჭრობებით. სამაგიეროდ ესპანურად ლაპარაკობს, მექსიკური აქცენტით.

ბავშვობის ორი ყველაზე ძლიერი და კონტრასტული შეგრძნება სკოლას და სახლს უკავშირდება.

სკოლა – რომელიც დისციპლინის, დესპოტი მასწავლებლის და კლასელების გამო ეზიზღებოდა, ჯარისკაცებივით, მწყობრად და სწორხაზოდ რომ იზეპირებდნენ ყველაფერს. „გახსოვს ის რვეული, ასოების გამოწერას რომ სწავლობ შავი მელნით და უსასრულოდ რომ უნდა ავსო და ავსო ხაზები, სანამ კალიგრაფიას არ დახვეწე? ამ საშინელ შეგრძნებებზე დავწერე პირველი ლექსი და „შავი“ დავარქვი“, – მეუბნება. კალიგრაფია კი ახლაც „ბატიფენური“ აქვს, თუმცა ხელით წერა მისთვის მთელი რიტუალია. ამის დასამონებლად თაბახის ფურცლების დიდ შეკვრას მაჩვენებს,





## ისტორია

სადაც მხოლოდ ხელნაწერი, გადასწორებული და გადაჯღაბნილი ლექსებია. კომპიუტერში იმ შემთხვევაში კრეფს, თუ სადმე გაგზავნა მოითხოვს ამის აუცილებლობას.

სახლი – ორი მხატვარი – დედა და ბებია და ორი ბიძა – არქიტექტორი და რეჟისორი. მამა ადრე წავიდა სახლიდან, ალექსანდრა მაშინ 2 წლის თუ იქნებოდა. ამის მეტად თითქმის აღარც უხსენებია საუბარში. მამინაცვალი კი, შორეული და ცხელი ქვეყნიდან, საათობით რომ დგებოდა ხოლმე ფანჯარასთან და თოვლს დაჟინებით უცქერდა, მოგვიანებით ალექსანდრას ერთ ლექსში უნებლიე მოგონებდა და სახე-ხატად ამოტივტივდა:

„როგორც კაცი თბილი ქვეყნიდან  
უყურებს როგორ არხვეს ქარი ტოტებს  
ცივ ქვეყანაში  
და ქარიშხალი თბილად  
ეჩვენება“.

სახლში ყველა გიჟი იყო, – მეუბნება. ოჯახის წევრებიც და სტუმრებიც ბევრს ლაპარაკობდნენ, ხმაურობდნენ

და ბავშვობაში ბევრ საინტერესოსაც სწავლობდა მათგან.

აი, ბებია ნამდვილ მფარველ ანგელოზად ჰყავდა, ყოველ დილით უამრავ მიზეზს რომ იგონებდა ალექსანდრას დედისთვის, რომ ბავშვი სკოლაში არ გაეშვათ. სამაგიეროდ, მერე მთელ დღეს მუზეუმებში და კინოთეატრებში დაატარებდა, საუბრობდნენ, ხატავდნენ, მერე ბებო ფორთოხლებით უხსნიდა მზის სისტემის პლანეტების განლაგებას. ხანდახან რომელიმე რესტორნისთვის ხატავდა და, სანაცვლოდ, იქ უფასოდ სადილობდნენ. რა თქმა უნდა, ალექსანდრას ასეთი იმპროვიზირებული და თავისუფალი გარემო უფრო მოსწონდა, ვიდრე სკოლა.

დედა და ბებია ინტენსიურად ახატვინებდნენ, თუმცა ერთხელ მათივე ნაჩუქარმა ტილომ ალექსანდრას პოეტური ინსტინქტი გაუღვიძა, – „როცა ეს უზარმაზარი ტილო მომიტანეს, უნებურად მასზე დიდი და გადღაბნილი ასოების გამოყვანა დავიწყე. არ ვიცი, რატომ. სულ გავავსე ნაწერე-

ბით. ეს რაღაც პროზის და პოეზიის შიბრიდი იყო“. დღემდე სამზარეულოში უკიდია ეს „სამინელეა“, როგორც თვითონ უწოდებს, და თან იმას ასხენებს, რა ძალისხმევა სჭირდება ხელოვანს, ნებისმიერ სფეროში, რომ თავისი შემოქმედების უფორმო მასალას სახე მისცეს და დახვეწოს.

როგორც ალბათ პოეტების უმრავლესობამ, პირველი ლექსები მანამდე დაწერა, ვიდრე პოეზია გააზრებულად შემოიჭრებოდა მის ცხოვრებაში. თუმცა, ლამის იმ დროიდან მოყოლებული, ჯერ ლაპარაკიც რომ არ შეეძლო, ზუსტად ახსოვს ბებოს ინტონაციით წაკითხული „...In the room of woman come ang go talking of Michelangelo“ ელიოტის ლექსიდან „love song of J. albert prufrock“. წლების შემდეგ ალექსანდრა ამ ლექსს და ელიოტის რჩეული პოეზიის მთელ ციკლს უნივერსიტეტში მეგობრებთან ერთად ნაიკითხავს, ერთ-ერთ სალამოზე.

„დედაც 14 წლამდე ხმამაღლა მიკითხავდა. თუმცა, ბავშვობაში მოსმენი-

ის ამბობს, რომ

ხელოვნების მთავარი  
ქალა ალაშინის სულში  
ჯებირების ბარღვევაა  
და რომ ეს არის ის, რას  
ლენინს რევოლუსიისკენ  
უბიძგებს, ქუჩაში  
გამოვარდნილ მამაკაცს  
კი იმისკენ, რომ უსწობ  
ალაშინებს სიყვარული  
აუხსნას. ამბობს, რომ  
როცა ხელოვნება ჩვენს  
სწოზიერებაში იჭრება,  
ყველაზე ჰუმანური ვართ,  
ყველაზე ბახსნილები,  
ყველაზე სკონტანტური,  
ყველაზე მზად  
სიყვარულისთვის და, რას  
მთავარია, ამ დროს სულის  
კეთება არ შეგვიძლია.





ლი ფოლკნერის არაფერი მესმოდა, არ შემძლო მეთქვა, რაზე იყო ესა თუ ის ნაწარმოები, ეს ტექსტები თან სტრესი იყო და თან ბუნდოვან აღფრთოვანებას მგვრიდა. ყველაზე ადრეული და, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოცდილება სწორედ ესაა – როცა ტექსტთან ინტუიციურ დონეზე გაქვს შეხება, თან არ გესმის, და თან ჰიპნოზის ქვეშ ხარ“.

14 წლის იყო, როცა საძულველი სკოლიდან ისეთ ხელოვნების სკოლაში გადავიდა, სადაც შემოქმედებითი აქტივობაც სასწავლო პროცესის ნაწილი იყო.

„შემძლო, პიესა დამეწერა და დამედგა კიდეც. ყველაფერი გამოვცადა ამ სკოლაში – წერა, სცენაზე თამაში, ინტენსიურად დავინყე სიარული. დისციპლინის შიშიდან უკიდურეს, არანორმალურ და არაჯანსაღ დისციპლინაზე გადავედი, რაც მერე უნივერსიტეტში კიდევ უფრო გამიმძაფრდა. უფრო სწორად, ამას მთლად დისციპლინასაც არ დავარქმევდი. მე თავისუფლად ვი-

ზრდებოდი და ყველაზე მეტად გარედან შემოსული და თავსმოხვეული დისციპლინის მეშინოდა. არადა, ძალიან მინდოდა, მეკეთებინა უბრალოდ რამე“.

ამ პერიოდში მოთხრობებისკენაც წაუცდა ხელი, თუმცა მერე თავი მიაწვინა. ამას იმით ხსნის, რომ პროზას ბევრი კირკიტი და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება, პოეზია კი უფრო ემოციებით ცხოვრობს.

„ფიქშენი ისეთივე რამეა, როგორც ჟურნალისტიკა, უამრავ დეტალს მოითხოვს. პიესაც ასეა, მაგრამ მაშინ, როცა პიესას ვწერდი, ძალიან სისხლსავსე ცხოვრება მქონდა, უამრავი ადამიანი ირეოდა ჩემ გარშემო; თავიანთი იდეებით იჭრებოდნენ ჩემს ცხოვრებაში და ახალ-ახალ ვითარებებს ქმნიდნენ. აქ ყურადღება თითოეულ დეტალზე, თითოეულ შესტზე გჭირდება. დეტალურად უნდა დააკვირდე ცხოვრებას და ადამიანებთან ურთიერთობა ამით გეხმარება. ახლა ვგრძნობ კიდეც, რომ პროზასთან დაბრუნებაც მენატრება. ბევრჯერ მქონია კრიზისი

პოეზიაში, იმიტომ რომ ხანდახან ვგრძნობ, თითქოს ეს საკმარისი არაა“.

**ოქსფორდი.**

**პირველი სიყვარული.**

**პირველი კრიზისი. ძიება**

სკოლის შემდეგ ჯერ ბრაუნის უნივერსიტეტში ჩააბარა, მესამე წელს კი ოქსფორდში გადავიდა. უკვე მთელი სისრულით შეიგრძნობს აკადემიურ ცხოვრებას და ამ ხნის განმავლობაში ინტენსიურად კითხულობს, წერს, ფიქრობს წერაზე და წერს წერაზე; თუმცა მუდამ იმ შეგრძნებით, რომ წერისთვის მზად არაა. ფურცელი, მელანი, მარცვალი – საკვანძო სიტყვებია ამ პერიოდის ლექსებში. ავსებს უამრავ ბლოკნოტს და მხოლოდ იმას გრძნობს, რომ უნდა წეროს, წეროს, წეროს ბევრი, რომ საბოლოოდ რაღაც დარჩეს ზურგს უკან. ამიტომ ყველა აქამდე ნაწერს უწოდებს ცხოვრების, ენის, ისტორიის დაგროვებას.

>>> ბაზრქმეობა 83. 112





## Я - “доходяга” - дойду куда угодно

გობონას, რომელმაც თავი დაიხსვა

ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

კონფლიქტოლოგების სემინარზე გახლდით თარჯიმნად. ვის რამდენად გამოადგა ეს ამბავი, არ ვიცი – ის ხალხი დღესაც ურთიერთსიძულვილითაა აღვსილი. მე კი ძალიან ვისიამოვნე: რვა საათი ვმუშაობდი და მერე საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მხარეში, ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ სასტუმროში ვხარობდი, ხოლო თუ ვინმე გაბედავდა და ვახშამზე თარჯიმნობას მთხოვდა, უმაღლეს მივმართავდი ჩემს ოქროსავით უფროსს: „დათო, უთხარი!“ და დათოც მრავალმნიშვნელოვნად იქნევდა თავს: „არ ქნა“.

მოკლედ, ორი კვირა ვხარობდი. დიდებულ კონფლიქტოლოგებს!

ერთ დღესაც მოწვეულმა ექსპერტმა ქალბატონმა, რომელსაც ეგონა, რომ ენგური წყნარ ოკეანეში ჩაედინება, მაგრამ ეგ არაფერი, დამსწრე საზოგადოებას თამაში შესთავაზა. დამსწრე საზოგადოებას შეადგენდნენ გაბრაზებული ამიერკავკასიელები და ტრავმირებული ამიერკავკასიელები, მაგარი მოთამაშე საზოგადოება. ჩემდა გასაოცრად, ითამაშეს. მართალია, მერე ერთმანეთი კინალამ დახოცეს – გავმწარდი, ჩხუბი

ძნელი სათარგმნია, – მაგრამ მთავარია, რომ ითამაშეს, და მე ეს თამაში საშვილიშვილოდ დამამახსოვრდა.

გვერდიგვერდ მსხდომნი, წყვილ-წყვილად, ერთმანეთს ხუთ-ხუთჯერ ეკითხებინან: „ვინ ხარ შენ?“ და თითო პასუხს თითო ფურცელზე ინერენ. მერე ფურცლებს ერთმანეთს უცვლიან და თითოეულ მოთამაშეს ხელში ხუთი ფურცელი უჭირავს, შეუძლია ნაიკითხოს, ვინაა, ან, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავი ვინ ჰგონია. მერე კი მედიატორი თითო-თითოდ აყრევინებს ამ ფურცლებს, სანამ მოთამაშეს ხელში ერთი „მე“ არ დარჩება, ის „მე“, რომელიც ყველაზე ძვირფასად მიაჩნია, მაგალითად, „ადამიანი“. ოღონდ „ადამიანი“, როგორც ყველაზე ფასეული, იშვიათად თუ შეგხვდებათ. რა არ გამიგონია – ჩვიდმეტი წლის გობონას დანერილი „ჭეშმარიტი მართლმადიდებელი“, პროფესორი კაცის „მეგრელი“, ასაკვადასული ძიას „ბიტლომანი“ – ტაში!

მოკლედ, ძალიან სახალისო თამაშია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყოველი გადაგებული ფურცლის მერე ნებისმიერი ადამიანი ბრაზდება, მწარდება, და

გორში სემინარის დროს, ერთმა მომხიბვლელმა გობონამ კინალამ მცემა, – არ გადავაგებო, და სწორია, ეგრე, ჩემო გოგო! ვინ აგდია ვილაც ვიგინდარა მედიატორი, რომ ქალობაზე, ან მამაშენის შვილობაზე, ან საკუთარი სახლის სიყვარულზე უარი გათქმევინოს?

პრობლემა ისაა, რომ არის ვილაცა, ვისაც ეს შეუძლია. მოდი, პირობითად ბელადი ვუნდოთ. მას შეიძლება ერქვას ქმარი, დედა, მოძღვარი, პრეზიდენტი – რა მნიშვნელობა აქვს. ეს არის ვილაცა, ვისაც ოდესღაც ვილაცამ, რა დასამალია და, ძირითადად, ჩვენ თვითონ, საკუთარი თავი გადავაბარეთ. ძალიან მოსახერხებელი პოზიციაა: არც ვფიქრობთ, არც რამეს ვწყვეტთ, არც პასუხს ვაგებთ რამეზე – გვყავს ქმარი, დედა, მოძღვარი ან პრეზიდენტი, და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩემი ქმარი, ჩემი დედა, ჩემი მოძღვარი და ჩემი პრეზიდენტი გადაწყვეტენ.

რა მაგარია:

„ნინიკო, გინდა ზღვაზე წასვლა?“

„რა ვიცი... თენგოს ვკითხავ“.

თენგომ იცის, რა უნდა ნინიკოს.

„ზაურ, მოგწონს ნუნუკა?“



„დედაჩემს მაგრად მოსწონს“. მომილოცავს, ნუწუკ!  
 „აუ, მამაოს როგორ ვუთხრა?“  
 ღმერთი თუ დაბრმავებულია, პატარავ, ერთ პანია ტყუილს მამა ბაბალიკაც გადაიტანს, არა?  
 პრეზიდენტი კი... რა ვიცი, აბა? საერთოდ, რა შუაშია?  
 მაგრამ არა! ჩვენ გვიყვარს ბელადები! ჩვენ სულ მათ სახელებს ვლრიალებთ! ჩვენ მობილურზე მათ ამოსაცნობად სხვა ზარები გვიყენია! და ვინმემ ზემოთ ხსენებული „მეობანა“ რომ გვათამაშოს, ვიდარდებთ, რომ მათ ვერ დავეკითხებით, ბოლოს რა ქალაღი უნდა შეგვჩეს ხელში. აფსუს...  
 ჩემო მშვენიერო გორელო ქალბატონო! მოდი, ერთ პატარა ამბავს გიამბობ. მერე რა, რომ მე არა, ვარლამ შალამოვი მოგიყვება, მერე რა, რომ მრავალი სიტყვის ქართული შესატყვისი ვერ გამოიყვანა და მათ მნიშვნელობას, ვშიშობ, მხოლოდ რუსულის მცოდნეები და საბჭოეთის ტრავმირებული შვილები მიხვდებიან, – რა ვქნა, არ ითარგმნება, სათაურადაც ასეთი უთარგმნელი წინადადება გამოვიყენე... მე უბრალოდ გიამბობ ამბავს იმის შესახებ, რომ ბოლო ქალაღი, „ადამიანი“, ისეთი ქალაღია, რომ ვერასოდეს ვერც ერთი ბელადი ვერ გამოგლეჯს ხელიდან, თუ, რასაკვირველია, შენ თვითონ არ მოისროლე ან არ გადაწყვიტე, რომ ბელადმა უკეთ იცის.  
 პატივისცემით,  
 ანა კ.ს.

**ალმასის წყარო**  
**ვარლამ შალამოვი**

სატვირთო მანქანა ფონთან გაჩერდა და ხალხმა ჩამოლაგება დაიწყო, მოუქნელად და ნელა გადმოჰქონდათ „სტუდენტების“ ძარიდან გაშეშებული ფეხები. მდინარის მარცხენა ნაპირი დაბალი იყო, მარჯვენა – კლდოვანი, სწორედ ისე, როგორც აკადემიკოს ბერის თეორიის თანახმად უნდა ყოფილიყო. მდინარიდან პირდაპირ მთის მდინარის ფსკერზე აღმოვჩნდით და ფეხქვეშ მოგრუხუნე გამოვრეცხილ, მშრალ ქვებზე ორასიოდე ნაბიჯი გავიარეთ. წყლის მუქი ზოლი, რომელიც ნაპირიდან ასეთი ვიწრო ჩანდა, განიერი და სწრაფი, წყალმარჩხი მთის მდინარე აღმოჩნდა.

ჩვენ ბრტყელიძიანი ნავი გველოდა, და ნიჩბების ნაცვლად ძელით შეიარაღებულ მენავეს სამ-სამი მგზავრი გადაჰყავდა მეორე ნაპირზე, მერე მარტო ბრუნდებოდა ხოლმე. მდინარეზე საღამომდე გადავდიოდით. მეორე ნაპირზე დიდხანს მივხიხივდით ვიწრო, ქვიან, ციცაბო ბილიკზე, თან ერთმანეთს ვეხმარებოდით ალბინისტებივით. გაყვითლებულ, დამჭკნარ ბალახში ძლივს შესამჩნევი ვიწრო ბილიკი ხეობისკენ მიუყვებოდა, სადაც მოლურჯო შორეთში მარჯვნიდან და მარცხნიდან მწვერვალები ერთდებოდა. ამ ხეობის ნაკადულს ერქვა სწორედ ალმასის წყარო.  
 საოცარი „მივლინება“ იყო ეს ალმასის წყარო, რომლისკენაც ამდენ ხანს სულ ამოდ მივისწრაფვოდით ოქროს საბადოებიდან, ალმასის წყარო, რომლის შესახებაც გაუგონარი რამეები გვსმენოდა. ამბობდნენ, რომ ამ წყაროზე არც ბადრაგია, არც შემონმებები, არც გაუთავებელი სიის ამოკითხვა, არ არის მავთულხლართები, არ არიან ძაღლები.  
 ჩვენ შევეჩვიეთ შეყენებული ჩახმახის ჩხაკუნს, ზეპირად ვისწავლეთ ბადრაგის გაფრთხილება: ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარცხნივ გაქცევად ითვლება – ნაბიჯით იარ! და ჩვენც მივდიოდით, და რომელიმე ოხუნჯი – ასეთები კი ყველგან არიან, ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი, რადგან ირონია უიარაღოთა იარაღია – რომელიმე ოხუნჯი ბანაკების წვერებიან ხუმრობას იმეორებდა: „ნახტომი ზემოთ აგიტაციად ითვლება“. ეს ბოროტი ხუმრობა ბადრაგს არ ესმოდა. ხუმრობა გვამხნევებდა, წამით სულ ოდნავ შევბას გვეგვრიდა. გაფრთხილებას დღეში ოთხჯერ ვიღებდით: დილით, როცა სამუშაოზე მივდიოდით, დღისით, როცა სადილზე მოვდიოდით და სადილიდან მოვდიოდით, და საღამოს – როგორც დარიგებას ბარაკში დაბრუნებამდე. და ნაცნობი ფორმულის მერე ყოველ ჯერზე ვიღაც ნახტომის ამბავს გვახსენებდა, და ეს არავის ბეზრდებოდა, არავის აღიზიანებდა. პირიქით – მზად ვიყავით, ეს ხუმრობა ათასჯერ მოგვესმინა.  
 და აი, ახდა ოცნება, ალმასის წყაროზე ვართ, და ბადრაგი არ გვახლავს, მხოლოდ ერთი შავწვერიანი ახალგაზრდა კაცია, რომელმაც წვერი აშკარად სოლიდურობისთვის მოუშვა, იქით შეიარაღე-

ბული მდინარეზე გადასვლას ადევნებს თვალს. უკვე აგვისსნეს, რომ ეს სატყეო უბნის უფროსია, ჩვენი უფროსი, მოხალისე ათმეთაური.  
 ალმასის წყაროზე ელექტროგადამცემი მაღალვოლტეანი ხაზისთვის ბოძების დამზადება ხდებოდა.  
 კოლიმაზე მაღალი ხეები არცთუ ბევრგან იზრდება, ჩვენ არჩევითი კაფვა გვევალება, ჩვენნაირებისთვის ყველაზე ხელსაყრელი საქმე.  
 ოქროს მოპოვება კლავს, თან სწრაფად. იქ უფრო დიდი ულუფებია, მაგრამ ბანაკში ხომ დიდი ულუფა კლავს და არა პატარა. ბანაკების ეს ანდაზა რომ ნაღია, რა ხანია, დავრწმუნდით. ოქროს მოპოვებელს, რომელიც „დახადიაგა“ გახდა, ვერანაირი მოკოლადით ვერ გამოიყვან.  
 არჩევითი კაფვა მთლიანზე უფრო ხელსაყრელია, რადგან ტყე მეჩხერია, ხეები – ტანდაბალი, ხეები ჭაობზეა ამოსული, გოლიათები არ იზრდება, ხე-ტყის გადაზიდვა, გასხვლა და შტაბელეტან საკუთარი მხრებით ფხვიერ თოვლში ზიდვა მტანჯველი საქმეა. ელექტროხაზების ოცმეტრიან ბოძებს გადაზიდვას ადამიანებით ხომ ვერც მოახერხებ. ამას ცხენი გააკეთებს, ან ტრაქტორი. ესე



იგი, გადავრჩით. თანაც, ეს უბადრაგო მივლინებაა, ესე იგი, არც კარცერებია, არც ცემა, უბნის უფროსი მოხალისე ინჟინერი თუ ტექნიკოსია – უდავოდ გაგვიმართლა.

ლამე ნაპირზე გავათენეთ, დილით კი ბილიკით ჩვენი ბარაკისკენ დავიძარით. მზე ჯერ არ ჩასულიყო, როცა დაბალ და გრძელ, მორებისგან აშენებულ ნაგებობას მივადექით, რომლის სახურავიც ხავსით იყო დაფარული და ზედ ქვები ეყარა. ბარაკში ორმოცდათორმეტი ადამიანი ცხოვრობდა, ჩვენამდე ოცი მოსულიყო. ნარები მაღალი იყო, ქერი – დაბალი, გამართული მხოლოდ გასასვლელში დადგებოდა.

უფროსი ცქვიტი ბიჭი იყო, გაქნილი. თავის ახალი მუშახელის რიგებს ახალგაზრდა თვალებით გამოცდილი მზერა მოაელო. ჩემმა შარფმა უმაღლეს დაინტერესა. შარფი, ცხადია, შალისა არ ყოფილა, ზამბისა იყო, მაგრამ მაინც შარფი იყო, მოქალაქის შარფი. შარფი გასულ წელს საავადმყოფოს ფელდშერმა მარჩუქა. მას მერე ყელიდან არ მომიხსნია, ზამთარ-ზაფხულ მეკეთა. რამდენადაც შემეძლო, აბანოში ვრეცხავდი, მაგრამ ტილების მოსაშორებლად არასოდეს

ჩამიბარებია. მასში უხვად ჩაბუდებულ ტილებს სიცხე მაინც ვერ დახოცავდა, შარფს კი დაუყოვნებლივ მომპარავდნენ. შარფზე პატიოსნად ნადირობდნენ ჩემი მეზობლები ბარაკშიც, ცხოვრებაშიც და მუშაობის დროსაც. უპატიოსნოდაც ნადირობდნენ – ყოველი შემთხვევითი ადამიანი, აბა, ვინ იტყოდა უარს თამბაქოს ან პურის ფულის გაკეთებაზე, ასეთ შარფს კი ნებისმიერი მოხალისე იყიდის, ტილებს კი ორთქლით უცებ ამოიყვანს. ეს მხოლოდ პატიმრისთვისაა ძნელი. მაგრამ ძილის წინ მე მაინც გმირულად ვიკვანძავდი ყელზე ჩემს შარფს და ვიტანჯებოდი ტილებისგან, რომლებსაც ვერაფრით შეეჩვევი, როგორც სცივეს ვერ შეეჩვევი ვერასდროს.

- ხომ არ გაყიდდი? – თქვა შავნვერამ.
- არა, – ვუპასუხე მე.
- როგორც გინდა. შარფი არ გჭირდება.

ეს საუბარი არ მომეწონა. ისიც ცუდი იყო, რომ აქ დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ გვაჭმევდნენ, მუშაობის მერე. დილით მხოლოდ მდულარე იყო და პური. მაგრამ ასეთები ადრეც მინახავს. უფროსები პატიმრების კვებას ყურადღებას არ აქცევდნენ. ყველა საქმის გამართივებას ცდილობდა.

ყველა პროდუქტი მოხალისე ათმეთაურთან ინახებოდა. ის თავის იყით ბარაკიდან ათ ნაბიჯში, ერთი ციდა ქოხში ცხოვრობდა. სანოვაცის ასე შენახვაც სიახლე იყო – ჩვეულებრივ, პროდუქტები სანარმოო ხელმძღვანელობასთან კი არა, თავად პატიმრებთან ინახება, მაგრამ ალმასის წყაროში, როგორც ჩანს, უკეთესი წესები ჰქონდათ: მშვიდი პატიმრებისთვის საჭმლის მარაგის მინდობა ყოველთვის სახიფათო და სარისკო საქმეა, და ეს ყველამ იცის.

სამუშაოდ შორს დავდიოდით, ერთი ოთხი კილომეტრიც უნდა გაგვევლო, და, ცხადია, არჩევითი კაფვა დღითი დღე უფრო შორს გადაინაცვლებდა, ხეობის სიღრმეში.

შორს სიარული, თუნდაც ბადრაგით, პატიმრისთვის უმალ კარგია, ვიდრე ცუდი: რაც მეტ დროს ანდომებ სიარულს, მით ნაკლები რჩება მუშაობისთვის, ათმეთაურებს რაც უნდა ეთვალათ.

ათმეთაურების მონიშნულ ხეებს ვა-

ქცევდით, ტოტებს ვაცლიდით, ტოტებს გროვებდით ვალაგებდით. ყველაზე ძნელი საქმე ხის კუნძზე დადება იყო, რომ თოვლში არ ჩაფლულიყო, მაგრამ ათმეთაურმა იცოდა, რომ სასწრაფოდ გაიტანდნენ, რომ ტრაქტორები მოვა, იცოდა, რომ ზამთრის დასაწყისში დიდ თოვლს არ დადებდა და ამ ნაქცეულ ხეებს არ დაფარავდა, და ხის კუნძზე დადებას ყოველთვის არ ითხოვდა.

გასაოცარი რამ საღამოს მელოდა.

ალმასის წყაროზე ვახშამი, საუზმე, სადილი და ვახშამი იყო ერთად. ოქროს საბადოს ნებიმიერ სადილს ან საუზმეს არც სიუხვით სჯობდა და არც მაძლრისობით. ჩემი კუჭი გულმოდგინედ მარწმუნებდა, რომ საერთო კალორიულობით და მანიერობით ის საბადოსას ჩამოუვარდებოდა, სადაც კუთვნილი ულუფის ნახევარზე ნაკლებს ვიღებდით – დანარჩენი უფროსობის, მომსახურებისა და ქურდების ჯამებში რჩებოდა. მაგრამ კოლიმაზე დამშეულ კუჭს არ დავუჯერე. მისი შეფასებები ან გაზვიადებული იყო, ან არასათანადო – მეტისმეტად ბევრი უნდოდა, მეტისმეტს ითხოვდა, მეტისმეტად მიკერძოებული გახლდათ.

რატომღაც ვახშმის მერე დასაძინებლად არავინ წვებოდა. ყველა რაღაცას ელოდა. შემონმებას? არა, აქ შემონმებები არ იყო. როგორც იქნა, კარი გაიღო და ქალაღდით ხელში დაულალავი შავნვერა ათმეთაური შემოვიდა. მორიგე მზედა ნარიდან ბენზინის ქრაქი ჩამოიღო და შუა ბარაკში ჩათხრილ მაგიდაზე დადგა. ათმეთაური შუქს მიუჯდა.

- რა იქნება? – ვკითხე მეზობელს.

- დღევანდელი დღის პროცენტები, – თქვა მეზობელმა, და მის ხმაში ისეთი რამ შევნიშნე, რამაც შემამინა, – ასეთი ხმა ძალიან სერიოზულ ვითარებებში გამეგონა, როცა ოცდათორამეტი წლის მსხვერპლებს ოქროს საბადოში მუშაობის ყოველ დღეს ინდივიდუალური საზომით უზომავდნენ. არაფერი შემეშლებოდა. რაღაცა ისეთი იყო, რაც ჯერ მეც კი არ ვიცოდი, რაღაც ახალი საფრთხე.

ათმეთაური არავის უყურებდა, თანაბარი, მოსაწყენი ხმით კითხულობდა გვარებს და თითოეული მუშის ნორმის შესრულების პროცენტებს, მერე ქალაღდი აკურატულად დაკეცა და გავიდა. ბარაკი დუმდა. სიბნელეში მხოლოდ რა-





მდენიმე ათეული ადამიანის მძიმე სუნთქვა ისმოდა.

– ვისაც ასზე ნაკლები აქვს, – ამიხსნა გამხიარულბუნობა მეზობელმა, – იმას ხვალ პურს არ მისცემენ.

– სულ არ მისცემენ?

– სულ!

ასეთი რამ მართლაც არსად და არასოდეს შემხვედრია. საბადოებზე ულუფა ბრიგადის დეკადური გამომუშავებით განისაზღვრება. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, საჯარიმო ულუფას იძლეოდნენ – სამას გრამს, მაგრამ მთლად უპუროდ არავინ რჩებოდა.

დაძაბული ვფიქრობდი. აქ ჩვენი ძირითადი საზრდო პურია. კალორიების ნახევარს პურით ვიღებთ. დანარჩენი საქმელი ფრიად განუსაზღვრელი რამაა, მისი საკვები ღირებულება ათასგვარ მიზეზზეა დამოკიდებული – რამდენად პატიოსანია მზარეული და რამდენად დანაყრებული, რამდენად შრომისმოყვარეა მზარეული, რადგან მუქთახორა მზარეულს „მუშაკები“ ეხმარებიან, რომელთაც მზარეული აჭმევს; დამოკიდებულია ენერგიულ და დაუძინებელ კონტროლზე; უფროსობის პატიოსნებაზე; მორიგის პატიოსნებაზე, ბადრაგის სიმაძღრეზე და წესიერებაზე; ქურდების ყოფნა-არყოფნაზე. და ბოლოს, არსებობს სრულიად შემთხვევითი მოვლენა – ჩამჩა, რომელმაც ერთი ამოსმით შეიძლება ულუფის საკვები ღირებულება თითქმის ნოლზე დაიყვანოს.

ცხადია, ცქციტმა ათმეთაურმა პროცენტები ციდან მოიტანა. და მე საკუთარ თავს პირობა მივეცი: თუ ეს უპურობა, როგორც სანარმოო ზეგავლენის მეთოდი, მეც შემეხება, აღარ დავიცდი.

გავიდა ერთი კვირა, რომლის განმავლობაშიც მივხვდი, თუ რატომ ინახებოდა პროდუქტები ათმეთაურის ლოგინქვეშ. მას შარფი არ დავინწყებია.

- მისმინე, ანდრეე, მომყიდე შარფი.
- ნაჩუქარია, ამხანაგო უფროსო.
- არ გამაცინო.

მაგრამ მე მტკიცე უარზე ვიყავი. იმავე საღამოს მათ სიაში ვიყავი, ვინც ნორმა არ გამოიძუშავა. მე არაფრის დამტკიცებას არ ვაპირებდი. დილით შარფი მოვიხსენი და ჩვენს მენაღეს მივუტანე.

- ოღონდ ჯერ ორთქლში გაატარე.
- ვიცი, ბავშვი კი არ ვარ, – მხიარულ-



ლად მიპასუხა მოულოდნელი შენაძენით გახარებულმა მენაღემ.

მენაღემ სამაგიეროდ ხუთასიანი ულუფა მომცა. ცოტა მოვატეხე და დანარჩენი უბეში შევინახე. მდულარე დავლიე და სხვებთან ერთად სამუშაოზე გავედი, მაგრამ ჩამოვრჩი, ჩამოვრჩი, მერე კი გზიდან ტყეში შევეხვიე, შორიდან მოვუარე ჩვენს დასახლებას და იმ გზას გავუყევი, რომლითაც ერთი თვის წინ აქ მოვედი. ბილიკიდან მოშორებით დავჯექი. ახალდადებული თოვლი სიარულს არ მიშლიდა, შავნვერა ათმეთაურს მეძებარი ძაღლები არ ჰყავდა, და მერეა გავიგე, რომ თხილამურებით გადამზიდის ჯიხურამდე მოუსწრია მირბენა, იმიტომ, რომ მთის მდინარე აქ დიდხანს არ იყინებოდა, და მიმავალი ბადრაგისთვის ბანაკში ჩემი გაქცევის ამბავი დაუბარებია.

თოვლზე დავჯექი და მუხლსქვემოთ

ბურკები ჩვრებით შევიკარი. ფეხსაცმლის ამ სახეობას მხოლოდ სახელად ერქვა ბურკები. ადგილობრივი მოდელი იყო – საომარი დროის ეკონომიური პროდუქცია. ბურკებს ასიათასობით კერავდნენ ძველი, გაცვეთილი, დაბამბული და დალიანდაგებული შარვლებისგან. ძირიც ამავე მასალისა ჰქონდა, რამდენჯერმე გადაკერებული და თასმებით აღჭურვილი. ბურკებთან ერთად ფლანელის პარტიანებს იძლეოდნენ – ეს ეცვათ ფეხზე მუშებს, რომლებიც ორმოცდაათ-სამოცგრაფუსიან ყინვაში ოქროს მოიპოვებდნენ. ტყეში მუშაობისას ეს ბურკები რამდენიმე საათში ისპობოდა – ტოტებზე იხეოდა; ოქროს საბადოში რამდენიმე დღე ძლებდა. ბურკებზე ნახვრეტებს ღამის მენაღეები სახელსონოებში კერავდნენ, ძავით კემსავდნენ. დილისთვის ფეხსაცმელი შეკე-



თეზული იყო. ძირზე ფენას ფენა ედებოდა, ფეხსაცმელი საბოლოოდ კარგავდა ფორმას, მენყერის მერე მოშიშვლებულ მთის მდინარის ნაპირს ემსგავსებოდა.

ამ ბურკებით, ჯოხით ხელში მდინარისკენ მივაბიჯებდი – ფონიდან რამდენიმე კილომეტრით მაღლა. ქვის კბოდედან ჩამოვცოცდი და ფეხქვეშ ყინულმა დაიხრაშუნა.

გზა წყალს ჩაერეცხა – დამენყრილს ბოლო არ უჩანდა. ყინული ჩატყდა და იოლად ჩავაბიჯე ორთქლიან, მარგალიტოვით წყალში, და დაბამბული ფეხისგულით ფსკერის ქეები ვიგრძენი. ფეხი მაღლა ავნიე – გაყინული ბურკა აბრჭყვიალდა, და უფრო ღრმად შევაბიჯე, მუხლსზემით, და ჯოხი მოვიშველიე და მეორე ნაპირამდე მივალნიე. იქ ბურკები ჯოხით გულმოდგინედ დავბერტყე, ბურკებს და შარვალს ყინული ჩამოვაფხიკე – ფეხები მშრალი მქონდა. უბეში პურის ნაჭერი ხელით მოვისინჯე და ნაპირს გავუყევი. ორიოდ საათში სამანქანო გზაზე გავედი. ტილიანი შარფის გარეშე სიარული სასიამოვნო იყო – შარფის სანაცვლოდ, მენალის მიერ მოცემული ძველი პირსახოცით, „სმენკით“ დაფარულმა ყელმა და კისერმა თითქოს დაისვენა.

თან არაფერი მქონდა. დიდი მანძილის დასაფარად, ზამთარშიც და ზაფხულ-

შიც, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელები თავისუფალი გქონდეს. ხელები მოძრაობაში მონაწილეობს და გზაში თბება, ისევე, როგორც ფეხები. ოლონდ ხელში არაფერი უნდა გეკავოს – ოცი-ოცდაათი კილომეტრის მერე ფანქარციკი წარმოუდგენელ სიმძიმედ გეჩვენება. ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ და კარგად გავიგე. სხვა რამეც გავიგე: თუ ადამიანს ცალი ხელით რამე სიმძიმის ორ-სამ ნაბიჯზე გადატანა შეუძლია, ის ამ სიმძიმის ტარებას, თრევას უსასრულოდ შეძლებს – მეორე, მესამე, მეასე სუნთქვა გაეხსნება. მე, „დახადიაგა“, ყველგან მივალნიე. სწორ გზაზე. ზამთარში სიარული უფრო იოლია, ვიდრე ზაფხულში, თუ მეტისმეტად არ ყინავს. არაფერზე ვფიქრობდი, და ყინვაში ფიქრი არც შეიძლება – ყინვა აზრებს გართმევს, სწრაფად და იოლად გაქცევს მხეცად. ანგარიშიოცემლად მივდიოდი, ერთადერთი სურვილით – თავი დამეღწია ამ წყეული უბადრაგო მივლინებისთვის. ბანაკიდან ოცდაათიოდე კილომეტრში, სამანქანო გზასთან, ქოხში ტყისმჭრელები ცხოვრობდნენ, და იქ ვვარაუდობდი გათბობას, და თუ გამომართლებდა – ღამისთევასაც.

უკვე ბნელოდა, როცა იმ ქოხს მივალნიე, კარი გავადე, ყინვის ორთქლში შევაბიჯე და ბარაკში შევედი. რუსული ლუმელის უკან მჯდომი კაცი ჩემს შესახვედრად წამოიმართა – ჩემი ნაცნობი ტყისმჭრელი სტეპან ჟდანოვი, ცხადია, ისიც პატიმარი.

– გაიხადე, დაჯექი.

სასწრაფოდ გავიხადე, ტანზეც და ფეხზეც, ტანსაცმელი ლუმელთან გავფინე.

სტეპანმა ლუმელი გამოაოლო, ხელთათმანი ჩაიცვა და ქოთანნი გამოიოლო.

– დაჯექი, ჭამე, – მან პური და წვნიანი მომცა.

დასაძინებლად იატაკზე დავწექი, მაგრამ დიდხანს არ დამეძინა – ხელ-ფეხი მტეხდა.

სტეპანს არ უკითხავს, სად მივდიოდი და საიდან. დელიკატურობა დაეუფასე, სამუდამოდ. ის აღარასდროს მინახავს. მაგრამ ახლაც მასსოვს ცხელი ბურლუსის სუპი, მიმწვარი ფაფის სუნი, შოკოლადისას რომ მოგაგონებს, ჩიბუხის ტარის გემო, რომელიც სტეპანმა, სანამ მომცემდა, სახელოთი განმინდა – დამშვიდობებისას, რომ გზაზე დადგომამდე ნაფაზი დამერტყა.

ზამთრის მრუმე სალამო იყო, როცა ბანაკს მივალნიე და ჭიშკრის სიახლოვეს თოვლში ჩამოვჯექი.


აი, ახლა შევალ – და ყველაფერი დამთავრდება. დამთავრდება ეს ორი შესანიშნავი თავისუფლების დღე მრავალი წლის ციხის მერე – და ისევე ტილები, ისევე გაყინული ქვა, თეთრი ორთქლი, შიმშილი, ცემა. აი, საყარაულოს გავლით ბანაკში კულტურიგადის მსახიობი შევიდა – უბადრაგო მარტოკაცი. ვიცნობდი. აი, ხე-ტყის მუშებმა ჩაიარეს – ფეხებს აბაკუნებენ, რომ არ გაიყინონ, ბადრაგი კი საყარაულოში შევიდა, სითბოში, და სულ არ ეჩქარება. აი, ბანაკის უფროსი შევიდა, ლეიტენანტი კოზიჩევი, თოვლში „ყაზბეგის“ კოლმუხი გადააგდო, და იქ უმაღლე გაჩნდნენ საყარაულოსთან მდგომი ტყისმჭრელები. დროა. მთელი ღამე ხომ არ ვიჯდები. ყველა ჩანაფიქრი ბოლომდე უნდა მიიყვანო. კარს ხელი ვკარი და წინკარში შევედი. ხელში მეჭირა განცხადება ბანაკის უფროსისათვის, თურა წესები იყო უბადრაგო მივლინებაში. კოზიჩევმა განცხადება წაიკითხა და იზოლატორში გამიშვა. იქ მეძინა, სანამ გამომძიებელთან არ გამომიძახეს, მაგრამ – ასეც ვვარაუდობდი – „საქმის მოცემა“ არ დაუწყიათ, პატიმრობის დიადი ვადა მქონდა, მეტი რაღა. „საჯარიმო საბადოზე წახვალ“, – მითხრა გამომძიებელმა. რამდენიმე დღეში გამიშვეს – ცენტრალურ პერესილკაზე დიდხანს არავის აჩერებდნენ.



სტატია ქვეყნდება პროექტის „განსაბჭოება“ ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“.

ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“-ს პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.





## როცა თვრამეტი წლის ვიყავი...

თუ 18 წლის ხარ, იმათ გულწვილობაზე გეხილება, ვინც ფაქიზი ასაკის გამო ბითანაბრდნობს, წლების მერა თანაბრდნობის მიზეზი ისი, მარამ იმ წლების სიმძაფრე გენატრება. აქ, ჩვენს ნაწერებში ისეთი ღრო – აღამიანის ღრო – შევქმენით, სადაც მოლოდინი, დაუხველობა და მხსნიერება ერთმანეთს ხვდება. აი ასაკი, როცა ხსოვრება თავს პირველად გაცნობს და საზოგადოებას, გავლენებს, პასუხისმგებლობებს, სქესს თვალს უხწოკრებ. თუ გინდა, აღამიანი გხდა, შეაჯახე ამათ და შეაჯახებაში საკუთარ თავს თანაუბრდნე, თუ შებრდნებების სიმძაფრის დაკარგვა არ გინდა, ისევ, ისევ და ისევ, ეს ყველაფერი მხსნიერებაში გაიფოკა.

# როსა თვრამეტი წლის ვიყავი...

## ზურაბ ქარუმიძე

მე რომ თვრამეტი წლისა ვიყავი, მაშინ „ზასტოს“ ეპოქა იდგა – 1970-იანი წლების შუაგულში. ცხოვრება იყო მდორე და უდარდელი – სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ცხადია, თორემ – ეგზისტენციალურ ამბავში ყველას თავისი პატარ-პატარა „საზრუნავი“ გააჩნდა.

პურ-მარილი, ხელოვნება და ფეხბურთი – ეს გახლდათ ის სამი ვეშაპი, რომელზეც ჩემი და ჩემი მეგობრების მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ტერიტორია იდგა; ხოლო ეს ტერიტორია, თავის მხრივ, იმ სამყაროს ნაწილი იყო, რომელსაც „კომუნისტების და უპარტიოთა ბლოკის“ აქტივისტები ქმნიდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა რამ ჯგუფურ-კოლექტიური ძალისხმევით. დანტე ალიგიერისა არ იყოს, იმ სამყაროსაც სიყვარული ამოძრავებდა, რომლის სრულყოფილ იკონოგრაფიულ განსხეულებას წარმოადგენდა უზენაესი ხევენა-პროშნის სურათი: ლეონიდ ილიას ძე ბრუენევი პირდაპირ ტუჩებში ჰკოცნის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერს, ერის ჰონეკერს...

მუსიკას ვუსმენდით, ბევრს ვუსმენდით. მუსიკის მოსმენა უფრო სალალობო რამეა, ვინემ ინტელექტუალური ძალისხმევა – აქ მთავარია გემოვნება გქონდეს. ჰოდა, მე და ჩემს მეგობარ-ნაცნობებს იმ ხანად რა გემოვნებაც გვექონდა, იმითი იოლას გავდიოდით. არა და საკმაოდ რთულ მუსიკას ვუსმენდით: მონკს, კოლტრეინს, დოლფის, ჯაზ-ავანგარდს (არ ვპოზიორობ, მართლა ეგერ იყო), მერე ჯონ მაკლაფლინიც შემოვიდა და Weather Report-იც – ფრიად გაგვაოცეს. საიდან

შემოდოდა? შავი ბაზრიდან: საბჭოურ რკინის ფარდას მაშინ ხვრელები გაუჩნდა – პერფორირებული გახდა და იმ პერფორირებული ალაგებიდან მოძვრებოდნენ ფირფიტები და სხვა რამ დასავლურ-კაპიტალისტური მასკულტურული წარმონაქმნები. ერთ-ერთი ასეთი არალეგალურ-მუსიკალური საინფორმაციო არხი გახლდათ რადიო „ამერიკის ხმა“ და იმათი ყოველდღიური (თანაც ორჯერადი) გადაცემა Time for Jazz, რომელიც უილის კანოვერს მიყავდა თავისი ხავერდოვანი ხმით. (ამ ამბავში ერთი კაი კაციც უნდა ვახსენო – ევენი მაჭავარიანი, რომელსაც სახელმწიფო ტელევიზიით გადაცემა ჰქონდა: „ეს ესტრადა!“ და ალაგ-ალაგ ჯაზურ ვიდეომასალასაც გვაპარებდა.) ავსტრო-გერმანულ კლასიკასაც ვუსმენდით და იტალიურ ოპერასაც (ამ უკანასკნელს მამაჩემი მასმენინებდა და თანდათან შემაყვარა კიდეც). არა, როკსაც ვუსმენდით – Jimmy Hendrix, Cream, Led Zeppelin, Pink Floyd და ა.შ. მაგრამ აქაც უფრო „პროგრესულ“ ხალხსა ვყვარობდით: ფრენკ ზაპას, Jethro Tull-ს და მისთანებს. იმხანად მეც ვანვალბდი ელექტროგიტარას და სტუდენტურ „კაფეებზე“ სწორედაც რომ მარტივი ბლუზის და როკის დაკვრით „ემარიაჟობდი“... თუმცა, მაშინდელი თბილისელი გოგოები, რუსებთან შედარებით, მიუკარება პერსონაჟები იყვნენ; „ქალიშვილობის ინსტიტუტს“ რკინის ფარდაზე არანაკლებ რკინის კანონები ამოძრავებდა, მაგრამ – აქაც შეინიშნებოდა პერფორაციის შთაბეჭდავი ელემენტები...

ჩვენი თეატრი და კინო მაშინ რა ფორმაშიც იყო, ყველამ იცის: „კავკასიური ცარცის წრე“, „შერეკილები“,

„ქალაქი ანარა“ და ა.შ. აი ეგეთსავე ფორმაში იყო თბილისის „დინამოც“ – ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად რომ ყალიბდებოდა; სახელები – „ციფო“, „ვოვა“, „ფარსადანოვიჩი“ ყველას პირზე გვეკერა...

შექსპირი ისე მიყვარდა, რომ ხელობად ლიტერატურა ავირჩიე – თსუ დ/ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ინგლისურს კაი ხალხი მასწავლიდა, ამათგან კიდევ არისტოკრატ ქალბატონ მერი ციციშვილს გამოვარჩევდი, რომელმაც ინგლისური ენის სილამაზესთან ერთად, ბრიტანული ყოფა-ცხოვრების განუმეორებელი ხიბლი გამისწნა. იყო მისეილ კვესელავა, ნახევრად-აკადემიური ნახევრად-ექსცენტრიკული სტილით, კაცი, რომელსაც ყველა დიდ პატივსა სცემდა. იყო ნიკო ყიასაშვილი, თავისი განუმეორებელი ოსკარ უაილდით და ჯეიმზ ჯოისით, შექსპირზე რომ ალარაფერი ვთქვა; ბ-ნი ნიკო წლების განმავლობაში მმენტორობდა. და მაინც, უმთავრესი სალიტერატურო განათლება ერთი პრივატ-დოცენტის ხელში მივიღე, მისი სახელი გახლდათ თომას მანი. „ტონიო კრიოგერი“, „სიკვდილი ვენეციაში“, „დოქტორ ფაუსტუსი“, „ჯადოსნური მთა“, ესეები ვაგნერზე, ნიცშეზე, დოსტოევსკიზე – ამათ კითხვაში იძერწებოდა ჩემი გრძნობაც და გონებაც; ასე ჩამოვყალიბდი სრულფასოვან დეკადენტად და პესიმისტად. „კლასგარეშე საკითხავიც“ გვექონდა – უურნალები „ინოსტრანაია ლიტერატურა“, „ხომლი“ და „საუნჯე“. სწორედ იმ „ინასტრანკიდან“ გვიტარდებოდა დასავლური ლიტერატურის სპეცკურსები: ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება“, ჰესეს „ტრამალის მგელი“,



დოქტოროუს „რეტაიმი“, თომას ვულფი, და ა.შ. კაფკას „მეტამორფოზა“ პარტი-ისტორიის ლექციაზე გადავსანსლე, თუმცა ბოლომდე ვერ მოვასწარი, ლექტორმა გამომიჭირა და გამაგდო – დანარჩენი დერეფანში ჩავხრამუნე, საუნივერსიტეტო ბუფეტის პურმრავალი ქაბაბით, რომელიც ძალიან მიყვარდა... ელექტროგიტარის მსგავსად, იმ ხანად კალმის წვალეზაც დავინყე. ჩემი უგვანი ინგლისურით ერთი მცირე პიესაც დავწერე („Alma Mater“), რომელიც თანაკურსელებთან ერთად უნდა დაგვედგა: ეს იყო ალეგორიული ლაზღანდარობა ჩვენს საუნივერსიტეტო სწავლა-განათლების თაობაზე, აბა ინტელექტუალური ლაზღანდარობის გარეშე უნივერსიტეტი ვის გაუგია?! მაგრამ დეკანატმა პიესის დადგმა კატეგორიულად აგვიკრძალა, დედაჩემიც კი დაიბარეს – მიხედეთო! მერე კიდევ, რამდენიმე მეგობარ-თანამოაზრესთან ერთად, „სამიზდატის“ ამბავში, ერთი ჟურნალიც შევკარით, რომელსაც „კენტავრი“ ერქვა. ამ „კენტავრის“ გამო, მოგვიანებით, სუკ-ში ამოვყავი თავი – ვილაცამ, დღესაც არ ვიცი ვინ და რატომ, დამასტუკა: „ეგ ბიჭი ზვიად გამსახურდიას ჟურნალებს ავრცელებსო...“ ჩემივე ხელით მივიტანე „კენტავრი“ სუკ-ში და გამომძიებელს წასაკითხად გადავეცი. ცოტა ხანში შემომითვალა: „ჩვენა, შვილო, პოლიტიკურ დისიდენტებს დავდევეთ, შენნაირ გიჟებთან კი საქმე არა გვაქვსო!“ ეგე იყო და ეგ...

არა, დისიდენტი მართლა არა ვყოფილვარ – დეკადენტი ვიყავი, როგორც ზემოთ ვთქვი. თუმცა, ჩვენში მთლად უდისიდენტობაც არა ყოფილა – სამზარეულოებში და სუფრასთან ვდისიდენტობდით. უფროსი თაობის ხალხი დაგვიჯდებოდა ხოლმე (აჩიკო ჩხეიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე) და ნაციონალისტური დისკურსიც გაიჟღერებდა, პოლიტიკური ანეკდოტებით გაჯერებული. „კავდა ვაში პრედკი ვ ლესუ ბრადილი, მაი ევანგელიე პერევადილი!“ – კაკი წერეთელმა როგორც უთხრა რუსეთის სათათბიროს ერთ დეპუტატს და საბჭოურ-ქართული ნაციონალიზმის მთავარი ნარატივიც ეგ იყო. მერე, თანდათან, ღვინო თუ კო-

ნიაკი რომ მოგვეკიდებოდა, სიმღერას დავინყებდით – ქართულ პოლიფონიას ვეჯავჯავებოდით, რუსულსაც ვიტყვოდით, „ბელაგვარდისკის“ – „პარუჩკი გალიცინ“, „კრესტი“ გინდა თუ სააღდგომო „კრესტუ ტვაემუ პოკლონიაიემსია ვლადიკო“... მაგრამ, ყველაზე უკეთ მაინც ინგლისის ჰიმნი გამოგვდიოდა – სამ ხმაში!

პერმანენტული შეყვარებულობის მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ გოგოსთვის გული ალაღად გადამეშალა, ჩემს გრძნობას ესთეტიკური ფანტაზიების

ისეთ არტახებში ვაქცევდი, რომ გულის გადასაშლელი ალაგი აღარა მრჩებოდა. საერთოდ, ეგოცენტრიკი ვიყავი, ჩემსა და სხვას შორის ჩემივე პერსონა აღმოიმართებოდა ხოლმე; ვიყავი მაზოხისტი ცნობიერად და ნარცისისტი არაცნობიერად – საკუთარი თავის სიყვარულით საკუთარი თავის დამორგუნველი: **From great love of self himself he slew!** („თავისი დიდი სიყვარულით თავი მოიკლა კაცმა!“) – ვისია ეს სიტყვები, აღარ მახსოვს, მაშინ თერამეტი წლისა ვიყავი...



# უმისამართო ფლავი

## პაატა ქურდაძე

გაუთავებელი შიში ყველაფრის მიმართ. შიში, რომ ინსტიტუტიდან გაგრიცხავენ, მილიციონერები ჯიბეში პლანს გიპოვიან.

შიში სექსის, რომელიც არ გაქვს... ობესია, რომ ფარდას აგხდინა, გამოგამზეურებენ, ყველა გაიგებს, რომ სექსი არა გაქვს, რომ გოგოებს არ მოსწონხარ... რომ შიშარა ხარ... ტუჩებზე ჯერ კიდევ რძე არ შეგშრობა... ამიტომ იდოტივით იქცევი, გოგოებს ელლაბუცები, წვერს იშვიათად იპარსავ, სვამ, უღმერთოდ თვრები, მთელი დღე ქუჩაში დაეხეტები, იქ ვილაც შენზე მშობარა „ძველი-ბიჭები“ გიბღვერენ... მათ ერთმანეთისაც კი ეშინიათ – „არასწორი“ გაგების რაიმე რომ არ წამოცდეთ, გოგოების კი ჩემზე მეტად ეშინიათ, მილიციონერებისაც – პლანთან ერთად „პრაკოლები“ რომ არ უპოვონ. ამიტომ დაფეთებულები და აგრესიულები დანის გარეშე სახლიდან არ გამოდიან.

ღმერთო ჩემო! 77 წელი შიშის და „ოტელ კალიფორნიას“ წელი იყო. არაერთიკუული პორნოგრაფიული ცვლილებების წელი.

ჩემზე სულ რაღაც ორი წლით უფროსი ძმა ხანდახან მეუბნებოდა, – შენგან კაცი არ დადგებაო. მგონი, მართალი იყო. მეც ასე ვფიქრობდი მაშინ.

ახლა აღარ ვფიქრობ. ყოველ შემთხვევაში, ის კაცი, რომელსაც ჩემი ძმა გულისხმობდა, ნამდვილად არ დავედქი. მგონი, ამით კმაყოფილი უნდა იყოს. მაშინ კი განიცდიდა, ეშინოდა, რომ ინსტიტუტიდან გამრიცხავდნენ, რადგან მეცადინეობის ნაცვლად რომანს ვწერდი ლამაზობით.

გარიცხვის მეც მეშინოდა, განსაკუთრებით ჯარში წასვლის, დედაჩემი ჯარით მაშინებდა... ნითელი არმიით, რომლისაც მთელ მსოფლიოს ეშინოდა, მე მის გაგონებაზე ცივი ოფლი მასხამდა. ამ არმიის დღესაც მეშინია. განსაკუთრებით მათი ნითელი ვარსკვლავების; უფრო მეტადაც კი, ვიდრე მაშინ.

სალამოს ფაკულტეტზე ესწავლობდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ამიტომ ჯარიდან არ ვიყავი დაჯავშნული. საბრალო

დედაჩემი წელიწადში ორჯერ რამდენიმე წლის განმავლობაში 600 მანეთს უხდიდა ამ დამპალ სამხედრო კომისრებს. ბოლოს, ერთხელ ერთბაშად 3500 მანეთი გამატანა კოლმეურნეობის მოედანზე ფსიქიატრიული დისპანსერის მთავარ ექიმთან. ჩემი ხელით მივეცი...არ ვიცი, სად ისეხსა. ვიცი, რომ წლების განმავლობაში ისტუმრებდა მერე ამ ფულს...

საბჭოთა კრიმინალური ფსიქიატრია. კოორუფცია. შეურაცხყოფა. მისი შიში... ვერაფრით ვერ ვისწავლე ქრთამის მიცემა.

ერთხელ, თოვლიან დილას ჩემი უფროსი ძმის ორი თანაკურსელი მოვიდა. მითხრეს, რომ წინა დღით სადღაც დაუღვევიათ, მერე ერთმანეთში უჩხუბიათ.

– საიდანაც მილიციონერები გამოძვრნენ. ყველა გავიქეცი. ხომ იცი, რა მოუხერხებელი ვინმეა. მაინცდამაინც ეგ დაიჭირეს, არაყიშვილზე განყოფილებაში ჰყავთ გამოკეტილი, – ასე მითხრეს, თანაგრძნობით მხარზე ხელი მომითათუნეს და წავიდნენ.

მართალია. ღამე სახლში არ მოსულა. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ მეგობართან დარჩა... ავტობუსით არაყიშვილზე წავედი მარტო.

მილიციის საძაგელ შენობაში უშნო ადამიანები ფუსფუსებდნენ. ტუალეტის სუნი იდგა. ჩემს ძმას მოვკარი თვალი, ანთილბული იჯდა გისოსებს მიღმა. სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული, მხოლოდ შეშინებული თვალები უჩანდა. სახე ჩამალული ჰქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ ანთილბული იყო საბჭოთა არმიის ვარსკვლავივით.

გამომძიებელი ოცდაათს გადაცილებული ახალგაზრდა კაცი იყო, გამხდარი, საშუალო სიმაღლის... რომ შესხედავდი, ვერც კი იფიქრებდი, რომ „ძალია“. ალბათ ვილაც უბადრუკ გოგოებს მოსწონდათ კიდევ. ჯინსები ეცვა და მწვანე სვიტრი. ეს რაღაც ახალი იყო, „ოტელ კალიფორნიასავით“ – ჯინსებიანი და ცოტა გრძელთმიანი დისკო გამომძიებელი. ახალი თაობის გაჩენარი.

კაბინეტში შემიყვანა. დამსვა. ღია კარი-

დან სწორედ ჩემი ძმის კამერა ჩანდა და შიგთვითონ – სახეზე აფარებული ხელებით.

– შენ ძმა ხარ, არა?... ახალგაზრდა ბიჭია, ფიზიკურზე ესწავლობო, – ამბობს... ხულიგნობაზე, ხომ იცი, ბევრი არ არის, სულ ექვსიდან ორი წლამდეა, მაგრამ მაინც ცოდა, დაიღუპება, ხომ იცი. ეხლა 11 საათია?... საათს დახედა, – შენთან რომელია? მოკლედ თერთმეტია. სალამოს ექვსამდე 2000 მანეთს მოიტან. მერე მე აღარ ვიქნები, ცვლა უნდა გადავაბარო და ველარაფერს ვუშველი. მაგარი პულოვერი გაცვია.. ჩეკებში იყიდე? – სიტყვა „ცვლა“ რატომღაც ჩურჩულით წარმოთქვა.

– არა, სხვისია.

– მოკლედ გელოდები.

ჩემმა ძმამ ცერად გამომაყოლა თვალი გისოსებს იქიდან. გამომძიებელმაც – რაღაც დამცინავად, როგორც პატარა არარაობას. მომეჩვენა, რომ ორივე არარაობად მთვლიდა.

2000 მანეთი. 77 წლის დეკემბრის დილა. ჭუჭყიანი, გაყინული თოვლი. 18 წლის ისედაც შეშინებულ ცუდი სტუდენტის ფსიქიკა... დედაჩემს ახალი გადახდილი ჰქონდა ჩემი ჯარის ფული. არასაკმარის არარაობად ვგრძნობდი თავს. მერჩვენა ფიზიკურ არარაობად ვქცეულიყავი. გაემქრალიყავი, დროში, სივრცეში...

ისევ შიში. ცივი ოფლი ცივი ზამთარში. თბილისში მაშინ სულ თოვდა. მგონი, ზაფხულშიც კი. მე ასე მასსოვს.

მხოლოდ გაგრაში არ თოვდა და სოჭში. სამაგიეროდ იქ ყველგან „მანნაია კაშას“ სუნი იდგა. ყველგან – ვაგზალში, ქუჩაში, სასტუმროში... ლოგინშიც კი – პლაჟზე გაცნობილ გოგოებს „კაშას“ სუნი ასდობდათ. ეს სსრკ-ს სუნი – რძის და დამდნარი კარაქის ყვითელი სუნი – „კაშა“! ღმერთო! ყოველთვის მეგონა, რომ ციხეში ამ „კაშას“ აჭმევდნენ, ჯარშიც. რომ ჯოჯოხეთში კუპრის ნაცვლად სინამდვილეში მოთუხ-თუხე „მანნაია კაშას“ უზარმაზარ კასრებში ხარშავდნენ პატარა ცოდეილ ბავშვებს მზარეულივით თეთრ ჩაჩ ჩამოფხატული



ემბაკები. ეს ჩემი საბავშვო ბაღის დროინდელი კომპარია. მილიციამაც, მგონი, „კაშას“ სუნს იდგა. რაღაცით იმ საავადმყოფოს სუნს ჰგავდა, რომელშიც რამდენიმე წლის წინ აპენდიციტის ოპერაცია გამიკეთეს.

ქართულად „მანანას ბურღული“ ერქვა. ყავისფერ ქალაღის პაკეტს, რომელიც ყველა გასტრონომში იყიდებოდა, ვიღაც ბავშვი – მანანა ეხატა ლურჯად, დიდი წითელი ლოყებით და ხუჭუჭი ქერა თმით. ნახატი ლურჯი ქიმიური მელნის ფერი იყო, მაგრამ მაშინვე მიხვდებოდი, რომ ბავშვი ქერა, ცისფერთვალება და წითელ-ლოყება იყო... მერე ერთხელ მივხვდი, რომ პრინციპში, ეს ბურღული ისრაელელი ხალხისათვის ზეციდან მოვლენილი საკვების სახელს ატარებდა, ამ ვიღაც ხუჭუჭა ქერა გოგონას უკან კი დიდი წითელი ბიბლიური მისტერია იმალებოდა – ერთკლოიანი „მანის კრუპით“ მთელი ამხელა ქვეყანა იკვებებოდა... და თან ყოფნიდა... ისევე როგორც ბიბლიაში. მხოლოდ მთელი სსრკ ამ სუნად ყარდა – განსაკუთრებით დილაობით – დროში აცდენილ დილის 8 საათზე, როცა სამზარეულოს ექვსმანეთიან რადიოში მკაცრად ამბობდნენ, რომ სადღაც ძალიან შორს, მოსკოვში 7 საათია.

ქურდობა – ერთადერთი გამოსავალი... იქნებ მომეპარა კიდეც, რომ მცოდნოდა, ვისთვის ან როგორ. მერე ეს გარეწარი ჯინსებიანი გამომძიებელი ალბათ ათჯერ უფრო მეტს მოსთხოვდა საბრალო დედაჩემს ციხიდან ჩემ დასახსნელად – სასწრაფოდ, შემდეგ ცვლამდე... რა საინტერესოა, სად არის დღეს ეს კაცი? იმედი მაქვს, შემინებულა, ისევე როგორც მე მაშინ, ან იქნებ უარესადაც, რომ მისმა შვილიშვილებმა არ შეიტყონ, რა დამპალი იყო ახალგაზრდობაში. იმედი მაქვს, შიშისაგან და სიბერისგან იფსაშს ჩემნაირების გახსენებაზე...

ვიღაცამ მიჩჩია, – იქნებ მამაშენს სთხოვოო. მისთვის არასდროს არაფერი გვითხოვია მე და ჩემს ძმას. ამას კიდეც მოპარვა, ან ბანდიტობა მერჩივნა. მხოლოდ ვერ გავბედე და ყველაფერი იმას დავაბრალე, რომ სალამოს ექვს საათამდე მაინც ვერავის და ვერაფრის გაძარცვას მოვასწრებდი. მამაჩემს ქუჩაში ავუხსენი ყველაფერი. მაშინ მასთან სახლში არ დავდიოდით მე და ჩემი ძმა. ჩუმად, დაღვრემილი მისმენ-

და. არ არის მისი ბრალი-მეთქი, – ვუთხარი. მართლა ასე იყო. სახლში შებრუნდა. თხუთმეტ წუთში იქიდან კოსტიუმში ჩაცმული გამოვიდა. ჰალსტუხი ეკეთა. მაშინ მისი ხნის თბილისელი კაცები ჯერ კიდევ ჰალსტუხით დადიოდნენ. მივხვდი, ჯიბეში ფული ედო. მერე გავიგე, ცოლისთვის გამოურთმევია. თვითონ სად ჰქონდა ერთბაშად ამდენი.

გამომძიებელი მის დანახვაზე დაიბნა. პატარა ნაბიჯვარს დაემსგავსა. რა იცოდა, რომ სულ ახლახან იყო ოფიციალურად რეაბილიტირებული, რომ 8 წელი გულაგში ჰქონდა გატარებული ომის დროს 4 წელი გერმანელებთან ტყვეობისთვის – უბრალოდ ისეთი კაცი იყო, ქართველები წარმოსადგეს რომ უნოდებენ. ეტყობა იმ დამპალს ვიღაც მნიშვნელოვანი ეგონა.

საშა – მამაჩემი გამომძიებელს თვალეში უყურებდა სიძულვილით. ვიცოდი, რომ ძალიან ეშინოდა. შიგნიდან ალბათ სულ კანკალებდა და ჩემსავით ცივ ოფლში ცურავდა.

საერთოდ თვალთვალის მანია ჰქონდა „კაგებეს“ გადამკიდე (ცხოვრების პირველი ნახევარი დაკითხვებზე გაატარა, მეორე ნახევარი კი დაკითხვაზე გამოძახების მოლოდინში). მაგრამ უფრო მეტად ჩემი ძმის ციხეში მოხვედრის ეშინოდა; გაცილებით უფრო, ვიდრე მე, და ვიდრე თავად ჩემს ძმას.

ამიტომ სიძულვილი უფრო სჭარბობდა მის მზერაში, ვიდრე შიში.

ზუსტად ხუთი წუთი უსმინა გამომძიებელს, მერე მითხრა, რომ გარეთ გავსულიყავი. ეტყობა, არ უნდოდა, ქრთამის მიცემის გარყვნილ პროცესს დავსწრებოდი...

მილიციიდან გამოსულებს, მე და ჩემს ძმას, რომელსაც აბსოლუტურად დეპრესირებული, განადგურებული სახე ჰქონდა, ცივად დაგვემშვიდობა. 40 ნომერ ავტობუსში ავიდა. მამაჩემი პლენხანოვზე ცხოვრობდა.

გარეთ ცივი ჰაერი იყო. ათი წლის შემდეგ მითხრა:

– სამი ოცნება მექონდა: სტალინის და ბერიას სიკვდილს მოვასწრებოდი, მერე კი საბჭოთა კავშირის დანგრევას. პირველი ორი ამიხდა. მესამეც... როგორც ვატყობ, ამ ჩათლახებს დიდი ხანი არ უწერიან... და ორ საათში მოკვდა. ეს „მიხაილოვსკი“ საავადმყოფოში მოხდა, გარეთ ეროვნული

მოძრაობა დროშების ფრიალით ახალ უძრობას იწყებდა...

– რა მოგივიდა, – მკითხა ჩემმა ძმამ, – რას გაშტერდი?

– არ ვიცი, წამით მომეჩვენა, თითქოს ფრანგულ პოლიციაში ვიყავი. არასდროს არ დავმართინა? თითქოს სადღაც სხვაგან ხარ...

ცუდი ყავის სუნი. პარიზის მე-13 ოლქის პოლიციის კომისარიატი, დილის 9 საათი. საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში ჯდომისთვის კამერაში გატარებული ჭუჭყიანი ღამის შემდეგ პოლიციის ახალგაზრდა ინსპექტორი ბიუროკრატულ ფორმალბებს აზუსტებს.

– Vous avez 0,5 milligrammes d'alcool dans le sang, on est d'accord?... réveillez-vous monsieur et répondez...

– Je ne dors pas. Oui c'est ça... 0,5 mg.

– .... Ça va? Vous n'avez pas de malaise?

– Non. Ce n'est rien, rien qu'un petit flash back...\*

– ტაქსის ფული გაქვს? – მკითხა ჩემმა ძმამ.

\*– სისხლში 0,5 მილიგრამი ალკოჰოლი



გქონდათ, თანახმა ხართ ხომ?.. ე, მესიე, გაიღვიძეთ და მიპასუხეთ...

– არ მიძინავს. ჰო, ასეა... 0,5 მილიგრამი...

– ...ყველაფერი რიგზეა?.. ცუდად ხომ არა ხართ?

– არა. არაფერია, არაფერი... ეს მხოლოდ პატარა Flash back იყო...

# თვრამეზი

## დავით ჩიხლაძე

12 წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემმა, ლაურა შაიშმელაშვილმა ლურჯი ფერის სიფრიფანა ვინილის EP ფირფიტა მაჩუქა „როლინგ სტოუნზის“. ასეთ ფირფიტებს მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს „მელოდია“ უშვებდა და კომპაქტურობისა და პორტატიულობის მიღწევად მიიჩნეოდა. მასზე 4 სიმღერა იყო, 60-იანი წლების ჰიტები: „შეღებე შავად“, „როდესაც ცრემლები მომდის“, „ლედი ჯეინი“ და „რუბი თიუზდები“. ცოტა ხანში რამდენიმე ასეთი ფირფიტა დამიგროვდა, მათ შორის – „ქრიდენსის“ „ქლიარუოთერ რივიავალ“ და „ბითლზის“.

გავიდა რამდენიმე წელი და ლეგენდარული ლეიბლის „დეკას“ მიერ გამოშვებული „როლინგ სტოუნზის“ პირველი ალბომი შევიძინე 50 მანეთად, რომელიც უცხოეთიდან იყო ჩამოტანილი და ხელზე ვიყიდე. ჯერ ისევ სკოლაში ვიყავი, როცა „როლინგ სტოუნზის“ დისკების ვრცელი კოლექცია აღმომაჩნდა. ჩემ გარდა, თბილისში კიდევ 3 როლინგმანი იყო. ერთი მათგანი გავიცანი კიდევ – ირაკლი მახარაძე, რომელსაც ზოგჯერ იშვიათ საკოლექციო დისკებსაც ვუცვლიდი ხოლმე. კიდევ იყო ვილაც გოგო – მაკა, არ გამიცვნია, ვაკეში ცხოვრობდა, და კიდევ ერთი ბიჭი ვაკეში, რომლის გაცნობაც ვერ მოვასწარი, რადგან მე-10 თუ რომელიღაც მაღალ სართულზე ცხოვრობდა და ერთ დღეს საკუთარ კატას გადაჰყოლია ფანჯარაში და მომკვდარა.

ეს ალბათ ჩემი ყველაზე ადრეული განათლების პერიოდაა. უკვე მაშინ 25 მანეთად ვყიდულობდი პოპულარულ ინგლისურ ჟურნალებს „ბოლბორდს“ და „როლინგ სტოუნს“, რომლებიც ცალობით ჩამოჰქონდათ. მაკა და ის

ვილაც ბიჭი უფრო მიკ ჯაგერის ფანები იყვნენ, ირაკლი მახარაძისთვის კით რიჩარდსი იყო კერპი, ხოლო ჩემთვის – როლინგ სტოუნზის ფუძემდებელი და 27 წლის ასაკში გარდაცვლილი ბრაიან ჯონსი იყო ის, ვინც ამ ლეგენდარულ ჯგუფს იმიჯი შეუქმნა და ვისაც უკანასკნელ დეკადენტს უწოდებდნენ. მახსოვს, რომელიღაც წლის 28 თებერვალს, თოვლიან ზამთარში ხეთაგუროვის ქუჩაზე, ბარათაშვილის ხიდან ერთ მიტოვებულ, მშენებარე სახლში მეგობრებთან ერთად ბრაიან ჯონსის დაბადების დღეც აღვნიშნეთ. მაშინ თბილისში ბევრს არ ესმოდა ეს მუსიკა – ყველა „ბითლზს“, „დიზ ფარფლს“ და „ლედ ზეპკელინს“ უსმენდა. იმ ადრეულ ასაკში არ ვიცი, რატომ გავაკეთე არჩევანი ჯერ „როლინგ სტოუნზე“ და მერე, არა მიკ ჯაგერზე, არამედ – ბრაიან ჯონსზე.

1978 წელს „ამერიკის ხმაზე“ ამერიკიდან „სექს პისტოლსის“ ლეგენდარული გამოსვლა დავიჭირეთ რადიოში. მე-9 კლასში ვიყავი და ბე-ბიაჩემს ძალიან გრძელი, შავი ფერის ძველებური პალტო მოვპარე კარადიდან, კეტებიც მქონდა, ვიშოვე გრძელსახელოებიანი კარგი თეთრი პერანგი, მაჯების სამაგრები და ლურჯი თუ წითელი ჰალსტუხი და ასე დავდიოდი ქალაქში ნებისმიერ დროს.

სკოლის ბოლო კლასებში, როგორც მოვახერხე, და საყოველთაოდ სავალდებულო კომკავშირში არ შევედი. მე-10 კლასიდან სხვა სკოლაში გადამიყვანეს, რომელიც ძნელად აღსაზრდელი ბავშვებისთვის იყო, ალბათ გრძელი თმების და ჰიპსტერული მისწრაფებების გამო. რატომღაც კლასში უმეტესობა გოგო იყო. იქ კი საერთოდ აღარ მივლია და აღარც გამოსაშვებ

გამოცდებზე გამოცხადდი. ამან ის გამოიწვია, რომ ატესტატი ვერ ავიღე და მალე რუსეთში, ქალაქ ტოლიატიში ჯარში მომიწია წასვლა. მაშინ გიტარაზე უკვე კარგად ვუკრავდი. ამის გამო, ჯარში მუსიკალურ ნაწილში ამიყვანეს, რაც დიდი შეღავათი იყო იქაური რეჟიმისთვის, მაგრამ რომელიმე ჩასაბერ ინსტრუმენტზე უნდა მესწავლა დაკვრა. მე ტუბა ავირჩიე და გამების დაკვრას შევუდექი. მალე უკვე პლატცზე ვიდექი და საბჭოთა ჰიტებს ვასრულებდი პოლკის დილის მონყობისათვის. შაბათ-კვირას კი ვოლგას პლაჟზე მივდიოდი ხოლმე და საცეკვაო მოედანზე მოსული დამსვენებელისთვის „მამინა ვრემენის“, „ზემლიანეს“, იური ანტონოვის და იმდროინდელი სხვა რუსული ჯგუფების სლოუ როკის ჰიტებს ვუკრავდით. თუმცა, ესეც დიდ ხანს არ გაგრძელბულა და ნახევარ წელიწადში ჯერ ჰაუპტვახტში, მერე კი ჩვეულებრივ როტაში გადამიყვანეს უნესო მოქცევის და სასმელის გამო.

ჯარში წასვლამდე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი უმაღლესში ჩაბარების. არგუმენტად ის მქონდა, რომ მე მაინტერესებდა თანამედროვე ხელოვნება, ჩვენთან კი ეს ყველაფერი არ ისწავლებოდა. ფორმალური დიპლომი კი არ მჭირდება-მეთქი. საშუალო სკოლა ჯარში დავამთავრე, იქ დავდიოდი ღამის სკოლაში. კომკავშირში არც ჯარში შევსულვარ, ეს უკვე მეტისმეტი იყო. დედაჩემის წყალობით, 17 წლისას ნაკითხული მქონდა რუსული კლასიკური ლიტერატურის დიდი ნაწილი – დოსტოვესკი, პაუსტოვსკი, ბუნინი, კუპრინი და სხვა. მერე უკვე დედამ ერთი სანუკვარი წიგნიც გადმომცა – რუსულად პო-





ლონელი-ფრანგი პოეტის გიომ აპო-ლინერის ბიოგრაფია, მისი ლექსების ფრაგმენტებით. გავიგე მაქს ჟაკობის, ტრისტან ტცარას შესახებ. მერე იყო მე-20 საუკუნის ამერიკული პოეზია და ალენ გინზბერგს, კარლ სენდბერგს, ედვარდ ესტლინ კამინგს და უოლტ უიტმენს ვკითხულობდი. ამ პერიოდში ბევრი წავიკითხე ვლადიმერ მაიაკოვსკის შესახებ. პაპამ, ივანე შაიშმელაშვილმა კი რუსული კრებული მაჩუქა „საგნებს თავისი სახელები ვუნოდოთ“ — ეს მე-20 საუკუნის ავანგარდისტების მანიფესტები იყო.

ჯარშიც ყოველთვის წიგნები მქონდა თან. ძალიან კარგი იყო წიგნის მაღაზიები მაშინდელ თბილისში – ოპერის წინ, ფილარმონიის წინ – ორიარუსიანი და მარჯანიშვილის მეტროსთან – ასევე ორიარუსიანი.

ერის მარია რემარკის და ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრებისეულმა და ადამიანურმა რომანტიკამ იმდენად გამიტაცა, რომ მეც მინდოდა ასეთი ცხოვრებით მეცხოვრა. ჯერ ჩემს მეგობართან, დათო გიგაურთან დავინწყე მუშაობა პატარა გარაჟში, კუკიაზე. ისიც ასევე გატაცებული იყო ჯაგერის,

რემარკის და ჰემინგუეის ამ რომანტიკით და კიდევ სპიდვეის მოტოციკლეტი დაჰყავდა. მერე, სკოლისგან გავთავისუფლდი თუ არა, ჯარამდე ავტობუსების მე-8 გარაჟში მოვეწყვე „ბალონშიკად“, საბურავების და დისკების გამოცვლა და ქალაქის საზღვრებზე საავარიო გასვლები მევალეზოდა. ჩემს ქალაქში უკვე ჩემით ვშოულობდი ფულს და ისე ვცხოვრობდი, როგორც საყვარელი მწერლების გმირები. ასეთი იყო ჩემი თინეიჯერობის პერიოდი 20 წლამდე, როდესაც ცხოვრების პირველი გაკვეთილები მივიღე.

# ნარსულის ფეხი ანუ ოპტიმიზმის შესახებ

## დავით ქართველიშვილი

1

ნარსულის ზუსტად აღდგენა შეუძლებელია. ნარსული მხოლოდ ანმეოსთან ერთად არსებობს... ანმეო ქმნის ნარსულს. ალამაზებს, ამახინჯებს მას... ერთი რეალურად ვინ და რა ვიყავი თვრამეტი წლის ასაკში და მეორე ვინ და რა ვიყავი დღევანდელი დღის გადასახედიდან თვრამეტი წლის ასაკში და კიდევ... ვინ მინდა რომ ვყოფილიყავი... ნარსულის შექმნა შესაძლებელია.

2

მე რომ თვრამეტი წლის ვიყავი... ალბათ სიბერეში (თუ საერთოდ მელირსა დაბერება) ამ ამბავს სულ სხვანაირად მოგყვები, მგონი უფრო რომანტიკულად და სევდიანად, მაგრამ მოქმედების ადგილი ამ შემთხვევაშიც გეპეის სპორტდარბაზი იქნება... რადგან გადატრიალება ჩემში აქ დაიწყო... გადატრიალება როგორც წესი ფიზიკური ტკივილით იწყება ხოლმე.

3

ჩემი ერთ-ერთი ბავშვობის მეგობარი ნარსულის გახსენებისას ამბობს: „ცუდი ბიჭები კი ვიყავით, მაგრამ ნაძირლები არ ვყოფილვართ“. პირადად მე დათვლილი მაქვს, რამდენჯერაც უსამართლოდ დამიჩაგრავს ვინმე, იმდენჯერვე დამჩაგრეს... ვწევარ სანოლზე ხოლმე. და ვითვლი; აი, იმას რომ დავარტყი, მერე მეც ხომ მომდეს... ასე თავს ვიჯერებ, რომ ყველა ვალი გასტუმრებული მაქვს და კიდევ, ადამიანები, რომლებიც ამ დროს ბრუნდებიან ჩემს თავში და გულში, ძირითადად ცოცხლები არ არიან... ასე რომ, ორივე დროში (ნარსულშიც და ანმეოშიც) საქმე აჩრდილებთან მაქვს.

4

გეპეის სპორტდარბაზში ფეხბურთს ყოველდღე ვთამაშობდით, უფრო სწორად ჯერ ვმაზავდით და შემდეგ ვთამაშობდით. ვმაზავდით რესტორანზე, ან რამდენიმე კოლოფ მოსაწევზე, ან ფულზე, თანხის ზუსტი რაოდენობა აღარ მახსოვს, რომელ ვალუტაში უნდა ჩაბარებულიყო თავანი არც ის, მგონი იმ დროს საქართველოში ერთდროულად სამი ვალუტა იყო მიმოქცევაში: ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი და ჩვენი კუპონი... მე რომ თვრამეტი წლის ვიყავი, დედამინაზე 1994 წელი იდგა ქრისტეშობიდან... ვინ იყო იმ დროს ჩემთვის ქრისტე? ყველაზე გრძელი (6-სათიანი) ფილმის მთავარი პერსონაჟი... როდესაც ამას ვიხსენებ, ვხვდები, რომ ცხოვრებაში პროგრესი მაქვს, რადგან უკვე დიდი ხანია ჩემთვის ქრისტე პროგრესის (ავტომატურად რეგრესის) ერთადერთი კრიტერიუმი.

ველოში ერთდროულად სამი ვალუტა იყო მიმოქცევაში: ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი და ჩვენი კუპონი... მე რომ თვრამეტი წლის ვიყავი, დედამინაზე 1994 წელი იდგა ქრისტეშობიდან... ვინ იყო იმ დროს ჩემთვის ქრისტე? ყველაზე გრძელი (6-სათიანი) ფილმის მთავარი პერსონაჟი... როდესაც ამას ვიხსენებ, ვხვდები, რომ ცხოვრებაში პროგრესი მაქვს, რადგან უკვე დიდი ხანია ჩემთვის ქრისტე პროგრესის (ავტომატურად რეგრესის) ერთადერთი კრიტერიუმი.

5

ჩემი აყვანა გუნდში დიდად არავის ეხალისებოდა, რადგან: არ ვიძლეოდი პასუხებს, არ ჩავდიოდი უკან, დაცვაში, მაგრამ გოლების გატანა გამომდიოდა და ამიტომ ენ. სერიოზულ თამაშში გაერთხილებების შემდეგ: „პასები გააკეთე, დაცვაში ჩამოდი“, მათამაშებდნენ... მე რა თქმა უნდა არც პასებს ვაკეთებდი და არც დაცვაში ჩავდიოდი, მაგრამ გოლები გამქონდა და ზუსტად ერთ-ერთი გოლის წინ – მოვატყუე ერთი, მოვატყუე მეორე, მოვატყუე მესამე, თავი მარადონად წარმოვიდგინე, შევხედე მეკარეს და მოვიქინე ფეხი, ბურთს, როგორ მოვახერხე დღემდე არ ვიცი, ფეხი ავაცილე და მარცხენა ფეხი ვიღრძე... სინამდვილეში ასე არ ყოფილა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს დეტალებს, ფეხი მართლა ვიღრძე.

6

ექიმმა თქვა, რომ მოტეხილობა არ მაქვს, უბრალოდ ფეხი ნარსობი მაქვს... საავადმყოფოს დერეფანი იარაღიანი ხალხით იყო სასე, ზოგი მთვრალი იყო, ზოგი გაჩხერილი... ფუსფუსებდნენ, ყვიროდნენ, თვლემდნენ. სამშობლო შეიძლება დაიცვა სიმთვრალეშიც და კაიფშიც, მაგრამ რამდენად ეფექტურია ასეთი დაცვა?

7

სახლში დავჯექი. პირველი ორი დღე ტელევიზორს ვუყურებდი, შემდეგ შევხედე ნიგნების მაღალ თაროს... რა

თქმა უნდა ადრეც ბევრჯერ შემიხედავს ამ თაროსთვის, მაგრამ წიგნი არასდროს გადმომიღია, ამ შემთხვევაში გადმოვიღე... შევარჩიე ყველაზე თხელი წიგნი, გადავშალე და წავიკითხე „ვოლტერი, ფილოსოფიური მოთხრობები“, დავჯექი და ჯერ ვოლტერის ბიოგრაფია წავიკითხე, საიდანაც გავიგე, რომ არსებობდა ფრანგული განმანათლებლობა, საფრანგეთის რევოლუცია, ფრანგი ენციკლოპედისტები და უკვა ასეთმა განათლებულმა და აზრზემოსულმა ადამიანმა დავიწყე მოთხრობების კითხვა.

8

შევიცვალე თანდათან და არა უცებ, „ზადიგი“ მომეწონა, მაგრამ არ აღვფრთოვანებულვარ, რაც შეეხება „კანდიდს“... მე რომ თვრამეტი წლის ვიყავი „კანდიდს“ წავიკითხე... და ჩემი ცხოვრება შეიცვალა... „კანდიდის“ პერსონაჟები ყველა შესაძლებელი სამყაროდან საუკეთესოში ცხოვრობენ... მე თავს ასე ვერ მოვიტყუებ... მე ხომ თვრამეტი წლის აღარ ვარ... მხოლოდ იმითაა შემიძლია თავის მოტყუება, რომ ეს წერილი ყველა შესაძლებელ წერილს შორის საუკეთესოა.





# ჩინური

## ანა კორძაია-სამადაშვილი

„უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში, დაფაზე გამოკრული იყო განცხადება, რომ მსურველებს უცხო ენების ინსტიტუტში შეეძლოთ ჩინური ენის შემსწავლელ კურსებზე ევლოთ. განცხადება იყო პატარა, შეუმჩნეველი, ახლა აღარ მახსოვს, რუს ფონზე ჭკარტით საბეჭდო მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი თუ ცერად გადაღებული ქსეროასლი მიემარგებინათ. მსგავს განცხადებებს იშვიათად თუ კითხულობდა ვინმე. მე არასდროს წამიკითხავს.“

ვაჩემ კი წაიკითხა. რატომ – უცნობია. წესით, იმ შენობაში არაფერი ესაქმებოდა და არც განცხადებების კითხვა ახასიათებდა დიდად. მაგრამ წაიკითხა და ლიზიკოსთან ჩამომდგარს მომხსენა, რომ ჩვენ ჩინური ენის სწავლას ვინწყებდით.

ლიზიკოსთან ხომ დადიოდით? არა? საოცარია. უნივერსიტეტის სტუდენტი მგონი ყველა დადიოდა. მერე, ლიზიკო რომ საბერძნეთში წავიდა, იქ ხან „კაფე სტუდენტური“ გახსნეს, ხან ჰაინეკენის ბარი, ხან – რა, ხან – რა, მაგრამ არაფერმა გაამართლა. ამართლებდა მხოლოდ ლიზიკო. ის ქვიშაში ხარშავდა ყავას, მე მგონი, არაჩვეულებრივს, იქ ასხამდნენ სამაგალითოდ უგემურ წყლებს და ყიდდნენ ლეზელებს, რომლებსაც, შემთხვევით შემოსულის გარდა, არავინ ეტანებოდა. ლიზიკოში ექვსის მერე გადავიდიოდი ხოლმე, როცა ჩაი იკეტებოდა – ჩაის სახლს ვგულისხმობ. ჩაიში ხომ დადიოდით? ჰოდა, მაშინ ვაჩეს დახასიათება აღარ მომიწევს, ისედაც მიხვდებოდით, რომ ჩვენ, ანუ მე, ჩინურის სწავლა მომიწევდა.

ვაჩემ მითხრა, რომ ადამიანმა ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. მან მითხრა, რომ ყველა ჩემი მარცხი – მწვერვალამდე დარჩენილი ასი მეტრი, დამწვარი საძილე, ძველსლავურის საძაგელი კურსი – ჩინური ენის არცოდნითაა განპირობებული. ვაჩემ მითხრა, რომ მე ხვალ ინსტიტუტში მივალ და კურსებზე ჩავეწერები. მასაც ჩავენერ.

იმხანად ვთვლიდი, რომ 33 წლის ადამიანი დღე-ღამეზე სიბერისგან მოკვდება. რა ჩინურის სწავლა აგიტყდა-მეთქი. მეთქი, – მაგას ჯობია, ანდერძი შეადგინო და ბინა ძირფესვიანად დალაგო, რამე კომპრომატი არ დარჩეს-მეთქი შენი ნივთების გროვაში.

„ბრიყვო! – აღშფოთდა ბრძენი ფადიშახი,

– ბრიყვო, პინგვინო და ნეკნო! შენ მე მასწავლი, ბებერ კაას“?

დიდი წინააღმდეგობა გავუწიე. მე არაფრის სწავლა არ მინდოდა, ისედაც ბევრი რამ მქონდა გასაკეთებელი. რა ჩინური? მე კარგი სტუდენტი ვიყავი, თან ფილოლოგი, ამიტომ სულ ვკითხულობდი, და საუკეთესო პედაგოგები მყავდნენ, რომლებსაც ვეპრანჭებოდი, ამიტომ სულ ვკითხულობდი. მე ბუბა ყარალაშვილის მოსწავლე ვიყავი, რომელსაც ძალიან ვეპრანჭებოდი, ამიტომ სულ ვკითხულობდი. მე მთამსვლელს ვეპრანჭებოდი, ამიტომ სულ მთაში დავიდიოდი და ვაჩემ ტყის სული იყო, ამიტომ სულ ტყეში დავიდიოდი, და რადგან მას ამბების სმენა უყვარდა, ქრთამად ამბები მიმქონდა და ამიტომ სულ ვკითხულობდი. როდის ვასწრებდი, არ ვიცო, მაგრამ სულ მთაში ვიყავი, სულ ტყეში ვიყავი და კარგი სტუდენტი ვიყავი და სულ ვკითხულობდი. ამიტომ ჩინურის სწავლა აღარ მინდოდა.

ვაჩემ ჩემი ნათქვამი არად ჩააგდო. მან მითხრა, რომ მეტისმეტად ბევრს ვფიქრობ, ეს კი აბერებს:

„ფეხები თბილად გქონდეს, თავი – გრილად, ღრმად არ ჩაფიქრდე და სიყვარულზე არ იდარდო. ასე მოიქეცი და არ დაბერდები“. თვითონ ზუსტად ასე იქცეოდა, და არც დაბერებულა, – „ჰოდა, ამას დიდი დაფიქრება არ უნდა. ხვალ წახვალ და ჩაგვენერ“.

მაინც რალაცის თქმა დავაპირე, მაგრამ მისი უკანასკნელი არგუმენტი მომაკვდინებელი იყო:

„ილწობე გინდა? გინდა. ჰოდა, თუ ჩინურზე არ წამომყვები, არ წაგიყვან. და უყურე შორით“...

მეორე დილას უცხო ენებში მივცუნტყული და თვინიერად ჩავეწერე კურსებზე, რომლებიც ყველაზე ნაკლებად მაინტერესებდა. ცოტა ხანში ინსტიტუტში გამოვცხადდით ვაჩემ და მე, საოცარი წყვილი – წვერიანი, ყვითელთვალე კაცი და 45-კილოიანი გოგო მთამსვლელის ბატინკებში და ჭრელ ქვედაბოლოში – ჩემი შეკერილი იყო, ძალიან მემამყებოდა. ვაჩემ ჰქონდა მომაკვდინებელი აქცენტი, მე – უსაზღვრო ამბიცია, რომ ენას ვისწავლიდი. ჩვენ ვისხედით და მორჩილად ვმღეროდით: „ლურჯ, ლურჯ ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავს“... სად – ჩვენ, სად –



პენტატონიკა, მაგრამ ვმღეროდით, და მე ყოველდღე ათ-ათ იეროგლიფს ვსწავლობდი, ყოველდღე, რადგან ქალბატონმა მალინი თქვა, რომ ეს არის კუნფუ.

ვაჩეს ერთ თვეში ლექციები მობეზრდა, მე კი დავრჩი. მე ვეპრანჭებოდი ქალბატონ მალის და სულ ვკითხულობდი, და მერე ამ ამბებს – მაქციების, ჯადოსნური სარკეების, ბრძენების და შლეგების თავგადასავლებს – ვაჩეს ვუყვებოდი ხოლმე. იეროგლიფებს სველ მინაზე ჯოხით ვხატავდი, ფიქალით კლდეებზე ვკანრავდი, კენჭებით ვანყობდი სანაპიროზე, და ძალიან ვერთობოდი, როცა ვაჩემ თავისი არნახული ჩინურით მოწონებას გამოთქვამდა: „ხენ ხაო, ქოსაჯან!“

მერე, ჩინური ეპოპეის დაწყებიდან ბარე ნახევარი წელი იყო გასული, იაღნოზე წავედი – მეღირსა. ცხრამეტი წლისა იაღნოზე გავხდი, ჭალაში, სადაც წყარო იყო. კოცონთან გამეღვიძა, თავი – ნაცარში, ფეხები – შეშაზე. უმაგრესი დილა იყო, ყინვიანი, ლურჯ ცაზე მთვარე მოჩანდა.

„ლურჯ, ლურჯ ცაზე თეთრი ღრუბლები მიცურავს“... მღეროდა ვაჩემ.

ვაი, დედა!

„ვაი მტერს და ავს, ბრიყვო! – გამიჯავრდა ვაჩემ, – ვაი კი არა, დილა მშვიდობისა!“

ნეტა, როგორაა ჩინურად „დილა მშვიდობისა“? დღემდე არ ვიცი. არადა, ოთხი წელი ვისწავლე, ორი წელი ჩინულთან ვიმუშავე. მაინც არ ვიცი. არ მახსოვს.

სამაგიეროდ, ფეხებს თბილად ვინახავ, თავს – გრილად, ჩაფიქრება არ მწვევია და სიყვარულზე არ ვდარდობ, და ზუსტად ვიცი – არ დაბერდები.

# ბოტკინი, იპოდრომი და მუსიუს სკვოლა

## ქეთი ქანთარია

ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ თავს ცოტაოდენი გადახვევის უფლება უნდა მივცე, სხვანაირად, როგორც ყოველთვის, არაფერი გამომივა. ოცი წლის რომ ვიყავი, უკვე მეჩვენებოდა, რომ ზურგზე რაღაც გუდა მაქვს მოგდებული, რომელშიც ის ყრია, რაც იქამდე შემემთხვა ან განმიცდია. მართო ეს არა: ისეთი განცდა მქონდა, ამ ყველაფერს რამე საგანგებო ნესით თუ არ დავიხსომებდი (ასეთ დახსომებას ალბათ წერა ჰქვია), რაც გუდაში იყო, ნელ-ნელა გაილეოდა და როგორც საჭირო იყო, სუნებით, ცოცხლად ველარ გავიხსენებდი. ახლა იმასაც ვერ ვამბობ, ასე მოხდა თუ არა. მაგრამ ინტიმოფობი ვარ, წერა სინამდვილეში არ მიყვარს და ამ ამბავს მაინც არაფერი ეშველებოდა. თექვსმეტი ოცი წლის ასაკიდან სულ რამდენიმე რაღაც მახსოვს ისეთი, რასაც „აქედან ვერ ამოშლი“. ძველი სომხური დღეში ოთხი საათი – სახარების, მერე მთლიანად ბიბლიის კითხვა, მაგრამ მე ახალი აღთქმა მიყვარს, კომენტარების და დანალექის გარეშე, ისეთი, როგორც მე თვითონ გავიგე. საიდანაც ალბათ ნამკითხველი იმ აზრს გამოიტანს, რომ ყველანაირი ქრისტიანული აზრის დასაბუთება თავში ჯერ ძველსომხურად მომდის და მგონი, მართალიც იქნება, თუმცა თანდათანობით ესეც გაილია და ეს ენაც დამავიწყდა. ამ ასაკში, დღევანდელისგან განსხვავებით, ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ზედმეტად ბევრს, და ბოლოს ისე მოხდა, რომ სადღაც თვრამეტი წლისამ, გაგრძელებული ავადმყოფობის დროს – ე.წ. „ბოტკინი“ დამემართა – „ექიმი ჟივავო“ წავიკითხე და მას მერე წიგნების დანთქმის ამბავს ფრთხილად ვეკიდები. საერთოდ თურმე ითვლება, რომ ღვიძლი ძალიან მგრძნობიარე ორგანოა და ადამიანსაც მგრძნობიარეს ხდის, ავადმყოფობის დროს

მაინც. წიგნს რომ ვამთავრებდი, სადღაც ერთ-ორ კილომეტრში, იპოდრომზე, დიდი მიტინგი იყო და მგონი, კითხვის დროს სულ მახსოვდა, რომ იქ რაღაც ხდებოდა. რაღაც ხანი ამ დღეებს ისე ვიხსენებდი, თითქოს იქიდან ხმაურის ტალღები და ვიბრაცია მომდიოდა, რაც, მაშინდელი მოვლენების და ადამიანების გათვალისწინებით, შეუძლებელი სულ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მერე რაღაც მოხდა. როცა რომანის ბოლოს ის სამი, თუ ოთხი მეგობარი ერთად დაჯდა და თეთრეულის მრეცხავი გოგონას ამბის მოყოლა დაიწყო (ბოლოს ეს ლექსებიც კარგად მიყვა), რაღაცაზე მძიმედ, ბევრი დღით დავფიქრდი. რა შეიძლებოდა ეთქვა რომანის ფინალს იპოდრომიდან ნამოსული ვიბრაციების თანხლებით? მე სანახევროდ ზღვაზე ვარ გაზრდილი, მე და ჩემი ძმას განსაკუთრებით ძლიერ ლელვაში გვიყვარდა ბანაობა, რომელსაც რუსები შტორმს ეძახდნენ და პლაჟთან ამკრძალავ ნიშანს დგამდნენ. ასეთ დღეებში ტალღამ შეიძლება მაგრად გირტყას და გარეტანოს, მაგრამ ბოლოს ხომ მაინც ფეხზე დგები. არც ერთი დარტყმა არ მახსოვს, რომ შევეშინებინე. მაშინ მთელი ჩემი ასოციაციები ზღვას უკავშირდებოდა, მე – ყველა ტალღას „ვჭრიდი“, „ჟივავოს“ ფინალი კი იმას მეუბნებოდა, რომ სინამდვილეში მე არაფერი არ მესმის და ცხოვრება, დაახლოებით ისე, როგორც კალეიდოსკოპი, იმაზე უფრო მეტად იშლება, ვიდრე მე იქამდე წარმომედგინა, და ადამიანებსაც შლის. ვიბრაციებიც უკვე იგრძნობოდა.

პირველად ავადმყოფობის მერე გარეთ სალამოს გავედი, დაბნელებული იყო. მანმადე სარკეში ჩავიხედე და ისეთი რამე უნდა ვთქვა, რაც მარტო ბარონ მიუნჰაუზენს ეპატიება. თმა რამდენიმე დღეში დაუჯერებლად

გამეზარდა, სახეც რაღაც სხვა ადამიანის მქონდა. ასეთი გავედი გარეთ მგონი, 5 დეკემბერს და ბევრი ვიარე. მე მგონი სათქმელი უკვე ვთქვი და ბარემ დავამატებ, რომ იმ წლების რყევებმა ზედმეტად და უხეშად არყია ჩემი ჰედონისტური არსება, რომელსაც გავრაში, იმპერიის განაპირა პროვინციაში ზღვის ნაპირას გდება და დელფინების ყურება სურდა, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელ მინიმუმად ეს წარმოედგინა.

რა თქმა უნდა, არც ის არ მავინწყდება, რომ ბავშვობაში ბაბუაჩემი ძილის წინ, ზღაპრად მუციუს სცევოლას ამბავს მიყვებოდა და დიდხანს მჯეროდა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხელის ცეცხლში გაჩერება შეიძლება, მაგრამ ბაბუაჩემს სხვა რამის თქმა უნდოდა, პრინციპების ადამიანი იყო. ესეც მნიშვნელოვანია. ხსენებულ ასაკთან ბევრი არაფერი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ეს ამბავი მაშინაც ხშირად მახსენდებოდა, მით უფრო, რომ ბაბუაჩემიც ცოცხალი იყო, მოტეხილი ფეხი ტკიოდა და გამაყურებლებისგან თუ ხანგრძლივი წოლისგან ჰალუცინაციები ჰქონდა. თავის ოთახში ვილაცას ელაპარაკებოდა, პატარა ბავშვს ხედავდა, რომელიც ცარცით კედელზე რაღაცას ხატავდა. ეკითხებოდა, – დედა სად არის, აქ მარტო როგორ დაგტოვაო. ბავშვს, ბაბუაჩემის ნაამბობის მიხედვით, ჩვენს სახლში მარტო დარჩენის არ ეშინოდა, კედელზე ხატვას აგრძელებდა. მე ბაბუაჩემი ძალიან მიყვარდა, ბევრი მიფიქრია მასზე და ეს ბავშვის ამბავიც ხშირად მახსენდება. თვითონაც კარგად გაერია მარტო ყოფნას და წოლას, ეს მდგომარეობა არ აწუხებდა, როგორც კი ტკივილი გაუარა ( და ბოლოს ოთხმოცდაათს მიტანებულს, მოტეხილი ფეხიც კი შეუხორცდა). ამ



თავს ცოტაოდენი გადახვევის უფლ  
 ორც ყოველთვის, არაფერი გამო  
 მეჩვენებოდა, რომ



წოლაში დროის საკუთარი შეგრძნება გაუჩნდა, რომელსაც კარგად ირგებდა და მისგან ისეთივე სარგებელი გამოჰქონდა, როგორც მე ზღვის ნაპირას გდებისგან.

მე და ბაბუაჩემმა ორი თუ სამი წელი ერთად ვიცხოვრეთ, მარტოებმა, და ძალიან კარგი კომპანიონები ვიყავით ერთმანეთისთვის, უკეთესი არც

მყოლია. რა თქმა უნდა, სრულიად დაუშვებელია, ყველაზე ახალგაზრდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ასაკში, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტი სიმძაფრე აქვს, წინ (თუ უფრო ახალგაზრდაა) ჰალუცინოგენური ამბების გარდა არაფერი მოელის. სულ პირიქითაა ყველაფერი. მე თვითონ ამ ჟურნალისადმი კორ-

პორატიული სიყვარულიც ვერ მაიძულებს, იმაზე მეტი მოვყვე, ვიდრე მეყოლინება. დარჩეს განცდა, რომ ცხოვრება ფაქტებზე მეტად შთაბეჭდილებებისგან შედგება. შთაბეჭდილებები კი ისაა, რისგანაც შემოქმედებითი განზრახვის რვა ტომი შეიძლება გამოვიდეს, როგორც ორი დღის წინ თქვა ერთმა მეგობარმა.



# მთის რესპუბლიკა

ავტორი: ქეთი ქანთარია

„მუსლიმთა არმიის მიერ იერუსალიმის ოთხთვიანი ალყის შემდეგ წმინდა ქალაქის მამაცმა მცველმა, პატრიარქმა სოფრონიოსმა დანებება გადაწყვიტა, მაგრამ პირობა წამოაყენა, რომ ქალაქს მხოლოდ ომარს ჩააბარებდა. ხალიფი მედინადან ერთადერთი მსახურის თანხლებით გამოვიდა, თან მხოლოდ წყალი და ქერის მარცვლითა და ფინიკით სავსე ტომარა წაიღო. დღე და ღამე იარეს, სანამ იერუსალიმამდე ჩააღწევდნენ. წმინდა ქალაქში ომარი მეგობრებისგან შემდგარი პატარა რაზმით შევიდა და პატრიარქს და ქალაქელებს განუცხადა, რომ მათ სიცოცხლეს და ქონებას არაფერი ემუქრებოდა, ყველა ეკლესია და წმინდა ადგილი თაყვანსაცემ ადგილადვე დარჩებოდა.

ქრისტიანული ტრადიციით, ხალიფს წმინდა ადგილები უნდა მოელოცა. აღდგომის ეკლესიაში რომ მივიდა, წირვის დრო იდგა. პატრიარქმა ეკლესიაში ლოცვა შესთავაზა, მაგრამ ომარმა უარი უთხრა: იცოდა, რომ ეკლესია, რომელშიც ის ილოცებდა, მუსლიმთა

სალოცავი ადგილი გახდებოდა, მას კი ქრისტიანებისთვის ეკლესიის წართმევა არ უნდოდა“.

ამ სტრიქონებს, რომლებიც მკითხველს ისლამის ძველ ღირსებებზე და სულიერ უპირატესობაზე მოუთხრობდა, ჰაიდარ ბამატი, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის დევნილობაში მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრი ორმოცდაათიან წლებში, პარიზში წერდა. ჰაიდარ ბამატი სასულიერო მოღვაწე არ ყოფილა. დაღესტნელი, წარმოშობით ყუმუზი ბამატი (რუსული დაწერის წესით – ბამატოვი) სოციალ-დემოკრატი იყო, პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ათიან წლებში საქართველოში მეფისნაცვლის წარმომადგენლად მსახურობდა, მერე კი კავკასიის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ამბების მონაწილე და მოთავე გახდა.

პეტროგრადის მოვლენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ კავკასიას, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიას ამ მოვლენებზე რეაგირება უნდა მოეხდინა. 1917 წელს, ჯერ კიდევ რუსული

სახელმწიფოს ფარგლებში, კავკასიის მთიელთა კავშირი შეიქმნა, რომელიც რევოლუციურ სოციალურ ცვლილებებს, რუსეთის რესპუბლიკური მონყობის იდეას და დეცენტრალიზაციას ემხრობოდა. მასში ყველა ჩრდილოეთ-კავკასიელი ხალხის წარმომადგენელი იყო გაერთიანებული, სხვებს შორის, იყვნენ აფხაზებიც.

იმ წლის გაზაფხულზე, ვლადიკავკაზში, მთიელთა პირველ ყრილობაზე დიდი ხნის წყვეტის, შეიხ მანსურის და შამილის შემდეგ ხელახლა გაისმა ჩრდილოეთ კავკასიური ერთიანობის იდეა. თუმცა, ახლა ასპარეზზე ახალი ხალხი იყო გამოსული, რომელმაც ძველი კავშირის იდეას უფრო ფართო, საერთო კავკასიური ერთიანობის მასშტაბი შესძინა. ნოემბერში, პირველი ქართული პარლამენტის გახსნას აფხაზი წარმომადგენელიც ესწრებოდა, რომელიც დამსწრეებს ასე ესალმებოდა: „ბედნიერი ვარ, რომ აფხაზთა ეროვნული საბჭოს სახელით მოსალმების დიდი პატივი მერგო. კავკასიელ ხალხთა კავშირში





გაერთიანებული აფხაზი ხალხი მშვენიერ საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ულოცავს და დარწმუნებულია, რომ მალე კეთილშობილ ქართველ ხალხს კავკასიის ყველა ხალხთა გამაერთიანებელ კავშირში შეხვდება“. ამავე თვეში შეიქმნა მთის პირველი მთავრობაც, მაგრამ ეს სახელმწიფო წარმონაქმნი ჯერ არ იყო.

გაბედული კავკასიელი სოციალისტებისა და ინტელექტუალების ჯგუფის მცდელობით შექმნილმა პატარა სახელმწიფომ ფაქტობრივად ერთ წელიწადს იარსება (ემიგრაციაში – ოთხი, 1918-1922). ეს იყო ლამის ნომინალური წარმონაქმნი, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან, თითქმის ასი წლის თავზე, მით უფრო ამ ხალხების მიერ XX საუკუნეში გადატანილი ტრაგედიების შემდეგ მშვენიერ უტოპიად მოჩანს. ეს პატარა სახელმწიფო ქართული დამოუკიდებლობის გამოცხადების თითქმის თანადროულად შეიქმნა. ჩრდილოეთ კავკასიური რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა დამოუკიდებლობის აქტს ხელი საქართველოში, ბათუმში მოაწერეს 1918 წლის 11 მაისს.

მთის (რატომღაც ეს სახელწოდება უფრო სწორი მეჩვენება, ვიდრე

„მთიელთა“) რესპუბლიკას, რომლის მრავალეროვნული მოსახლეობა რიცხოვნობით 6,5 მილიონს აღწევდა, მთავრობაც მრავალეროვნული ჰყავდა. ქართველების დიდ ნაწილს შამილის პერიოდიდან მოყოლებული, კავკასიიდან ახალი ამბები აღარ მოსვლია, ამიტომ ბევრისთვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია, როგორ გამოიყურებოდა ეს ახალგაზრდა რესპუბლიკა და მისი მთავრობა. შემადგენლობა ასეთი იყო: პრემიერ-მინისტრი – აბდულ-მეჯიდ (ტაპა) ჩერმოვეი, ნავთობმომპოვებელი, ყოფილი „ველური დივიზიის“ ოფიცერი, საიმპერატორო ჯარის გენერლის ვაჟი, ჩეჩენი; საგარეო საქმეთა მინისტრი – ზემოთ ნახსენები ჰაიდარ ბამატი, დაღესტანი, ყუმუხი; ფინანსთა მინისტრი – ვასან-გირეი ჯაბალი – დერპტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და იენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი მის კურსდამთავრებულთა შორის, ეროვნებით ინგუზი; ბაითულან ბარასბი – სანქტ-პეტერბურგის და პრადის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული იურისტი, ოსი; ფშემახო კოცევი – იურისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, 1919 წლიდან – მთავრობის თავმჯდომარე, ყაბარდოელი; სამხედრო მინის-

ტრი – თავადი ტარკოვსკი, ტარკის უკანასკნელი შამხალი, საიმპერატორო არმიის გამოცდილი პროფესიონალი და სხვანი; მთავრობის ჩვიდმეტივე წევრს სანქტ-პეტერბურგის და ევროპის უნივერსიტეტებში საუკეთესო განათლება ჰქონდათ მიღებული. თუმცა, არანაკლებ საინტერესოა, რომ მინისტრთა კაბინეტის სულ მცირე ექვსი წევრი (სხვებზე ინფორმაციის მოძიება გამიჭირდა) სოციალ-დემოკრატი იყო. საქართველოში, სამართლიანად თუ უსამართლოდ, სოციალ-დემოკრატიის ბედი საკმაოდ სპეციფიკურად წარიმართა, ამიტომ ბევრს დღესაც უჭირს იმ ფაქტის მნიშვნელოვანების გაცნობიერება, რომ ასოივე წლის წინათ ქვეყანას მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ჰყავდა. თხუთმეტი დღით ადრე კი, ამ მთავრობას ჩრდილოეთი კავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარირება მთიელთა რესპუბლიკამ დაასწრო, რომლის ხელისუფლებაც ასევე სოციალისტური მიმართულებისა იყო. და თუკი მართალია ისტორიკოსი სტივენ ჯონსი, რომელიც წიგნში „სოციალიზმი ქართულ ფერებში“ ქართულ სოციალ-დემოკრატის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს მიაწერს, მაშინ რამდენად აღსანიშნავია ეს პირველობა

## ისტორია

ამ პატარა რესპუბლიკისთვის, თანაც მუსლიმანურ სამყაროში, რომელსაც ჩრდილოეთი კავკასიის ხალხთა უმრავლესობა მიეკუთვნება. ჩრდილოკავკასიელმა სოციალისტებმა რეგიონის მოწყობის საკითხებში შეხედულებათა დაახლოებით ისეთივე ევოლუცია გაიარეს, როგორც – ქართველებმა. თავიდან დამოუკიდებლობაზე საუბარი შეუძლებელი ჩანდა. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ქართველ სოციალისტებსაც, რუსი თანამოაზრეებისადმი პარტიულ მიჯაჭვულობაზე მეტად, რეალობის განცდა აკავებდათ. 1905 წელს ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვასან-გირეი ჯაბალი ნაშრომში – „რა სჭირდება კავკასიას“ – წერდა, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიამ ავტონომიურ თვითმმართველობას უნდა მიაღწიონ, მაგრამ ისე, რომ „ჩვენს საერთო სამშობლოს ზიანი არ მიადგეს. კავკასიას რუსეთთან კავშირების საბოლოო განწყვეტა არ სურს, მხოლოდ რუსული სამოხელეო ფენის მარწმუნებისგან სჭირდება გათავისუფლება, რომელიც მისთვის სულისკვეთებით, აღზრდით და მოდგმით სრულიად უცხოა“. 1917 წელს,

მთიელთა პირველ ყრილობაზე ის უკვე ფედერალურ მოწყობაზე ალაპარაკდა, მათ შორის, საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის შიგნითაც. ოქტომბრის გადატრიალებამ და ბოლშევიკურმა საფრთხემ რეალობა მთლიანად შეცვალა. ახლა ჯაბალი რუსეთისგან დამოუკიდებელ ჩრდილოკავკასიურ სახელმწიფოზე წერდა, რომელიც შვეიცარიული კანტონების ერთობლიობის მსგავს ნარმონაქმნად წარმოედგინა. მისი სურვილი რეალობად ძალიან მალე იქცა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ თვეში თურქეთმა მთის რესპუბლიკა ცნო, მალევე – გერმანიამ, აზერბაიჯანმა და საქართველომ. მთის რესპუბლიკა რეგიონის დანარჩენ სამ, სამხრეთის სახელმწიფოსთან უფრო მჭიდრო პოლიტიკურ კავშირებს ეძებდა და საერთო კავკასიური კონფედერაციის შექმნას სთავაზობდა, როგორც ეფექტური კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიას. „თუ კონფედერაციის ყველა ქვეყნის ერთიანობა ვერ მოხერხდა, ძნელი წარმოსადგენია, კავკასიამ მოპოვებული დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს“, – წერდა ჯერ კიდევ მაშინ ჯაბალი.

1917 წლიდან ჩრდილოეთ კავკასიას დენიკინის სამოხალისეო არმიის და ნითელი არმიის ტალღები აწყდებოდა. იყო ადგილები, სადაც ძალაუფლება ხელიდან ხელში დაუსრულებლად გადადიოდა. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე მცირე სახელმწიფო არსებობდა. ამათში ყველაზე წინააღმდეგობისუნარიანი უზუნ-ჰაჯის (დაღესტნელი შეიხი) კავკასიური ემირატი გამოდგა, რომელმაც დენიკინის შენაერთებს საკმაო ძალა დაახვედრა. რაკი დენიკინი ძველი იმპერიის ტერიტორიების „მოკრებას“ ცდილობდა, ბუნებრივია, ხელიდან გამსხლტარი ახალი კავკასიური სახელმწიფოების მტერი იყო. ნითელ არმიას ჯერ კლასობრივი მტერი ჰყავდა გასანადგურებელი, ამიტომაც ისე გამოვიდა, რომ თავიდან კავკასიელთა ბრძოლით სწორედ მან იხეირა. ვიდრე მთის რესპუბლიკის მთავრობის წევრები ვერსალის კონფერენციას ესწრებოდნენ, ბოლშევიკები „ადგილებზე“ მუშაობდნენ და ყალბ დაპირებებს არიგებდნენ, რომლებიც რამდენიმე წელიწადში





საქართველოში, საბარტლიანად თუ უსაბარტლოდ, სოსიალ-დემოკრატიის ზედი საქაოლდ საქსიფიკურად წარმართა, ამიტომ ბავრს დღესას უჭირს იმ ფაქტის მნიშვნელოვნების გასწავილება, რომ ასიოლდ წლის წინათ ქვეყანას მსოფლიოში პირველი სოსიალ-დემოკრატიული მთავრობა ჰყავდა. თხუთმეტი დღით ადრე კი, ამ მთავრობას ჩრდილოეთი კავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მთილთა რესპუბლიკამ დასწრო, რომლის ხელისუფლებას ასევე სოსიალისტური მიმართულებისა იყო.

ადვილად დაარღვიეს. დენიკინი მთელი დარჩენილი სიცოცხლე ნანობდა კავკასიურ ავანტიურას, რომელმაც, საბოლოო ჯამში, თავი და საკუთარი ქვეყანა წააგებინა და სხვადასხვა მონაცემებით, მისი ძალების ნახევარი ან მესამედი შეინარა. ასე იყო თუ ისე, 1919 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა დროებით უკან დაიხიეს, დენიკინის არმიამ რესპუბლიკის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიკავა, დედაქალაქად გამოცხადებულ თემირ-ხან-შურაში შევიდა და პარლამენტი გაუქმებულად გამოაცხადა. მთის რესპუბლიკის მთავრობას ჩრდილოეთ კავკასიაში არ დაედგომებოდა, საქართველოში გამოიხიზნა და თავი თბილისს შეაფარა. თუმცა, ბრძოლები დენიკინის შენაერთებთან დაღესტანში კიდეც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. მოკავშირეებთან და ანტანტის ქვეყნებთან პროტესტის გაცხადებას აზრი არ ჰქონდა. ესენი ყველანი ბოლშევიკებთან დაპირისპირებულ დენიკინის არმიას გულშემმატიკობდნენ.

ჩრდილოკავკასიური სოციალ-დემოკრატიის სახელით, ჰაიდარ ბამატმა და რესპუბლიკის მთავრობის კიდეც ერთმა წევრმა, ოსმა ახმედ ნალიკოვმა ქართველ სოციალ-დემოკრატებს საგანგებო მიმართვის ტექსტი გაუგზავნეს, რომელშიც მხარდაჭერის და მსოფლიოს რევოლუციური ძალების ინფორმირების თხოვნით მიმართავდნენ. სამხრეთი კავკასიის რესპუბლიკების მთავრობებმა ანტანტის ქვეყნებს დახმარებისთვის მაშინ მიმართეს, როცა დენიკინის საფრთხე თავად მოუახლოვდათ. 1920 წელს, საფრანგეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში ამიერკავკასიის და ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლები – კლემანსო, ლოიდ ჯორჯი, ლორდი კერზონი, უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი უილ-

სონი და სხვები საგანგებო სხდომაზე შეხვდნენ ერთმანეთს. სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანელი თოფჩიბაევი და ქართველი წერეთელი მთის რესპუბლიკის აღიარებას და მისთვის სამხედრო დახმარების განწევას ითხოვდნენ. „ჩვენ სიმპათიით ვიყავით განწყობილები მთიელების მიმართ, რომლებიც თავს იცავდნენ“, – ამბობს იქ წერეთელი, რომელიც საქაოლდ პირდაპირ საყვედურობს ანტანტის ქვეყნებს სომხეთის აუღიარებლობის გამო. სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მთის რესპუბლიკა საერთოდ არაა ნახსენები. 1921 წელს ქართულ მთავრობას, როგორც ვიცით, იგივე ბედი ეწია, რაც მთის რესპუბლიკას, რომლის წევრებიც ევროპაში, ზოგიერთი თურქეთში გადავიდა. დენიკინის საერთო ხვედრმა კავკასიური სოლიდარობის გრძნობა ზოგს გაუძაფრა, ზოგს – მაშინ გაუჩინა. ბოლშევიზმის გამარჯვების შემდეგ საერთო პირი იპოვეს იმათაც, ვინც ემიგრაციაში არ წასულა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას კავკასიაში აგრძელებდა. 1922-23 წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ ჩეჩნეთში მოკავშირეების საძიებლად რამდენჯერმე გაგზავნილი ალექსანდრე სულხანიშვილი შეიხ ალი მიტაევს შეხვდა. ქართველებთან დაკავშირების სურვილი ათასმა მეზობლმა გამოთქვა. მერე მიტაევს თავად ჩოლოყაშვილიც შეხვდა, მაგრამ 1924 წელს მიტაევი დააპატიმრეს.

იმ წელს პარიზში აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილოეთი კავკასიის წარმომადგენლების თავყრილობებზე კავკასიური კონფედერაციის შექმნის აუცილებლობა აღიარეს. კავკასიის ფედერაციულ მოწყობას რუსეთთან ტრადიციულად დაპირისპირებული თურქეთი, პოლონეთი და გერმანია უჭერდნენ მხარს. სომხების

მონაწილეობა ამ პროექტში, თურქეთის განსაკუთრებული როლის და მისდამი სომხეთის ტერიტორიული პრეტენზიების გამო, თავიდანვე გამოირიცხა. თუმცა, კონფედერაციული მოწყობის მომხრეები ძალიან დიდხანს მუშაობდნენ სომხური მხარის მომხრობაზე, იმდენად, რომ კონფედერაციის პაქტის შექმნა, მხოლოდ ამ მიზეზის გამო, თითქმის ათი წლით გადაიდო. მაშინაც კი პაქტის ტექსტში საგანგებო ადგილი მოინიშნა, იმ შემთხვევისთვის, თუ სომხები აზრს შეიცვლიდნენ და კავკასიის კონფედერაციული მოწყობის გეგმას შეუერთდებოდნენ.

რა თქმა უნდა, ხელისშემშლელ მიზეზთა შორის მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს შორის გადაულახავი წინააღმდეგობებიც იყო. პოლონეთის, პროექტის ერთ-ერთი აქტიური მთავის ხელისუფლება მემარცხენე კავკასიელებს ეჭვის თვალთ უყურებდა, მაგრამ 1926 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად სათავეში სოციალისტი „ბაბუ“ პილსუდსკი მოვიდა და მდგომარეობა შეიცვალა. პილსუდსკის პერიოდიდან იწყება „პრომეთეიზმის“ მოძრაობის სვლა, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ხალხების პოლონეთის გარშემო კონსოლიდირებას ისახავდა მიზნად. ამ ხალხებში კავკასიელებს საგანგებო ადგილი ეკავათ. პილსუდსკის ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ კავკასიის კონფედერალისტების კომიტეტი ამ მოძრაობას შეუერთდა. სამწუხაროდ, ქართველმა სოციალისტებმა პილსუდსკისთან ახლო ურთიერთობით ისარგებლეს და მოძრაობაში საქმეების ისე წაყვანა დაიწყეს, რომ დომინანტური როლი ქართველ და აზერბაიჯანელ სოციალისტებს რეგებოდათ.

>>> ბაბრქილება გვ. 114

## საპარჯიშოები ზაფხულისთვის

მოდელის მაკიაჟზე იზრუნა კომპანია „ეივონ კოსმეტიკს საქართველომ“  
[www.avon.ge](http://www.avon.ge)

მონაწილეობენ:

**პაატა ნოზაძე**

**1988**

საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი, სპორტული ტანვარჯიში

**ქეთი გოლქვაძე**

**1992**

საქართველოს ჩემპიონი, სპორტული ტანვარჯიში

**თენგიზ ცხვარიაშვილი**

**1989**

საქართველოს ჩემპიონი, სპორტული ტანვარჯიში

**მაგლა რუსია**

**1994**

საქართველოს ჩემპიონი, სპორტული ტანვარჯიში

**გიორგი საყვარელიძე**

**1980**

საქართველოს ჩემპიონი, სპორტული ტანვარჯიში
































ჩემი ვარაუდით, განკაცებული ღმერთები არაერთხელ სწვევიან ჩვენს ციციქნა, ცისფერ პლანეტას, მაგრამ არა მგონია, რომელიმეს უორენ ბიტივით თავანუელსა და გამოპრანჭულს ეტარებინოს სპორტული მანქანა როუდეიუ დრაივზე. „სტარში“ პიტერ ბისკინდის მიერ შეთხზული მისი ახალი ბიოგრაფიის კითხვისას ისლა დაგრჩენიათ, რომ მსახიობის წარმატებების ნიაღვარში ჩაიხრჩოთ. ფიქრობთ ფილმებზე, შემოსავლებზე, რეცენზიებზე, ოსკარებზე, უამრავ ნომინაციაზე – ყველაფერზე, რაც ამ თავგადაკლულ მკითხველსა და მარკეტინგის ექსპერტს უკავშირდება. ის ხომ წარმოუდგენლად დახვეწილია „სტივინგის“ როიალის წინ, საშინლად გონებაგამჭრიახია პოლიტიკაში, ამ დროს კი თავიდან ფეხებამდე აღონისია. მას სულ სხვადასხვანაირი ადამიანები ასხამენ ხოტბას, რომლებსაც ჰგონიათ, რომ კინონიდუსტრიაში კი არა, ოვალურ კაბინეტში მუშაობს. ჰოლივუდურ ამბებზე გაცილებით ღირსშესანიშნავი ვარსკვლავის საწოლში აღსრულებული ლეგენდარული საგმირო საქმეებია, რაც ორსონ უელსსაც კი ქედს მოახრევენებდა. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ აურაცხელი რომანი ყველანაირი გარეგნობის, ეროტიკული პოტენციალისა და სოციალური სტატუსის მქონე ქალთან: მეგარდერობებთან, მოდელებთან, მსახიობებთან, პრეზიდენტების ცოლებთან. როგორც ჩანს, უთვალავ ლამაზმანს ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაუგორდებოდა ლოგინში ზენრების მოთელვის ამ ვირტუოზს. „რამდენი ქალი ჰყოლია?“ – შეკითხვას სვამს ავტორი და თავადვე პასუხობს: – „ცაზე ვარსკვლავების დათვლა უფრო იოლი იქნებოდა... ბიტი ხშირად ამბობდა, რომ სექსის გარეშე ვერ იძინებდა. ეს მისი რუტინა იყო, ისევე როგორც ძაფით კბილების წმენდა... გამოვთვალეთ და იმ პერიოდების ჩათვლით, როცა ერთსა და იმავე პარტნიორთან იწვა, ქალების რიცხვმა 12 775-ს მიაღწია“. მე ერთი ხვეწნა-მუდარით მოქანცული ტიპი ვარ, ორნიშნა ციფრითაც ვერ დავიტრაბახებ, როცა სიტყვა გემრიელ გოგოებთან დანოლაზე ჩამოვარდება



# აბა, სად არის ავტარი?

ავტორი: ვაჟა ლაშვილი  
თარგმანი ირმა ტაყელოძე

(ამისთვისაც მთელი ჩემი ჰიპნოზური შესაძლებლობების მოხმობა დამჭირდა), ჰოდა სულ იოლად წარმოვიდგენ ერთ-ერთი გოგონას დაუვინყარი, თავბრუდამხვევი ღამის ანგარიშს, რომელიც ნამდვილად „გინესის წიგნში“ მოხვედებოდა. თუმცა სჯობს, თავად მას მოვუსმინოთ:

რა დილა გათენდა! ორი აბი „ვალიუმი“ გადავყლაპე, რათა ის შვევითელა თუ მორუნო-მონაცრისფრო პეპლები გამეფანტა, მუცელში რომ მიწრიალებდნენ და ფრენას სწავლობდნენ. როგორც რეპორტიორს, პირველი დავალება უნდა შემესრულებინა. ჰოდა, მაგრადაც გამიმართლა! აბა, რატომ უნდა დაეთანხმოს ჰოლივუდის ყველაზე ქარიზმული მსახიობი, მისტერ სარგადაყლაპული, ვინც ყურადღების ცენტრში ყოფნას ჰოვარდ ჰიუზივით გაურბის, ინტერვიუს მიცემაზე 19 წლის უცნობ გოგოს, რომელსაც მხრებამდე დაფენილი ქერა თმა, გრძელი, გარუჯული ფეხები, მინგის დინასტიის საგვარეულო ნაკვთები, დიდებული რაღაც-რღაცები და ისეთი ღიმილი აქვს, Y-ქრომოსომიანთა მოდგმას ერთიანად რომ აცამტვერებს? გავიფიქრე, ეს საზღვრისპირა შტატების კაზანოვა შებმას თუ მიპირებს, მისი მზერიით დაბრმავებული იმ უთვალავი უბედური ვარიკასავით, რომლებსაც მუსრი გაავლო, გადაფიქრება მოუნწევს-მეთქი. ჩემი მიზანი სერიოზული რეპორტაჟების მომზადებაა. რალა დაგიმალოთ და, ჯო ბაიდენტან ან დალია ლამასთან ნავიდოდი ინტერვიუს ასალებად, ამ ზეაღამიანებს წერილებზე რომ ეპასუხათ. მისტერ სარგადაყლაპულმა კი, ვინც გასულ თვეს შემთხვევით მომკრა თვალი, „პლეიბოს“ გვერდებზე დაბეჭდილ კოლუმბიის ჟურნალისტიკის სკოლის შიშველი და ყველაზე ტანადი სტუდენტების ფოტოებზე, პასუხიც მომწერა და მას თავისი სურნელიც გამოაყოლა.

იმისთვის, რომ თავანყვეტილი ლიბიდოს კარნახით გულში ცუდი რამ არ გაევლო, წინდახედულად მოვიქეცი და კონსერვატიულად ჩავიცვი: სტანდარტული მოკლე ქვედაკაბა, შავი ბადისებრი წინდები და ტანზე მომდგარი,



გამჭვირვალე ბლუზა. როცა ჩემს ფაფუკ, ვნებიან ტუჩებზე მუქი წითელი პომადა ნაზად გადავისვი, მივხვდი, რომ თავგვივით დაფრთხებოდი და ვერაფერსაც ვერ გავანწყობდი, თუ მისტერ ტესტოსტერონი თავს ფამილარობის უფლებას მისცემდა. მთელმა ამ ალიაქოთმა ჩემს საქმროს უსიამოვნო ფიქრები აუშალა, თუმცა ჰემიშიმა კარგად იცის, რომ სადარდებელი არაფერი აქვს – ბუნებრივია, იმის გარდა, რომ ვერც ერთი კაცი, თვით ჰემიშისნაირი მღრღნელი და მზურღავიც კი, ვერ შეედრება ყვავილების ქვეყნის უდიდეს ულაყს.

ბელ ეარში მდებარე მის სახლს მივადექი, რომელიც ადგილობრივი სტანდარტების კვალობაზე მოკრძალებულად გამოიყურება: პართენონის ასლია, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრიდან და სიდნეის ოპერიდან მოპარული ორნამენტებით. მისტერ სარგადაყლაპულმა, ვინც მხოლოდ მსახიობი კი არ გახლავთ, არამედ სცენარისტი, რეჟისორი და პროდიუსერიცაა, სულ ახლახან შეძრა საზოგადოება ბოლო ფილმით – „პარაზიტის რეკვიემი“. მას სრული შემოქმედებითი თავისუფლება აქვს და კინოხელოვნების სფეროში გენიოსად არის შერაცხული გაზეთ „ვერაიეტის“ და მეფრინველეთა ჟურნალის მიერ. ერთმა ჰოლივუდელმა მაგნატმა განაცხადა: „ამ ტიპმა სტუდიის გადანვა რომ მოითხოვოს, ასანთს გავუნოდებ“. ბედის ირონია ნახეთ: როცა მან მართლაც სცადა, მაშინვე დაცვას გამოუძახეს.

მანქანა გვაჩერე და მოხითხითე, კმაყოფილებით სახეგაბრწყინებული მომსახიობო გოგონები შეენიშნე, რომლებიც ეზოდან გამოდიოდნენ.

– ისევ ვკანკალებ, – თქვა ნაბლისფერთმიანმა, – თავდავინყებთ მეალერსებოდა და თან როიალზე უკრავდა, აკომპანიმენტისთვის.

– მე კი ისე ადრე ჩავფლავდი, – უპასუხა წითურმა, – ნომერი მომცეს და რიგს ველოდი. დამიძახა, შევედი და მაშინვე სექსი დავინყეთ, მერე ისევ სექსი, მერე ისევ. მასხოვს, გონზე რომ მოვედი, პალატაში ვინექი და მედდა ჩაის ფინჯანს მიწვდიდა.

ზარი დავრეკე. კარი თეთრ პიჯაკ-

ში გამონკეპილმა ჩინელმა მსახურმა გამიღო. სახლში კაცის თვალთ არჩეული, მუქი ხის ავეჯი დამხვდა. მისი ოთახის კედლებს სიყვარულით გათანგული ქალების ავტოგრაფიანი სურათები ამშვენებს. მსახიობები და მოდელები ადამიანის სიმაღლეზე განწკრივებულან, მათ ზემოთ კონგრესმენი ქალბატონები, ტელენამყვანები და ისრაელის მეოთხე პრემიერ-მინისტრი გოლდა მეიერი დათვის ტყავზე განისვენებენ. ქვედა რიგი სტომატოლოგებისთვის, სტიუარდებისა და მაღლიერებით მომზირალი, თვალბანყლიანებული ქალებისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც ლეპროზორიუმის ბინადარი ბრძანდებიან. და-

**აბა, რატომ უნდა  
დაეთანხმოს ჰოლივუდის  
ყველაზე ქარიზმული  
მსახიობი, მისტერ  
სარბადაყლაპული  
ინტარპიუს მისმაჯა  
19 წლის უსნოზ გოგოს,  
რომელსაც მხრებამდე  
დაფენილი ქერა თმა,  
ბრძელი, ბარუჯული  
ფხეხი, ღიღუბული რაღას-  
რაღასები და ისეთი ღიმილი  
აქვს, ყ-ქრომოსოშიანთა  
მოღბას ერთიანად რომ  
ასამტყპარებს?**

ბალ მაგიდაზე რამდენიმე სუვენირიც დევს, მათ შორის, მარგარეტ თეტჩერის საჩუქარი – ოქროს ხელბორკილები. როგორც მითხრეს, ვარსკვლავი ყველაზე მეტად იმ ორნამენტებიანი „როლექსით“ ამყობს, დედა ტერეზამ წმინდა ვალენტინის დღეს რომ აჩუქა.

იქაურობა მოვათვალერე და მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ჩემს ანატომიურ თავისებურებებს ორი ანთებული თვალი გამომცდელად აფასებდა. მივბრუნდი, რათა საკუთარი თვალთ მენახა, როგორი სახით მაკვირდებოდა ამერიკის №1 კომერ-

ციული სატყუარა სრულყოფილ ტაკოზე.

– ვა, მაგარია, – თქვა, თან ფეხებზე მომაშტერდა, – ვარჯიშობ, არა? აპერიტივი ხომ არ შემოგაპარო? ცოტა ჩავუფინოთ, ჰა?

უმაგრესი ტიპი აღმოჩნდა. იოლად მიხვდებოდი, რატომ იღებდნენ ირვინგ თალბერგის პრემიას მისი პარიკმახერები და ვიზაჟისტები.

– „რეგლონი“ ჩრდილები თვალბანებზე და „ანაისის“ სუსტი სურნელი, რომელსაც ირგვლივ აფრქვევ, მაფიქრებინებს, რომ სასმელებიდან „სტოლი მარტინის“ აირჩევდი ლიმონის თხელი ნაჭრით. მითხარი, თუ ცცდები, – ჩამეძია.

– როგორ მიხვდით, რომ სწორედ ამ სასმელზე გონებას ვკარგავ? – ვკითხე და ვიგრძენი, რომ აღგზნების პირველმა ტალღამ ზურგის ტვინში დამცხო.

– ინტიუციით, – მიპასუხა მან, – უბრალოდ, ქალის ფარული სურვილების გამოცნობა შემიძლია. აი, ასე გავიგე, რომ შენი საყვარელი ლექსია ედნა მილერის Recuerdo, საყვარელი მხატვარია კარავაჯო და საყვარელი სიმღერა – „კარპენტერის“ Goofus.

– „ვერაიეტი“ არ იტყუება: მართლაც ახალგაზრდა აღუნ დელონს ჰგავხართ.

– ეს იმიტომ, რომ გროპი მქონდა და ბოლომდე ჯერ არ გამოვჯანმრთლებულვარ, – მითხრა და სასმელი გამომინოდა, – მინდოდა, მიქელანჯელოს დავითის გარეგნობა მქონოდა და თანდათან დავემსგავსე კიდეც.

როცა დაურეკეს, იმდენი კი მოვისმინე, რომ მივხვდარიყავი: ერთ-ერთი პოლიტიკური თანამოაზრე ესაუბრებოდა. გამჭრიახობითა და შორსმხედველობით გამორჩეული ვარსკვლავი ხომ კინოშედეგების შექმნით არ შემოიფარგლება და მთავრობის ზოგიერთ ნევრს ბანრებზე გამობმული თოჯინებით მოხერხებულად მართავს. ახლა დემოკრატების ლიდერები რეკავდნენ, რომლებსაც იუსტიციის სამინისტროში ვიღაც ქალის დანიშვნა უნდოდათ და მის შესახებ ყველაფერს იკვლევდნენ, კაცისგან კი იმის გაგება სურდათ, სიმართლეს ამბობდა თუ არა კანდიდატი ვაგინაში G-ნერტილის მდებარეობის შესახებ.

– მომენონა „მაკბეტის“ თქვენეული ეკრანიზაცია, – ვუთხარი, როცა ტელეფონზე საუბარი დაასრულა, – სცენარი გილდიასთან შეთანხმეთ?

– იმ სტრუქტორდელ კრიტიკან მიკრობებს ჩემმა ადვოკატმა მიხედა, – მიპასუხა მან, – საბოლოოდ, თანაავტორობაზე შევთანხმდით.

მეორე ჭიქა მარტინის წრუპვით ბლოკნოტი და ფანქარი ამოვიღე, თან წვივსაკრავი გავისწორე იმ იმედით, რომ ამას ვერ შეამჩნევდა.

– პირდაპირ საქმეზე გადავალ: როგორ ახერხებთ, რომ ხელოვნების სფეროში წარმოუდგენლად ნაყოფიერად იმუშაოთ და დროც დაგრჩეთ იმისთვის, რომ ამდენი ქალი ლოგინში ჩაინვინოთ?

– თავიდან მართლაც გამიჭირდა, – გულწრფელად აღიარა, – ჩემს განრიგს სექსი კი არ ანადგურებდა, არამედ ის, რაც მას მოსდევდა: ორგანიზმის შემდეგ სავალდებულო სიგარეტი და ლაქლაქი. ერთ დღეს კი აზრად მომივიდა, ვინმე დამეჭირავენბინა, ვინც სინაზის წუთებში ჩამენაცვლებოდა. ჰოდა, ყველაფერი შეიცვალა. უკვე აღარ მიწევდა წოლა და სენტიმენტალური ბოდვის მოსმენა იმის შესახებ, თუ როგორ ამოტრიალდა დედამინა. დროც გამომითავისუფლდა ფილმების სცენარებზე სამუშაოდ და ახალთახალი კონცეფციების მოსაფიქრებლად.

სწორედ ამ დროს ჩინელი მსახური შემოვიდა და მოახსენა, სიეტლიდან ავტობუსით გარეუბნელი დიასახლისები ჩამოვიდნენ, როგორც ჩანს, კონკურსში გამარ ჯვებულებიარ იანო.

– ზემოთ აიყვანე, – უთხრა მსახურს, – ყველაფერი გაიხადონ. ერთჯერადი კაბები დაურიგე და უთხარი, ქამრები წინ შეიკრან. ცოტა ხანში მეც ამოვალ.

– საიდან იღებს სათავეს თქვენი უსაზღვრო სექსუალური ენერგია? – ვკითხე მას, – იმას ვგულისხმობ, 12 000 ქალზე მეტი რომ... ზოგჯერ დღეში რამდენიმეც.

– ამას ძირითადად კარიესის თავიდან ასაცილებლად ვაკეთებ, ძაფით კბილების წმენდასავითაა. წლების წინ შევნიშნე, რომ თუ სექსის გარეშე დავიძინებდი, ღრძილების გასწვრივ რალაც ლაქები მიჩნდებოდა.



**„თავიდან მართლაც გამიჭირდა, გულწრფელად აღიარა, – ჩემს განრიგს სექსი კი არ ანადგურებდა, არამედ ის, რაც მას მოსდევდა: ორგანიზმის შემდეგ სავალდებულო სიგარეტი და ლაქლაქი“.**

– წარმოუდგენელ ოსტატობას უნდა ამჟღავნებდეთ ქალების საძინებლებში, – არ ვეშვებოდი, თან ვცდილობდი, წამის მეათასედით მაინც წარმომედგინა, რა უნდა ყოფილიყო სექსი ემილი ბრონტეს ჰითკლიფისა და ამერიკული სადოლე ცხენის ნაჯვართან.

– გამომცადე, – მითხრა და მექსიკელ მოხეტიალე მუსიკოსებს ანიშნა, შემოდიეთ.

– საქმრო მყავს, – წინააღმდეგობა გავუწიე.

– აბა, შენს საქმროს შეუძლია ამის გაკეთება? – მკითხა და ყირაზე გადავიდა, მერე კი ღიმილით ისევ ორ ფეხზე დადგა.

დავიჩურჩულე:

– იცით რა, მე და ჰემიში შევთანხმდით, რომ მე ვისთანაც მივსახარებ, იმასთან დავწვები, ტელევიზორის პულტი კი მისია.

მერე მან ტუჩებში მაკოცა და ტრუსი უცნობი მეთოდით გამხადა. თვალთ დამიბნელდა. მახსოვს, რომ ვილაც – თვითონ ის თუ მისი ასისტენტი – ყურზე ფრთხილად მკბენდა. მოგვიანებით გავიგე, რომ სექსის შემდეგ ჩამხუტებლის გარდა, გამხურებელი ბიჭიც აუყვანა, რათა სასიყვარულო პრელუდიაზე ძვირფასი წუთები არ დაეკარგა. მახსოვს, გულში მაგრად მიკრავდა და თან სიქას მაცლიდა, როცა ცხოვრებაში პირველად სექსის დროს თვალწინ ნამდვილი ფოიერვერკი გადამეშალა. ამ ამბავში რომ ვიყავი, ჰემიშმა მობილურზე დამირეკა. მოვატყუე, ვმუშაობ-მეთქი, მაგრამ როცა მკითხა: „ფოიერვერკის ხმა მესმის, ჩაინათუნში ხარ?“, მიხვდი, რომ მიხვდა. სექსის მერე მისტერ სარგადაყლაპული იმაზე მესაუბრა, თუ როგორი განსაკუთრებული იყო ეს ყველაფერი მისთვის და რომ მე ერთადერთი ქალი ვიყავი, ვისთანაც ნამდვილი სითბო და სიახლოვე იგრძნო. ამის შემდეგ მთხოვა, ღია ფანჯარასთან სკამზე ვმჯდარიყავი, სანამ ის მთელი ძალით აწვებოდა რალაცას, რასაც ეწერა: „შორს გატყორცნის ღილაკი“. იქაურობა საკმაოდ სწრაფად დავეტოვე, მანამდე კი სუვენირი მივიღე – ორგანული მინის ბურთი, რომელზეც რომანტიკულად ამოუტკვიფრავთ ციფრი 12 989.



# INTEX®

აუზები და  
აქსესუარები  
ზღვისა და  
აგარაკისთვის

## ინტექსი

კოსტავას ქ. 74  
წერეთლის გამზ. 1  
(სავაჭრო ცენტრი "შეცხრე ცა")  
ტელ.: 899 92 40 49



ინტექსი

საბავშვო ინტექსი

# www.taichi-qigong.ge

ყოველდღიურად ერთი საათის  
განმავლობაში ოსტატი ნუკრი დიერაშვილი  
ატარებს თაიქისა და ჩიგუნის ვარჯიშებს:  
დილით 8 ს-დან გოტანიკურ პალში;  
საღამოს 18.30 ს-დან 89-9 სააკადემიის  
სარეაბილიტაციო დარბაზში

თაიქი არის თვითშემეცნების,  
ადამიანის შესაძლებლობების  
რეალიზების, საკუთარ თავში  
რწმენის, სულიერი და ფიზიკური  
ჯანმრთელობის გაუმჯობესების  
ერთ-ერთი საუკეთესო და  
ეფექტური მეთოდი.

მობ.: 8 99. 79 99 51

**თაიქი ჩუანი**



NUKRI DIERASHVILI TAIJI QUAN, QIGONG

# დისკუსია

## ქართული ლიტერატურის უკანასკნელი 20 წელი

ავტორი: ნინო ბაქიშვილი



### მონაწილეები:

შოთა იათაშვილი  
მწერალი

ლაშა ბულაძე  
მწერალი

მალხაზ ხარბედია  
მწერალი

რატი ამალღობელი  
მწერალი

შოთა გაგარინი  
მწერალი

ქეთი ქანთარია  
მთარგმნელი

რა გზით ვითარდება ქართული მწერლობა, როგორი პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს ლიტერატურის მიმართ და რა პროცესები მიმდინარეობს ქართულ ლიტერატურაში უკანასკნელ ოცნლეულში – ამ თემებზე ვისაუბრეთ „ცხელი შოკოლადის“ რედაქციაში გამართულ დისკუსიაზე.



**რა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში? მახსოვს, 90-იანებში, როცა ცენზურა მოიშალა, საკმაოდ ცოცხალი ლიტერატურული პროცესი მიმდინარეობდა, თითქოს დღევანდელზე ბევრად საინტერესო და დატვირთული.**

**შოთა გაგარინი:** არ მოვსწრებებივარ, მაგრამ საბჭოთა დროს ბევრი ფიქრობდა, რომ მწერალი მედიატორია ღმერთსა და კაცს შორის და მწერლები ღმერთების სიტყვებს ახმოვანებდნენ. მოხდა მათი საკრალიზაცია და მითოლოგიურ ბურუსში გახვევა. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ კი სააზროვნო სივრცე თითქმის არ შეცვლილა, იგივე დარჩა. როცა კარლო კაჭარავა ამბობდა, – ქართველების სარწმუნოება „მამათმადიდებლობაა“, – ის სწორედ ლიტერატურასთან დამოკიდებულებას გულისხმობდა. საბჭოთა კავშირში მწერლობა სარფიანი ბიზნესიც იყო, 90-იანების მერე ეს ბიზნესი გაქრა, მაგრამ დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ თითქმის არ შეცვლილა. დღეს მათი მხატვრული ტექსტები აღარავის აინტერესებს, „მწერლები“ აღარ არიან, მხოლოდ „ქართული პროზის“ ტომებში დარჩნენ, თუმცა, რატომღაც მაინც მოითხოვენ პრივილეგიებს.

**რატი ამალლობელი:** საბჭოთა დროს, შევარდნაძის ეპოქას ვგულისხმობ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს იმხელა ძალაუფლება ჰქონდა, შეეძლო დაეხვრიტა კაცი ან სიკვდილს გადაერჩინა. ეს ძალიან დიდი თანამდებობა იყო. არსებობდნენ ფუნქციონერი მწერლები, რომლებიც მეგობრობდნენ იმდრინდელ პოლიტიკურ ელიტასთან. თუმცა, მწერლობას რეალურად რა გავლენა ჰქონდა ცოცხალ სოციალურ პროცესზე, ეს მაშინ არ გაზომილა და დღეს უკვე შეუძლებელია ამის გაგება. ცხადია, მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნამდვილ ლიტერატურას ქმნიდნენ და ლიტერატურულ პროცესს სწორედ ისინი წარმართავდნენ.

**მალხაზ ხარბედია:** ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: ბევრ ადამიანს, ვინც დღეს მწერლად იწოდება, განსაკუთრებით ძველი თაობას წარმომადგენლებს, დაკარგული აქვს განვითარების, წინსვლის სურვილი და უნარი. არ კითხულობენ არაფერს ახალს და 30-40 წლის წინათ წაკითხული წიგნებით ცხოვრობენ. როცა ახალგაზრდა მწერლებზეა საუბარი, მათგან ხშირად გაიგონებთ ხოლმე ამგვარ ფრაზებს: „მიდი, აბა, დამიწერე, როგორც ჰემინგუეი წერდა!“ ან „დამიწერე, როგორც ბროდსკი წერდა!“ ისინი საკუთარი წარუმატებლობის გამართლებას ცდილობენ და განუწყვეტლივ იმაზე ლაპარაკობენ, რომ აქ საინტერესო არაფერი იწერება, არაფერია წასაკითხი.

**შოთა იათაშვილი:** 90-იანებში, სადაც უნდა ჩაგვეტარებინა პოეზიის საღამოები, აუდიტორიები სულ გადატენილი იყო. ახლა შესანიშნავი კაფეებია, მაგრამ მაშინ თითქოს უფრო დიდი ენთუზიაზმით მოდიოდა ხალხი, აინტერესებდათ ახალი მწერლების მოსმენა. დღეს დიდი ნაწილი „ტუსოვკის“ გამო დადის ლიტერატურულ საღამო-

ებზე. შეიძლება სწორედ იმიტომ იყო ამხელა ინტერესი, რომ ერთი ეპოქა მთავრდებოდა და ახალი რაღაც იწყებოდა, სხვა ჟღერადობა წამოვიდა, სხვა თემები გაიხსნა. უკვე 18 წელია, სულ სხვადასხვა ჟურნალებში ვარ, სულ სარედაქციო სამუშაოს ვენევი. 1992 წლიდან გამოდიოდა „რუბიკონი“, „მესამე გზა“, ლიტერატურა და სხვა“, მოგვიანებით გაჩნდა „არილი“ და „ალტერნატივა“. მაშინ თითოეულ ჟურნალს თავისი გამორჩეული სახე, კონცეფცია ჰქონდა. დღეს ლიტერატურული პრესაც გაუსახურდა. თითქოს შესაძლებლობები მეტია, მაგრამ ჟურნალების რაოდენობამაც და ხარისხმაც მოიკლო. მე-20 საუკუნის მიწურულს ბევრი საინტერესო ავტორი გამოჩნდა. ლაშა და რატი, ზაზა ბურჭულაძე, დათო ქართველიშვილი, ირმა ტაველიძე და ძალიან ბევრი, ყველას ვერც ჩამოვთვლი. მაშინ ახალგაზრდა მწერლები სწორედ იმ კარგ ჟურნალებში მიდიოდნენ და რედაქტორებთან ჰქონდათ ურთიერთობა. დღეს კი, როდესაც გაჩნდა ლიტერატურული ვებ-გვერდები და ბლოგები, ეს კავშირი დაირღვა. არადა, რედაქტორთან ურთიერთობა ძალიან ეხმარება ავტორს, სწრაფად განვითარდეს. ახალი თაობა კი მეტწილად თვითკმარია. დანერგნენ რაღაცას, გამოაქვეყნებენ ინტერნეტში და მერე ერთმანეთს უქებენ ნაწერებს.



ქეთი ქანთარია

აღარ მახსოვს, ზუსტად რომელი ქართველი მწერალი ამბობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ ფრაზა ჩამრჩა, – მე არ შემიძლია მოსკოველი კოლეგების მსგავსად გამოვრთო ტელეფონი, მოვწყდე ყველა საქმეს და მხოლოდ ვწეროო. მაშინ მიკვირდა, რატომ არ შეეძლო ამის გაკეთება. დღესაც მიკვირს, რატომ მონაწილეობენ მწერლები პროცესებში, რომლებიც მალევე აღმოჩნდება, რომ არც ფასეულია და არც მნიშვნელოვანი. რა გვიშლის ხელს, რომ ეს თავიდანვე დავინახოთ?

**მალხაზ ხარბედია:** ქართულ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქართულ პოლიტიკაში, ყველაზე უფრო დამაიმედებელი პერიოდი ახალი საუკუნის დასაწყისის დაემთხვა. 2001-2002 წლებში ფილარმონიაში გამართული წიგნის ფესტივალები მართლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ყველანი ანთებულები ვიყავით, რაღაცას ველოდებოდით, იმედები გვქონდა და უცებ, რაღაც მომენტში, 2003 წლის შემდეგ ეს ყველაფერი ხელში შემოგვეფშვნა. ინიციატივებიც გაქრა. საქართველოში გაჩნდა რაღაც მექანიზმები, რამაც ყველაფერი პიარად აქცია, და მეორე მხრივ – ადამიანები რისხვის მანქანას დაუქვემდებარა. ისეთ მახეში გავებით, როცა ლიტერატურა ნაკლებად გვაინტერესებს. ეს მექანიზმები თვითონ წარგმართავს. თუ გაზეთში ან ჟურნალში სვეტი გვაქვს დასაწერი, არ ვწერთ ლიტერატურაზე, სხვა თემებს ვირჩევთ. ბევრმა ხელი ჩაიქნია,



ლაშა ბულაია

„გასაგებია, რომ მთავრობა ლიტერატურულ ოაზისს ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ რაღაცებს თანმიმდევრულად და ჯიუტად უნდა მოვითხოვდეთ. არადა, თუკი ამ ოცი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში რაიმე შექმნილა საინტერესო და ხარისხიანი, ეს უპირველესად ქართული ლიტერატურაა“.

ბევრი კარგი მწერალი დღეს უბრალოდ აღარ წერს, სხვა საქმე ნახა; ბევრი – რადიკალურ ოპოზიციაში წავიდა. არიან ისეთებიც, სამთავრობო ღონისძიებებს რომ ხელმძღვანელობენ, ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ. მოხდა ისე, რომ ქართული ლიტერატურა თანამედროვე ქართულ პოპ-პოლიტიკურ კულტურას შეეწირა.

**რატი ამალლობელი:** ლიტერატურა აღარ არის პირველხარისხოვანი თვითონ ლიტერატორებისთვის...

**მალხაზ ხარბედია:** ლიტერატურა არც არასდროს ყოფილა პირველხარისხოვანი. ეგეც გასული საუკუნის 70-იანი წლების მითია.

**ლაშა ბულაია:** 90-იანების დადგომასთან ერთად მკითხველი ერთგვარად „გაიცხრილა“, მისი კრისტალიზაცია მოხდა. შეგახსენებთ, ეს ის დრო იყო, როცა ტელევიზორში კარგ ფილმს კვირაში ერთხელ, „ილუზიონში“

ვუყურებდით და აკაკი ბაქრაძის ლექციები გვაოცებდა. დღეს ის, რასაც აკაკი ბაქრაძე ლაპარაკობდა, მეტნაკლებად ყველამ ვიცით, მაშინ კი ნამდვილი შოკი იყო. კარგად მახსოვს, როცა დათო ბარბაქაძე უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში „ტრფობა ნამებულთას“ კითხულობდა (ვფიქრობ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა სწორედ ამ ტექსტით იწყება), როგორ გარბოდა ხალხი – დგებოდნენ და გადიოდნენ. სწორედ ესაა გაქცეული მკითხველი. მკითხველთა მცირე აუდიტორია, რომელიც მაშინ დარბაზში დარჩა, განვითარდა და დღეს ბევრ სხვადასხვა ტექსტს კითხულობს. რაც 90-იანებში გვაოცებდა, მაგალითად, „რეაქტიული კლუბის“ ავტორთა ლექსები და დათო ბარბაქაძის შემოქმედება, დღეს აღარ გვაკვირვებს. თუმცა, მაშინდელ კარგ ტექსტებს მნიშვნელობა არ დაუკარგავთ, რადგან ეს კარგი ლიტერატურაა. ის ისტერია კი, რაც დაახლოებით 20 წლის წინ „ტრფობა ნამებულთას“ მოჰყვა, დღესაც აქტუალურია – გავიხსენოთ ერეკლე დეისაძის წიგნთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი.

საბჭოთა დროს 80 000-იანი ტირაჟები იყიდებოდა, მაგრამ ამდენი ადამიანი ნამდვილად არ კითხულობდა. ვფიქრობ, მკითხველი რამდენიც იყო, რეალურად იგივე დარჩა. პრობლემა ისაა, რომ მათი რიცხვი არ იზრდება.

**შოთა იათაშვილი:** ადამიანების დიდი ნაწილი ზღვარზეა – ერთი ნიბიჯი, და აღარ წაიკითხავს. საბჭოთა დროს „ცისკარი“ და მნათობი“ გამოწერილი ჰქონდათ, შინ მისდიოდათ და ძალაუწებურად კითხულობდნენ. თუკი ადამიანი მკითხველია, მას ვერაფერი შეუშლის ხელს, მაგრამ თუკი ყოყმანობს, რაღაც უნდა დაეხმაროს იმაში, რომ წიგნისაკენ გადმოიხაროს.

**მალხაზ ხარბედია:** საბჭოთა დროს სხვა სისტემა იყო. მაგალითად, გამოვიდოდა რომელიმე ბობოლა მწერლის წიგნი 50 000-იანი ტირაჟით და დიდ ნაწილს ისევ სახელმწიფო ყიდულობდა – მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან სხვა რომელიმე უწყება. საინტერესოა, მკითხველმა, რომელიც 80-იან წლებში არსებობდა, რატომ დაანება თავი კითხვას. მაგრამ ნუ დაგვაინწყებთ ისიც, რომ ქართველებმა კითხვა მეცხრამეტე საუკუნეში დავიწყეთ და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აუცილებლობას.

**რატი ამალლობელი:** რა არის წიგნის კითხვა? ეს უნარჩვევაა და საკითხავია, საქართველოში საზოგადოების რა ნაწილს აქვს ის. უკანასკნელი 30 წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში კითხვა, როგორც უნარჩვევა, ვერ ჩამოყალიბდა. რასაკვირველია, ბრეჟნევის „ზასტოის“ დროს, მასლოუს შკალა რომ მოვიხმოთ, ყოველი მეოთხე მანეთი განათლებაზე და წიგნებზე იხარჯებოდა, მაგრამ ეს ჩვევა უმალ გაქრა, როგორც კი მოვიდა უშუქობა და გაჭირვება.

ჩემი მოზარდობის დროს წიგნით ხელში ქუჩაში გავლა ძალიან რთული რამ იყო. ეს ჩვენი ბავშვობაა და ის რეალობა დამორებულია დღევანდელია – დიდად არაფერი




შეცვლილა. ნიგნიერი თუ იყავი, არც გოგოს მოსწონდი და, რაც ყველაზე უფრო გასაკვირია, არც მასწავლებელს. ჩვენ იმ ეპოქაში გავიზარდეთ, სადაც ნიგნიერება წარუმატებლობის, „დაქლიავებულობის“ და კრეტინიზმის სინონიმი იყო. ლაშა ბულაძისგან ფირფიტა და ნიგნი რომ უნდა წამომეღო ან მიმეტანა, ბუფერული ზონები უნდა გამომეველო, რაც იოლი არ იყო. ეს ხალხია დღეს ჩვენ ირგვლივ და ნიგნების სამიათასიანი ტირაჟები, წესით, არ უნდა გვიკვირდეს.

**ლაშა ბულაძე:** ამას წინათ ასეთი რამ გადამხდა – სკოლაში ვიყავი მიწვეული, ერთ ბიჭს მოერიდა გოგონების თანდასწრებით ავტოგრაფი ეთხოვა ჩემთვის. მოვიდა მასწავლებელი, მოხუცი ქალი, სადღაც მიფარებულში გამიყვანა და ჩუმად მომანერინა ხელი.

**შოთა გაგარინი:** ბიჭებმა, ვინც ნიგნებით ხელში დადიოდნენ, ხელშეუხებლები რომ ყოფილიყვნენ, გადაწყვიტეს, გიჟები გამხდარიყვნენ. ხომ გაგიგიათ ასეთი ფრაზა – „გიჟი კაცი – პოეტი კაცი!“ მოგვიანებით მათ თვითონ დაიწყეს წერა და თავს ამით იმართლებდნენ. მგონი, ამიტომაცაა lib.ge-ზე ამდენი ტექსტი.

**ქეთი ქანთარია:** მომეჩვენა, რომ ბევრი ვისაუბრეთ, რა დამართა მკითხველს და არ ვილაპარაკეთ იმაზე, რა დამართა მწერალს. როგორც ჩანს, მკითხველები უნდა მოგვეწვია იმისთვის, რომ მწერლებზე ელაპარაკათ. მე 1992 წლამდე ყოველდღე რაღაცას ვკითხულობდი, ვყლაპავდი ნიგნებს, მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ ბევრი წელი იოლად ვაგდებდი ნიგნებს, რადგან უმეტესად არ მომწონდა ის, რასაც ვკითხულობდი. აღარ მახსოვს, ზუსტად რომელი ქართველი მწერალი ამბობდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მაგრამ ფრაზა ჩამრჩა, – მე არ შემიძლია



შოთა გაგარინი

„საბჭოთა კავშირში მწერლობა სარფიანი ბიზნესიც იყო, 90-იანების მერე ეს ბიზნესი გაქრა, მაგრამ დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ თითქმის არ შეცვლილა. დღეს მათი მხატვრული ტექსტები აღარავის აინტერესებს, „მწერლები“ აღარ არიან, მხოლოდ „ქართული პროზის“ ტომებში დარჩნენ, თუმცა, რატომღაც მაინც მოითხოვენ პრივილეგიებს“.

მოსკოველი კოლეგების მსგავსად გამოვრთო ტელეფონი, მოვწყდე ყველა საქმეს და მხოლოდ ვწერო. მაშინ მიკვირდა, რატომ არ შეეძლო ამის გაკეთება. დღესაც მიკვირს, რატომ მონაწილეობენ მწერლები პროცესებში, რომლებიც მალევე აღმოჩნდება, რომ არც ფასეულია და არც მნიშვნელოვანი. რა გვიშლის ხელს, რომ ეს თავიდანვე დავინახოთ?

**შოთა იათაშვილი:** ადრე მწერალი მარტო იყო ფურცელთან და კალამთან. დღევანდელი მწერალი კომპიუტერთან ზის, თან წერს, თან სკაიპში ვილაც ეძახის, თან ფეისბუქზეც პოსტავს. პარალელურად, მობილურზეც ვილაც უგზავნის მესიჯს ან ურეკავს. დღეს ძნელია, მარტო დარჩე. თან კომპიუტერთან რომ წერ, შავ პირს, როგორც წესი, აღარ ინახავ, რომ მერე შეადარო, ახალი ვარიანტი ჯობია თუ წინა და ა. შ. როგორც ამბობენ, ტოლსტოიმ „ომი და მშვიდობა“ რვაჯერ გადაწერა. დღევანდელმა მწერალმა შეიძლება ერთხელაც არ გადახედოს თავის ნაწერს, ისე გაუშვას სტამბაში.

**ლაშა ბულაძე:** კომპიუტერი უბრალოდ აჩქარებს პროცესს. მარკესს აქვს ნათქვამი, – კომპიუტერი რომ მომსწრებოდა, ორჯერ მეტ წიგნს დავწერდიო.

**მოქმედებს თუ არა ლიტერატურულ პროცესზე ის, რომ დღეს მწერლობით შეუძლებელია თავი ირჩინო?**

**მალხაზ ხარბელია:** აბსურდია იმაზე საუბარი, რომ სადმე და, მით უმეტეს საქართველოში, მწერალმა თავისი ტირაჟებით იცხოვროს. მწერალს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას პირობები, რომ იმუშაოს ისეთ სფეროში, რომელიც ახლოა მის საქმიანობასთან – მწერლობასთან. ვგულისხმობ იმას, რაც დასავლეთში ხდება: მწერლები



მალხაზ ხარბელია

„საინტერესოა, მკითხველმა, რომელიც 80-იან წლებში არსებობდა, რატომ დაანება თავი კითხვას. მაგრამ ნუ დაგვაინწყდება ისიც, რომ ქართველებმა კითხვა მეცხრამეტე საუკუნეში დავიწყეთ და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აუცილებლობას“.

ლექციებს კითხულობენ, ან მცირე კვლევებს აწარმოებენ, ან ესეებს და სტატიებს წერენ. ჯონ აპდაიკს დიდი ტირაჟები ჰქონდა, მაგრამ მეტი იყო ის ჰონორარი, რასაც სტატიებში იღებდა. არსებობს სტიპენდიები და პროგრამები, რომლებიც აფინანსებენ მწერლებს. არაფერ შუაშია კონფორმიზმი, თითქოს სახელმწიფო მოახდენს სუბსიდირებას და მერე, სანაცვლოდ, რამეს მოითხოვს. ჯგუფ „მგზავრებივით“ პატრულს ხომ არ უნერ სიმღერას, შენ საქმეს აკეთებ – მაგალითად, იკვლევ პოეტს, ან რომელიმე მნიშვნელოვან მწერალს თარგმნი... ჩვენთან ამის მსგავსი არაფერი ხდება.

**შოთა გაგარინი:** ზურაბ ლეჟავა მშრალ ხიდზე დგას და ძველმანებს ყიდის. არადა, იმ უნარების გათვალისწინებით, რაც მას აქვს, შეიძლება ისეთი საქმე მოეძებნა, რომ სარგებელი ორმხრივი ყოფილიყო.



რათი ამალობელი

„დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ფილოსოფია ასეთია: ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერს. ეს მიდგომა ლიტერატურისთვის სიკვდილია. დაახლოებით იგივეა – ბებია აღარ არის რენტაბელური, ამიტომ უნდა ავიყვანოთ გორაზე და დავკლათ. ამ ფილოსოფიას ბოლოს აქამდე მიყვავართ“.

**შოთა იათაშვილი:** 90-იან წლებში დათო ჩიხლაძე, ომარ თურმანაული, მე და კიდევ ბევრნი ვიდექით რუსთაველზე და წიგნებს ვყიდდით...

**რათი ამალობელი:** მნიშვნელოვანია სახელმწიფო რა პოლიტიკას ატარებს: მემარჯვენეა, მემარცხენეა თუ ცენტრისტი. შესაბამისად უნდა ვილაპარაკოთ კულტურის და კერძოდ, ლიტერატურის პოლიტიკაზეც. დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ფილოსოფია ასეთია: ბაზარი დაარეგულირებს ყველაფერს. ეს მიდგომა ლიტერატურისთვის სიკვდილია. დაახლოებით იგივეა – ბებია აღარ არის რენტაბელური, ამიტომ უნდა ავიყვანოთ გორაზე და დავკლათ. ამ ფილოსოფიას ბოლოს აქამდე მიყვავართ. ერთ ფაქტსაც გავიხსენებ, რომელიც კარგად აღწერს ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულებას მწერლობისადმი: კულტურის სამინისტრომ სასაჩუქრედ ქართველი მწერლების წიგნები იყიდა. შეეშალათ და ჭაბუა ამირეჯიბის წიგნიც

უყიდათ. რომ ნახეს, სასწრაფოდ დააბრუნეს, რადგან ჭაბუა ამირეჯიბი დღევანდელი ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად არამიზანშეწონილი ავტორია. ისევ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო თუ იტყვის, რომ ლიტერატურა ვინრო პოლიტიკური ინტერესების მიღმა აინტერესებს, მაშინ უკვე საქმეა. ანდა, თუ იტყვის, რომ განათლება მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და არა როგორც ბერკეტი, რომელსაც არჩევნების დროს გამოიყენებს, რაღაც შეიცვლება. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პრობლემაა.

**მალხაზ ხარბელია:** გადავხედოთ, რა ხდება ევროპის ქვეყნებში. სლოვაკეთში მარტო მთარგმნელების ჰონორარად 2005 წელს გათვალისწინებული იყო 25 ათასი ევრო. სლოვენიაში – 78 000, უნგრეთში – 82 000 და პოლონეთში – 274 000 ევრო. აქ მხოლოდ მთარგმნელების ჰონორარებზეა საუბარი. ამას გარდა, იქ დაფინანსების ბევრი სხვა წყაროა, გრანტები, სტიპენდიები და ა. შ. კერძო წყარო შეიძლება იყოს, მაგრამ სახელმწიფო მაინც ყველგან ერევა. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს „ნიგნის ნაციონალური ცენტრი“, კულტურის სამინისტროს „ნიგნისა და კითხვის დეპარტამენტის“ ჩვეულებრივი განყოფილება. მხოლოდ ამ განყოფილებაში 2005 წელს 21 მილიონი ევრო დაიხარჯა. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართული ლიტერატურის უცხოურ ენებზე თარგმნა ოდესმე ხომ უნდა დავინყოთ?

**ლაშა ბულაძე:** კულტურის სამინისტროში შედგა პროგრამის პრეზენტაცია, რომლის სახელწოდებაცაა „ქართული ლიტერატურისა და წიგნის ხელშეწყობის პროგრამა“. თუ ის ამუშავდა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ეს პროგრამა გულისხმობს ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციას, მთარგმნელების გრანტების დაწესებას, ლიტერატურული პრესის განვითარებას, საკმაოდ კომპლექსური პროგრამაა, და თუკი დაიწყება, მალევე გამოიღებს შედეგს. მაგრამ ჯერჯერობით ბიუჯეტი არ არსებობს. გასაგებია, რომ მთავრობა ლიტერატურულ ოაზისს ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ რალაცებს თანმიმდევრულად და ჯიუტად უნდა მოვითხოვდეთ. არადა, თუკი ამ ოცი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში რაიმე შექმნილა საინტერესო და ხარისხიანი, ეს უპირველესად ქართული ლიტერატურაა, მხოლოდ სახელოვნებო დარგებზე ვამბობ. თეატრი და კინო სრულ კრიზისშია, ასეთივე მდგომარეობაა მუსიკაშიც; ცხადია, აქ საშემსრულებლო სკოლას არ ვგულისხმობ.

საქართველოში ყველაზე კარგად წიგნს სატელევიზიო რეკლამა ყიდის. ამას წინათ ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში ვიყავი და მითხრეს, რომ დიდი რაოდენობით გაიყიდა ნოდარ დუმბაძის წიგნები. თურმე წინა დღით მათი ასათიანის „პროფილში“ ნოდარ დუმბაძის შვილები ყოფილან მინვეული; ასევე, სატელევიზიო რეკლამამ გაიყიდა დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, რეკორდული რაოდენობა, 15 000 ცალი გაიყიდა. ჩვენთან გამომცემლობებსაც არა აქვთ რაიმე მარკეტინგული ხედევა. მათ სხვა ტიპის შემოსავლები აქვთ და საკუთარი გამოცემული წიგნების პოპულარიზაციას არ ცდილობენ.

**ქეთი ქანთარია:** რადგანაც დღეს აქ ერთადერთი მთარგმნელი ვარ, მინდოდა, თარგმანის პრობლემაზე მელაპარაკა. სანამ აქ მოვიდოდი, დავფიქრდი, რომ პირადად მხოლოდ იმ მთარგმნელებს ვიცნობ, ვინც ისედაც მეცოდინებოდა, თარგმანის გარეშე. საქართველოში არ არსებობს სივრცე, სადაც მთარგმნელებს ერთმანეთთან ურთიერთობა გვექნებოდა. დღეს ხელში მეჭირა 1977 წლის „საუნჯის“ ნომერი, სადაც დაახლოებით 20 გვერდი ეძღვნება დისკუსიას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაონ ერთად მთარგმნელმა და რედაქტორმა. დღეს ამგვარი დისკუსიები აღარ არსებობს. ორი წლის წინ წერილი მივწერე კულტურის მინისტრს ნიკა რურუას. ვწერდი იმაზე, რომ შეუძლებელია ამ პირობებში თარგმნა, რადგან თარგმანი მოითხოვს დაგვემვას, რეჟიმს, ინტენსიურ ყოველდღიურ შრომას და სახელმწიფომ რაღაც უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მსოფლიო ლიტერატურა ქართულად ითარგმნოს. ცხადია, პასუხი არ მიმიღია, და დიდად არც ველოდი, რომ მივიღებდი...

**ლიტერატურის განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ ჩვენში თითქმის არ არსებობს კრიტიკა...**

**მალხაზ ხარბედია:** კრიტიკა, ერთი მხრივ, კითხვის კულტურის დანერგვაა, ის მწერალსაც ქმნის, მკითხველსაც და მათ ერთმანეთთან აკავშირებს. საქართველოში არც ლიტერატურათმცოდნეობის (თანამედროვე ლიტერატურის კვლევის) და არც კრიტიკის მხრივ, ფაქტობრივად, ტრადიციაც კი არ არსებობს და ახლა უნდა დაიწყოს რაღაც. ჩვენ არც საბჭოთა ლიტერატურა შეგვისწავლია და შეგვიფასებია. მაგალითად, რუსეთში ყველა ტიპის მოაზროვნემ შეაფასა საბჭოთა პერიოდი. საქართველოში კი ერთი წიგნიც არ დაწერილა იმდროინდელ ლიტერატურაზე. აღარ გაგრძელდა ის, რაც თავის დროზე აკაკი ბაქრაძემ დაიწყო, როცა „მწერლობის მოთვინიერება“ დაწერა. წიგნი კი არა, სტატიების ერთი კრებულიც ვერ გამოვეცით ჯერჯერობით.

**რატი ამაღლობელი:** ჩვენთან რეცენზიის დონეზეც კი კრიტიკაში ძალიან გაუდაბურებული მდგომარეობაა. ძალიან სუბიექტურად და ემოციურად უდგებიან ამ საქმეს. ხშირად დამწყებ პოეტებს რილკეს და ელიოტს უწოდებენ ხოლმე, რაც ძალიან ცუდად მოქმედებს ამავე ავტორებზე. როცა არ იწერება კრიტიკა, არ არსებობს მკითხველთან ანალიტიკური ხიდი. კრიტიკის კითხვა კიდევ ცალკე კულტურაა.

**ქეთი ქანთარია:** მახომ დაწერა ერთხელ, ვიდრე კრიტიკა არ არსებობს, კარგი იქნებოდა, მწერლებს ეწერათ ერთმანეთის წიგნების შესახებო. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველი მწერლები ერიდებიან ერთმანეთზე წერას.

**ლაშა ბულაძე:** ამას წინათ უნივერსიტეტში ახალგაზრდა პოეტების საღამოზე ვიყავი. ცხადია, ვგულშემატივრობ მათ, მაგრამ სრულ ჩინში არიან. გალაკტიონის მესიანიზმის, ტერენტი გრანელისა და მუხრან მაჭავარიანის პათეტიკას ვერ გასცდნენ. არის თუ არა კარგი პოეტი მუხრან მაჭავარიანი? მე ვფიქრობ, რომ არ არის. მაგრამ ამის



შოთა ნათაშვილი

„ადამიანების დიდი ნაწილი ზღვარზეა – ერთი ნიბიჯი, და აღარ წაიკითხავს. საბჭოთა დროს „ცისკარი“ და მნათობი“ გამონერილი ჰქონდათ, შინ მისდიოდათ და ძალაუწებურად კითხულობდნენ. თუკი ადამიანი მკითხველია, მას ვერაფერი შეუშლის ხელს, მაგრამ თუკი ყოყმანობს, რაღაც უნდა დაეხმაროს იმაში, რომ წიგნისაკენ გადმოიხაროს“.

შესახებ ქართველ კრიტიკოსებს არაფერი დაუწერიათ. პრობლემა ისიცაა, რომ ბევრი ავტორი იბუტება და პირადი ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან. მე მახსოვს, შოთამ ჩემი მოთხრობების კრებულზე საკმაოდ კრიტიკული სტატია დაწერა, მაშინ კი მეწყინა, მაგრამ ამ სტატიამ რაღაცნაირად გამზარდა.

**შოთა ნათაშვილი:** ჩვენთან ჰგონიათ, რომ ლიტერატურაზე მხოლოდ ლიტერატორებმა და მწერლებმა უნდა წერონ. დასავლეთში, და სხვათა შორის რუსეთშიც, ლიტერატურაზე წერენ ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ენათმეცნიერები, მთელი ჰუმანიტარული სპექტრი მონაწილეობს ლიტერატურის შეფასებაში. ეს პრობლემა ვერ მოგვარდება, სანამ ჰუმანიტარები ლიტერატურით არ დაინტერესდებიან. ჩვენთან ბევრი რამ არის გადასალაგებელი, ბევრი უსამართლოდ მივიწყებული ავტორია ამოსანევი. თუკი ქართულ ექსპრესიონიზმზეა საუბარი, კონსტანტინე გამსახურდიაზე და გრიგოლ რობაქიძეზე ბევრად მნიშვნელოვანი მწერალია დემნა შენგელაია, ან ბასილ მელიქიშვილი, რომელსაც თითქმის არავინ იცნობს.

**რამდენად ეხმიანება ქართული ლიტერატურა იმ თემებს, რაც დღეს მსოფლიოშია აქტუალური?**

**ლაშა ბულაძე:** ცხადია, მეტ-ნაკლებად ვიცით, რა ხდება თანამედროვე ევროპულ და ამერიკულ პროზაში. მე არ ვსაუბრობ მხოლოდ მყვირალა ავტორებზე. ჩვენთან ნამდვილად არსებობს ტექსტები, რომლებიც საინტერესო იქნებოდა დასავლელი მკითხველისთვის, მაგრამ მათი პოპულარიზაციისთვის არაფერი კეთდება.

**რატი ამაღლობელი:** სანამ არ გვეყოლება უცხოურ ენაზე თარგმნილი მაღალტირაჟიანი ავტორი, სამწუხაროდ, ამ თემაზე ვერ ვისაუბრებთ.





# დათო

ავტორი: ლევან ბერბერიძე  
ილუსტრაცია: მარიამ ზალდასტანიშვილი

თბილისი. ვეძინის ქუჩა 17. 1983 წელი. 23 ივნისი. დილის ექვსი საათი. სახლში სამნი ვართ – მე, ჩემი მეუღლე ინგა და დათო. სამივეს გვძინავს. სახლს ორი კიბე აქვს: ერთი ჩვენი და კარის მეზობელი იაშვილების საერთო ბაქანზე ადის, მეორე – ქორორაძეების ბაქანზე. ამ კიბეს ჩვენი ფანჯარა გადაჰყურებს. რალაც მოძრაობაა სწორედ ამ ფანჯარასთან და ეს ხმაური მალვიძებს. ფანჯრიდან მოჩანს ქორორაძეების კიბე და რამდენიმე სერიოზული იერის მამაკაცის სილუეტი ამ კიბეზე. სასწრაფოდ ვიცვამ და ცოლს ვაღვიძებ. ამასობაში ფრთხილი კაკუნი ისმის ჩვენს კარზეც. დათოს გაღვიძებას ვცდილობ. არ არის იოლი საქმე. წინა ღამით გვიან მოვიდა, ღრმად ძინავს და, საერთოდაც, არ არის დილის ექვსი საათზე გაღვიძების მოყვარული. თვალს რომ ახელს, „დავით, ადექიზე“ რეაქცია არ აქვს, მაგრამ ერთ ჯადოსნურ სიტყვას ვეუბნები, – მოვიდნენ-მეთქი, – და ყველაფერს ხვდება. კარს ვაღებ და ჩვენს ბინაში იჭრება ექვსიოდე კაცი, ერთი ამდენი ორ კიბეს „ამაგრებს“. ჩემი გაღვიძებიდან ამ შემოჭრამდე გავიდა ოციოდე წამი. სისწრაფეს და ყველაფრის პროზაულ, საქმიან ხასიათს საგნები და მოვლენები არარეალურ სამყაროში გადაჰყავს. მოხდა ის, რასაც მრავალი წელი სიკვდილივით ველოდით და ამის შემდეგ დაიწყო სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. საქართველოს უშიშროებამ დაგვისვა მიჯნა, ჩვენი სიცოცხლე გაკვეთა, გაჰყო ორ პერიოდად – 1983 წლის 23 ივნისის დილის ექვსი საათამდე და ექვსი საათის შემდეგ.

დაუპატიუებელ სტუმრებს მეთაურობს პოლკოვნიკი გერსამია, რომელსაც უკვე ვიცნობ, დაკითხვაზე ვარ მასთან ნამყოფი. მსოფლიო ისტორია იცნობს სახელგანთქმულ ძმებს – ძმე-

ბი გაიუს და ტიბერიუს გრაკუსები, ძმები იაკობ და ვილჰელმ გრიმები, ძმები ოგუსტ მარი ლუი ნიკოლა და ლუი ჟან ლუმიერები, ძმები ჯონ და ანდრია ბალანჩივაძეები, ძმები ჯონ, რობერტ და ედვარდ კენედები, ძმები კარამაზოვები, როკო და მისი ძმები... ჩვენში კარგად იცნობენ თემურ გერსამიას, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ დაიმსახურა, რომ გაცივოს მისი ძმაც, სუკის პოლკოვნიკი გერსამიაც. ამ ძმებს მცირე საოჯახო ბიზნესი ჰქონდათ საბჭოთა საქართველოში: ერთი ძმა უშიშროების კომიტეტში მუშაობდა და მეორე მოსამართლე ბრძანდებოდა. ერთი ძმა იჭერდა და მეორე


ნაგებდა, სამძებროს – პოლკოვნიკი ალექსანდრე მირიანაშვილი, უშიშროებიდან წამოსულ საქმეებს სასამართლოში მუდმივად გიორგი სვანიშვილი პროკურორობდა და მოსამართლედ ასევე მუდმივად თემურ გერსამია იყო. აი, ამ ბოროტების სამი მუშეკეტერისა და დ'არტანიანის (პოლკოვნიკი გერსამიას) მოღვაწეობის მწვერვალებად მოგვევლინა მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების თავზარდამცემი დახვრეტები.

ასეთი კეთილი სული შემოგვიფრინდა 1983 წლის 23 ივნისის დილას ოჯახში, ჩხრეკის ორდერი წარმოგვიდგინა და ორი დამსწრე გაგვაცნო (კეთილი

ცხლად დარჩენამ მეტისმეტად გაგვახალისა მასპინძლები, ელდამ და შიშმა გადაიარა, ნელ-ნელა მოგვემატა სითამამე და საკუთარი ღირსების შეგრძნება იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც საკუთარ საქმეს კი აკეთებდნენ, მაგრამ ღირსებისა და სიმართლისაგან ძალიან შორს იდგნენ, რადგან თვითმათი საქმე იყო უღირსი და ამაზრზენი.

ჩხრეკა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა დათო წაიყვანეს. წიგნებში ორსაათიანმა ხელის ფათურმა შედეგი ვერ გამოიღო, პასუხისმგებელმა და კომპეტენტურმა ამხანაგებმა ვერაფერი გამოავლინეს (ოთხი წელი

**ჩვენში კარგად იცნობენ თემურ გერსამიას, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ დაიმსახურა, რომ გაივსოს მისი ძმაც, სუკის პოლკოვნიკი გერსამიაც. ამ ძმებს მცირე საოჯახო ბიზნესი ჰქონდათ საბჭოთა საქართველოში: ერთი ძმა უშიშროების კომიტეტში მუშაობდა და მეორე მოსამართლე ბრძანდებოდა. ერთი ძმა იჭერდა და მეორე**



უსჯიდა, დახვრეტების ტრფიალს რომ ეტყოდნენ, სწორედ ეგ იყო. და არავითარი ინტერესთა კონფლიქტი. ორივე ძმა ვალმოხდილად და ამაყად წავიდა იმქვეყნად და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ორივე საჯაროდ ტრაზახობდა, რომ სხვებზე გაცილებით მეტი ადამიანი დაიჭირეს და დახვრიტეს. და რომ კიდევ დაიჭერდნენ და კიდევ დახვრეტდნენ, შანსი რომ ჰქონოდათ. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ამ საქმეში სახელგანთქმული ძმები მარტონი არ იყვნენ: ოპერატიულ საქმეებს პოლკოვნიკი გერსამია გა-

სულის განმარტებით, საბურთალოზე მცხოვრები ეს ორი ადამიანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შემთხვევით, თავისთვის დასეირნობდა დილის საათზე მთანმინდის მიდამოებში და სუკის ოპერჯგუფმა ჩხრეკაზე დასწრება სთხოვა – პოლკოვნიკი გერსამია გარემოებათა ნამდვილი პოეტი იყო).

სწორედ იმის გამო, რომ დაპატიმრებას და დაუპატიჟებელ სტუმრებს სიკვდილივით ველოდით და მათი სტუმრობის შემდეგ სასიცოცხლო პერსპექტივას ვეღარ ვხედავდით, სტუმრების მოსვლამ და ჩვენმა ცო-

დაპატიმრებას ველოდით და სახლში რა ნივთმტკიცებებს დავახვედრებდით ძვირფას სტუმრებს?). რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც სახლში „საშინელი“ წიგნები „მაინც“ აღმოაჩინეს (მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში გამოცემული „გველის პერანგი“ და ირაკლი აბაშიძის მიერ აღწერილი ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, ძველ სტალინისტ გერსამიას ალბათ ეს წიგნი ანტისაბჭოთა ეგონა) და მე რომ ამაზე გამეცინა, პოლკოვნიკი ძალიან გამობრაზდა.

– რა გაცილებს? სასაცილოდ გაქვთ ძმებს საქმე? – ალბათ გონებაში ჩვენ, უღირს ძმებს თავის თავსა და მის ღირსეულ ძმას თუ გვადარებდა.

– რა იყო, სიცილიც არ შეიძლება? ნებართვა უნდა ვითხოვო კაცისგან, რომელსაც ირაკლი აბაშიძის წიგნი ანტისაბჭოთა ჰგონია? – უკვე გულწრფელად მეცინებოდა მე.

– შენ, სხვათა შორის, ჩაიცივი და ნამობრძანდი, – განაცხადა პოლკოვნიკმა ისეთი იერით, რომლის თარგმანძელი არ იყო, ოცდაათიანი წლებიდან უშიშროების კომიტეტში ნამუშევარი ამ გამოცდილი ჯალათის სახეზე აშკარად იკითხებოდა მთელი წინადადება, უან-პიერ ფლორიანის იგავ-არაკის მოდერნიზებული ფინალი: „კარგად იცივნის, ვინც ბოლოს აპატიმრებს“.

დათო საღამომდე ალექსანდრე მირიანაშვილის კაბინეტში ჰყავდათ: იქ იყვნენ სამძებრო განყოფილების უფროსი, ალექსანდრე მირიანაშვილი, გამომძიებელი გია ცინცაძე, ვილაც პერმელი რუსი ჩეკისტი. საღამოს რვა საათზე ჩაიყვანეს საკანში, სადაც ორი კაცი დახვდა, ერთი მაშინ მთელს საბჭოთა კავშირში გახმაურებული „ებრაელების საქმეზე“ დაჭერილი ახალგაზრდა ბიჭი იყო (1983 წლის

გაზაფხულზე სსრკ-ს მასშტაბით ებრაელი საქმოსნების მთელი არმია დააპატიმრეს და ფანტასტიკური ჭორებიც გაუვრცელეს, რომ მთელი საბჭოთა ოქრო ისრაელში გაზიდეს და სხვა ამგვარი ანტისემიტურ-ჩეკისტური ზეპირმეტყველების მარგალიტებით გაამდიდრეს მაშინდელი საზოგადოების (ცნობიერება) და მეორე ვინმე რეციდივისტი, ბოროტმოქმედი, რომელსაც უკვე ცხრა წელი ჰქონდა მოხდილი და, მისივე განმარტებით, იგი და მისი თანამოსაქმე ერთმანეთს აბრალებდნენ, – მე კი არა შენ მოაჭერი თავი ჩვენს მესამე თანამზრახველსო. შემდგომში ეს ბატონი ჯონი ლაშქარაშვილთანაც აღმოჩნდა. მისი ყოფნა სუკის იზოლატორში საერთოდ უცნაურად გამოიყურებოდა. დათო შეუდგა საკანში ტრადიციულ ქართულ საქმიანობას – მასწავლებლობას, ლექციების კურსის კითხვა დაიწყო საქართველოს ისტორიაში (მე ანალოგიურ სიტუაციაში ლათინური ენისა და ბერძნული მითოლოგიის კურსს ვკითხულობდი).

დაიწყო ყოველდღიურ დაკითხვათა სერია, რომელმაც საბოლოოდ გაამწარა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი: გამომძიებელთა მთელმა კოჰორტამ ექვსი თვის განმავლობაში დავით ბერძენიშვილისგან საქმესთან დაკავშირებულ ერთ კითხვაზე პასუხიც ვერ მიიღო. დათო თვითნებურად და ვაჟკაცურად სარგებლობდა იმ უფლებით, რომლის პატიმრისთვის მინიჭება სახელმწიფომ მხოლოდ ოცი წლის შემდეგ ინება, ოღონდ სხვა სახელმწიფომ, სხვა საუკუნესა და სხვა ათასწლეულში: პატიმარი დავით ბერძენიშვილი სარგებლობდა დუმისის უფლებით, რომელსაც არც საბჭოთა კავშირი სწყალობდა და არც კანონმორჩილი დისიდენტები აღიარებდნენ. მე არასდროს გამიგონია ჩემი უმცროსი ძმისგან ტრახახი, – ვაჟკაცი ვარ და კავებემ ექვსი თვე ვერაფერი მათქმევინაო.


არც ერთ დაკითხვაზე გამოცხადებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ პასუხობდა მხოლოდ ორ კითხვას: – აპირებთ თუ არა ჩვენების მოცემას? – არა. – მოგვცემთ თუ არა განმარტებას, რატომ არ აპირებთ ჩვენების მოცემას? –

არა. ერთ-ერთ ასეთ დაკითხვაზე, როდესაც უკვე ხელჩაქნეულმა გია ცინცაძემ ყასიდად ჰკითხა, – რამე ახალი ხომ არ არისო, – დათომ დადებითად უპასუხა, – მაქვს ახალი ამბავიო. აღელდა ცინცაძე, სიგარეტი მიანოდა, მაგიდა ფაქიზად გადაწმინდა, კალამი მოიმარჯვა, „ახალი ამბის“ ანუ ჩვენების ჩასაწერად მოემზადა, როდესაც დათომ გაუმხილა, – ახალი ამბავი ისაა, რომ კბილი მტკიავო. როგორც დათო ამბობს, ამ მომენტში საერთოდ თავაზიანი ცინცაძის ნამდვილი სახეც უნახავს და ეს სახე ყოფილა დაახლოებით ისეთი, ვიზიტორების დედოფალმა ანამ რომ გამოავლინა ახალ ამერიკულ სერიალში სახელად „ვი“ (ეს, რა თქმა უნდა, ჩემი ინტერპრეტაციაა, ძალიან მეეჭვება, დათოს საერთოდ გაგონილი ჰქონდეს ამ ამერიკული სერიალისა და ანას როლის შემსრულებელ მორენა ბაკარინის არსებობის ამბავი).

დათომ თანამოსაკნე კრიმინალს მარტივი ტესტი ჩაუტარა: აშკარა დეზინფორმაცია მიანოდა, გამომძიებელთან დაკითხვაზე მიყვანილს ეს ბლევფი წინ დახვდა და სუკის უკვე გამოაშკარავებული აგენტის საკნიდან გადაყვანა მოუხდათ (სწორედ ასე მოხვდა ეს კაცი ჯონი ლაშქარაშვილთან). გამიფრული აგენტის საკნიდან გადაყვანამდე არც მას და არც დათოს ათი დღე არ უძინიათ. ასე თანაბრად სასტიკად ექცეოდა უშიშროების კომიტეტი პატიმრებსა და საკუთარ აგენტურასაც, როდესაც ეს უკანასკნელი (რა ზუსტი სიტყვაა!) რომელიმე გონებამახვილ და რისკიან ტუსაღს ხელში „შემოემიფრებოდა“.

ეტაპი ანუ „პერესილკა“ რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებლებმა, ვახტანგ ძაბირაძემ, ვახტანგ შონიამ, ლევან და დავით ბერძენიშვილებმა ერთად გავიარეთ როსტოვის ციხემდე. როსტოვის შემდეგ დავმორდით ერთმანეთს: ვახტანგები პერმის გზას გაუყენეს, ჩვენ კი დუბრავლავის ანუ მორდოვეთისკენ გვიქნეს პირი. გზაში ბევრი საინტერესო რამ გადაგვხდა, მაგრამ ამ ამბებს სამომავლოდ შემოვინახავ.

ბარაშევიში რომ ჩავედით, ჩემში უფროსი და პასუხისმგებელი ძმის





„დაიწყო ყოველდღიურ დაკითხვათა სერია, როგორც სახელობითი ბაზისით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი: გამოიქვეყნა მთავარი კოორდირებული ექვსი თვის განმავლობაში დავით ბარბაქაძის მიხედვით საქმის დაკავშირებული ერთ კითხვაზე პასუხის ვერა მიღება“.



ფუნქცია გამოიკვეთა. ჩემი მთავარი ამოცანა იყო ახალგაზრდა და მღელვარე დათოსთვის სახიფათო ინციდენტები თავიდან ამეცილებინა, მაგრამ ამ საქმეში სერიოზულ წარმატებას ვერ მივაღწიე. ჩემს წარუმატებლობებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანდრეიკასა და ფლორ ვასილის ძესთან დაკავშირებული ხმაურიანი ეპიზოდები.

ალგიმანტას ანდრეიკა კლაიპედელი ლიტველი იყო. ვილინიუსში ცხოვრობდა და ბარმენად მუშაობდა, როცა 1981 წლის მაისში დააბათილეს და 1982 წელს ოთხს პლუს ხუთი მიუსაჯეს, რასაც უკვე ზონაში ახალი სასჯელი დაუმატეს („სხეულის განზრახ დაზიანება“, საკუთარ თავს ავნო და ცოტა ხანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც აყურყუტეს) და, გორბაჩოვი რომ არა, გულაგში ამოხდებოდა სული (რეაბილიტირებულია 1989 წლის ივნისში ლიტვის სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ, ცოტა ხნის შემდეგ კი მოულოდნელად გარდაიცვალა). ანდრეიკა ფეხბურთის გულშემმატიკი იყო, ვილინიუსის „ჟალგირისი“ მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდა და, ბუნებრივია, ალგიმანტასიც თავის გუნდს გულშემმატიკობდა (1984 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ და ვილინიუსის

„ჟალგირისმა“, შესაბამისად, მეშვიდე და მეცხრე ადგილები დაიკავეს, ჩემპიონი კი ლენინგრადის „ზენიტი“ გახდა, რაც „ჩვენი“ პეტერბურგის მკვიდრებს ერთობ გაეხარდათ).

ამასობაში საბჭოთა გუნდები ევროპულ ტურნირებზე გამოჩნდნენ (ჩემპიონთა თასი, თასების მფლობელთა თასი და ა.შ.) და ახალი ტრადიციაც ჩამოყალიბდა – ვინაიდან ზამთარში მოსკოვში გაყინულ მოედნებზე თამაშზე ყველა უარს ამბობდა, მოსკოვურმა გუნდებმა სამხრეთის დედაქალაქები აირჩიეს. ასე გახდა მოსკოვის „სპარტაკი“ ჯერ ბელგიური „ანდერლხტისა“ და შემდეგ გერმანული „კიოლნი“ მასპინძელი თბილისში. მოსკოველები თბილისში კი იგებდნენ, მაგრამ ორი მატჩის შედეგად მომდევნო წრეში გასასვლელად ერთი ბურთი აკლდებოდათ ხოლმე.

1984 წლის ნოემბრის ბოლოს გერმანული „კიოლნი“ თბილისში ჩამოვიდა. ბუნდესლიგის თასის მფლობელ გუნდში გერმანიის ნაკრების ცნობილი ვარსკვლავები, 1990 წლის მომავალი მსოფლიო ჩემპიონები, ჰერალდ ანტონი ან, უბრალოდ, ტონი შუმახერი და პიერ მიხაელ ლიტბარსკი თამაშობდნენ, ხოლო მოსკოვის „სპარტაკში“ მაშინ იური გავრილოვის, ფიოდორ ჩერენკოვისა და სერგეი როდიონოვის

ეპოქა იდგა. მოსკოველებს პირველი შეხვედრა მინიმალური ანგარიშით, 1:0 ჰქონდათ კიოლნიში მოგებული, ამიტომ თბილისში ხალისიანად და ორი მატჩის შედეგად იოლი გამარჯვების მოპოვების იმედით ჩავიდნენ და რამდენიმე ხმაურიანი და თავგადაკლული გულშემმატიკივარიც ჩაიყვანეს თვითმფრინავის სპეციალური რეისით – მათ რიგებში იმ წელს გარდაცვლილი იური ანდროპოვის შვილიშვილი გამოირჩეოდა, რომელიც „სპარტაკის“ ფანებს ხელმძღვანელობდა.

საერთო ჯამში რუსების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და ციხის ადმინისტრაციამ, ფეხბურთის გულშემმატიკივარი ლეიტენანტ ვიქტორ არაპოვის დაჟინებული მოთხოვნით, პატიმრებს ამ მატჩის ტელერეპორტაჟის ყურების უფლება მოგვცა. არაპოვი ჩვენს იდეოლოგიურ აღზრდასა და „გამოსწორებაზე“ აგებდა პასუხს და საბჭოთა იდეოლოგიის გერმანულთან უპირატესობის საჩვენებლად ამ საფეხბურთო მატჩის გამოყენება სურდა. სახელგანთქმული რუსული სამხედრო არისტოკრატის შთამომავალი, ახალგაზრდა ლეიტენანტი არაპოვი რაიმე განსაკუთრებული გამოჭრიახობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მას შესანიშნავი გათვლა ჰქონდა: საბჭოთა დისიდენტების უმეტესობა

გერმანიას არ სწყალობდა ფაშისმისა და მეორე მსოფლიო ომის სისასტიკეთა გამო.

როდესაც კლუბ-სასადილოში განვლავდით, ეს მიკერძობები გამოიკვეთა, „სპარტაკის“ გულშემატიკივრებმა მარცხენა მხარე დაიკავეს (რუსები მინუს მიშა პოლიაკოვი, სომხები უკლებლივ, ებრაელები სრული შემადგენლობით და ყველას პლუს ჟორა ხომიზური), ხოლო „გერმანელებმა“ – მარჯვენა. „გერმანელებში“ აღმოვჩნდით მე და დათო (ჯონიმ არ გამოსატა ამ მატრისადმი ინტერესი), უკრაინელები სრული შემადგენლობით, ლიტველები (ძველები და ახლები) და ლატვიელები (მხოლოდ ძველები). ანდრეიკა დათოს გვერდით აღმოჩნდა.

დაიწყო რეპორტაჟი თბილისიდან, რომელიც რუსულად მიჰყავდა კოტე მახარაძეს. დაიწყო რეპორტაჟი და არაპოვის მიერ სკრუპულოზურად აგებულმა იდეოლოგიურმა კონსტრუქციამ ჯერ რყევა დაიწყო და ბოლოს, ერთი პოსტმოდერნისტი პრეზიდენტის ლექსიკური აგრესიით გააქტიურებული „მოხდენილი“ სიტყვა რომ მოვიშველიოთ, სამარცხვინოდ „ჩამოიშალა“ კიდეც. საქმე ის არ იყო, რომ გერმანელებმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს (განსაკუთრებით დამამახსოვრებელი იყო მეორე გოლი, რომელიც ლიტ-

ბარსკიმ გაიტანა; მოსკოვის „სპარტაკს“ ბოლო წუთამდე ჰქონდა ორი მატრის შედეგად საერთო გამარჯვების მოპოვების შანსი, ამისთვის მათ ერთი გოლი უნდა გაეტანათ და საგოლე მომენტები ჰქონდათ – ერთ-ერთ ასეთ მომენტში ახალგაზრდა ფორვარდმა ოლეგ კუჟლევმა მოახერხა და ორი მეტრიდან ბურთი ცარიელ კარში ვერ გაიტანა. საყვარელ გუნდს ვერ შევლოდა „სპარტაკის“ რამდენიმე ათეული გულშემატიკივრის გულისამაჩუყებელი ავანგარდული პოეზიაც კი, რომელიც საყვარელი გუნდის სახელს კიდე უფრო საყვარელი იმპერიის სახელს უკავშირებდა:

В Союзе  
Нет  
Еще,  
Пока  
Команды  
Лучше  
«Спар-та-ка!»  
Моос-коов-ский «Спартак»,  
ТА-ТА-ТА-ТА ТА-ТА!

ამ პოეტურ ალტყინებას არ ჩამოუშლია არაპოვის პატარა ტვინით, მაგრამ დიდი რუდუნებით ნაგები იდეოლოგიური კონსტრუქცია, ახალგაზრდა ენთუზიასტი ლეიტენანტი თბილისის

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონმა და მასზე შეკრებილმა ურიცხვმა ქართველმა გულშემატიკივრმა დალუპა: თამაშობდნენ უცხო „კიოლნი“ და „მშობლიური“ „სპარტაკი“, ხალხი კი გაუთავებლად ყვიროდა „დი-ნა-მო, დი-ნა-მოს“.

იმ ფაქტმა, ჩვენმა ძმებმა ქართველებმა რუსეთის კოლონიაში მეტროპოლიის საყვარელ გუნდს რომ არ უგულშემატიკივრეს, მე და დათო სიამაყის გრძობით აგავასო (ნეტა ოდესმე კიდეც მქონდეს ჩემი ქვეყნის დღევანდელი სიამაყის მიზეზი), მაგრამ დანარჩენებმა სიხარულში მხარი ვერ აგვიბეს. განსაკუთრებით გამწარდა „ჩვენიანი“ ანდრეიკა, რომელსაც, როგორც პატიოსან ლიტველს, კარგად მოეხსენებოდა, რომ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ მაიკლ ფარადის მიერ 1831 წელს შექმნილ ელექტრულ დისკთან და მის საფუძველზე შექმნილ დინამო-მანქანასთან მეტაფორული კავშირი კი ჰქონდა, მაგრამ მთავარი, რაც ლიტველმა ბარმენმა იცოდა, ის იყო, რომ „დინამო“ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან, როგორც ანდრეიკა ამბობდა, „ენკავედეს“ გუნდია; ამიტომაც მას ვერ გაეგო, ქართველი ხალხი შინაგან საქმეთა სამინისტროს რატომ უმტკიცებდა სიყვარულს და ერთგულებას „დინამო, დინამოს“ ძახილით (სხვათა შორის, ბევრი მაშინდელი ქართველიც „გაუგებდა“ ალგიმანტასს – ხომ გადაარქვეს ცოტა ხნით „დინამოს“ სახელი?! ბოლოს სახელი კი დაუბრუნდა, ძველი დიდებისა კი, რა მოგახსენოთ).

დათო უხსნიდა ანდრეიკას, რომ ენკავედე და შსს არაფერ შუაში არ იყო, რომ თბილისის „დინამო“, ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრები იყო და სტადიონზე მოსული ხალხი რომელიმე საძულველ ან საყვარელ სამინისტროს კი არა, საქართველოს, მის დამოუკიდებლობას აძლევდა ხმას, მაგრამ ლიტველ მეგობარს ამის გაგება არც შეეძლო, არც სურდა და ქართველების შეურაცხყოფაზე გადადიოდა. როცა მის გაცხარებულ საუბარში სტალინის და ბერიას სახელებმა გაიღვავეს, დათომ მასში კინალამ მომავლის გიგა ბოკერია დაინახა, რომელიც ამ



დროს 12 წლისა იქნებოდა, დიდი ალბათობით მამასთან ერთად სტალიონზეც იჯდა და „დინამო-დინამოსაც“ გაიძახოდა. კონფლიქტი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის საშიშ სახეს იღებდა, სანამ მასში უფროსი თაობის პატიმრები, ანადენკო, იანკოვი და ხომიზური არ ჩაერივნენ და ინციდენტი საფუძვლიანად არ ამოწურეს. ანდრეიკას მოსთხოვეს ქართულ რელიეფში უკეთ გარკვევა, ხოლო დათოს „შენერა“ ორსაათიანი ლექცია თბილისის „დინამოსა“ და ქართველი ხალხის საიდუმლო-გაუმჟღავნებელ და ცხად-გამჟღავნებულ სიყვარულზე, რომლის ნაკითხვაც საბოლოოდ მე მომიხდა.

პოლიტიკური პატიმრები სამკერვალო საამქროში მუშაობას დილის შვიდ საათზე იწყებდნენ და საღამოს ოთხზე ამთავრებდნენ. პატიმართა უმეტესი ნაწილი ორიენტირებული იყო სადილზე, რომელსაც კლუბ-სასადილოში პირველ საათზე მიირთმევდნენ. ამის გამო ყველა ცდილობდა, ამ დროისთვის დღიური ნორმა შეესრულებინა. ეს მათ ჩუქნიდა თავისუფალ დროს სადილის შემდეგ, ხოლო თავისუფალი დრო გამოიყენებოდა მომავალი თავისუფლების ასაშენებლად – წერილის დასაწერად, წიგნის წასაკითხად, განმარტოების ილუზიის შესაქმნელად და დასაფიქრებლად. ზოგიერთი პატიმრისთვის საამქრო ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, რადგან მოტორისტ-მკერავის პროფესიის დაუფლება გარკვეულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღმერთმა ამგვარი ტალანტით არ დააჯილდოვა, საკერავ მანქანასთან გამკლავება ურთულესი საქმე იყო. ჩვენს ზონაში ასე იტანჯებოდა ჟორა ხომიზური, რომელსაც საკერავი მანქანაც ეზიზღებოდა, საამქროც და კოლექტიური შრომის პროცესიც. მისი აზრით, კერვა, ეს გაუგონარი სისასტიკე, ეს უკიდურესი საშინელება ბოროტმა ჩეკისტებმა განზრახ მოიგონეს, რომ საბეჭდ მანქანასთან გატარებული დღეებისა და წლებისათვის შური ეძიათ დისიდენტებზე.

– მანქანა მანქანის წილ, ეს არის მათი კარგად გააზრებული და მზაკერული კონცეფცია, – გვიმტკი-

ცებდა ჟორა, – ეს ბნელი იდეა ალბათ ბერიას თავში დაიბადა, სტალინიც კი ამას ვერ მოიფიქრებდა, – არ ინდობდა თანამემამულეებს ხომიზური.

თავდაპირველად დათოს საამქრო და კერვა თვალში არ მოუვიდა და განმიცხადა, – მე ამის მსწავლელი არ ვარ და ჩემ მაგივრადაც შენ მოგიწევს პროდუქციის ჩაბარება, თუ არ გინდა, რომ მთელი სასჯელი შიზოში მოვიხადო, – მაგრამ შემდეგ გამოცდილ მკერავებს დაუკვირდა, პოლიაკოვისგან შრომითი დუმილი ისწავლა, პაპაიანისგან სამკერვალო ეშმაკობები, ანადენკოსგან შრომის ორგანიზაცია, ბუტოვისგან თითის დაკერების საიდუმლო და ნამდვილ მკერავ-მოტორისტად (**швей-моторист**) ჩამოყალიბდა.

დათო ძალიან სწრაფად კერავდა. მკერავი ასები (ბუტოვი, ანადენკო, პაპაიანი) თორმეტი საათისთვის ასწრებდნენ ასამდე წყვილი ხელთათმანის შეკერვას, ხშირად მეც მათ რიგებში ვიყავი, მაგრამ დათო ყველა რეკორდს ხსნიდა და თერთმეტ საათზე ნორმას აბარებდა. როგორც თვითონ განმარტავდა, მისი პროდუქცია, შესაძლოა, სამაგალითო ხარისხისა არ იყო („მე ვკერავდი წუნის ზღვარზე, **на грани брака**“, – განაცხადა მან ამას წინათ), მაგრამ დასაშვებ ნორმებში ჯდებოდა. ერთხელაც, როდესაც დათომ საკუთარ თავსაც აჯობა, თავისივე რეკორდი საგრძნობლად გააუმჯობესა და დილის თერთმეტის თხუთმეტ წუთზე საამქროში შრომას მორჩა, საამქროს ყოფილმა რეკორდსმენმა, ოდესეღამე დისიდენტმა პეტრე ბუტოვმა ეს ველარ აიტანა და ბანაკის ადმინისტრაციაში წერილობითი საჩივარი შეიტანა, – უმცროსი ბერძენიშვილი სამკერვალო საამქროში უხარისხო პროდუქციას აბარებსო. ბუტოვი ნამდვილი საბჭოთა დისიდენტი იყო. იგი საბჭოთა კანონებს აღიარებდა და მისთვის სულერთი არ იყო, ესა თუ ის პოლიტიკური პატიმარი ხარისხიან პროდუქციას მიაწვდიდა მის მშობლიურ ქვეყანას თუ არა. უნდა ითქვას, რომ სანამ ჩვენ სამკერვალო საამქროში ვმოღვაწეობდით, ჩვენ გვერდით, ე.წ. „მცირე ზონაში“, ანუ ქალთა პოლიტიკურ ზონა **ЖХ 385/3-4**-ში, პატიმარი ქალებიც იმა-

დათო ძალიან სწრაფად კერავდა. მკერავი ასები თორმეტი საათისთვის ასწრებდნენ ასამდე წყვილი ხელთათმანის შეკერვას, ხშირად მეც მათ რიგებში ვიყავი, მაგრამ დათო ყველა რეკორდს ხსნიდა და თერთმეტ საათზე ნორმას აბარებდა.

ვე საქმით იყვნენ დაკავებული და, როგორც ჩვენი უხილავი თანაზონელი, ცნობილი რუსი პოეტი და დისიდენტი ირინა რატუშინსკაია წერს თავის მოგონებათა შესანიშნავ წიგნში „რუხი იმედის ფერია“, პროდუქციის ხარისხი მათაც აღელვებდათ, რადგან მათ მიერ შეკერილ ხელთათმანებს, ჩეკისტები კი არა, მშენებელი ხალხი მოიხმარდა. როგორც სხვებისა და საკუთარი თავის პატივისცემელმა პატიმარმა, პეტრე ბუტოვმა თავისი განცხადების ასლი დათოსაც გადასცა. მომჩივანი პატიმარი მოქმედებდა ღიად და, როგორც თვითონ მიიჩნევდა, პატიოსნად. ბუტოვის ამ მოულოდნელმა ნაბიჯმა აშკარად დააბნია ბარაშეგოელი პოლიტპატიმრები. „დემოკრატები“ ანუ სამოცდამეათე მუხლის სუბიექტები ორად გაიყვნენ. ერთი ნაწილი, რომელთაც ანადენკო მეთაურობდა, ბუტოვს ამართლებდა. მეორე ნაწილი ბუტოვის საქციელს განმარტავდა, როგორც ერთი პატიმრის მიერ მეორე პატიმრის დაბეზლებას და ამ მოქმედებას ამორალურად და დაუშვებლად მიიჩნევდა. პატიმრის მორალური კოდექსის სადარაჯოზე მდგომ ამ ჯგუფს „სამხრეთი კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაციის“ უზუცესი ანუ სტარეოშინა, გიორგი ხომიზური მეთაურობდა. ჟორას საერთოდ ხისტი პოზიციები ჰქონდა. ასეთივე შეუვალი პოზიცია ჰქონდა თითქმის თანამემამულე მაიაკოვსკის მიმართაც, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა პოეტად თვლიდა.

>>> ბაბრძილავა ბვ. 117





# ხმა ღვთისა და ხმა ერისა

ავტორი: გიორგი მაისურაძე  
ილუსტრაციები: მაია სუმბაძე

„რაც სიმართლეა, მაგრამ ძნიად დასაჯერელი,  
ხამს კაცმა არც კი გახსნას პირი სათქმელად,  
რომ უსამართლოდ არ ჩავარდეთ თავად სირცხვილში,  
მაგრამ ამჟამად აღარ ძალმიძს დემილის დაცვა...“  
დანტე „ჯოჯოხეთი“ XVI 124-127

## მითოსი

ძველ რომაელ ავტორს გაიუს სალუსტიუს კრისპუსს (ძვ.წ. I საუკუნე) ეკუთვნის მითოსის ერთ-ერთი ყველაზე ლაკონური და, ჩემი აზრით, ზუსტი განმარტება: „მითი არის თხრობა იმ ამბის შესახებ, რომელიც არასდროს არ მომხდარა და თანაც მუდამ ხდება“. ასეთი განმარტება პარადოქსულია აგებული: რაღაც თან არ არსებობს და თან არსებობს; ვიცით, რომ არ მომხდარა, მაგრამ მას როგორც მომხდარ ფაქტს ისე ვაღიარებთ. ეს ეხება არა მარტო ღმერთებზე, გმირებზე, წმინდანებსა და ბოროტ ურჩხულებზე ლეგენდებს, არამედ თანამედროვე მითებსაც, რამდენადაც მითოსი არაა მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების არქაულ საფეხურებზე მდგომი ადამიანების სამყაროს აღქმის სურათი, არამედ აზროვნების თავისებურება, რომელიც რეალობას სასურველი ფანტაზიით გვინაცვლებს. მითოსის არსი სწორედ არმომხდარისა და არარსებულის დაჯერებაა. თუ რატომ ვიჯერებთ იმას, რაც ვიცით, რომ არ მომხდარა, ამისი ახსნაც შესაძლებელი უნდა იყოს. XX საუკუნეში მითოსის ალბათ ყველაზე ცნობილი მკვლევარი მირჩა ელიადე თავის დღიურებში ერთ თანამედროვე მითს იხსენებს. საქმე ეხება ვაჟიშვილების მიერ მამის მკვლელობის მითს, რომელიც ფროიდმა აღწერა და გააანალიზა თავის ნაშრომში „ტოტემი და ტაბუ“. ელიადეს თქმით, პრიმიტიულ და არქაულ მითოლოგიებში ასეთი მითი არსად არ დასტურდება და ის უშუალოდ ფროიდის ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს მითი ფროიდის თანამედროვე მსოფლიო ინტელექტუალურმა ელიტამ, მათ შორის ანთროპოლოგებმა და ეთნოლოგებმაც, დაიჯერეს და მომხდარ ფაქტად მიიღეს. ელიადეს აზრით, ამისი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ეს მითი XX საუკუნის ადამიანებისათვის მათსავე რეალობას, სიმართლეს შეესაბამებოდა.

მითოსი, განსხვავებით, მაგალითად, ლოგიკური აზროვნებისაგან, საკმაოდ „დემოკრატიული“ საზოგადოებრივი ფორმაა და მას მხოლოდ კოლექტიურ წარმოდგენად შეუძლია იარსებოს. მითს შეიძლება კონკრეტული ავტორიც ჰყავდეს, მაგრამ მის დასაჯერებლად ავტორის ვინაობა ნაკლებად მნიშვნელოვანია. მითი არაინდივიდუალური, „არასაკუთრივი“ ნაზრევი და მის ავტორსაც მხოლოდ ამ კოლექტიური ფანტაზიის გახმოვანებალა შეუძლია. ანუ „ავტორი“ აცხადებს, წარმოთქვამს იმას, რისი სურვილიც უკვე მოცემულია საზოგადოებაში, თუმცა კი არასდროს მომხდარა. მითი იბადება მაშინ, როდესაც მასზე

მოთხოვნილებაა და, ამდენად, იგი ერთგვარი „საზოგადოებრივი დაკვეთაცაა“.

სამაგალითოდ ერთი მითის გახსენება მინდა, რომლის თანამონაწილე მე თვითონ ვარ და თანაც, ჩემი აზრით, უკანასკნელი ოცნლეულის ყველაზე ეფექტური და სახასიათო შინაარსის ქართული მითია.

## 14. 09. 1993

ეს დღე, რომელიც შემდგომში ჩემთვის ყველაზე უსიამო მოსაგონებელ თარიღად იქცა, ძალიან ჩვეულებრივად დაიწყო. მე ორი კვირის ჩამოსული ვიყავი გერმანიიდან, სადაც ზაარბრუკენის უნივერსიტეტში სამი სემესტრი გაცვლითი პროგრამით ვსწავლობდი. თბილისში დაბრუნებული ვცდილობდი სიტუაციაში გარკვევას, უფრო სწორად, ახალ რეალობასთან შეგუებას, რომელიც მშვიდი და მონესრიგებული გერმანიის შემდეგ საკმაოდ არამარტივი იყო.

მოკლედ, სახლიდან გამოვედი და ვაკის მიმართულებით მიმავალ ტროლეიბუსს შევახტი. გოკა გაბაშვილთან უნდა მივსულიყავი, რომელიც ყიფშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა. ვაკის პარკთან ტროლეიბუსიდან ჩამოვედი და სანამ საპირისპირო მხარეს გადავიდოდი, ჩემ წინ მანქანა გაჩერდა, რომელშიც გოკა გაბაშვილი იჯდა. გოკამ, – ჩაჯექი, სახელმწიფო გადატრიალება მოხდაო. გზაში გავიგე, რომ პარლამენტის სხდომაზე ჯაბა იოსელიანმა და შევარდნაძემ იჩხუბეს და შევარდნაძე გადადგა. მოგვიანებით უკვე შევარდნაძის სიტყვის ვიდეოჩანაწერიც ვნახე, სადაც ის დაახლოებით ასეთ რამეს ამბობს, – მე არც ხელისუფლება არა მაქვს და საერთოდ ამ ქვეყანაში არაფერს აზრი არა აქვს, სრული ანარქიაა და მე მივდივარო...

„იმელის“ შენობის წინ, რომელშიც მაშინ საქართველოს პარლამენტი იყო, უკვე ხალხი ირეოდა. ერთ-ორ საათში მთელ მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი ადამიანი შეიკრიბა. ქალაქში პანიკა იყო.

პარლამენტის შენობაში კი წავიდა დაყოფა შევარდნაძის მომხრეებად და მის მონინალმდეგეებად. ეს უკანასკნელნი, რომლებიც არანაკლებად დაბნეულები იყვნენ, უფრო მესამე სართულზე ტრიალებდნენ, სადაც ჯაბა იოსელიანის კაბინეტი მდებარეობდა.

დაბნეული ხალხი გარეთ იდგა და არ იცოდა, რა ექნა.

ჰოდა, მე ჩემ სტიქიაში აღმოვჩნდი და სრულიად სპონტანუ-

რად ძალიან პათეტიკური სიტყვა წარმოვთქვი, რომ დღეს თუ პარამილიტარული გაერთიანებები ძალაუფლებას აიღებენ და „სამხედრო საბჭოს“ დროში დაებრუნდებით, მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობა შეწყვეტს თავის არსებობას... ძალიან მიჭირს იმის აღდგენა, თუ რა მოტივაცია მალაპარაკებდა. ვიცი, რომ წარმატებულად ვაიძულებდი თავს, დამეჯერებინა შევარდნადის გადადგომით მოახლოებული აპოკალიფსი. ყოველ შემთხვევაში, არჩევანი შევარდნაძეს, პარამილიტარებსა და გამსახურდიას შორის რომ იყოს, მე კვლავაც პირველ ვარიანტს დავუჭერდი მხარს, თუმცა იმგვარი სახის საკუთარი თავის დარწმუნებისა და პათეტიკის გარეშე, რომელიც 23 წლის ასაკში მქონდა.

ამის შემდეგ ვილატამ შენობაში შემეყვანა. მეორე სართულზე ხალხი ირეოდა, ძირითადად – შევარდნადის მომხრე დეპუტატები და მთავრობის წევრები. განსაკუთრებით ირინა სარიშვილი აქტიურობდა. გადაწყდა მიტინგის ჩატარება. მე მიტინგების მოწყობის თითქმის ხუთწლიანი სტაჟი მქონდა და

დროს შევარდნაძემ შეწყვიტა სიტყვა და ფანჯარას მოშორდა.

აი, სწორედ ამ მომენტში შემოვიდა ილია მეორე და თქვა ის, რისი ნახვაც YouTube-ზე მოთავსებულ არაერთ ვიდეოზეც შეიძლება: „მე მაქვს უფლება, როგორც საქართველოს სულიერი მამას, და პირადად თქვენს სულიერ მამას, მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, რომ მთელ საქართველოს განუცხადოთ, რომ თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეთაური“. ამის შემდეგ გადაკოცნეს ერთმანეთი, შევარდნაძემ თქვა, – „ხმაღვთისა და ხმა ერისაო“, – და მიტინგიც დამთავრდა.

მე ყოველთვის მიტინგის შემდეგ ცუდ ხასიათზე ვიყავი ხოლმე და ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა იყო. ყოველი საჯაროდ წარმოქმნილი სიტყვის შემდეგ ცოტა გულის რევის შეგრძნება და მსუბუქი დეპრესია მქონდა.

სახლში რომ მივედი, ტელევიზორში უკვე გვიან შევარდნადის ინტერვიუ აჩვენეს, სადაც მან თქვა, რომ ხალხმა დამიჩოქაო... მე ის ჩაჯდომის სცენა გამახსენდა და ვიფიქრე, რომ დაიჩოქეს. თანაც მეორე დღიდანვე ყველა იმას იძახდა, რომ

ამიტომაც ინიციატივა საკუთარ თავზე ავიღე. პირველი სიტყვაც მე წარმოვთქვი და გავიმეორე, რომ უნდა ავირჩიოთ შევარდნაძეს, შეიარაღებულ ფორმირებებსა და გამსახურდიას შორის და ისიც დავამატე, რომ შევარდნაძე ერთადერთი გამოსავალია იმისათვის, რომ სრულ იზოლაციასა და ქაოსში არ აღმოვჩნდეთ...

დეპუტატები, მინისტრები, თბილისის მერი, სამხედრო პირები – ყველა, ვინც შევარდნაძეს მხარს უჭერდა, სიტყვით გამოვიდა. განსაკუთრებული ოვაციები თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის გამოჩენამ გამოიწვია.

ამასობაში დაღამდა და სულ ბოლოს შევარდნაძეც გამოვიდა. მან გაიმეორა, რომ მისი გადანწყვეტილება მტკიცეა და ის მას არ შეცვლის და სთხოვა ხალხს, – დაიშალეთო; რომ აზრი არა აქვს აქ დგომას, – „მე ჩემს გადაფურთხებულს არ ავლოკავო“... ამაზე ატყდა ყვირილი, ვილატამ ქუჩიდან დაიძახა, – „ჩვენ ავლოკავთ!“ ხმაურში ცალკეული შეძახილების გარჩევა შეუძლებელი იყო, მაგრამ შინაარსი მაინც ასეთი მასსოვს: არ წავალთ, არ დავიმოლებით! და უცებ დაიწყეს ასე ფალტზე დასხდომა. მე ფანჯარასთან ახლოს ვიყავი და ასე დავინახე და ეჭვიც არ შემპარვია, რომ დასხდნენ, რადგანაც ეს მაშინ ძალიან გავრცელებული სამიტინგო-საპროტესტო ფორმა იყო, რომელიც უკვე 1988 წლიდან დამკვიდრდა. ამ

შევარდნაძეს დაუჩოქეს.

ამაზე დავინწყე სტატიის წერა „დაჩოქილი ქართველი ერი და ქართული სახელმწიფოებრიობა“, რომელშიც ვამბობდი, რომ დაჩოქება ჩვენი პოლიტიკური აზროვნების არქეტიპია, რომ დაჩოქების გარეშე არ შეგვიძლია პოლიტიკური არტიკულაცია...

სტატია არ გამოქვეყნებულა... ორ დღეში აფხაზებმა ზავი დაარღვიეს და შეტევაზე გადმოვიდნენ. 27-ში სოხუმში დაეცა და ეს ამბავი ყველას გადაავიწყდა.

დაახლოებით ერთი-ორი თვის შემდეგ კი, აღარ მახსოვს საიდან გაიგო ამ ჩემი არგამოქვეყნებული სტატიის შესახებ თეიმურაზ სტეპანოვმა, რომელიც შევარდნადის თანაშემწე და წლების მანძილზე მისი უახლოესი ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

თემო სტეპანოვი ყველაზე საღად მოაზროვნე ადამიანი იყო, ვინც შევარდნადის უახლოეს გარემოცვაში ოდესმე მინახავს. ჰოდა იმ საღამოს მან ჩემი სტატიის შინაარსის გამო მისაყვედურა და მითხრა, რომ ჩემი ამოსავალი წერტილი სიცრუეზე დგას და, ამდენად, უკვე დამახინჯებული ფაქტების რეპროდუქცია გამომდის: 14 სექტემბერს პარლამენტის წინ მიტინგზე ხალხმა არ დაიჩოქა და დაჩოქების ისტორია იმ საღამოსვე შეითხზა! ყველაზე პარადოქსულიც ის იყო, რომ იქ მყოფი





ხალხიდან, რომელთა შორის არაერთი ჩემთვის ცნობილი სახე იყო, თვით ყველაზე მეტად „შევარდნაძის ტებსაც“ კი, არავის არ უთქვამს, რომ მან პირადად დაიჩოქა ან ვინმე დაიჩოქილი საკუთარი თვალით ნახა. მაგრამ თვით ასეთებიც კი იმ დღეს ხალხის დაჩოქებაზე ლაპარაკობდნენ. დაჩოქების ამბავი ისე მყარად დამკვიდრდა ხალხის მეხსიერებაში, რომ, როდესაც ადრე, ზოგი ხუმრობით, ზოგი კი ჩემი „დისკრედიტაციის“ მიზნით მახსენებდა ხოლმე ამ ამბავს, იმის დამატებითაც, – ხალხი რომ დააჩოქეთ, – რაზეც მეც გალიზიანებანარევი ღიმილით ვპასუხობდი და არ ვენინააღმდეგებოდი, მიუხედავად იმისა, ვიცოდი, რომ დაჩოქების დრამა შევარდნაძის მოგონილი მითი იყო. ადრე ძალიან განვიცდიდი იმას, როდესაც ასეთ ფრაზებს მომაცხებდნენ ხოლმე და მრცხვენოდა იმის გახსენება, რომ ზუსტად 6 თვე და 13 დღე მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. პოლიტიკაში ჩემმა ინსაიდერულმა ინტერმეცომ კი პოლიტიკოსობისა და პოლიტიკის რეალურ მოტივაციებსა და მოტივებზე დამაფიქრა, რომელთა გააზრება-გახმოვანებაც ჩემთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე თავად პოლიტიკურ სპექტაკლებში მონაწილეობა. ახლა, უკვე 17 წლის შემდეგ ამ ამბავს როცა ვიხსენებ, ისეთი განცდა მაქვს, რომ იმ დღეს ლამის გამოცხადების ტოლფასი რამ მოხდა, ყოფიერებამ საკუთარი სახე გამოაჩინა და მე მის ეპიცენტრში აღმოვჩნდი. ამ დღეს ჩემ თვალწინ ახალი მითი დაიბადა, რომელიც, როგორც ყველა სახის მითი, გარკვეულ სხვა არქეტიპულ ფენომენსაც შეგვაცნობინებს. ვინაიდან მითი, როგორც სალუსტიუსი ამბობდა, ისაა, რაც არასდროს მომხდარა, მაგრამ მუდმივად ხდება, მეც ამ არმომხდარზე, როგორც ხდომილებაზე მინდა ვისაუბრო. ანუ ბევრად უფრო საინტერესო მგონია არა ის, რაც სინამდვილეში მოხდა, არამედ ის, რა სახითაც იგი მეხსიერებაში ჩაინერა. ფაქტებს თავისთავად არანაირი ღირებულება არა აქვთ, თუკი მათგან რამე სხვა არ შეიქმნა, რაც საზოგადოების ცნობიერებაში აისახებოდა ან თავად ამ ცნობიერებას არ აირეკლავდა.

## შევარდნაძის ღიმილი

როდესაც შევარდნაძის ღიმილიან ფოტოებს ვუყურებ, ყოველთვის ისეთი განცდა მაქვს, რომ ამ დროს შევარდნაძე ფიქრობდა: „რა კარგად მესმის თქვენი... როგორ ზუსტად ვიცი, თქვენ რაც გინდათ“... – ესაა კმაყოფილი, თავდაჯერებული ღიმილი, როდესაც პოკერს თამაშობ და შენი თანამოთამაშეების კარტი იცი. იცი რა გაუხარდებათ, რაზე გაბრაზდებიან, გული რაზე აუჩუყდებათ, ალელდებიან, სიხარულის კისკისიც კი რომ აღმოხდებათ თვით მის ყველაზე დიდ მოძულეებსაც, როდესაც შევარდნაძე მათთვისაც გულისამართოლებელ ინტონაციას მოძებნის...

კარლ მარქსის „კაპიტალში“, ჩემი აზრით, ერთი უგენიალურესი ადგილია, რომელიც ზუსტად გამოხატავს ძალაუფლების სუვერენულობის არსს. მარქსი წერს: „ეს ადამიანი იმიტომაც მეფე, რომ მას სხვა ადამიანები ისე ეპყრობიან, როგორც ქვეშევრდომები. ამავე დროს, ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ ისინი იმიტომ არიან ქვეშევრდომები, რადგანაც ის მეფეა“. ჩემი აზრით, სუვერენი სწორედ ისაა, ვისაც ადამიანების დარწმუნება შეუძლია, რომ ისინი მისი ქვეშევრდომები

არიან. ის კი არ უნდა უყვარდეთ, როგორც სახალხო გმირი ან ეთაყვანებოდნენ, როგორც წმინდანსა თუ მესიას, არამედ მას ქვეშევრდომობდნენ: ფიქრობდნენ, როგორც ქვეშევრდომები, იქცევოდნენ, როგორც ქვეშევრდომები, ქედს იხრიდნენ, როგორც ქვეშევრდომები, სძულდეთ, როგორც ქვეშევრდომებს, ჯანყდებოდნენ, როგორც ქვეშევრდომები...

ადამიანების ასე „დასაქვეშევრდომებლად“ კი საჭიროა ისინი იმ მითში აღმოჩნდნენ, რომელიც მათი ცნობიერების რეალობას შეესატყვისება და ამის მეშვეობით დაიჯერონ, რომ ისინი ქვეშევრდომები არიან, იმისგან დამოუკიდებლად, მოსწონთ თუ არა მათ საკუთარი ქვეშევრდომობა, ამაცობენ თუ რცხვენით მათ ამის გამო. ხელისუფლების, უფრო სწორად სუვერენულობის მითოსი, მარქსის პარადოქსიდან გამომდინარე, ორი კომპონენტისაგან შედგება: სუვერენი და მისი ქვეშევრდომები. მითოსის ქმედითუნარიანობა სწორედ მათ ბალანსზეა დამყარებული. ასეთი ბალანსის დარღვევა კი მითოსს პარადიული ჟანრის თხზულებად, კარიკატურად გარდაქმნის. საქართველოს პირველი და მესამე პრეზიდენტების ხელისუფლებების ინსცენირებები მთლიანად პირველი კომპონენტის – საკუთარ „მეფობის“ განსახიერებით შემოიფარგლებ(ოდ); თანაც საამისოდ მითოსის მზა, კლასიკურ ფორმები გამოიყენებ(ოდ), როგორცაა, მაგალითად, ურჩხულებთან და გველეშაპებთან შერკინება და მათი დამარცხება. ასე ცალმხრივად გათამაშებული მითი ერთი მსახიობის თეატრად გადაიქცევა, რომლის ერთადერთი გმირი – ხელმწიფე ეულად ებრძვის ბოროტების უხილავ ძალებს. ფრანგი ფსიქოანალიტიკოსი ჟაკ ლაკანი ამბობდა, რომ გიჟი, რომელსაც საკუთარი თავი მეფე ჰგონია, არაფრითაა იმაზე მეტად გიჟი, ვიდრე თავად მეფე, რომელიც დარწმუნებულია, რომ იგი მეფეა, მიუხედავად იმისა, რომ მას ამისი დამადასტურებელი მანდატიც კი აქვს. ხელისუფლების ასეთი ცალმხრივი ინსცენირების დროს მისი მფლობელი შეიძლება უყვარდეთ, მაგრამ სწორედ სიყვარული თუ ალტაცება იწვევს ხელისუფლების გაფამილარულებას: სუვერენს, რომელიც ოჯახის წევრია, შეუძლია იძალადოს ოჯახის სხვა წევრებზე, იჭირვეულოს და გაიტანოს საკუთარი ახირება, მაგრამ ის მათ საკუთარ თავს ქვეშევრდომებად ვერ განაცდევინებს. საამისოდ არა ურჩხულებთან ბრძოლის რიტორიკა, არამედ ხელისუფლების მითოსის შექმნაში ადამიანების თანამონაწილეობა საჭირო. შევარდნაძემ მის წინაშე დაჩოქების მითით ახალი, ორიგინალური სიუჟეტი შექმნა: ფაქტი ფიქციად – ამ ფიქციის თანამონაწილედ და თანაავტორად კი ადამიანთა განუსაზღვრელი რაოდენობა აქცია, ანუ ყველა ის, ვინც ამ მითს მხარი აუბა და დაიჯერა. სწორედ ამ მითით მოახდინა მან საკუთარი თავის „მეფედ“ და ადამიანების მის „ქვეშევრდომებად“ ლეგიტიმაცია, რაც ყველამ ერთხმად ირწმუნა: შევარდნაძის მხარდამჭერთათვის იგი პატრიარქის მიერ ღვთის სახელით („ხმა ღვთისა“) ხელდასმული და „დაჩოქილი“ ერის ხმით დადასტურებული სუვერენი გახდა, მონინალმდეგეებისათვის კი ტირანი, რომელმაც დაგვარჩოქა. ორივე ვარიანტში შევარდნაძემ დაჩოქების მითის მეშვეობით ლეგიტიმაცია მიიღო.



### ძალიან ხანმოკლე მოგზაურობა მარკ ტვენის საბრაჟოში და მისი „საფლავის კრივილებია“

<<< დასაწყისი გვ. 30

ვეუბნები, – ჩემი მშობლიური ქალაქის ტაქსის მძღოლიც თქვენსავით მჭევრმეტყველია-მეთქი. სიტყვა „ქუთაისი“ ადვილად წარმოთქვა. იკითხა, – ინგლისური თუ იცინაო. რაც შეეხება ქალაქის ტაქსისტურ „პრომოუშენს“, ტვენის გარდაცვალების 100 წლისთავის ღონისძიებების მოხალისე მუშაკი იყო და დაამატა: მოდი და ნუ იქნები მჭევრმეტყველი, ადრე ქალაქს ათი ათასამდე სტუმარი ჰყავდა, ახლა კი სამ-ოთხ ათასს ძლივს ვითვლით, ჰოდა, ჩვენც ჩვენსას ვცდილობთო.

უფულობა და უიღბლობა ელმპირაშიც ცუდია და ქუთაისშიც. ბოლო წლებში მარკ ტვენს ძალიან გაუჭირდა. ცენზურამ შეუტია, მისი გამომცემლობა, აი ის, პირველად „ჰეკლბერი“ რომ დასტამბა, გაკოტრდა; საბეჭდი მანქანა, რომლის დამზადებამაც დიდი ფული დააბანდა, არ გამოდგა. ოთხიდან სამი შვილი დაეღუპა, ცოლიც გარდაეცვალა. დებრესიაში ჩავარდა. ბოლოს ფულიანი მფარველი გამოუჩნდა, თუმცა ისიც გამოეცალა ხელიდან. ვინ იცის, რამდენჯერ ინა-

ტრა ის 12 ათასი, რომელიც ჰეკლბერმა და ტომმა ოდესღაც იპოვეს, ჰეკლბერმა კი სარფიანად დააბანდა. მარკ ტენი ალბათ ამ ჯერზე დაბანდებისგან თავს შეიკავებდა.

ჰეკსაც და ტომსაც გვარიანად გაუკვირდებოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ 1885 წელს ძმაკაცების უწყინარი ჟარგონის გამო აკრძალეს. ქუთაისურ ბირჟაზე ტომის და ჰეკის მწარე გამონათქვამებს 100 ქულით გაუსწრებენ და დესერტადაც არ დააყოლებენ. ისიც გაუკვირდებოდათ, 1902 წელს ბრუკლინის ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილებიდან „ჰეკი“ იმიტომ გააქრეს, რომ მას არა მარტო „ეფხანებოდა“, არამედ „იფხანდა“ კიდევ. თანაც სიტყვა „ოფლის“ მაგივრად ევფემიზმს „დაცვარვას“ არ ამბობდა. ამერიკული ვიქტორიანულია ჰეკისა და ტომის თემა არაა. ამ მხრივ სსრკ-მაც ისახელა თავი. 1930-ში საბჭოთა მეზაჟეებსაც კი დაუბატომრებიათ „ჰეკლბერი“ და ზედ „ტომ სოიერის თავგადასავალიც“ მიუყოლებიათ. XX-ში აფრო-ამერიკელ აქტივისტებს „თავგადასავალი“ არაერთხელ წამოსროლილი სიტყვა Nigger-ის გამო

„ჰეკლბერი“ რასიზმში დაუდანაშაულებიათ. ქუთაისში რასიზმი არ ვიცით. მისისიპი არ მოედინება და იმიტომ. 1993 წელს „ჰეკი“ პენსილვანიის ერთ-ერთ ქალაქშიც კი აუკრძალავთ. ბოლოს იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ მარკ ტვენის ერთგული მხოლოდ ელმპირა და ქუთაისილა დარჩენილა...

„ჰეკლბერი“, თუ არ ვცდები, ასე იწყება: თუ თქვენ „ტომ სოიერის თავგადასავალი“ არ წაგიკითხავთ, მაშინ ჩემ შესახებ არაფერი იცით. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა... იმისთვის, ვინც ელმპირაში სასწავლებლად ჩადის, ჰეკლბერი და ტომი, როგორც წესი, მარტო ბავშვობის მეგობრები არ არიან. სახელოვნებო სკოლა ადრე მარკ ტვენის მამული ე.წ. Quarry Farm იყო, 250-აკრიანი ტერიტორია, რომელიც უკაცრიელი, ბიურგერული ცხოვრებისგან განცალკევებული ბუდე გახლდათ. 1982 წელს ტვენის მემკვიდრეს დიდი ბიძის საკუთრება საგანმანათლებლო სისტემისთვის გადაუცია. აქ წიგნებს გამოსცემენ, გაზაფხულ-შემოდგომაზე ჭკვიანი ხალხი ლექციებს კითხულობს. მკვლევრებისთვის სასტუმრო ოთახებიცაა, აქ მათ კრეატიულ თავში იდეები მოსდით, განმარტოება შეუძლიათ, მერე კი წიგნებს წერენ. დილაობით საუზმის შემდეგ სკოლის გარშემო გაშენებულ სიმწვანეში ისევე სეირნობენ, როგორც – ამ მიწების მფლობელი წინისწინა და წინა საუკუნეში. მარკ ტვენმა საერთო ჯამში აქ 20 წელი გაატარა. ამბობენ, სემუელი დღეში 2 600 სიტყვას ბეჭდავდაო, და თან იმდენს ენეოდა, რომ მის ოთახში სიგარეტის ბოლის გამო თავად არ ჩანდაო. ახლა კი თავისუფალი ხელოვნების დანესებულებაში მონევა აკრძალულია. ტენი ალბათ უფრო მეტს დანერდა, ოთახში ხილვადობა უკეთესი რომ ყოფილიყო. რამდენ სიტყვას ამბობდა დღეში, ეს უკვე არავინ იცის. რას ფიქრობდა ცენზურაზე – ადვილი მისახვედრია, თუმცა მასზე სერიოზულად არასოდეს გაბრაზებულა, ყოველ შემთხვევაში – საჯაროდ. ორი წლის წინ კალიფორნიაში ბერკლის უნივერსიტეტში მარკ ტვენის არქივში ჟურნალ New Yorker-ის რედაქციამ

შემთხვევით მწერლის უცნობი ჩანაწერი „საფლავის პრივილეგია“ (1905) აღმოაჩინა და გამოაქვეყნა. მარკ ტვენის თავის თავს აქაც არ ღალატობს – მომცრო ზომის სატირულ ესეიში იგი ისეთივე მწარეა, როგორც – „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალში“ – არაბავშვური, ტრაგიკული ყოველდღიურობა. ამ ესეიში მარკ ტვენი სიტყვის თავისუფლებაზე სიკვდილის პოზიტიური გაკლენის შესახებ მოგვითხრობს: „ჩვენ კეთილმოწყალედ ვეპყრობით გარდაცვლილთა სიტყვებს. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმეთ მათ არსს, მაგრამ არ ვაყენებთ მათ შეურაცხყოფას და არ ვკილავთ, რადგანაც ვიცით, რომ მათ უკვე თავის დაცვა არ შეუძლიათ“...

მარკ ტვენმა ელმაირაში დაწერა „ტომიცა“ და „ჰეკლბერიც“, „მეფე არტურიცა“ და „უფლისწული და მათხოვარიც“. ამბობენ, სიცოცხლის ბოლოსკენ, რატომღაც მიზანთროპის შეტევები დაეწყო და შეძლებისდაგვარად ებრძოდაო. საინტერესოა – როგორ? ტვენი საკუთარ ავტობიოგრაფიას წერდა, მაგრამ დასრულება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, „ტომ სოიერისა“ და „უფლისწულისა და მათხოვარისა“ ეკრანიზაციას მოესწრო. დასაფლავებულია იქვე – ვიდლანის სასაფლაოს საოჯახო მიწის ნაკვეთზე. ისეთი სასაფლაო ქვა ადევს, როგორც მისი ოჯახის სხვა წევრებს; არანაირი განსხვავება – უბიუსტო, უძეგლო.

„არავითარი კომერციალიზაცია!“ – ასე დაუბარებია მარკ ტვენს, მაგრამ ანდერძის ვილას სჯერა და მით უმეტეს – „საფლავის პრივილეგიის“. მისი გარდაცვალებიდან 100 წლის თავზე, ტვენის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების გარდა, ქალაქი გასტონომიული ფასდაკლებებით აივსო. მაგალითად, სადილი სახელად „მხოლოდ ერთი ღამე მარკ ტვენთან ერთად!“ სიკვდილის 100 წლის აღსანიშნავად ძვირიან სასტუმროში 195,95-დოლარიანი სადილი ორ ადამიანზე ანდა 35-დოლარიანი საუზმის ვაუჩერი ერთ კაცზე პლუს რიგ მალაზიებში ფასდაკლების ბარათი. 24 აპრილს კი მარკ ტვენის და-

საფლავების ცერემონიალი გამართეს. დილის 11 საათზე. ჭირისუფალთა რიგებში ჩანერის მსურველთათვის სპეციალური ტელეფონიც მიუთითეს 1 - 800 - Mark Twain და ორგანიზატორიც – ჩემანგის საგრაფოს სავაჭრო პალატა. ნოემბერში მწერლის დაბადებიდან 175 წელი სრულდება და ნეტავ სამყაროში მოვლინების გათამაშებას როგორ აპირებენ? მოწმეების ჩანერა ალბათ იგივე ტელეფონითა და იგივე არასამშობიარო პალატის მეშვეობით მოხდება, იმერულ-მისისიპური ჩანახატის სტილში.

ელმაირადან მე და ჩემი მეგობარი გვიან საღამოს გამოვემგზავრეთ. ისეთსავე წვამიან განწყობაზე, როგორითაც ჩავედით. გვეგონა, მარკ ტვენისა და მისი შვილობილების, ტომისა და ჰეკის ამერიკა დაგვხვდებოდა. მოლოდინი უფრო ტკბილი იყო, ვიდრე საგრაფო. ქალაქი რაღაცნაირი ობოლ-ტიალი. ვერ ვნახეთ, ვერ ვიგრძენით: გარეთ, დიდი ხანია, სხვა დრო, სხვა ნუგეში და სხვა ესკიზია. შეიძლება, უბრალოდ ტომი და ჰეკი იმ დღეს იქ არ იყვნენ. ალბათ, დაბრუნდებიან, ანდა – უკვე აღარ. ტყუილად არ ამბობდა მარკ ტვენი: „ყველაფერი ადამიანური სევდიანია. იუმორის იდუმალი წყარო სიხარული კი არა, დარდია. ზეცაში იუმორი არ იციან“...

## საფლავის პრივილეგია

### მარკ ტვენი

მის მფლობელს ერთი პრივილეგია აქვს, რომლითაც ვერც ერთი ცოცხალი ადამიანი ვერ ისარგებლებს – სიტყვის თავისუფლება. ამ პრივილეგიის გარეშე ადამიანი არც არის ცოცხალი. მაგრამ თუკი მას ცარიელ ფორმალობად მიიღებ, შეიცნობ, მაგრამ ვერ გამოიყენებ, ის შენს რეალურ საკუთრებად ვერასდროს იქცევა. ეს მოქმედი პრივილეგია მკვლელობის ჩადენის პრივილეგიას უტოლდება. სინამდვილეში მისი გამოყენებაც შეგვიძლია, თუ საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლობის აღებას ვაგებდავთ. მკვლელობა აკრძალულია ორგვარად – როგორც ფორმა და როგორც ფაქტი; სიტყვის თავისუფლება დაშვებულია ფორმით, მაგრამ აკრძალულია,

როგორც ფაქტი. ზოგადი შეფასებით ორივე კრიმინალია და, ცივილიზებული ხალხის დამსახურებით, საყოველთაო ზიზღის საგანია. მკვლელობა ხანდახან ისჯება. სიტყვის თავისუფლება ისჯება ყოველთვის – როცა კი მას ჩაიდენენ. ეს კი, ძალიან იშვიათად ხდება. სტატისტიკურად ერთ (საძულველ) თავისუფალ სიტყვაზე ხუთი ათასზე ცოტა მეტი მკვლელობა მოდის. ისე, არაპოპულარული მოსაზრების სიძულვილის ახსნაც კი შეიძლება: მართალი სიტყვა ძალიან ძვირად ფასობს. მის გამო ადამიანს საკუთარი ბიზნესი შეიძლება თავზე დაემხოს, მეგობრები დაკარგოს და ის საყოველთაო გაკიცხვისა და შეურაცხყოფის საგნად აქციოს. მას შეუძლია ადამიანის უმნიშვნელო ოჯახი საზოგადოებიდან გარიყოს, მისი სახლი კი შერისხულ და უკაცრიელ მარტოობად გადააქციოს. თითოეული ადამიანის გულში პოლიტიკოსების და რელიგიური სიცრუის მიმართ ერთი არაპოპულარული მოსაზრება მაინც იმალება; უფრო ხშირად კი – რამდენიმე. რაც უფრო გონიერია ადამიანი, რაც უფრო ფართოა მისი თვალსაწიერი, მით უფრო საგულდაგულოდ ინახავს მათ. არ არსებობს არც ერთი ინდივიდი – მათ შორის მკითხველიც და მეც – ამ ძვირფას, „საძულველ“ აზრებს რომ არ ატარებდეს, მაგრამ საზოგადოებრივი სიბრძნე საკუთარი აზრის გამოთქმას ყველას უკრძალავს. ჩვენი გულწრფელი მოსაზრების დამალვა ხშირად ღირსეულ ნაბიჯად ფასდება, და არა მშობრობად, მაგრამ ხანდახან განსხვავებულ მოსაზრებას იმიტომ ვმალავთ, რომ მართალი სიტყვისთვის მწარე საფასურის გადახდას ვერიდებით. არავის უნდა, რომ შეიძულონ; არავის უნდა, რომ უფროსხოდნენ.

ამის შედეგიც ლოგიკურია – ჩვენს პოზიციას მეზობლების აზრი განსაზღვრავს; სხვების კეთილგანწყობის დამსახურებას უფრო ვცდილობთ, ვიდრე ჩვენი სათქმელის ჩამოყალიბებას, მისი მართებულობის შეფასებასა და ხმამალა გამოთქმას. ეს ჩვევად გვექცევა და კიდევ უფრო მძიმე შედეგს ვიღებთ – საზოგადოებრივი აზრი



ამ სქემით იბადება და ვითარდება. და ეს უკვე პოლიტიკაა. პოლიტიკა, სადაც არ არსებობს რეფლექსია და პრინციპი, ამიტომ ის პატივისცემას არ იმსახურებს. როდესაც სრულიად ახალი, ჯერაც გამოუცდელი პოლიტიკური პროექტი ხალხს თავს დაატყდება, ჯერ ეშინიათ, მერე შეშფოთდებიან, დაიმორცხვებიან და ცოტა ხნით დამუნჯდებიან, იბოჭებიან, არაგულწრფელები ხდებიან. უმრავლესობა ახალი დოქტრინის შეცნობას და შეფასებას არც შეეცდება, ისინი უბრალოდ გამარჯვებული მხარის გამოვლენას დაელოდებიან. საუკუნის სამი მეოთხედის წინათ, ჩრდილოეთში მონობის საწინააღმდეგო აგიტაციას თავიდან არავინ თანაუგრძობდა. ეს სიახლე ყველამ – პრესამ, მქადაგებლებმა, რიგითმა მოქალაქეებმა ცივად მიიღო. ეს სიფრთხილის ნიშანი იყო, სიმართლის თქმის შიში, და არა მონობის გამართლება ან მონისადმი თანაგრძობის უკმარისობა. არავინ – არც ვირჯინიის შტატის მაცხოვრებლები და არც მე არსებულ წესს არ ვამართლებდი. მაგრამ მაინც, ჩვენ კონფედერაციის იდეას იმიტომ კი არ შევუერთდით, რომ ასე გვწამდა, სულაც არა, იმიტომ, რომ ჩვენ საერთო დინებაში ყოფნა გვინდოდა. ეს ბუნების კანონია და ყველანი მას ვემორჩილებით.

ყველას უნდა წარმატებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდეს. იმაზე მაღალი მოტივაცია არ არსებობს, ვიდრე იყო უმრავლესობა და არა უბრალოდ პარტიის წევრი. რიგითი მოქალაქე პარტიის დოქტრინას არასდროს შეისწავლის და მართალიც იქნება – მაინც ვერაფერს გაუგებს. ნებისმიერ მოქალაქეს რომ სთხოვოთ, დაგისაბუთოთ, რატომ ურჩევნია ფულის ერთი საზომი მეორეს, პასუხი უბრალოდ სამარცხვინო იქნება. იგივე მოხდება თუ ტარიფებზე, ან ნებისმიერ პოლიტიკურ დოქტრინაზე ჰკითხავთ რამეს. დიდი პოლიტიკა რთული პრობლემებია – პრობლემები, რომლებში ჩანვდომაც რიგით მოქალაქეს არ შეუძლია. და ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგანაც პოლიტიკაში გარკვევა ყველაზე გამჭრიახ გონებასაც

უჭირს. ხანგრძლივი კამათისა და განხილვის შემდეგაც ვერაფრით დაადგენ, რომელი დოქტრინაა საუკეთესო.

ადამიანი პარტიაში თუ განვევრინადა, სავარაუდოდ, იქ სამუდამოდ დარჩება. დროთა განმავლობაში წარმოდგენები, გრძნობები, თუ სენტიმენტები შეეცვლება, მაგრამ პარტიას მაინც ვერ დატოვებს. პარტიაში მას მეგობრები ჰყავს, ამიტომ ამ „შეცვლილ წარმოდგენებს“ თავისთვის შეინახავს და პარტიიდან განკვეთილს კერძოდ დაელაპარაკება. ასეთ დროს, ერთადერთი, რისი გამოყენებაც შეუძლია, სიტყვის თავისუფლების ამერიკული პრივილეგიაა. ასეთი უიღბლოები ყველა პარტიას ჰყავს, მაგრამ როგორი პროპორციით – ამას ვერასდროს გავიგებთ. ამიტომ, ჩვენ არასდროს ვიცით, არჩევნებზე რეალური უმრავლესობა რომელმა პარტიამ მოიპოვა.

სიტყვის თავისუფლება გვამების პრივილეგიაა, მკვდრის მონოპოლია. გვამებს ყველაზე გულწრფელად შეუძლიათ საუბარი. გარდაცვლილთა სიტყვების მიმართ ჩვენ მაინც გულმონყალენი ვართ. არასდროს ვკიცხავთ და შეურაცხვეფოთ მათ მოსაზრებებს, მაშინაც კი, როდესაც არ ვეთანხმებით, რადგან ვიცით, რომ თავის დაცვა მათ აღარ შეუძლიათ. არადა, გვამებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, სამყაროს რამდენ საიდუმლოს მოვფენდით ნათელს. გარდაცვლილი ადამიანი სულ სხვაგვარია, ვიდრე სიცოცხლეში – სიფრთხილის „გამოთვლილი“ სიბრძნისა და მეგობრებისთვის ტკივილის მიყენების შიშის გამო, ადამიანი თავის მოსაზრებებს მთელი ცხოვრება საგულდაგულოდ ინახავს და მისი პატარა სამყარო მათი არსებობის შესახებ ვერაფერს მიხვდება. მოგვიანებით კი, „დამალულ განძს“ ყველა საფლავში ჩაიტანს. ჯერ კიდევ ცოცხლებს ეს ყველაფერი ოდესღაც სულისშემძვრელ და სამარცხვინო რეალობად წარმოუდგება და გაირკვევა, რომ ყველა ერთი ფუნჯით არის გასვრილი. იქნებ „ჯერ კიდევ ცოცხლებმა“ თვალი გაუსწორონ რეალობას და გააცნობიერონ, რომ დედამიწაზე არასდროს არავინ არის ისეთი, როგორც უნდა, რომ იყოს – და მეტიც,

ასეთები ვერასდროს იქნებიან.

ვინ იქნება ის გაბედული, ვინც საკუთარი თავის შესახებ სრული სიმართლის თქმას არ შეუშინდება? სინამდვილეში, ჩვენ ვიცით, რომ ამას სიცოცხლეში ვერასდროს გავაკეთებთ. ჰოდა, რატომ არ შეიძლება ეს საფლავიდან გავაკეთოთ და ამით დავკმაყოფილდეთ? იმის ნაცვლად, რომ სიმართლე წლების მანძილზე საგულდაგულოდ ვმალვით, რატომაც არ ჩავწეროთ ყველაფერი ჩვენს დღიურებში? სიკვდილის შემდეგ კი მეგობრებს დაუტოვოთ. სიტყვის თავისუფლებისთვის ეს შესანიშნავი რამაა. მე ეს ლონდონში ვიგრძენი, ხუთი წლის წინ, როცა ბურების გულშემატიკვრების შეკრებაზე – ისინი პატივისცემი ხალხია, გადასახადების გადამხდელები, სამაგალითო მოქალაქეები, ისინი, ვის აზრსაც ანგარიშს უწევენ – განსხვავებული შეხედულებების გამო, გამომსვლელებს თავს დაესხნენ, სასტიკად მოექცნენ და ტრიბუნიდან ჩამოაგდეს. ეს მე ამერიკაშიც გამოვცადე, როდესაც ჩვენს შეხვედრაზე თავს დაგვესხნენ და ორატორს სცემეს. სიმართლე გითხრათ, მე ამას ყოველკვირა ან ორ კვირაში ერთხელ მაინც ვგრძნობ ხოლმე, როცა ისეთი რამის დაბეჭდვა მინდა, რაზეც შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ეს არ უნდა გავაკეთო. ხანდახან კი ჩემი ფიქრები ისე ცხოველდება, რომ იძულებული ვხდები, კალმისტარი ავიღო და ყველაფერი ქალაქში გადმოვანთხო, რომ შიდა აფეთქებისგან დავიცვა თავი. მერე კი აღმოჩნდება, რომ მთელი ეს მელანი და ჩემი ნაშრომიც ფუჭი შრომაა, რადგანაც მისი დაბეჭდვა არ შემიძლია. ახლახან რაღაც ამდაგვარი სტატია დავასრულე, რომელმაც სრული კმაყოფილება მომგვარა. ნაწერი რომ წავიკითხე, ნაიარევი სული დამიამდა, რადგან დავტკბი იმ განსაცდელის წარმოდგენით, რომელიც მისი გამოქვეყნების შემდეგ მე და ჩემს ოჯახს გველოდა. ამ სიტყვას მე მომიავალს დაუტოვებ და ჩემი საფლავიდან წარმოვთქვამ. ესაა სიტყვის თავისუფლება და მის გამო, ჩემს ოჯახს აღარაფერი დაუშავდება.



## მანონი, კარანოია და ისევ თბილისი

<<< ღასაწყისი გვ. 34

გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ ირაკლი ჩარკვიანის მუსიკა დღესაც ანდერგრაუნდად მოიაზრება, მაშინ, როდესაც ის აქ შექმნილი ერთადერთი პროდუქტია, რაც დასავლეთის მუსიკალური მეინსტრიმის სტანდარტებს მთლიანად ერგება. მისი კლიბი „ომარას ძალი“ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, რომ ირაკლი ჩარკვიანს, ანდერგრაუნდი კი არა, უბრალოდ კარგი მუსიკა აინტერესებდა. ჩარკვიანმა ოქსფორდის უნივერსიტეტში საზაფხულო პოეტური კურსი გაიარა და იქ ალბათ ნახა, რომ ანდერგრაუნდი მუსიკაში აღარ არსებობს. კოტე ყუბანიევილს კი, როგორც მხოლოდ მწერალს, ნამდვილად არ ასცდებოდა ეს ხვედრი თუ პრივილეგია. მისი ადგილი სწორედ დახვეწილ პოეტურ ბოჰემაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ვნახეთ, როგორ დაიპყრო მან 90-იან წლებში საქართველოს ტელე-სივრცე ანუ ქვეყნის ყველა ცნობიერი უჯრედი და ყველასთვის მიუღებელი აბსურდი ყველასთვის კარგად გასაგები გახადა.

როდესაც ირაკლი ჩარკვიანმა დამოუკიდებელი კარიერა დაიწყო, მისი ერთ-ერთი პირველი სოლო გამოსვლა ლესელიძის ქუჩაზე, მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრის მიწისქვეშა დარბაზში მოეწყო 1995 წელს. მაშინ ის ჯერ კიდევ ქალი ვოკა-

ლისტების თანხლების გარეშე მღეროდა და ირმა ლეჟავა, მისი მეორე ცოლი და ბენდის წევრი, ჯერ კიდევ არ ჩანდა სცენაზე. ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა, ავანგარდული მოდის ასამბლეაზე და ისევ 1995 წელს, სადაც ირაკლი ჩარკვიანი უკვე იმ ხიბლით და ანტურაჟით წარდგა მაყურებლის წინაშე, რაც უკვე მის გამოსარჩევ ხელწერად იქცა. აქ დრამაზე კაკადუ უკრავდა, ხოლო ირმა ლეჟავა ირაკლისთან ერთად ვოკალი იყო. ეს კონცერტი, სადაც ირაკლიმ სიმღერა „მანონი“ შეასრულა, ერთ-ერთი საუკეთესო ირაკლის კონცერტებს შორის. მერე ამ სიმღერისთვის ირაკლი ჩარკვიანმა პრიზიცი აიღო, როგორც საუკეთესო ქართველმა ალტერნატიულმა მუსიკოსმა.

90-იან წლებში ბევრი იყო ექსპერიმენტი და ურთიერთგადაკვეთა. ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანიევილი ჯერ მაინც ერთმანეთთან ასოცირდებოდნენ და ცალ-ცალკე მათ ძნელად მოიაზრებდა მაყურებლის ფანტაზია. რეაქტიული კლუბის ლეგენდა სწორედ მათი ერთობლივი პერფორმატიული დებიუტის ხარჯზე შეიქმნა, თორემ კლუბის სახელი, მალე ყველას გადაავიწყდა. კოტე ყუბანიევილს მუსიკალური რიტმ-სექციის შექმნა უნდოდა, საკუთარი სოლო პოეტური გამოსვლებისთვის, რაც მალევე უარყო. მანამდე გამოფენებშიც სცადეს მონაწილეობა, მაგრამ ეს სფერო არცთუ ისე

საინტერესო აღმოჩნდა. მათ გაცილებით ფართო პოპულარიზების გზები იზიდავდათ. როდესაც გამოფენაზე საუბარი, ადგილი შესამჩნევია, რომ მათი ძიება არ გადიოდა პოეზიაში ვიზუალური სემიოტიკური ასპექტის წამოწევაზე. მათი ამპლუა მაინც აუდიო სემანტიკა იყო. თუმცა დარჩა ერთი საინტერესო ნამუშევარი, რომელიც მათ თანამედროვე მხატვრების გამოფენაზე გამოიტანეს ქარვასლაში. ეს იყო დიდ ფორმატზე დაწერილი ასეთი ჩამონათვალი:

რა კარგია რომ ბარათაშვილი ხიდია და ჭავჭავაძე პროსპექტი.

რა კარგია რომ რუსთაველი მეტროა და წერეთელი გამზირი.

რა კარგია რომ ვაჟა-ფშაველა გრძელია და ნიკოლაძე მოკლე.

რა კარგია რომ კომკავშირი ხეივანია და სტალინი სანაპირო.

რა კარგია რომ ყაზბეგი კინოა და გურამიშვილი ქანდაკება.

რა კარგია რომ მელიქიშვილი ქუჩაა და ნუცუბიძე პლატო.

რა კარგია რომ ირაკლი ჩარკვიანია და კოტე ყუბანიევილი.

როგორც აქ გრამატიკულად გამოდის, ლექსს ხელი ბოლოს კოტე ყუბანიევილმა მოაწერა, იმ ფაქტსაც, რომ ირაკლი – ჩარკვიანია. ასეთი ლინგვისტური ექსპერიმენტები უდავოდ კოტეს პრეროგატივა იყო. ირაკლი ჩარკვიანი კი უფრო ლირიკული სამეტყველო და სასიმღერო კლიშეების სემანტიკას ეხებოდა, როგორცაა „მე გადმოვცურავ ზღვას, ნუ დაუჯერებ სხვას, რომ მე არ მოვალ, მე შენთან მოვალ, დაგბრუნდები“, ის ამით ქმნიდა გულწრფელობას პოეზიაში.

ორივე პოეტმა საკუთარი დროის მოთხოვნათა შესაბამისად, არაამბიციური, თავისუფალი პოეზიის ერთი მოდელი შექმნეს. არ ვიცი, რომელ პლატფორმაზე მოიაზრებდნენ ისინი საკუთარ თავს, მაგრამ გარემო, რომელშიც მათ მოუხდათ მოსვლა, ძალზე მრავალმხრივი და დატვირთული იყო ექსპერიმენტულობის თვალსაზრისით და იქ ადგილის მოძებნა და თავიდანვე მეინსტრიმის მახასიათებლებზე გასვლა საკმაო ერუდიციას და გათვითცნობიერებას მოითხოვდა. მაშინ პოეტურ სარბიელზე

სხვა მრავალი სახელიც გამოჩნდა – თემო ჯავახიშვილი, დათო ბარბაქაძე, ანომალიური პოეზია. გამოიციმოდა გაზეთები „რუბიკონი“, „მესამე გზა“. დათო ბარბაქაძე გამოსცემდა „პოლილოგს“ და საკუთარ ვიდეოჟურნალს ატარებდა უნივერსიტეტში. ზოგიერთი აკადემიური გამოცემაც, როგორცაა „ნობათი“ და „ცისკარი“, არ ჩამორჩებოდა ლიტერატურულ პროცესს და, ასე თუ ისე, საკუთარ გვერდებს უთმობდა ახალ, რადიკალური ესთეტიკის მქონე ავტორებს.

მინიმალური ლექსიკა და ატონალური რიტმი შეზავებული აკადემიური ქალაქური სიმღერის ინტონაციასთან არის ის, რითაც ირაკლი ჩარკვიანი მომავალი საქართველის სახე იწინასწარმეტყველა. მე ასე მჯერა, გავაკიდევ მრავალი წელი და საქართველო, საკუთარი ქალაქებით, ქუჩებით, კაფეებით და რესტორნებით, ბოლოს მიაღწევს საკუთარ მარკეტინგულ, თვითმყოფად სახეს თანამედროვე მსოფლიოს თანამეგობრობაში და მისი ნამდვილობა სწორედ წარსულის და მომავლის, გლობალურის და ლოკალურის ასეთ ზომიერ შერწყმაში აისახება – ირაკლი ჩარკვიანი სწორედ ამ მხრივ არის განსაკუთრებული ფიგურა. მან შეძლო ქართული ტექსტისა და მელოდიისთვის თანამედროვე მუსიკის მოთხოვნების შესატყვისი ფორმა მოეძებნა – შექმნა სიახლე, და არა ბანალური და უსიცოცხლო დასავლური კლიშე.

ირაკლიმაც იცოდა, რომ ასეთ საქართველომდე ძალზე შორია. 1998 წლის ბოლოს დაფურეკე, მეტრო „რუსთაველთან“ კედელზე ჩამოკიდებული 2-კაპიკიანი ტელეფონებიდან. უცბად მომინდა ირაკლისთან დამერეკა, დიდი ხანი არ მენახა. ირაკლის ჩვეულებრივზე უფრო დაბალი ხმა ჰქონდა. გაუხარდა, რომ დაფურეკე და, – ამოდო, – მითხრა. – იცი, რატომ გირეკავ-თქო, – ვკითხე, – ორივე გავჩერდით, არაფერს ვაკეთებთ და იქნებ რამე გაგვეკეთებინა-მეთქი. – მე უკვე არაფერი აღარ მაინტერესებს, ბიბლიას ვკითხულობო, – მიპასუხა. ირაკლისთან აღარ ავსულვარ. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მივხვდი, რომ 90-

იანი წლების ბოლოს რაღაც უარესი დრო დგებოდა. თუკი ირაკლიც ჩაიკეტა, მაშინ აქ არაფერი კარგი აღარ იქნება-მეთქი. ალბათ ირაკლიზეც იმოქმედა სექსუალურად მშვიდი და პოლიტიკურად მხნე ადამიანების ჰიპერაქტიურობამ:

მე ჩემო დედა კარგად მესმის შენი და ვიცი როგორ შეიცვალა დრო დღეს დაიხურა სიყვარულის სკოლა და დაკლეს ჩვენი ერთად ყოფნის ხბო.

მე ვნახე შოთა როგორ იჯდა ქვაზე და თამარ მეფეს ვერ უწევდა მკლავს ჩვენ ყველა ერთად ვერ მოვედით აზრზე

რომ სიყვარული ანარქიას ჰგავს.

ამის მერე ირაკლი აღარ მინახავს. მალე ამერიკაში წავედი მეორედ, და უკვე საბოლოოდ იქ დარჩენის მიზნით. მხოლოდ ხანდახან ინტერნეტით თუ გავიგებდი, რომ ირაკლი ისევ გამოჩნდა სცენაზე და როგორც მივხვდი, უფრო მძაფრი მოთხოვნებით, როგორმე საქართველოს ელიტური ესტრადის მეინსტრიმის ციხე შეიგინებდა და გაეტეხა. მას ეს იმპულსი ჰქონდა. მისი მელოდიაც ამიტომ იყო ასეთი რომანტიკული და თბილისური, ცოტა ცინიზმით, ცოტა ლირიზმით. სრულიად ბუნებრივი და გასაგები იყო ესეც და პოსტმოდერნისტული სითამამეც – ნანი ბრეგვაძესთან ერთად ემღერა.

ამ პერიოდიდან ირაკლი ჩარკვიანი ესტრადაზე გამოდიოდა და უკვე იქ ცდილობდა „სექსუალურად მშვიდი და პოლიტიკურად მხნე“ ადამიანებისთვის ეჩვენებინა, რომ სილამაზე და ადამიანური ბედნიერება სწორედ საპირისპირო მოდელშია. თუმცა, როდესაც მაინც ერთგვარად ანგაჟირებული აქტივისტობა სცადა, მგონია, რომ ირაკლიმ სწორედ იმ პოლიტიკურ სიმშვიდეს და სიყვარულის ანარქიას უღალატა, რისი წყალობითაც მისი ხელოვნება არასდროს ჩადიოდა დაბალი ვენებებისა და ე.წ. ჰუმანისტური მონოდებების დონეზე. მაშინ ბევრი აჰყვა ხმაურს, ბევრმა აყვირა ხელოვნება, როგორც ქუჩის გონდაკარგული მანანალა და ირაკლისთვის ეს ნამდვილად საზიანო აღმოჩნდა. კაცისთვის, ვინც

აშული იყო, თუნდაც ფრაკში გამოწყობილი, მასში იეთიმ გურჯის თუ უკვე გიორგი გურჯიევის და ნამდვილი თბილისის სული ცოცხლობდა. იმ ქალაქ თბილისის, რუსთაველზე, სასტუმრო „ივერიასთან“, ორსართულიან კაფე „მეტროს“ რომ მოგვაგონებს.

ირაკლი ჩარკვიანი ახალ სახელს ირქმევს და როგორც მე-12 საუკუნის უდიდესმა სუფისტმა პოეტმა ჯალალადინ რუმიმ 33 წლის ასაკში საკუთარი მასწავლებლის სახელი დაირქვა, ირაკლი ჩარკვიანმაც თავისი სამშობლოს ყველაზე საყვარელი, ინფანტილური და არქეტიპული სიტყვით – მეფე – ჩაანაცვლა საკუთარი სახელი. ალბათ, ბევრს ეგონა, რომ მას განდიდების მანია დაემართა, ან თავი მართლაც მეფედ მიაჩნდა (თუმცა, არცთუ უსაფუძვლოდ), მაგრამ ეს ირაკლისთვის მორიგი და ყველაზე მტკივნეული პოპ-ტრიუკი იყო, რომელზეც, ისე მოკვდა, არაფერი უთქვამს ხმამალა. ის „ამბობდა“, რომ სანამ საქართველოში მეფე პოპ-სიმბოლოდ არ გადაიქცევა, მანამდე ნანატრი მზის და ვარდების მხარე მხოლოდ ილუზიებით გაბრწყინდება და არა განათებული ქუჩებით და მყუდრო და კომფორტული თანამედროვე ტავერნებით, სადაც კარი ყველასთვის ღიაა და სახელდახელო, ყოველდღიური ადამიანური სიმშვიდე ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომია. სწორედ მეფე არის სიმბოლო, სადაც თავს იყრის თანამედროვე საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილის არქეტიპული შიშებისა და აბსურდული იმედების მთელი არმია. ირაკლი ჩარკვიანმა კი თქვა, – აი, შეხედეთ, მეფე მე ვარ, მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, თქვენ და ღმერთს გეკუთვნი, მომბაძეთ, ერთნი ვართო.

ამ პერიოდში ირაკლი ჩარკვიანს ახალი ბეკ ვოკალი ჰყავს, და ეს მისი ახალი სატრფო და მეუღლე ქეთათოა. სადაც მეფეა, იქ აუცილებლად არის ქეთათოც. ახალგაზრდა ბალერინა ბალეტის სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის ოპერის სცენაზე მიდის და სპექტაკლებში მონაწილეობს. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს გოგონა ასეთ შტრიხებს შემატებდა თანამე-



დროვე ქართული მუსიკალური პოპ-სცენის ახალ, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმკვიდრებელ მითს. ქეთათოს დროს ირაკლი ჩარკვიანი მეტად ავლენს ისეთ მხარეს, რასაც შანსონის სახეობის მუსიკას მივაკუთვნებთ. როგორც ფრანგი სერჟ გინზბურგი, ის თანამედროვე ქართველი შანსონიეა, სხვადასხვა სტილსა და ჟღერადობას ურევს, ხშირად გამოკვეთილად ავანგარდისტულია.

ირაკლი ჩარკვიანმა და კოტე ყუბანიევილიმა ახალი პოეტიკა შექმნეს, ისე, რომ თითქოს თამაშობდნენ და ამაზე არც უფიქრიათ. პოეტი, მნიშვნელოვანწილად, სულის და სხეულის ერთიანობაა, პოზა და მათ სწორედ ასეთი ადეკვატური პოზა მოძებნეს თანამედროვე სამყაროსა და კონკრეტულად საქართველოს თანამედროვე კონტექსტისთვის. რეაქტიული კლუბი სხვა ე.წ. თანამედროვე პოეტურ დაჯგუფებებს შორის ერთადერთი იყო, ვინც მისაღები გახდა თანამედროვე მხატვრობის წრისთვის. ეს კი ბევრს ნიშნავდა, რადგან თანამედროვე მხატვრობა მაინც მთავარი სტანდარტის საზომი იყო საქართველოში, როცა საქმე ნოვატორობასა და ექსპერიმენტს შეეხებოდა. აქ მთავარი ნიშნის და ფორმის, თავის თავშიც და ისტორიულ კონტექსტშიც, დადგენა იყო. ამიტომაც მხატვრებთან ძნელად თუ გავიდოდა ფარსი და სამოყვარულო გატაცება ამა თუ იმ „აღმომჩენით“. მხატვრები, რომლებიც აბსტრაქციონიზმის ნიადაგზე გაიზარდნენ, პირველ რიგში, სათქმელზე მეტად ენას აქცევდნენ ყურადღებას. რეაქტიულმა კლუბმა ასეთ ენობრივ სქოლასტიკურ ძიებებს გვერდი აუარა და უმოკლესი გზით მივიდა მიზნამდე – ადგა და, თვითონ სათქმელი აქცია ენად. მაგალითად, ირაკლი ჩარკვიანი დათიკოს მეძახდა, რაც არასოდეს არავის მოსვლია თავში. და ის ასეთი კოდების შექმნისას სწორი იყო – სვეტური თბილისისთვის და ვერისთვის მე მართლაც დათიკო უნდა ვყოფილიყავი. რეაქტიული კლუბი, ირაკლი ჩარკვიანი და კოტე ყუბანიევილი ახალს არაფერს ამბობდნენ, ისინი სხვის მიერ ნათქ-

ვამს შეუმჩნეველად წარმოაჩენდნენ, სხვის ლექსიკას და ფრაზეოლოგიას იყენებდნენ, და ამგვარი ხაზგასმებით ახალ ესთეტიკას ქმნიდნენ. ასე დაიბადა თბილისის ერთი ახალი ქალაქური სლენგის, რეტროსა და სუბკულტურის პოეზია. ერთგვარი რეპი. ჰქონდა კიდევ ირაკლის რეპისკენ და რეჩიტატივისკენ მიდრეკილება, „საბავშვო მედიცინის“ მუსიკალურ ვიდეოში „მე მჭირდება სიყვარული“ მისი სიმღერა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ მონაყოლში გადაიზრდება. ოღონდ მას მაინც მყუდრო ოთახი და შესაბამისი მშვიდი პოსტ-მოდერნისტული რეფლექსია ხიბლავდა, მიუხედავად ძლიერი შარმისა და ტემპერამენტისა. დიახ, ამიტომაც ის შანსონიე იყო.

რეაქტიული კლუბის პერიოდში ირაკლის წრეში ხშირად ნახავდით გოგა დადუნაშვილს, დღეს ცნობილ და პოპულარულ კლიპმეიკერს, რომელსაც მეტსახელად დღემდე ბარონას ვეძახით, მხატვარ ოლეგ ტიმჩენკოს თავის მაშინდელ ცოლთან, მომღერალ მედიკო ნულაიასთან ერთად. ირაკლისთან სტუდრობა უყვარდა პოეტ შოთა იათაშვილსაც, მეზობლად ცხოვრობდნენ. კოტე ყუბანიევილითან, რა თქმა უნდა, ბოლომდე მეგობრობდა, რჩევებს ეკითხებოდა. მერე ირაკლი ცოტა ხნით გერმანიაში წავიდა და იქ პირველი ალბომი, „სვან სონგს“ ჩაწერა. ალბომის შემდეგ უკვე მთლიანად ჩამოშორდა ლიტერატურის სამყაროს და ის მძაფრი კონკურენციაც აიცილა თავიდან, რაც 90-იან წლებს ახასიათებდა. ამ ალბომს მალე „აფრენ“ და „ამო“ მოჰყვა, რითაც ირაკლი ჩარკვიანმა უახლესი ქართული პოპის მთელი კოლექცია შექმნა.

სწორედ კოტე ყუბანიევილი და ბარონა გოგა დადუნაშვილი იყვნენ, 1993 წელს ქარვასლაში გამართულ პოეტურ დადა არჩევნებზე რომ მივიდნენ, რათა იქ გამომსვლელი პოეტებისთვის მიკროფონით შეესხენებინათ, რომ თანამედროვე პოეზიის კეთება არც ჰობია და არც „რა, სად, როდის“ ტიპის თამაში. ეს ღონისძიება ჩემი ორგანიზებული იყო და რომ დავინახე, საით მიდიოდა საქმე, ბოლო

დღეს გამოსვლაზე უარი ვთქვი. კოტეს და ბარონას შენიშვნა სამართლიანი იყო – მონაწილეებიდან ბევრს მართლა ეგონა, რომ დადაიზმი სულ ახლახან დაიბადა და ისინი კი არ თამაშობდნენ, მთელი მონდომებით „ნოვატორობდნენ“. ასეთი შემთხვევები კი, გინდა ოპერა იყოს და გინდა გალერეა, მდარე თვითშემოქმედებისკენ მიექანება. ახალი, თანამედროვე პოეზიის პოტენციურ გარიჟრაჟზე ეს დაუშვებელი იყო.

კოტეს ბევრი რამის თქმა შეეძლო და შეუძლია დღესაც, მაგრამ მას რამდენიმე ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა – ძველ აკადემიასთან ადრე, ახალ აკადემიასთან დღეს, აგრესიულად აუტირებულ თვითნაბად ნოვატორებთან. შეიძლება ვინმეს მათი გამძაფრებული სერიოზულობის შურდეს. კარგი იქნებოდა, კოტე ყუბანიევილის ამ ლექსის ბოლო ორ სტრიქონს მოუსმინონ და მისი შურდეთ:

სინანული როცა იგრძნო დავითმა  
ბულბულივით წამოიწყო გალობა  
რუსთაველმა მთელი წიგნი გართიმა  
რომ თამარის გადმოეცა ქალობა  
რამდენს ლექსი აწერინა შიმშილმა  
გაჭირვებამ სიტყვა შობა ფრთიანი  
განა ასე დავით გურამიშვილმა  
არ დაწერა თავის დავითიანი  
სიკვდილმაც გზა რამდენ პოეტს  
აჩვენა

თეთრ ფურცელზე აღვრევიანა მელანი

ტატომაც ხომ შიშით გამოაჭენა  
პროზის ცაზე პოეზიის მერანი  
მე კი როგორც ძველთაძველი  
სატირი  
ჩემს საკუთარ სისულელეს  
დავსტირი.

ლიტერატურისგან ჩამოშორებით ირაკლი სწორედ ასეთ სიგიჟეებს გადაურჩა და ამიტომაც მასთან არაფერი დაკარგულა – არც კოჯრიდან ჩამოტანილი მანონი, არც დაკარგული ნითელპერანგა პატარა ბიჭი და ლამის ფუნიკულიორი, არც ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე და მომღერალი ნანი ბრევგაძე. ყველაფერი, რაც კი თბილისმა შექმნა, ირაკლი ჩარკვიანისთვის და კოტე ყუბანიევილისთვის

## ბაბრქელა

იმდენად ძვირფასი აღმოჩნდა, რომ გაქვავებულ და ყალბ სტანდარტებთან განსაკუთრებულად მძაფრი დაპირისპირება მოუხდათ. არავინ იცის, რას იტყვის მათზე მომავალი. კოტე ყუბანეიშვილი ალბათ ქალაქელი პოეტების რიგში საუკეთესო ადგილს დაიკავებს. აი, ზეპირი პოეზია რომ ჰქონდა ადრე ქალაქს, იმათ რიგში. ირაკლიც, ხომ ვთქვით, აშუღია, პოეტი მომღერალი. მათ ეს ქალაქური ხიბლი ნუსხავდათ. მაშინდელი ორთაჭალა კი უკვე ვაკედ გადაქცეულიყო.

რეაქტიული კლუბი ალბათ კოსმოსთან და გაგარინთან იყო დაკავშირებული, გაგარინის მითთან, მაგრამ თბილისს არ გასცდენია. არც ჰქონია ამის სურვილი. ის არ იხეტიანებდა იოსიდ ბროდსკივით მარტოობაში ნიუ-იორკში, ატლანტიკის ოკეანის ბრაიტონის სანაპიროზე. მან თბილისში გადამწყვიტა ყოფილიყო კაშკაშა და მარტოსული – ის ხან კოტე იყო, ხან ირაკლი, ზოგჯერ კი ორივე ერთად.

დღეს ბევრს არ ესომება, რომ ირაკლი ჩარკვიანი უკვე 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საკუთარი მოთხოვნებით გაზეთ „ლიტერატურ-

რულ საქართველოში“ იბეჭდებოდა და „მერანში“ მოთხოვნების კრებულიც ჰქონდა გამოცემული – „ძველი სათამაშოები“. მას შეეძლო გაეგრძელებინა ეს გზა და პროზაიკოსის კარიერაც შეექმნა. მოგვიანებით ძველ გატაცებასთან მიბრუნებაც სცადა, თუმცა თვითონ ვერ მოესწრო საკუთარი რომანის „მშვიდი ცურვის“ წინადადამოსვლას.

ქეთათოს პერიოდი ირაკლისთვის ყველაზე პროდუქტიული აღმოჩნდა. ამ დროს მთელი მისი შემოქმედება დალაგდა და სტრუქტურირდა. ირაკლი ჩარკვიანის გაყიდვა უკვე შეიძლებოდა. ამიტომაც ვთქვი ადრე, ის ამერიკული პოპ-კულტურის მეინსტრიმში თავისუფლად მოთავსდებოდა-მეთქი. მაგრამ თბილისს მისი ყიდვა არ შეეძლო. თბილისში მეინსტრიმიც არ აღმოჩნდა.

როდესაც ირაკლი გარდაიცვალა, ეს ამბავი პირველმა პოეტმა ნინო დარბაისელმა შემატყობინა. წერილში ნუხდა, რომ მეგობრის ნახვა ვეღარ მოვასწარი ჩემი ამერიკაში ემიგრაციის გამო. ეს ლექსი, რომელიც ჩემს ბოლო კრებულშია შესული, სწორედ ირაკლის

მივუძღვენი, მაგრამ ამის მითითება რატომღაც არ მომინდა:

„...გეტყვი ვინ მოკვდნენ.

მათ შორის ცხოველები და რამდენიმე ადამიანი.

სხვაც ბევრი ამ ქალაქში

უფალო ქრისტე

მე ცოდვილი“.

ამ რამდენიმე ადამიანში ერთი ირაკლიც იყო და მე ეს აღსარება ბრუკლინის მეტროში ვთქვი ჩემთვის.

კოტე ყუბანეიშვილმა და ირაკლი ჩარკვიანმა ასეთ ღარიბ და წესების არმქონე ქვეყანაში მაინც შეძლეს პოპ-კულტურა შეექმნათ. მეფესაც გაუწიეს ანგაროში და სნობური ჟღერადობის დათიკობსაც. მაგრამ თითქოს ყველაფერი დამთავრდა. ავანგარდისტი კოტე ყუბანეიშვილიც „ჩანაცვლეს“. ჯერ არავინ იცის რით, ან იქნებ უნდათ ჩანაცვლონ სიცარიელით.

„...თოვლიან ქართა დევნით დაღლილი

გადაუქროლებს ჩემს ქანდაკებას მერცხალთა გუნდი,

მე ისევ მოვალ,

მხოლოდ არავის არ გაუმხილო,

რომ მე დავბრუნდი“...



<<< **ლასანუსი 33. 40**

მაგრამ ბრუტალური „პროსტიტუციის“ შემდეგ დაიწყო ყველაზე საინტერესო იმუნური რეაქცია, რამდენადაც შენობა, სადაც აქცია გაიმართა, დედოფალს ეკუთვნოდა. ცოტა ხანში ჯენეზისთან მივიდნენ სასამართლოს ლორდები, დედოფლის მრჩეველთა ელიტიდან და მოითხოვეს, ჯენეზისს საკუთარი ნებით დაეხურა აქცია. ჯენეზისის მეგობრების რეაქცია ასეთი იყო: „ჩვენ მათ ვუპასუხეთ, რომ თუკი რამეს შეეხებოდნენ, დავხვედით ქვიშიან ტომრებს, ვარდისფრად შევლავავდით შენობას და უარს ვიტყოდით მის დატოვებაზე“.

„მართლაც უცნაური პრობლემები და განსხვავებები არსებობდა ჩემს მუსიკას, ხელოვნებას, ცხოვრების ტყუილსა და იმ ისტებლიშმენტს შორის, რომელსაც წარმოადგენდა, ან რომელთა სიმბოლოც იყო დედოფა-

# GENESIS P. ORRIDGE

## კულტურული ინჟინერია

ლი“, – თქვა მოგვიანებით ჯენეზისმა ერთ ინტერვიუში.

აქცია იმდენად სკანდალური აღმოჩნდა, რომ ალშოთებამ ინგლისის პარლამენტშიც კი შეაღწია. სწორედ საკითხის პარლამენტში განხილვის დროს გაჩნდა ახალი ეპითეტი, რომელიც დღემდე ამშვენებს ჯგუფის წევრებს და ამ ლეგენდის ერთგვარ მარილს წარმოადგენს. პარლამენტის ალშოთებულმა წევრმა, კონსერვატორმა, ვინმე ნიკოლას ფერბერნმა თავის ვრცელ სიტყვაში წარმოთქვა: „ეს ხალხი ცივილიზაციის მავნეები (გამანადგურებლები) არიან“.

**ინდუსტრიული მუსიკის დაბადება [THROBBING GRISTLE, PSYCHIC TV.]**

„ცივილიზაციის განადგურება“ გაგრძელდა სრულიად ახალი მუსიკალური სტილის შექმნით. იმავე 76-ში Coum Transmissions ტრანსფორმირდა მუსიკალურ ჯგუფად – Throbbing Gristle, რომელსაც წარმოუდგენელი გავლენა ჰქონდა მეოცე საუკუნის მუსიკის შემდგომ განვითარებაზე.

70-იანი წლები არ ჰგავდა მზიან 60-იანებს, ჰიპები გადაშენდნენ და მუტაცია განიცადეს, LSD აიკრძალა, სისტემა საათივით მუშაობდა, დიდი ქარხნები ბერავდნენ შავ ღრუბლებს ქალაქის ცაზე.

სწორედ ამ 70-იანების გამჭვარტლული ცის ფონზე, ჯენეზისმა თქვა, რომ დადგა ინდუსტრიული ერა. და თავის ჯგუფთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ლეიბლს სახელად Industrial Records Limited, არტისტმა მონტე კაზაზამ კი გამოიგონა ცნობილი სლოგანი „ინდუსტრიული მუსიკა ინდუსტრიული ხალხისთვის“.

ინდუსტრიული მუსიკის კონცეპტუალური ფესვები დადაზიმის, ფუტურიზმისა და სიურრეალიზმის საუნდ-ექსპერიმენტებშია ჩაფლული. ურბანული, ტექნოლოგიური ხმაურის აღქმა ახალ მუსიკად, ჰარმონიად ჯერ კიდევ 10-იან-20-იან წლებში დაფიქსირდა ფუტურისტულ მანიფესტებში. თუმცა, 70-იანებისგან განსხვავებით, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ჯართის გორები.

„ეს გარდაუვალი პროცესი იყო, და მისი შექმნის მიზეზი იყო – დრო. სიტყვა Industrial ირონიას შეიცავს, იმიტომ, რომ არსებობს მუსიკალური ინდუსტრია. გარდა ამისა, ეს იყო ხუმრობა, რომელსაც ხშირად ვიყენებდით ინტერვიუში ავტომობილების ხმაურის ჩანერის თაობაზე – „ეს სამრეწველო ხმაა“. აქამდე არსებობდა ბლუზსა და მონობაზე დაფუძნებული მუსიკა. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ არ იქნებოდა ურიგო მისი განახლება, მოდერნიზება თუნდაც ვიქტორიანულ ეპოქამდე – სამრეწველო რევოლუცია, რამე“. „ჩვენ ვფიქრობდით, რომ მუსიკას განახლება სჭირდებოდა. Industrial საკმაოდ ცინიკური სიტყვა იყო ამისთვის“. „ჩვენ ვამბობდით, რომ არსებობს ხმაურისა და სახე-ხატების უზარმაზარი აღმოუჩენელი სივრცე, რომელიც მოგდის თავში, როცა გესმის სიტყვა Industria. „თავდაპირველად ვგეგმავდით სახელწოდებას Factory Records, რომელიც მოვიგონეთ უორჰოლის სტუდიის სახელწოდების და მისი შელკოგრაფიის მეთოდის გავლენით, თუმცა ბოლოს ვიფიქრეთ, რომ მსგავსება ზედმეტად ცხადი იქნებოდა და თან უორჰოლიც სულ არ იყო ასეთი მაგარი ტიპი“.

ლეიბლი გადაიქცა ინდუსტრიული მუსიკის და მისგან წარმოქმნილი სხვა სტილების ერთ-ერთ მთავარ მექად. იქვე ჩაწერა ჯენეზისმა უილიამ ბეროუზიც. ის 1973 წელს გაიცნო და უდიდესი გავლენა იქონია პი ორიჯიზე.

1975 წლიდან 1981-მდე Throbbing Gristle-მა გამოსცა 12 ალბომი, დამახასიათებელი კლასიკური ინდუსტრიული საუნდით და მოულოდნელი ღრმა ლირიკული ბრუტალიზმით, სასონარკვეთილი აგრესიით და რკინის ცივი ხმაურის უცნაური რომანტიზმით.

„ჩვენ ვმუშაობთ ძველ ქარხანაში; ინდუსტრიული შრომა არის მონობა, დესტრუქციული, სრულიად ზედმეტი ინსტიტუცია. ამიტომაც ჩვენ მას სიკვდილის ქარხანას ვეძახით. მუსიკა სიკვდილის ქარხნიდან, სამყაროდან, ცხოვრებიდან. ჩანანერები ინგლი-

სურად ასევე ნიშნავს ფაილებს, დოკუმენტებს, რომლებსაც აგროვებენ სახელმწიფო სააგენტოები, სკოლები და პოლიციური ორგანოები. ჩვენი ჩანანერები არის ჩვენი ურთიერთობების დოკუმენტების კომბინაცია სამყაროსთან. ჩვენი მუსიკა არის სიახლეების გაზეთი – ცენზურის გარეშე“.

მაგრამ ჯენეზისი არ კმაყოფილდება მიღწეულით, მან იცის, რომ სოციალური შაბლონების ყველაზე დიდი არქიტექტურა შესაძლებელია პოპ-კულტურის მედია-სივრცეში არსებობისას.

1981 წელს ჯენეზისმა დახურა პროექტი და გამოაცხადა, რომ „ინდუსტრიული ერა დასრულდა და დაიწყო – პოსტინდუსტრიული“. ასე დაიბადა ჯენეზისის ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მუსიკალური პროექტი – Psychic TV.

**კოპ-ტერორიზმი**

ინდუსტრიულ მუსიკას ხშირად კონტინენრივით გადააქვს ესა თუ ის იდეა არტისტიდან მსმენელში. „მუსიკა არის პროპაგანდა“, – ამბობს ჯენეზისი და გულისხმობს „პროპაგანდას პროპაგანდის წილ“, ინფორმაციულ ომს, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის ცნობიერების ველზე. ის გულისხმობს ყურადღების მართვის ეკონომიკას და პირადი თავისუფლების შესაძლებლობას.

80-იან წლებში – თეიფ-რეკორდერების, ახალი, სწრაფი ნარკოტიკების, ელექტრონიკაზე ორსული ექსპერიმენტული მუსიკის გარემოში ჯენეზისი გადაიქცა ახალ წინასწარმეტყველად. მას „ბრალდება“ საყურების და ტრაიბალური კულტურის სხვა ელემენტების კონტრაბანდული შემოტანა სცენაზე. ეს ის წლებია, როცა პურიტანული ბრიტანეთი დასავლური კულტურის დასამარებად და პრიმიტივიზმად მიიჩნევს უბრალო რკინის აქსესუარს – საყურეს. ამავე პერიოდში იწყება ჯენეზისის უფრო სერიოზული გატაცება სხეულის მოდიფიკაციების იდეით. ჯენეზისი ცდილობს, პოპ-კულტურაში, ყოველდღიურობაში შემოიტანოს „პრიმიტი-



ული“ საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი სიმბოლური მაგიის ენა. ამ მცდელობას ის გამოხატავს რიტუალური ტატიურებისა და გენიტალური პირსინგების დემონსტრირებით.

ამასთან ეს „სუფთა მჭავის და ჰალუცინოგენური ტაბლეტების“, კლუბებისა და უწყვეტი რეივების პერიოდი. ჯენეზისის და მეგობრების მიერ მოწყობილ რამდენიმე დღიან რეივებზე ათასობით ადამიანი მოდიოდა და მიდიოდა. კლუბების მფლობელების უმრავლესობა, სადაც რეივები იმართებოდა, ირლანდიელი იყო. ამიტომ მთავრობა კლუბის შიდა საქმიანობაში ჩარევას ვერ ბედავდა, პოლიტიკური სკანდალების შიშით. ჯენეზისს ათასობით მსმენელი ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ფინანსური მდგომარეობა ხშირად კატასტროფული იყო – ის და მისი მეგობრები ცდილობდნენ, ყველაფერი „გასამრჯელოს“ გარეშე გაეკეთებინათ. რამდენიმე ინტერვიუში ჯენეზისი ენთუზიანობა და ინდივიდის სპონტანურ ძალაზე ხაზგასმით საუბრობს. ის ამბობს, რომ ამ ძალას ათასების შეკრება შეუძლია ერთ ღამეში, წინასწარი პროპაგანდისა და ფულის დაბანდების გარეშე.

ირლანდიელებისა და უცნაური ხალხის მასობრივი თავყრილობების გარდა, ამ დროს ბრიტანული სახელმწიფო რატომღაც ტერორიკით უფრთხოდა... პირსინგებს(!), რომლის ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორიც სწორედ ჯენეზისი გახლდათ. სახელმწიფოს ეს შიში იმდენად არარაციონალური და არაადეკვატური იყო, რომ ჯენეზისის ნაცნობთა წრის მთავარი ტატიუსტი, ადამიანი, რომელსაც თავისი ანდერგრაუნდ სალონი ჰქონდა პირსინგების გასაკეთებლად, ბრიტანულმა პოლიციამ ახსნა-განმარტების გარეშე დააკავა. სასამართლომ ადვოკატის გარეშე ჩაიარა, მხოლოდ დატატირებული „ინდივიდუუმის“ (ჯენეზისი ასე ეძახის დამოუკიდებელ პიროვნებებს), ბადრაგის და სასამართლოს ლორდების მკაცრი დუმილის ფონზე. ბრალდება აბსოლუტურად ირაციონალური აღმოჩნდა: „სხვა ადამიანები-

სთვის ფიზიკური ზიანის მიყენება“. იგულისხმებოდა ადამიანებისთვის პირსინგის გაკეთება მათივე ნებით! ერთ-ერთ ინტერვიუში ჯენეზისმა თქვა, რომ თუ მათ (იგულისხმება მთავრობა) მოუნდებოდა – თავისუფლად შეუძლიათ იგივე ბრალდებით დღესაც დაიჭირონ ვინმე ბრიტანეთში.

ამავე დროს ჯენეზისმა დაიწყო ბეროუზისგან და გაისინისგან ნასწავლი cut-up ტექნიკის გამოყენება ახალი გზით. cut-up ტექნიკა, როგორც ახალი ლიტერატურული მეთოდი, სავარაუდოდ, დადაიზმის გავლენით მოიფიქრა ბრაიონ გაისინმა, რომელიც ბეროუზთან ერთად ამტკიცებდა, რომ მწერლობა ნახევარი საუკუნით ჩამორჩა მხატვრობას და რომ ამ ვაკუუმური მანძილის ამოვსება შესაძლებელია ასეთი ექსპერიმენტული მეთოდით. cut-up ტექნიკა გულისხმობდა სრულყოფილი ტექსტის დაჩეხვას რამდენიმე ნაწილად და „შემთხვევითი“ გადარჩევის პრინციპით მათ ისევ შეერთებას. ამ პრინციპითაა აგებული ბეროუზის რომანების დიდი ნაწილიც. ეს ხერხი გულისხმობდა ენის, როგორც აზროვნების, ტრადიციული, ტოტალიტარული იმპერატივის შესუსტებას.

80იან წლებში ჯენეზისი cut-up მეთოდს მუსიკაში იყენებდა. და ძალაუნებურად გადაიქცა თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთ პიონერად. cut-up ტექნოლოგიების შედეგებია ლუპები და სემპლები, რომელთა გარეშე თანამედროვე ელექტრონული მუსიკა თითქმის წარმოუდგენელია. მუსიკაში ამ მეთოდის გამოყენების პიკი იყო ალბომთა სერია „ელექტრონული ჟურნალი“. მუსიკა, რომელიც ჰგავს ვიზიონერულ ნოვლებს, სადაც ერთმანეთშია არეული ინდუსტრიული ხმაური, ჩანანერები რადიოდან და ტელევიზორიდან, პირადი საუბრებიდან, დელფინების და ტალღების ხმა...

ამ დროს ჯენი აცხადებს, რომ ისინი არ არიან მუსიკალური ჯგუფი, რომელიც იღებს ვიდეოებს, არამედ პირიქით, – ვიდეოარტ ჯგუფი, რომელიც იყენებს მუსიკას. ჯენეზისი

ვიდეოს და ტელევიზიას უყურებდა როგორც მაგიურ ტერიტორიას და პოტენციურ ინფორმაციულ იარაღს, რომელმაც მილიონების ცხოვრებაში შეიტანა მონტაჟის ცნება. მონტაჟი ენაა, კულტურული რეკონსტრუქციების და ძალაუფლების ლინგვისტიკა, რომლის ცოდნაც თითქმის ათანაბრებს ინდივიდუუმს ძალაუფლების სისტემებთან. ჯენეზისი და მისი ბავშვობის მეგობარი, საკულტო რეჟისორი, ჯერეკ დერმენი ამ პერიოდში იწყებენ სექსის, ძალადობის, სიკვდილის შიშის, ნაწყვეტ ფრაზებად გაგონილი უცნობი ბრძანებების და რიტუალების დამონტაჟებას ცალკეულ ვიდეოებში. მომავალში ვიდეოექსპერიმენტები ჯენეზისის ერთი სერიოზული პრობლემის მიზეზიც ხდება. ამაზე ქვემოთ.

ამავდროულად ჯგუფი არნახულად პროდუქტიული გამოდგა. ისინი მოხვდნენ გინესის რეკორდების წიგნში უპრეცედენტო მუსიკალური აქციის შედეგად: 23 თვის განმავლობაში ყოველ 23 რიცხვში უნდა გამოსულიყო ჯგუფის ახალი ალბომი ან საკონცერტო ჩანანერი. მეჩვიდმეტე ალბომის შემდეგ ჯენეზისი გადაიწვა, მაგრამ გინესის რეკორდების წიგნში მაინც მოხვდა.

რიცხვი 23 დაკავშირებულია ჯენეზისის ახალ აქციასთან. ეს არის – „ფსიქიკური ახალგაზრდობის ტაძარი“ (TOPY – Temple of Psychik Youth). ტაძრის მიზანი პრო-სექსუალური თვითგათავისუფლების ფილოსოფიური კვლევა და მსოფლიო მასშტაბის არაიერარქიული ანტიკულტის დაფიქსირებაა, ანონიმური გლობალური ქსელის და თავისუფალი ტომის შექმნა. ჯენეზისი არასოდეს იყო რომელიმე კონიუნქტურული პოლიტიკური სწავლების პროპაგანდისტი. მისი ფილოსოფია არ თავსდება მემარჯვენე ან მემარცხენე სიბრტყეზე. მისი ფილოსოფია ღრმავა, ის ხვდება, რომ სოციალური გაუმჯობესება, მუშებისთვის ხელფასების 10-პროცენტიანი ზრდა და ამგვარი მოთხოვნები თავისი არსით ვერ ცვლიან მთავარს – ცნობიერებაში – საუკუნეების განმავლობაში ჩამჯ-

დარ ურყევ შაბლონებს, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში მიერეკებიან ადამიანს კონტროლისკენ, ძალადობისკენ, მამრული-პატრიარქალური აგრესიისკენ.

„ჩვენ ჯერ კიდევ იმავე პიესას ვთამაშობთ, რომელსაც ვთამაშობდით გამოქვაბულებში, მაგრამ მასშტაბი შეიცვალა. ახლა უკვე ვერავინ ვერ გააკონტროლებს თამაშს“. ამ თამაშს ჰქვია პატრიარქატი, სპორტის და კონკურენციის კულტი, მკაცრი კონტროლის და წესრიგის რელიგია. ამიტომაც ჯენეზისი თავს ესხმის არა მხოლოდ გარეგან სოციალურ ბალასტს, არამედ ცივილიზაციის საფუძვლებს. „ცნობიერება გასაღებია“, „სიამოვნება – იარაღია“.

„ჩვენ გვსურს, გავარღვიოთ კონტროლი ყველა დონეზე. ჩვენ ნებისმიერ დარგში ვექსპერიმენტატორობთ, რომელიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება – მაგიკა, ტექნოლოგიები, პოეზია, მუსიკა, ყველაფერი“.

„ინფორმაცია ძალაუფლებაა. რაც უფრო მეტი ინფორმაცია მოძრაობს ქსელში, მით უფრო მეტი ძალა აქვს ქსელს. სწორედ ამ ქსელში ვავრცელებთ ჩვენს გამოცდილებას, იმედებს, სიზმრებს და სურვილებს. ჩვენ ყველანი ერთად ვიზრდებით“.

შემდეგი 10 წლის განმავლობაში TOPY-ს შეუერთდა 10 000-ზე მეტი ადამიანი. ბრიტანეთის მთავრობა დაიძაბა. ჯენეზისი თავის არმიას აგროვებს? ალბათ რომელიმე ლორდმა წარმოიდგინა ეს არმია – თავისუფალი, მოცეკვავე ინდივიდები ინგლისის ვარდისფრად გადაღებულ პარლამენტთან კოსმოსის სექსუალური კოლონიზაციის გეგმას განიხილავენ...

ახალ ქსელს ახალი დღესასწაული აქვს: ყოველი თვის 23 რიცხვში ქსელის წარმომადგენელი ინდივიდუალურ რიტუალს ასრულებს – აღნიშნავს, რომ ის იმყოფება „ქსელში“. რიტუალს არ გააჩნია ინსტრუქციები, თვითონ რიტუალის არსებობა ქმნიდა „ფსიქიკური“ ერთად ყოფნის ახალ, ალტერ-სოციალურ შაბლონს. Psychic TV-ც, ჯენეზისის თქმით, პოპ-კულტურაში ტაძრის იდეების გადასაზი-

დად „დამზადებული“ პროექტი იყო. თუმცა, მიუხედავად ჯენეზისის ამ განცხადებისა, ჯგუფმა შექმნა ბრწყინვალე მუსიკის ძალიან ბევრი ნიმუში, რომლებსაც დღემდე უსმენენ და არ დაუკარგავთ აქტუალობა.

ჯენეზისი სპეციალურად იყენებდა ტერმინს „ტაძარი“, რომელიც შეიცავს ძალიან ბევრ არასასიამოვნო ისტორიას იგივე 60-70-იანი წლებიდან, როცა მასობრივად იქმნებოდა რელიგიური და ტოტალიტარული, დესტრუქციული კულტები. თან ამ დროს 80-იანებს ჯერ კიდევ ახსოვდა კულტების დაპირისპირება პოლიციასთან, ჩარლზ მენსონი, მასობრივი თვითმკვლელობები და შეთქმულების თეორიები, რომელთა მიხედვით, მსგავსი კულტების უმრავლესობა სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული ჯგუფები იყო ცნობიერების კონტროლის და სხვა ექსპერიმენტებისთვის. რა თქმა უნდა, შეთქმულების თეორიები ყვითელი პრესის მთავარი თემაა, მაგრამ ჯენეზისმა იცოდა, რომ ყვითელი პრესა ადამიანური ქვეცნობიერი შიშების და კომპარების პრესაა, და უხერხული საკითხი სახელმწიფოსთვისაც, ამიტომაც: პროვოკაციული ტაძარი, რომელიც სინამდვილეში ანტიკულტია ლიდერების გარეშე, მაინც ძლიერი ინტოლოგიური ტერაქტია საზოგადოებრივ აზრზე და ძალაუფლების მფლობელებზე. განსაკუთრებით, როცა კულტი დღითი დღე იზრდება და ვითარდება. „პროპაგანდა პროპაგანდის წილ!“

1991 წელს ჯენეზისი ნეპალში იყო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, მოხალისედ მონაწილეობდა ტიბეტელი დევნილებისთვის დამხმარე კომისიაში.

დასვენების დროს, სადილობისას მას მოუტანეს კონვერტი წარწერით: „სრულიად სასწრაფოდ“; ჯენეზისმა გახსნა კონვერტი და შეიტყო, რომ მისი სახლი გაჩხრიკა სკოტლანდ იარდმა, ბრიტანულმა სპეცსამსახურმა, რომელმაც წაიღო უამრავი ვიდეოჩანაწერი, ბეროუზის გამოუქვეყნებელი ნაწერები და ჯენეზისის ტაძრის მასალები, რომლებიც

დღემდე დაკარგულია. ბრიტანეთში ჯენეზისის წინააღმდეგ გორდება მძლავრი ანტიპიარი. მას ადანაშაულებენ ძალადობასა და კულტის ჩამოყალიბებაში. მის ადრინდელ ვიდეო-ექსპერიმენტებს კი იყენებენ, როგორც „პირველ ვიდეო მტკიცებულებას სატანისტების და სატანისტური რიტუალების წინააღმდეგ“. გამოდის სპეციალური ტელეგადაცემა ჯენეზისისა და კულტების შესახებ, სადაც რესპონდენტები ჟურნალისტებს საოცარ აღსარებებს აბარებდნენ. მონტაჟის ენა, რომლის გამოყენება ჯენეზისის კონტროლის წინააღმდეგ სურდა – ისევ კონტროლის იარაღად რჩებოდა და ჯენეზისის წინააღმდეგ საუბრობდა. ჯენეზისი მიხვდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში – მას „ჩაწყობილი“ სასამართლო და ციხე ელოდებოდა. ბრიტანეთის ხელისუფლებამ აშკარად გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მოეშორებინა ეს თავის ტკივილი. მოგვიანებით გაირკვა, რომ „ანტიჯენეზისულ“ გადაცემაზე მუშაობდნენ იმ პერიოდში აქტიური მემარჯვენე კონსერვატორები. მათ თავის გემოზე დაამონტაჟეს კადრები სატელევიზიო ექსპერიმენტიდან, რომელიც სწორედ მონტაჟის და სიტუაციების მოდელირების ეფექტებს ეძღვნებოდა!! ჯენეზისი არ ბრუნდება ბრიტანეთში. ის მიდის კალიფორნიაში.

იმავე წელს აცხადებს, რომ TOPY დაიხურა, რამდენადაც გლობალურ ქსელს არ სჭირდება ოფისი ან ხელმძღვანელები. თუმცა ტაძრის სხვა წევრები მას არ ეთანხმებიან და ხდება განხეთქილება, რის შედეგადაც ტაძარი დღემდე ფუნქციონირებს როგორც „ავტონომიური ინდივიდების ქსელი“, ოღონდ უკვე ჯენეზისისგან დამოუკიდებლად. ჯენეზისი კი აცხადებს, რომ ტაძარი, იმ სახით როგორც მან ჩამოაყალიბა, ამოიწურა.

1992 წელს სამშობლოდან განდევნილი, აბსოლუტურ ეკონომიკურ და სულიერ კრიზისში მყოფი ჯენეზისი პი-ორიჯი ხვდება მისი ეპოქის მეორე ანტიგმირს, ადამიანს, ვისაც ოდესღაც ნიქსონმა „ამერიკის ნო-

მერ პირველი მტერი“ უწოდა და ვი-საც უკვე გამოცდილი ჰქონდა, თუ რას ნიშნავს იყო განდევნილი თავი-სუფალი აზრის და სოციალურ შა-ბლონებზე ექსპერიმენტების გამო. ჯენეზისი შეხვდა დოქტორ ტიმოთი ლირის და დიდ დროს მასთან ერთად ატარებდა. ძალიან სადად და ლამაზად აქვს მოყოლილი დუგლას რაშკოფს ჯენისა და ტიმის შეხვე-დრა და დისკუსია ტიმის სახლში ბევრლი ჰილსზე, წიგნში „მედიავი-რუსი“. ტიმის სახლიდან ჩარლზ მენ-სონის ოჯახის მსხვერპლის შერონ ტეიტის სახლი მოჩანდა. ტიმისა და ჯენეზისის საუბრების დროს იქიდან გამოდიოდა ჯგუფ Nine Inch Nails-ის რეპეტიციების ხმა. საინტერესო კადრია: მოხუცებული ტიმოთი ლირი, გაუბედურებული ჯენეზის პი-ორიჯი და შორეულ წვეტილ ფონად მუსიკა, ჯგუფის, რომელიც მსოფლიოში ცნო-ბილია იმ სტილით, რომელიც გამოი-გონა თავად ჯენეზისმა.

ამ შეხვედრის ერთ-ერთი შედეგია მათი ერთობლივი, ნახევარსაათიანი აუდიოვიდეო-არტი, რეგოლუციური სახელმძღვანელო – **How To Operate Your Brain**.

ჯენეზისის მუსიკის ფონზე დაახ-ლოებით 28 წუთის განმავლობაში ტიმოთი ლირი წყნარად, მედიტატიუ-რად კითხულობს ტექსტს ინდივიდუ-ალური რეგოლუციის, „გლობალური ელექტრონული სოფლის“, ქაოსის მაგიასა და რეალობის დიზაინის შესახებ. ვიდეოგამოსახულება არ-ამდგრადია, ყოველ წამს იცვლება. თითქოს უფორმო, როგორც ის „შინა-განი ქაოსი“, რომელსაც პიროვნების თავისუფლების მთავარ ტრამპლი-ნად თვლიდა ჯენეზისიც და ტიმოთი ლირიც.

„რელიგიურ და პოლიტიკურ ლი-დერებს სურთ, მოგახვიონ წესრიგი, კანონები არსებობისთვის, სურთ, განსაზღვრონ შენი აზროვნება.

შენი მთავარი მიზანია საკუთარი ცნობიერების მართვა. იფიქრე და-მოუკიდებლად“.

„იმისათვის, რომ დამოუკიდებლად იაზროვნო, უნდა იცოდე, როგორ ხდება საკუთარი ტვინის რეპრო-

გრამირება, რეფორმირება, ინ-ფორმირება. იმისათვის, რომ ეს გაა-კეთო, უნდა აილო პასუხისმგებლობა საკუთარ ტვინზე; აუცილებელია, დაეჭვდე ყველაფერში, რაც გას-წავლეს, დაეჭვდე ავტორიტეტებში. აუცილებელია, ისწავლო ამ დიდი ნაბიჯის გადადგმა და პასუხისმგე-ბლობის მიღება საკუთარი ტვინის დამოუკიდებელი მართვისათვის; შინაგანი ქაოსის რეფორმირებისა და რედიზაინისთვის“.

1950-იანებში მოვიდა მარშალ მაკლაენი, რომელმაც სოკრატე-სებურად თქვა, – „მედიუმი არის შეტყობინება“. სიტყვებს, რომლებ-საც ხმარობ, კომუნიკაციის სახეები განსაზღვრავენ. ქმნიან რეალობას, რომელშიც შენ ცხოვრობ. ცხოვრების უდიდეს ნაწილს უმრავლესი ჩვენგანი ატარებს სხვების მიერ განპირობე-ბულ რეალობაში, რომელიც ზემოქ-მედებს ჩვენს ტვინებზე განათლების სისტემით, რელიგიებით, პოლი-ტიკით, ავტორიტეტებით. მაკლაენმა თქვა, „თუ შენ გსურს, შეცვალო შენი ცნობიერება – შეცვალე მედიუმი“. შეცვალე სიტყვები, რომლებსაც იყ-ენებ. შეცვალე კომუნიკაციის სახ-ეები. თუ შენ შეცვლი მედიუმს – შენ შეცვლი საკუთარ თავს. შენ შეცვლი საზოგადოებას“.

„1960-იანებში განვითარდა კომუ-ნიკაციის ახალი სახეობა: ტელევიზია. ბავშვებმა, რომლებიც გაიზარდნენ 1950-იანებში, ისწავლეს, როგორ უნდა ჩაერთო, აირჩიო, გადართო ის, რაც ეტაკება შენი თვალის გუგას. შენ აკონტროლებ საკუთარ თვალის გუგებს და ყურის ბარაბნებს. შენ მართავ მედიას, რომელიც აპროგრ-ამებს შენს ტვინს. მაკლაენმა თქვა: „ის, ვინც აკონტროლებს მედიას – აპროგრამებს შენს ცნობიერებას და ტვინს“.

„იმისათვის, რომ მართო საკუთარი ტვინი – უნდა ისწავლო თვალის მართვა“.

„ტვინი შექმნილია იმისთვის, რომ შექმნას რეალობა. თუ შენ კარგად მართავ საკუთარ ტვინს, მაშინ სა-კუთარი რეალობის შექმნას ისწავლი, ისწავლი ელექტრონებისა და ფო-

ტონების კომუნიკაციას – ტვინის ენაზე. ჩვენ ზუსტად ამას ვაკეთებთ ახლა. ვაგზავნი შეტყობინებებს ჩვენი ტვინებიდან და ვიყენებთ ელექტრონებისა და ფოტონების ტრანსპორტს, რომ შენს თვალებამდე მოვალნიოთ“.

**ლედი ჯეი – სიყვარული**

ეს მოხდა ჯენეზისის სახლში, სრუ-ლიად შემთხვევით. ერთ-ერთი მორი-გი ხმაურიანი წვეულება დილისკენ ჩაცხრა, შუადღეს კი თავისტიკვილით გაღვიძებულმა ჯენეზისმა არეულ სახლში სრულიად უცნობი ადამიანი დაინახა. ეს ადამიანი ტანსაცმელს იცვამდა „ძალიან ნელა“. ჯენეზისმა თვალი ვერ მონყვიტა ამ პროცესს, ვიდრე ლედი ჯეიმ არ შენიშნა მისი მზერა. „ჩვენი პირველი შეხვედრის დროს მან შემიყვანა ოთახში და თა-ვისი ტანსაცმელი ჩამაცვა“. ამის შემდეგ ბრეიერ და ჯენეზის პი-ორი-ჯები განუყრელად ერთად იყვნენ, ერთ ჯგუფში უკრავდნენ და იმ საზ-ღვრამდე გაყვნენ თავიანთ სიყვარ-ულს, რომ ორივეს ერთდროულად გაუჩნდა სურვილი – ერთ არსებად ქცეულიყვნენ (ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით).

ამ სიყვარულის პერიოდში მომ-ნიფდა ჯენეზისის ერთ-ერთი ბოლო შოკური აქცია.

სიყვარული დაეხმარა ჯენეზისს, გაცილებით ღრმად ჩაეხედა კონტრო-ლის გენეზისში და ამ სიღრმეზე ის გადააწყდა ადამიანური დეტერმინიზ-მის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობე-ელ ფაქტორს – ბიოლოგიას, დნმ-ს, რომელიც არის პირდაპირი ბრძანე-ბა, იმპერატივი, თუ როგორი უნდა იყოს ესა თუ ის სხეული. ჯენეზისი და ლედი ჯეი ხვდებიან, რომ კა-ცობრიობა მორჩილად ხვდება ამ იმ-პერატივებს, კაცობრიობის ყველაზე დიდი მეამბოხეებიც კი არ აქცევდნენ ყურადღებას ამ საკითხს. ამ თემაზე ფიქრით ჯენეზისი ისევ დაუახლოვდა ლირის იდეებს, რომ დროა, დაირღვეს ადამიანის სხეულის საკრალურობის მითი, რამდენადაც სხეული – ისეთი სახით, როგორც დღეს გვაქვს, არ არის დასრულებული ევოლუციური



მწვერვალი, ის განვითარების პროცესშია.

ჯენეზისი ხვდება, რომ სოციალურად ჩანერგილი აგრესიული თუ შეზღუდული შაბლონების გარდა, დიდწილად ჩვენი აგრესია, ტერიტორიებისთვის ბრძოლა – უბრალო ცხოველური ინსტინქტებია – გენეტიკური შაბლონები. ამ იდეით ის ახლოს დგას ტრანსჰუმანიზმის ფილოსოფია-სთან, რომლის მიხედვით, მომავალში ჩვენ თავად შევძლებთ ჩვენი პირადი ევოლუციის მართვას და ნაკლებად ვიქნებით დამოკიდებულები ბუნების „ბრმა“ პროგრამირებაზე.

ჯენეზისი და ლედი ჯეი დაფიქრდნენ ურთიერთშერწყმაზე და საფუძველი დაუდეს სიმბოლურ აქციას სახელად „პანდროგენი“.

„საჭიროა, შევწყვიტოთ ქცევა, როგორც ბიოლოგიურმა კლანებმა, როგორც ტერიტორიულმა პრიმატებმა, და სხვა არსებებმა, რომლებიც ამტკიცებენ თავიანთ ადმატებულობას გარეგანი და შინაგანი მოწინააღმდეგეების წინაშე, იბრძვიან ლიდერობისთვის, მიმართავენ ძალადობას. პირიქით, ჩვენ სრულიად გულწრფელად და რადიკალურად უნდა შევცვალოთ ქცევის სტერეოტიპები, გავიქცეთ ცხოველური წარსულისგან წინ – მომავლის ღვთაებრივად სუფთა და მგრძობიარე არსებისკენ. თუ მივიღებთ ამ სიახლეს – ამ სიტყვის ყველა, მეცნიერული და ემოციური მნიშვნელობით, შევძლებთ ვიმოდროთ შიშის და დანაშაულის გრძნობის გარეშე და, რაც ძალიან სიმბოლურია, დავუბრუნდეთ ყოფიერების, არსებობის მდგომარეობას.

ყოფიერების ამ მდგომარეობას ჩვენ დავარქვით პანდროგენულობა. პოზიტიური ანდროგენის მდგომარეობა. ალქიმიური მდგომარეობა, როცა ყველა ფიზიკური თუ მენტალური საზღვარი ნადგურდება, იმისთვის, რომ გამოაღვიძოს ჩვენი მეხსიერება იმის შესახებ, თუ როგორები ვიყავით ვიდრე დაიწყო – დრო.

თუ მე მართალი ვარ, მაშინ ჩემი კულტურული ინჟინერიისადმი მიძღვნილი დისერტაციის მიხედვით, ჩვენ გავხდებით საზოგადოების წარ-

მოდგენელი აქტიურობის მოწმეები, რომელიც იქნება ინტუიტიური მისწრაფების გამომხატველი – ვაკონტროლოთ ის, რაც ადრე უმართავ პროცესებად ითვლებოდა.

ადამიანური სხეულის ფორმა, სქესი და ზედაპირი გადაფასდება, შეიძენს ახალ მნიშვნელობას იმის მიხედვით, თუ რამდენად რბილია და რამდენად აქვს იმის პოტენციალი, რომ წარმოაჩინოს შინაგანი არსება, სული, რომელიც, სხეულთან შედარებით, წინმსწრები ტემპით ვითარდება“.

„ზოგი ადამიანი თავს თვლის ქალად, რომელიც ჩაკეტილია მამაკაცის სხეულში, ზოგიერთი თავს გრძნობს მამაკაცად, რომელიც ქალის სხეულშია ჩაკეტილი, ჯენეზის ბრეიერ პი-ორიჯი თავს უბრალოდ სხეულში ჩაკეტილად გრძნობს“.

აქცია „პანდროგენი“ განხორციელდა წმინდა ვალენტინის დღესასწაულზე, სიყვარულის დღეს, ჯენეზისი და ლედი ჯეი, იგივე ბრეიერ პი-ორიჯი ერთად დაწვეს პლასტიკური ოპერაციის გასაკეთებლად. ორივემ ჩაიდგა ერთნაირი მკერდის იმპლანტანტი, გაიკეთა სახის ნაკვეთების კორექცია.

„ეს სიმბოლური აქცია იყო, – განაცხადა ჯენეზისმა ერთ-ერთ ინტერვიუში, – ჩვენ ტყუპებად ვიქეციოთ, ერთ არსებად. ყოველი დღე და ყოველი ღამე ეძღვნება ერთ არსებად გადაქცევას“. მამაკაცური და ქალური სანყისების შეერთებას ანგელოზურ, ჰერმაფროდიტულ მდგომარეობამდე. ყოველი დღე ეძღვნება სიყვარულს, რომლის ანალოგი მანამდე ისტორიაში არ ყოფილა. ჯენეზისმა მისი მეორე ნახევრის საპატივცემულოდ აიღო ახალი სახელი, ამიერიდან ის არის – ჯენეზის ბრეიერ პი-ორიჯი. ერთი არსება, ორი სიყვარულით. ამ შემთხვევაშიც პი-ორიჯი ლედი ჯეისთან ერთად ავითარებდა გაისინის და ბეროუზის იდეას „მესამე გონების“ შესახებ, როცა ორი ადამიანი ყოველდღიურად შეერთებული სიყვარულით და არტით, თავისდაუნებურად, დასაბამს აძლევს მესამე გონებას, რომელიც არც ერთი არაა ცალ-ცალკე, მაგრამ არ არსებობს მათ გარეშეც. ჯენეზისმა არ დაივიწყა cut-up-ის

ტექნიკა და ამჯერად სიტყვების, მუსიკისა და ვიდეოს მულტიმედიაური სფეროდან სცადა ტექნიკის გადმოტანა ყოველდღიურ ცხოვრებასა და ბიოლოგიურ სხეულზე.

„ის ყოველთვის ამბობდა, რომ სურდა, დარჩენილიყო მოგონებებში როგორც უდიდესი სასიყვარულო ისტორიის გმირი“, – ამბობს ჯენეზისი ლედი ჯეიზე, მისი ცხოვრების ყველაზე მთავარ მოვლენაზე.

თუმცა პანდროგენული აქცია და ბედნიერი სიყვარული დიდხანს არ გაგრძელდა. 2007 წლის 9 ოქტომბერს, დროულად გამოუვლენელი დაავადებისგან მოულოდნელად გარდაიცვალა ლედი ჯეი, პრაქტიკულად ჯენეზისის ხელეშში.

... არავინ იცის, რა ძალებით, მაგრამ ჯენეზისმა შეძლო ამ დანაკარგის გადატანა. „სამი კვირა სანოლში ვინექი და კედლებს ვუყურებდი“. სამი კვირის შემდეგ კი მას ურეკავს National Public Radio და სთხოვს დაუკრას ლედი ჯეის საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე. ჯენეზისი თანხმდება და მზადების პროცესში სრულიად შემთხვევით პოულობს დისკს ლუპებით და სემპლებით, რომლებზეც მუშაობდა სიცოცხლის ბოლოს ლედი ჯეი. ისინი სასწრაფოდ რთავენ დისკს და უსმენენ, ამასობაში ჯენეზისს ახსენდება, რომ შენახული აქვს ლედი ჯეის ხმა ტელეფონის ავტომომპასუხეზე.

ის იღებს ხმას და გადააქვს სიმღერაში. ისინი ურეკავენ ბასისტს, რომელიც მოდის სხვა ქალაქიდან თავისი ბასით, იგონებს თემას, ჩანერს და ისევ ბრუნდება სახლში.

სიმღერაში, რომელიც იმ დღეს ჩანერეს, ისმის უკვე გარდაცვლილი ლედი ჯეის ხმა ტელეფონიდან:

„მე შენ მიყვარხარ“, რომელსაც მცირე პაუზის შემდეგ წინა ათწლეულების მთავარი მეამბოხე, ანტივარსკვლავი, საზოგადოებრივი წესრიგის, შეზღუდულობის და მონობის ანტიხატი წყნარად პასუხობს: „მე ვიცი!“



## მეტაფორის წინასწარმეტყველური ძალის, თარგმანის ხიზლის და სხვათა შესახებ

<<< დასაწყისი გვ. 46

ოქსფორდში კი აფეთქება მოხდა – ჩავიდა და ბიჭი შეუყვარდა, ყველაზე ძლიერად, ვიდრე აქამდე. „ეს აფეთქება ფიზიოლოგიური მდგომარეობაა, თუმცა არ მინდა გავამარტივო. ყველაფერი, ყველა მომენტი ანმყოფ და მისაწვდომად იქცა ჩემთვის. აღარ არსებობდა წინააღმდეგობა მოქმედებებს შორის. არ მქონდა არაფრის შიში, დაახლოებით ისე, როგორც ალკოჰოლის მიღებისას. აღარ ვსვამდი კითხვებს, რა არის პოეზია, რა არის წერა, რატომ ვაკეთებ ამას, როგორ ვაკეთებ ამას. კარგია, ცუდია... მე უბრალოდ მინდოდა და აუცილებლად უნდა მენერა“.

თუმცა, ზაფხულში ყველაფერი უეცრად მორჩა და ალექსანდრა ბრაუნის უნივერსიტეტში დაბრუნდა. მერე კი მთელი წელი ინტენსიურად უგზავნიდა წერილებს, რასაც მომავალში მისი ერთი პოეტური ექსპერიმენტისთვის იდეად გამოიყენებს.

ამავე წელს კიდევ ერთი პიესა დადგა. ისევ ხელოვნებაზე და წერაზე, დედაზე, რომელსაც არტი რელიგიად აქვს ქცეული (რომელსაც თვითონვე თამაშობდა და რომელსაც ოდნავ დედამისს ამსგავსებს), და მის ვაჟიშვილ-

ზე, დედის არტისტულ დოგმებს რომ ებრძვის.

ერთ მშვენიერ დღეს კი, პიესის დადგმიდან მალევე ბიჭი, რომელიც შვილის როლს თამაშობდა, ალექსანდრასთან მიდის, კარზე უკაკუნებს და ეუბნება, – იცი, ალექსანდრა, ისე მოხდა, რომ ლექსი დავწერე და მინდა წავიკითხო.

„წავიკითხე და ეს იყო საუკეთესო თანამედროვე ლექსი, რაც წამეკითხა. ვთხოვე, მეტი მოეტანა“.

ასე დაიწყო არა სიყვარული, არამედ ძლიერი მეგობრობა ჯეფრი ლენდმანთან, მის თანამედროვე ახალგაზრდა პოეტთან. ამის შემდეგ ერთად მუშაობდნენ, ერთად სვამდნენ, თვითონ პასტერნაკს თარგმნიდა, ჯეფრი – არსენი ტარკოვსკის. ამბობს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ურთიერთობაა, რაც კი შეიძლება გქონდეს.

თუმცა ერთხელ ისევ შეახსენა თავი კრიზისმა. დაიღალა სიტყვებში კირკიტით, ხელობის, ტექნიკის სრულყოფაზე მუშაობით და ჯეფრის კატეგორიულად გამოუცხადა, – ამიერიდან არანაირი სატელეფონო საუბრები, წერილებს ლექსად დავწერთ და ეს იქნება ჩვენი კავშირის ერთადერთი ფორმაო.

რამდენიმე თვე ასე გავიდა. ამასობა-

ში ორივე მოგზაურობდა, წერილები კი კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებად იქცა. ჯეფრი მანც მუდმივად უკმაყოფილო იყო და ეწუნუნებოდა, – შენი აკადემიური ცხოვრება მონასტრულ ცხოვრებას ჰგავს და ლექსებიც ასეთი უსოციცხლო, რეალური ცხოვრებიდან განყენებული გაქვსო.

ალექსანდრა კი ამ დროს საბერძნეთში, მართლაც ყველაფრისგან მონყვეტილი იჯდა და პასუხად წერდა:

მელნის იარები იკბინება. ისინი ხორცდება და მე მათ ისევ ვხსნი. შენთვის, ჩვენთვის, შემდგომისთვის, როცა ეს მოხდება, როცა ეს ძირგახვრეტილი წერილები გვიპასუხებენ, უფრო მოთმენით და სინაზით, ვიდრე სხვები ვინც არ უნდა იყვნენ ისინი.

ერთხანს ასე წუნუნებდა ორივე, თურა რთულია პოეტისთვის ჩიხში შესვლისას წერა, როცა ლექსი იძულებად იქცევა და მელანი კბენას გინყებს. არადა პოეტი ხარ, ვალდებული ხარ, ეძებო და წერო.

მერე, პოსტკრიზისულ პერიოდში ეს ლექს-წერილები შეკრიბეს და ციკლს ასე დარქვეს – „მარტოს მეშინია – წერილები ლექსად“

## მეტაფორის და თარგმანის ხიზლზე

ბერძნულ მითოლოგიას ადრეც გასცნობია, თუმცა საბერძნეთში ყოფნისას ანტიკური ტრაგედიები და დრამები ხელახლა აღმოაჩინა. კითხულობდა და მერე ლექსებად გარდაქმნიდა. უფრო სწორად, ძველი მითების ინტერპრეტაციაზე მუშაობდა და საკუთარ ვერსიას ქმნიდა. თითქმის ყველა ცნობილი ანტიკური ტრაგედიის გმირი ახლებურად გააცოცხლა და პოეტური მონოლოგების ციკლში ალაპარაკა.

თუ ქართულ პოეზიას თვალს ადევნებთ, ახლა აუცილებლად გაგახსენდებოდათ დინა ანფიმიადი და მისი „კონსპექტური მითოლოგია“, საინტერესოა, რომ დედამიწის ორ სხვადასხვა პოლუსზე მცხოვრებ ორ პოეტესას, რომელთა შემოქმედება სხვა მხრივ განსხვავებულია, ანტიკური სახეების

ინტერპრეტირების გარდა, ენაზე და მეტაფორებზე მუშაობაც ახლოებს.

„სახლი, ფანჯარა, კარი, მნიშვნელოვანი დატირთვის მქონე მეტაფორებია ბერძნულ ტრაგედიაში. მაგალითად, როცა ოიდიპოსი თავს სახლად წარმოიდგენს და ასე აღწერს საკუთარი სიკვდილის სცენას, – „გავედი იმ სახლიდან, რომელიც ვარ“. ამ ტექსტებზე მუშაობა და ლექსებად გარდაქმნა ძალიან კარგი გზაა, რომ დაინახო, როგორ იწყებენ ცვლას სიტყვა-მეტაფორები და ხშირი გამეორებით ახალ მნიშვნელობებს იძენენ“.

ალექსანდრას იმისაც სჯერა, რომ ამ გარდაქმნის პროცესში მეტაფორას შეიძლება მაგიური, წინასწარმეტყველური ძალა აღმოაჩნდეს.

„ვუსმენდი ჩემს თვალებს, შიგნით მიქცეულს. მომესმა ღამე გარშემო მზის საათის. ვხედავ, მახსოვს, რაც მოხდება“.

არანაკლებ მაგიურ პროცესზე, თარგმანზე გადავდივართ. ყოველთვის ცდილობს, წინასწარ კარგად გაიცნოს ის კულტურა, რომელშიც სათარგმნად არჩეული ავტორი ცხოვრობს. თვლის, რომ თარგმნის პროცესი ყველაზე დელიკატური და ინტელექტუალური სავარჯიშოა, რაც შეიძლება აკეთოს. ეს არის ენაში ჩანვდომის, მის მუსიკალურობასა და რიტმში ჩალრმავების კომბინაცია, ხარისხი შენს მგრძობელობაზეცაა დამოკიდებული. აქ გაორმაგებულია ეძებ გზებს და სიტყვებს. პასუხისმგებლობაც მეტია, ვიდრე საკუთარი ლექსის წერისას. და, რა თქმა უნდა, ეს საუკეთესო გზაა, რომ უბრალოდ ნაიკითხო სხვა პოეტი, თუ მისი კარგად გაცნობა გინდა.

არ შეუძლია რაციონალური არგუმენტით გიპასუხოთ, თუ როგორ ირჩევს სათარგმნად ამა თუ იმ ავტორს, ეს მისთვის ისეთივე პროცესია, როგორც – სიცოცხლე, როცა რალაცასთან სიახლოვეს გუმანით, ინტუიციით გრძნობ და ირჩევ.

„ვილაცამ შეიძლება მითხრას, რად გინდა ლერმონტოვის თარგმნა, 1000

თარგმანია უკვე. მერე რა, შეიძლება ჩემი 1001-ე საუკეთესო, ან უბრალოდ განსხვავებული იყოს. არადა, ლერმონტოვის ერთ ლექსზე ძალიან ძლიერი რეაქცია მქონდა. ეს არის ლექსი იმაზე, რომ არ გინდა, შენი შემოქმედებით სხვა დაამძიმო. შენი ლექსების სირთულეებით. ძალიან კარგად გავუგე მას და ახლა ბედნიერი ვარ, რომ ჩემი საკუთარი თარგმანი მაქვს“. ამავე შეგრძნებით თარგმნა იან სკაცელის ლექსი „პოეზია“, რომელიც ალექსანდრას და ჯეფრი ლენდმანის მიმონერას ეხმაურება პოეტური კრიზისის თემაზე:

„ერთი სიტყვისთვის, ბუს ვანვალეებ დაუნდობლად – ერთი სიტყვისთვის. ძალით უნდა გამოვგლიჯო: როგორი ყალბი სიმართლეა და როგორი ცხადი ენა“.

**ბალანსი**

ერთი ექიმი ჰყავს, ბავშვობიდან მასთან დადის ხოლმე. ერთხელაც სთხოვა, – შენი ლექსები წამაკითხო. მიუტანა, მაგრამ ექიმმა, – ვერაფერი გავიგეო. მერე უფრო ადვილი შეაჩრია. რეაქცია იგივე იყო: „so, what?“

„არადა, ეს კაცი არაა გაუნათლებელი. ის, რომ ვერ გაიგო, ჩემი პრობლემაა. თუმცა, ჩემი ლექსები ყოველთვის არ არის ხოლმე ასე მარტივი, ალბათ გარკვეული მომზადებაც სჭირდება. დაუყოვნებლივ ვერ მოვა შენთან. მაგრამ მე მინდა, რომ გამიგონ“.

ვეკითხები, წერის პროცესში თუ ფიქრობს რაციონალურის და ემოციურის ბალანსზე და აკადემიური ცოდნა ხომ არ უშლის ხელს, რომ მისი ლექსები ექიმისთვის გასაგები იყოს.

„იცი რა, ბაკალავრიატში ლიტერატურას და ფილოსოფიას ვსწავლობდი და ზოგჯერ ეს ცოდნა ძალიანაც ზემოქმედებს. მაგრამ, მეორე მხრივ, მენმარება, რომ ვწერო ამ ცოდნის მარაგით ფიქრის გარეშე, იმის გარეშე, რომ თემები აკადემიურ წიაღში ვეძებო. და საერთოდაც, მე არ ვცდილობ, ვიყო ინტელექტუალი ან არაინტელექტუალი. მინდა, ლექსებში ეს ორივე შერწყმულიყ იყოს და ცალ-ცალკეც არსებობდეს. მაგალითად, ვწერდი ლექსს სოკრატეს სიკვდილზე. ვიცი, რომ ეს ჩემი ექიმისთვის არაა, თუმცა მას სხვა

მკითხველი ეყოლება. მაქვს ისეთებიც, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ჩემს ცოდნასა და გამოცდილებასთან და ეს ძალიან მომწონს. მინდა, სხვადასხვანაირი მკითხველი მყავდეს“.

რაც მთავარია, იმისთვის, რომ გაუგონ, არ სჭირდება, საკუთარი შემოქმედება რომელიმე პოეტურ მიმდინარეობას მიაკუთვნოს და ამა თუ იმ ენობრივი სკოლის მანერებით წეროს. ამბობს, რომ ამერიკაში ძალიან მოდურია ასეთი სკოლები და რომ თანამედროვე პოეტების უმრავლესობა ხშირად კობირებას აკეთებს.

როგორც, მაგალითად, 60-იანების ნიუ-იორკის სკოლა და პოეტების ჯგუფი, რომლებსაც შემოქმედების დევიზად დასახული აქვთ ყოველდღიური ბანალური სცენების, მარტივი სიტყვებით აღწერა.

„ვიჯექი კაფეში, ვსაუბრობდი ორ მშვენიერ მანდილოსანთან, მერე ისინი წავიდნენ. და მორჩა. ასე იწერებოდა მათი ლექსები. ფრენკ ო'ჰარას და რობერტ ფროსტს ჰქონდათ ერთხელ საღამო. ჰოდა გამოვიდა ო'ჰარა და რიხიანად შესძახა: „ჰეი, მე ეს ლექსი 10 წუთის წინ დავწერე! ფროსტმა კი თქვა: მე არ დამინერია ეს ლექსი ათი წუთის წინ, ამაზე ვიმუშავეო. ამიტომ მიყვარს ფროსტი და არ მიყვარს ძალისხმევის გარეშე შექმნილი სტილები“.

**ხელოვნება და კომერსია**

მისი ლექსები რამდენიმე პერიოდულ გამოცემაში მუდმივად იბეჭდება, რევიუებიც იწერება, რაც ონლაინ შეიძლება ნაიკითხოთ. ნიგნის გამოცემის სურვილი ჯერ არ ჰქონია. უფრო სწორად, როგორც ამბობს, ამერიკაში ნიგნის გამოცემა თავიდან ფეხებამდე ამ ბიზნესში ჩართვას ნიშნავს. თავად უნდა გახდეს საკუთარი ნიგნის გამყიდველი, რაც მას საერთოდ არ ხიბლავს.

„მგონია, რომ ჩემს ნიგნს კომერციული სარგებელის მოტანაც შეუძლია. აი, მომავალ წელს ისევე ოქსფორდში ებრუნდები და უკვე ვიფიქრებ გამოცემაზე. ბრიტანეთში ამ მხრივ გაცილებით ადამიანური პირობებია. თანაც, ნიგნი ხომ მხოლოდ კომერცია არაა, მკითხველთან ურთიერთობის საშუალებაცაა“.



## ბაბრქელა

ალექსანდრა ასევე თანამშრომლობს რეჟისორებთან, კომპოზიტორებთან, თვითონაც მღერის ხოლმე. მისი ტექსტები მულტიმედია ინსტალაციაშიც გამოუყენებიათ და პოპ-სიმღერაშიც. ასეა, ნიუ-იორკში ტრადიციული პოეზიის საღამოებზე ბევრს ვეღარ მიიზიდავ.

### ხელოვნება და პოლიტიკური პროტესტი

იმ საღამოს, ლიტერატურის მუზეუმში ხელოვნების როლზე და მემბოხეობაზეც ჰკითხეს.

„როცა ხელოვნება ნამდვილად ხელოვნებაა, თავისთავად იგულისხმება, რომ ის რაღაც აქტია, მოქმედება. მას აუცილებლად აქვს გავლენა ადამიანის სულზე. მოსკოვში მეგობარმა რეჟისორმა სპექტაკლი დადგა და მისთვის

საუკეთესო კომპლიმენტი იყო, როცა ერთი მაყურებლის შესახებ უამბეს. თურმე წარმოდგენის დროს ის კაცი უცნაურად აღელვებულა, ქუჩაში გავარდნილა. ყველას ურეკავდა და სიყვარულს უხსნიდა, უცნობებს აჩერებდა, ყველას უდიმოდა და ხელს ართმევდა. ყველა უყვარდა. ეს არ იყო პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოები, მაგრამ მან დიდი გავლენა მოახდინა ადამიანზე.

არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამ თემაზე მეორე ისტორიაც მახსენდება. ლენინს ბეთჰოვენის აპასიონატას მოსმენისას უთქვამს, – უნდა შევწყვიტო ამის მოსმენა, თორემ ხალხთან ჩახუტება მიხდება. მერე რევოლუცია როგორ გავგარძელო?

მაშინ, რას ფიქრობ ხელოვნების დესტრუქციულობაზე? – ვეკითხები.

ის კი მაინც მპასუხობს, რომ ხელოვნების მთავარი ძალა ადამიანის სულში ჯვებრების გარღვევაა და რომ ეს არის ის, რაც ლენინს რევოლუციისკენ უბიძგებს, ქუჩაში გამოვარდნილ მამაკაცს კი იმისკენ, რომ უცნობ ადამიანებს სიყვარული აუხსნას. ამბობს, რომ როცა ხელოვნება ჩვენს ცნობიერებაში იჭრება, ყველაზე ჰუმანური ვართ, ყველაზე გახსნილები, ყველაზე სპონტანურიები, ყველაზე მზად სიყვარულისთვის და, რაც მთავარია, ამ დროს ცუდის კეთება არ შეგვიძლია.

„არის მეორე მოსაზრებაც. ერთხელ ცვეტაევამ თქვა, – პოეტი მუდმივ ემიგრაციაში უნდა იყოსო. შეიძლება, ეს იმის მანიშნებელია, რომ პოეტობა უკვე არის გარკვეული პოლიტიკური პოზიცია“.



## მთის რესპუბლიკა

<<< დასაწყისი გვ. 66

წლების განმავლობაში კონფედერაციულ მონყობაზე მეოცნებე ჰაიდარ ბამატი, ამ იდეის ერთ-ერთი მაცოცხლებელი და გულშემმატიკივარი, კავკასიურ-პოლონური ურთიერთობის პიონერი, რომელიც სამხრეთკავკასიე-

ლი პოლიტიკოსების საერთო აზრზე მოყვანას 1918-19 წლებიდან ამაოდ ცდილობდა, მოძრაობას თანდათანობით, გულისტკივილით ჩამოშორდა.

მოგვიანებით მის დაჯგუფებას „კავკასია“ სხვა ქართველები შეუერთდნენ. არსებითად, მას არაფერი დაუკარგავს. მისი თანამაზრეები –

ზურაბ ავალიშვილი, შალვა ამირჯვინი, დავით ვაჩნაძე და სხვები გახდნენ. სოციალისტურმა იდეებმა მის თვალში თანდათანობით კრახი განიცადა. ამკარა გახდა, რომ კავკასიის ემიგრანტულ ინტელექტუალურ ელიტას გონივრული თანამშრომლობა არ შეეძლო, იდეოლოგიური დაპირისპირებები ერთობის სულისკვეთებას ძირში კლავდნენ.

1934 წელს გამოცემა „კავკასიის“ ფურცლებზე ჰაიდარ ბამატი შეეცადა, ქართულ ემიგრანტულ ორგანიზაციებთან განხეთქილების მიზეზები აეხსნა. როგორც ჩანს, ეს კითხვა კავკასიურ ემიგრაციულ წრეებში ხშირად ესმოდა. პასუხად 1930 წლით დათარიღებული საკუთარი წერილი მოჰქონდა, რომელშიც ალექსანდრე ჩხენკელს ამომწურავად განუმარტავდა თავის პრეტენზიებს. ბამატი წერდა, ბათუმის სამშვიდობო კონფერენციიდან მოყოლებული, რამდენჯერ დარჩა უგულისყუროდ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ერთიანობის მისეული შეთავაზება, კონფედერაციული მონყობის იდეები. გულისტკივილით წერდა თბილისის ჩაშლილი 1919 წლის კონფერენციის შესახებ, როდესაც ამ თავყრილობის დღეები გენერალ დენიკინის მიერ მთის რე-

სპუბლიკაზე თავდასხმას დაემთხვა: „ამიერკავკასიის მთავრობებმა ცდის და თავშეკავების პოზიცია აირჩიეს და კონფერენცია გადაიდო... ჩვენი სახელმწიფოს ოკუპაციის დროს... მსგავსი მცდელობები არაერთხელ გავიმეორეთ. ამ მიმართებებს ამიერკავკასიელი პოლიტიკოსების მხრიდან სასურველი გამომხაურება არ მოჰყოლია; ერთიანი კავკასიური ფრონტი, რომელიც თითოეული კავკასიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობას დაიცავდა, ვერ შეიქმნა. ამის შედეგად ოთხივე რესპუბლიკა ერთმანეთის მიყოლებით, ცალკე-ცალკე გაისრისა“. მეერ ბამატი წერდა, რომ 1920-21 წლის საფრთხის პირობებში მსგავსი იმედები ისევ გაჩნდა, მაგრამ ამიერკავკასიელები კვლავ მხოლოდ სათავისო პოლიტიკას ეწეოდნენ; რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა კავკასიის კონფედერაციის კომიტეტში ისეთი ჩრდილოკავკასიელებიც კი მიიღეს, რომლებიც მთის რესპუბლიკას იარაღით ებრძოდნენ, და სხვა მხრივაც ორპირობის პოლიტიკას მისდევდნენ. „რაინდულად კეთილშობილი და ლოიალური საქართველოს ამგვარ ქმედებებს ვერასდროს, ვერანაირი სახით სწორად ვერ ვაღიარებთ. ჩვენ გვსურს, რომ ეროვნული საქართველოს ერთგულები დავრჩეთ, რომელთანაც ჩვენი ქვეყნის ბედი განუყოფელადაა დაკავშირებული... ამის გამო, ბატონო მინისტრო, დიდი სინანულით, იძულებული ვართ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დელეგაციასა და თქვენს ლეგაციას შორის თანამშრომლობას წერტილი დავუსვათ და მოქმედების თავისუფლება დავიბრუნოთ“.

უნდა ითქვას, რომ ნოე ჟორდანიას და ბევრი სხვა ქართველი სოციალისტი კავკასიის კონფედერაციის იდეას ბოლომდე ემხრობოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ის იდეალი არ იყო, რომელიც ბამატს წარმოედგინა: „უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი ერთობა ოთხი ოთახისგან შედგება, და ამიტომ ყველანი უნდა ვცდილობდეთ, რომ ოთხივე ოთახი ერთნაირად განათებული და მოწყობილი გვექონდეს“.

თუმცა, კავკასიური კონფედერაციის პაქტი მანაც შეიქმნა – კონფედ-

ერაციის შექმნის შესახებ განაცხადის გაკეთება ქართულმა მხარემ ემიგრაციის პირობებში არასერიოზულად მიიჩნია. ეს, მათი აზრით, ბოლშევიკებს ამ ფაქტით მანიპულირების საშუალებას მისცემდა. 1934 წლის 14 ივლისს ბრიუსელში ხელი მოეწერა კავკასიის კონფედერაციის აქტს. საქართველოს მხრიდან ხელისმომწერები ნოე ჟორდანიას და ალექსანდრე ჩხენკელი იყვნენ. მასში კონფედერაცია ცხადდებოდა საერთაშორისო სუბიექტად, რომელსაც საერთო საზღვრები, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკა და საერთო კონფედერატიული ჯარი უნდა ჰყოლოდა. მე-6 პუნქტი ღიად დარჩა. ეს ადგილი კონფედერაციის მომხრეებმა, როგორც ზემოთ ვთქვი, სომხეთს დაუტოვეს. „ამ პაქტის ხელისმომწერით ჩვენი და ჩვენი წინაპრების შეცდომების გამოსწორება გე-სურს“, – წერდნენ ხელისმომწერები.

ოცდაათიანი წლების მიწურულის და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ევროპის მოვლენებმა კავკასიური ემიგრაცია, სხვა, არანაკლებ რთული არჩევნის წინაშე დააყენეს. მათგან ზოგმა ნაციტურ გერმანიასთან თანამშრომლობა ჩათვალა გონივრულად, ზოგიერთმა, მაგალითად, კავკასიური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, საიდ შამილმა, შამილის შვილიშვილმა, ეს უკადრის საქციელად მიიჩნია.

ტაპა ჩერმოევი, რესპუბლიკის პირველი პრემიერი, 30-იან წლებშიც პარიზში ცხოვრობდა და, როგორც ბევრს ეგონა, „გადარეული აზერბაიჯანელი“ (როგორც ჩანს, რუსეთის იმპერიის მოქალაქე, სამხრეთის რეგიონიდან, ნავთობმომპოვებელი — ევროპაში კასპიის ჭაბურღილებთან ინვესტა ასოციაციას) მილიონებში იხრჩობოდა. ჩერმოევი თავიდან მართლაც მდიდარი იყო, მაგრამ წლების განმავლობაში მასთან დასახმარებლად სათხოვნელად მისული უამრავი ადამიანისთვის, რომელთა შორის ყველა ეროვნების კავკასიელი იყო, უარი არასდროს უთქვამს, სხვადასხვა კავკასიურ ორგანიზაციას და გამოცემას აფინანსებდა, რა თქმა უნდა,

მფლანგველიც იყო, მაგრამ – მისი ბიოგრაფიის საინტერესო დეტალი – როგორც შემდეგ გაირკვა, წლების განმავლობაში დიდი თანხებით ეხმარებოდა დალუპული მეგობრის მოხუც დედას. მეგობარი რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II იყო, რომელიც დანიაში, ახლო ნათესავის სატახტო სამფლობელოში გადასახლდა, მაგრამ რესპუბლიკური დანიის სამეფო ოჯახს პარლამენტი ხარჯებს უმკაცრესად უკონტროლებდა. ამიტომ ბოლოს ისე გამოვიდა, რომ დედა-იმპერატორისთვის საკადრისი დახმარების განწევა მხოლოდ ტაპა ჩერმოევს შეეძლო. პატარა მთის რესპუბლიკის მთავრობის წევრი, იმ რესპუბლიკის, რომელმაც მეფის, ბოლშევიკური, მენშევიკური – ყველანაირ რუსეთთან კავშირი განწყვიტა, საბოლოოდ იმპერატორის დედის ყველაზე დიდი დამხმარე გამოდგა. თავად ჩერმოევი 1937 წელს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ, მითური მილიონების მაგიერ, მის მემკვიდრეებს უზარმაზარი ვალი ერგოთ. თუმცა, ამ მემკვიდრეებს ვალი სხვაგვარადაც ესმოდათ. ტაპას ძმისშვილმა, დაიდაშ ტუკაევმა, რომელიც საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ოფიცერი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს უამრავი კავკასიელი გამოიხსნა საკონცენტრაციო ბანაკებიდან თუ მოკავშირეთა ტყვეობიდან. ჩეჩნები და ინგუშები, რომლებსაც ტუკაევი პირველ რიგში ეძებდა, დანარჩენებს – ქართველებს, სომხებს და აზერბაიჯანელებსაც ვაინახებდა აცხადებდნენ და მათ გარეშე გათავისუფლებაზე უარს ამბობდნენ. როგორც წერენ, რამდენიმე წლის განმავლობაში ტიფით და ტუბერკულოზით დაავადებულ სამხედრო ტყვეებთან ურთიერთობამ ტუკაევი ძალიან მალე შეინირა, დაახლოებით 50 წლისა ის პარიზში გარდაიცვალა.

პარიზში, ბოზინის მუსლიმანურ სასაფლაოზე შეიძლება ამ კავკასიელი უტოპისტების და მეოცნებეების მიტოვებული საფლავების ნახვა. მათი სახელები, ზრახვები, იმედგაცრუებები არც საფრანგეთში იციან, არც საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრმა – არც ჩრდილოეთ კავკასიაში. იმ ინ-

ფორმაციისთვის, რაც მათ შესახებ არსებობს, დიდი მადლობა – საფრანგეთში მომუშავე ისტორიკოსებს, ჩეჩენ მირბეკ ვაჩაგაევს, ქართველ გიორგი მამულიას, ავარულ ჰაჯი მურად დონოგოს (დალესტანში ცხოვრობს) და მათ თანამოაზრეებს. როგორც მეჩვენება, ისინი „პრომეთეუსის“ და „კავკასიის“ დაჯგუფების საქმეს ჩუმად, მაგრამ ნაყოფიერად აგრძელებენ.

1984 წლის 9 მაისს აშშ-ს კონგრესმა „დამოუკიდებლობის გამოცხადების 66 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებისადმი მისასალმებელი მიმართვა“ გამოაქვეყნა. იმ დღეს კონგრესმენი რობ როი წარმომადგენელთა პალატაში სიტყვით გამოვიდა და მთის რესპუბლიკის ხანმოკლე და დრამატულ ისტორიაზე ისაუბრა. კონგრესის დოკუმენტებში შეიტანეს „მოკლე ისტორიული ცნობა თავისუფლებისთვის ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების ბრძოლის შესახებ“. ეს მხოლოდ სასიამოვნო ფაქტი იყო, სხვა მხრივ, ათი წლის შემდეგ დამოუკიდებელი ჩეჩნეთის ანექსირებისათვის ამ ცნობის არსებობას ხელი არ შეუშლია.

მთის რესპუბლიკის თემა საქართველოს ისტორიას სხვანაირადაც უკავშირდება. აფხაზი (და არა მხოლოდ აფხაზები) ისტორიკოსები იმის დასტურად იყენებენ, რომ ქართული ინტერვენცია ამ რესპუბლიკის მიმართ განხორციელებული აგრესია იყო, რადგან მან საქართველოზე თხუთმეტი დღით ადრე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მაგრამ სინამდვილეში აფხაზეთი მხოლოდ მთიელთა ადრინდელ, 1917 წლის კავშირში იყო გაერთიანებული. 1918 წელს შავი ზღვიდან კასპიამდე გადაჭიმულ მთის რესპუბლიკაში აფხაზეთი არ შედიოდა. და მაინც ეს სულ არ ნიშნავს, რომ საკუთარ, ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს თვითგამორკვევის უფლება ჩამორთმეული აქვს.

მეოცე საუკუნის ბოლოს ახლად დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს რომელიმე მთავრობას მაინც რომ ემიგრაციაში გახიზნული წრეების ოდნავ მიმსგავსებული სოლიდარობის განცდა ჰქონოდა, სადაც

ქართველები და ოსები (აფხაზები ემიგრანტულ წრეებში არ ჩანან) საერთო მომავალზე, კავკასიის კონფედერატიულ მოწყობასა და საერთო სოციალური სამართლიანობის დამყარებაზე ერთად ოცნებობდნენ, იმ ცუდ სენს ავცდებოდით, რომელსაც უსაფუძვლო და პრიმიტიული ქართული ქედმაღლობა ჰქვია და დღეს სხვა რეალობა გვექნებოდა. ეს ქედმაღლობა, დაუინტერესებლობა სხვანაირადაც იჩენს თავს: ქართულ წყაროებში ძნელად მოძებნით ინფორმაციას, რითი ცხოვრობდნენ კავკასიელები, ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, რას ნიშნავდა მთის რესპუბლიკა კავკასიისთვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საიდან მოდის სინამდვილეში საერთო კავკასიური მოწყობის, კონფედერაცია იქნება ეს, თუ სხვა რამ ფორმის ერთობის სწრაფვა, რომლის პიონერობა საუკუნის ბოლოს საქართველოში ზვიად გამსახურდიას მიეწერა, რომელიც კავკასიას (მათ შორის, კავკასიის ეთნიკური სიმდიდრის პროეცირებას საქართველოს შიგნით, რაც რეგიონში ჩვენი ქვეყნის როლის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივი და საამაყო) აშკარად მხოლოდ ნაწილობრივ აღიქვამდა და მისთვის სასურველ ხალხებად და მოლაღატე „გადამთიელებად“ ჰყოფდა, შეიძლება ისინი („მოლაღატეები“ და მათი პარტიები – ქ.ქ.) მოვიდნენ და თქვან: კაცო, ლეკები ჩვენი ძმები არიან, რასა ბრძანებთ, მოდით, ჩავეუტოთ, კარგად ვიყოთ მათთანო. აი, ნახავთ, რა იქნება უახლოეს ხანში. ამაზე უპასუხეთ სტვენით და გააძვევთ აქედან, აი, ამას გირჩევთ მე. ძალა ჩვენკენ არის და ყველა მოლაღატეს გავეუსწორდებით, ყველა ბოროტ მტერს, აქ შემოხიზნულ არაქართველსაც გავაძვევებთ საქართველოდან“... ეს კახეთში წართმეული მისი სიტყვებია. ტერმინოლოგია, ვისაც ის დრო ახსოვს, ადვილად საცნობია. რამდენს მოვიგებდით, იმ წლებში სიტყვა „მოლაღატის“ მაგიერ ასევე ხშირად ჰაიდარ ბამატის და მისი თანამოაზრეების სახელები რომ გავგვეგონა.

რაც შეეხება ბამატის შემდგომ წლებს, რაკი საერთო კავკასიური

ერთობის მიღწევაზე ოცნება ფუჭი გამოდგა, ის ისევ ჩრდილოეთი კავკასიის მუსლიმი ხალხების ერთიანობაზე ფიქრს მიუბრუნდა, რაც უფრო რეალურად ეჩვენებოდა და მათ გამაერთიანებელ ლერძსაც ხედავდა – ისლამს. 50-იან წლებში, პარიზში, უკვე მოხუცებულმა, მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომის „ისლამის სახე“ წერა დაიწყო, რომელშიც, ქრისტიანობასთან დაუჭიდებლად, ევროპელი ინტელექტუალის ცოდნით და სიღრმით აღწერა ის, რასაც ისლამის ოქროს ხანაში წარმოადგენდა. ამ წიგნში იგრძნობოდა ნოსტალგია ორცივილიზაციას შორის იმ კავშირის და თანამშრომლობის განწყვეტის გამო, რომელმაც შვა, მაგალითად, ანდალუზიური კულტურა; სინანული, როგორც თავად წერს, დექრისტიანიზებული ევროპისა და ისლამის განვითარებაში მომხდარი წყვეტის გამო, რაც, მისი სიტყვებით, „თავისუფალი დისკუსიის სულისკვეთებაზე დოგმატიზმის და ფორმალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია“. როგორც წერენ, ამ წიგნმა 70-იანი წლების საფრანგეთში ბევრს შეუცვალა ისტორიის ხედვა, ზოგიერთმა მისი წაკითხვის შემდეგ ისლამი აღიარა.

წერილის წერისას ეს წიგნი მეც წავიკითხე. იქ ბევრი ისეთი პასაჟი შემხვდა, რომელსაც მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია, მაგრამ ხალიფ ომარის ამბავი გამოვარჩიე და წერილისთვის ნამძღვრება მომიწია. ქალაქში (იყოს თუნდაც იერუსალიმი) შესვლის ამბავმა სხვა, სუფია გილანის ბაღდადში შესვლის ისტორია გამახსენა, რომელმაც ღვთისმეტყველებით მდიდარ ბაღდადს ჰაერიდან მატერიალიზებული ვარდი შესთავაზა და ისლამში ის გზა დაამკვიდრა, რომელიც შემდეგ ჩრდილოკავკასიელებმა, განსაკუთრებით ვაინახებმა აირჩიეს. ამ გზას ყადრიის თარიყათი ჰქვია. ზიქრის, მომწუსხველი წრიული, რიტმული ტრიალის კვალ, რომელიც ღვთის სადიდებელი საკრალური ქმედებაა, მის მიმდევრებს ზიქრისტებსაც ეძახიან.

გამახსენდა 90-იანი წლების დასაწყისში ქართული ტელევიზიებით



გადმოცემული ზიქრის სცენებიც, ტალახში, არეულ ქალაქში, როგორი შოკირებულები უყურებდნენ ამას ქართველი „ბანოვნები“ და თბილისის პარლამენტის წინ გაშლილი კარვები ახსენებოდათ. მაშინ ვითომ რაღაც ერთობა და საერთო სახლი იქმნებოდა, მაგრამ არავის უფიქრია, ამ ქმედების არსი ჩვენთვის, „ევროპოცენტრული“ ქართველებისთვის ერთხელ მაინც აესხნა; როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ამ ქალაქს აფარებდა თავს, ქალაქიდან კი აფხაზეთში საომრად მოხალისეები მიდიოდნენ. ისე – არც ისინი შეუჩერებია ვინმეს, რადგან საქართველოს, იქ მყოფი ქართველების მიერ გადაცემული ინფორმაციით, „სატანა“ ჰყავდა დაპატრონებული და აფხაზეთსაც ეპოტინებოდა; ნაპოტინების ამბავი ტყუილი არ არის,

ნამდვილია და დიდხანს გვექნება სანანებელი. სხვა მხრივ, ჩეჩნები აფხაზეთისთვისაც ისეთი მონათესავე ხალხია, როგორც – ჩვენთვის; მეტიც, რუსული იმპერია მათ წინაპრებს ერთად უღელტდა და ასახლებდა; ამიტომ სანახევროდ კრიმინალური ელემენტებით შევსებული ქართული „ჯარისგან“ პატარა აფხაზეთის დაცვის სურვილი, სოლიდარობის განცდა ჩეჩნების თუ სხვა ჩრდილოკავკასიელების მხრიდან გასაგებია; არავის უცდია იქ მყოფი ქართველებისგან მათი შეჩერება, იმ მოსაზრებით მაინც, რომ დაღვრილი სისხლი ჩვენ შორის გაუტყობებას მტრობაში გადაზრდიდა, რადგან ახლა დანამდვილებით ჩანს, რომ საერთო კავკასიური სწრაფვა ცალი მხრიდან არაგულწრფელი და ზერელე იყო. ამისთვის მეორედაც დავისავეთ, მა-

გრამ რატომღაც მაინც მოგვეცა კიდევ ერთი შანსი. მგონი დადგა დრო, რომ ერთმანეთი ხელახლა გავიცნოთ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ის მაინც ვიცით, რომ კავკასიური ერთიანობის სათავეები ფანატიკოსების კარვებში კი არა, განსწავლული, მოაზროვნე ადამიანების ნაწერებშია საძებნი, რომლებმაც არაერთი უშედეგო მცდელობა გაიარეს და ბევრი იმედგაცრუება ერგოთ, მათ შორის – ქართველების მხრიდანაც. ეს შეცდომა ოდნავ მაინც რომ გამოვასწოროთ, ხშირ-ხშირად უნდა გავიმეოროთ, რომ კავკასიური ერთიანობის იდეა საქართველოში არ შობილა, ის ჩრდილოეთ კავკასიელი სოციალისტებისგან და უტოპისტებისგან მოდის. საქართველოში მისი არსი დღემდე განსამარტია.



# დათო

<<< დასაწყისი გვ. 90

სწორედ მაიაკოვსკის საბოლოოდ გასანადგურებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის სტრიქონს *Поэтом можешь ты не быть, но гражданином быть обязан* („პოეტი შეიძლება არ იყო, მაგრამ ვალდებული ხარ, მოქა-

ლაქე იყო“) და ამ შემთხვევისთვის ამ ცნობილი სტრიქონის პოლიტიკურ-ზონურ-სარკასტული პერიფრაზა გამოიყენა: *Чекистом можешь ты не быть, но стукачом ты быть обязан* („ჩეკისტი შეიძლება არ იყო, მაგრამ ვალდებული ხარ, ჩამშვები იყო“). ჩეკისტად და ჩამშვებად მოხსენიება ბუტოვმა სასტიკ შეურაცხყოფად მიიღო და კავკასიელებს კარგა ხნით გაგვებუტა. ბარაშევის ქართულში ამ მოვლენამ სათანადო ასახვა ჰპოვა: სიახლე ენობრივი ექსპერიმენტების მოყვარულმა ჯონი ლაშქარაშვილმა შემოიტანა, როდესაც ნეოლოგიზმი „გაგვებუტოვა“ შემოგვთავაზა.

ოდესღესმა დისიდენტმა, ყველაზე დიდი იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ბიბლიოთეკის მესვეურმა, პეტრე ბუტოვმა არც კი იცოდა, რა ნოყიერ ნიადაგში მოხვდა მისი განცხადების დესტრუქციული თესლი. ზონის ხელმძღვანელობა დათოს ისედაც აღმაცურად უყურებდა, ეს ჩვენ ზონაში ჩასვლისთანავე ვიგრძენით. ადგილობრივ ადმინისტრაციაზე გავლენას ახდენდა სსრკ უშიშროების კომიტეტი, რომელსაც მეტად მძიმედ დაამახსოვრდა, დავით ბერძენიშვილი სამძებრო იზოლატორში ექვსი თვე დასცინოდა და ჩვენებას არ აძლევდა გამომძიებლებს.

სხვათა შორის, საქართველოს უშიშროების წარმომადგენლებმა ბარაშევიშიც ჩამოგვაკითხეს, „თბილდაც მოგვიკითხეს“ და რამე ილუზია რომ არ გვექონოდა, ღიადაც დაგვემუქრნენ, რომ ჩვენი საქმე „ასე“ არ დამთავრდებოდა („შევარდნაძეები და გორბაჩოვები მიდიან და მოდიან, კაგებე კი იყო, არის და იქნება“, – გვაფრთხილებდნენ და თავს იტყუებდნენ ახალდაწყებული პერესტროიკით შეფუცხუნებული ჩეკისტები). პოლიტიკურ ბანაკში ჩვენმა ფასმა განსაკუთრებით აიწია, რადგან კაგებეს სტუმრობა ფრიად იშვიათი მოვლენა იყო და მხოლოდ ერთეულებს ხვდათ ნილად ასეთი პატივი (შემდგომში ჩვენ გარდა, კაგებემ თავისი სტუმრობით პატივი დასდო პეტერბურგელ მიშა პოლიაკოვსაც). სწორედ ჩეკისტებმა განუმარტეს ზონის უფროს მაიორ შალინს, რომ მიუხედავად შედარებით მოკრძალებული სასჯელისა, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ფუძემდებლები („განსაკუთრებით, უმცროსი ძმა“) უაღრესად საშიში ხალხია, რომლებიც სპეციალურ მკაცრ ზედამხედველობას და ყურადღებას იმსახურებენ.

ასეთ ვითარებაში მოუხდა ზონის ადმინისტრაციას ბუტოვის უჩვეულო

კორესპონდენციაზე რეაგირება. ამის გამო ვერ დატოვა განცხადება ყურადღების გარეშე, „მიიღო ზომები“ და ამ რთულ საქმეში ფლორ ვასილის ძე ჩართო.

ფლორ ვასილის ძე თავისუფალი კაცი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დილის ექვსი საათიდან საღამოს რვა საათამდე პოლიტიკურ ბანაკში პატიოსანი ტუსალივით სამკერვალო სამაქროში ფეხმოუცვლელად იჯდა წლების განმავლობაში, მას მაინც ჰქონდა თავისი ღვთივობიერი, შეუვალი და ხელშეუხებელი უფლება, რომელიც თანდათანობით მოვალეობაში გადაიზარდა, ყოველ ბედნიერ საღამოს ზონიდან გასულიყო, ემოვნა ერთი ბოთლი კარბიდის არაყი, ჩვენი ბანაკის ალაყაფის კარს გადაღმა მდგომი სახლის ერთ-თახიან დილეგში წასულიყო, ნახევარი ლიტრი არაყი ორ მიღებაზე მართოს დაელია, ნახევარი მუჟავე კიტრი დაეყოლებინა, წუთისოფლის ამოებაზე დაფიქრებულიყო, მთავარი შეკითხვა დაესვა საკუთარი თავისთვის, მაინც რაში მდგომარეობს ცხოვრების საზრისიო (სახელგანთქმული რუსული „в чем смысл жизни“), ეძებნა, მაგრამ ვერ ეპოვნა ამ საბედისწერო კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი, მაგიდასთან ჩასძინებოდა, რომ მეორე დილით სხვა პატიმრებივით უძინარი, რადიოს 1943 წელს კომპოზიტორ ალექსანდრ ალექსანდროვის, პოეტების – სერგეი მიხალკოვისა და გაბრიელ ელ-რეგისტანის ერთობლივი მიცადინეობით შექმნილი და 1977 წელს ისევ მიხალკოვის მიერ რედაქტირებული (მთელი რედაქტირება ის იყო, რომ ჰიმნის ტექსტიდან ღვანდომოსილმა ავტორმა და ორი სახელოვანი კინორეჟისორის მამამ სტალინის სახელი ამოიღო) სახელგანთქმული შედევრით, ტკბილი მორფევის დაუძინებელი მტრით, საბჭოთა კავშირის ზურიკელას ლექსივით ნამეტანი ხმამაღლა დაწერილი, დაუნდობლად მაჟორული ჰიმნით გაელვძებინა.

გაიღვიძებდა ფლორ ვასილის ძე, შეჭამდა წინა ღამით მორჩენილი მუჟავე კიტრის მეორე ნახევარს და პირდაპირ ზონას მიაშურებდა, რათა პირი პატიმრებთან ერთად საერთო პირსაბანში

იმავე „კურილაში“ დაებანა და შვიდის ნახევარზე ასევე პატიმრებთან ერთად სამთავრობო ანუ „ნარკომული“ ჩაიანუ ჩაის ფერმიცემული მდულარე წყალი დაელია და დილის მუქთა საუზმე არ გამოეტოვებინა. ჩვენთან ერთად საუზმობდა, სადილობდა და ვახშობდა ფლორ ვასილის ძე, ჩვენი კუთვნილი ტანსაცმელი ეცვა, ჩვენს ჩექმებს და „პორტიანკებს“ ხმარობდა, „დიდი“ ფული ეზოგებოდა და ამ სახსრებით ყოველდღიური საჭიროების საგნებს (ნეკო, ასანთი, არაყი) ყიდულობდა. რა თქმა უნდა, ფლორ ვასილის ძე ბედნიერი ადამიანი იყო, მან ისე სწორად ააგო თავისი ცხოვრება, რომ არც საქმელი აკლდა, არც სასმელი, არც საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა, არც სრულიად საკმარისი თავისუფლება და არც მტანჯველი ფიქრი ცხოვრების საზრისზე.

ფლორ ვასილის ძე ЖХ 385/3-5 ბანაკში ოტეკას (ОТК, Отдел Технического Контроля) ხელმძღვანელი იყო. მისი მოვალეობა იყო პატიმართა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი. პატიმრები სამშენებლო ხელთათმანებს ვეკრავდით და ფლორ ვასილის ძე ხარისხს გვიმონებდა. ამისთვის ფლორი აიღებდა ხელთათმანს და შეამონებდა, იყო თუ არა საკერავი მანქანის ნემსის ბიჯი დასაშვებ მანძილზე (რაც უფრო გრძელია ეს ბიჯი, მით უფრო სწრაფად იკერება თითოეული ხელთათმანი), იყო თუ არა დალიანდაგებული პირველი ნაკერი გადმოუბრუნებელი ხელთათმანის კიდიდან აუცილებელ მანძილზე, იყო თუ არა ორ პარალელურ ნაკერს შორის მანძილი დასაშვებ ნორმებში, სწორად იყო თუ არა დაკერებული რეზინის სახელისგულე ანუ „ნალადონიკი“ და მიკერებული ცერა თითი. პატიმრის 93 წყვილიანი შეკერიდან სამ-ოთხ ხელთათმანს ამოარჩევდა ფლორ ვასილის ძე, სახაზავით გაზომავდა ყველაფერს, წუნს ვერ აღმოაჩენდა, დაარტყამდა ბეჭედს და გადადიოდა შემდეგ შეკვრაზე. თუკი შემთხვევით წუნს გადაწყვდებოდა, მთელ შეკვრას დაიწუნებდა და წუნდებულ პროდუქციას არ ჩაიბარებდა. ეს იყო ფლორ ვასილის ძის მთელი სამუშაო.

ბუტოვის განცხადებიდან მესამე დღეს ფლორ ვასილის ძემ დათოს მიერ ჩაბარებული პროდუქცია – 93 წყვილი ხელთათმანი საგულდაგულოდ შეისწავლა და წუნი დაადო. მე ჩემი საკერავი მანქანით სამაქროში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი მეკავა, საიდანაც დათოსაც ვხედავდი, ამოხვევის მანქანის ოსტატ დმიტრო მაზურსაც, სათარგავ სამაქროსაც და ფლორ ვასილის ძესაც. როგორც კი ფლორმა დათოს პროდუქცია დაიწუნა და იატაკზე დაყარა, იმის შიშით, დათო არ მივარდნოდა და თავშეუკავებელი მოქმედებით შარში არ გახვეულიყო, ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პირველი მე შევედი.

– რაშია საქმე, ფლორ ვასილის ძე, – რაც შეიძლება წყნარად და თავაზიანად ვიკითხე მე.

– ძალიან კარგია, რომ თქვენ მოხვედით და არა თქვენი ძმა, – გაუხარდა ფლორ ვასილის ძეს, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ დათოსთან იოლი საუბარი არ გამოუვიდოდა.

– რა უნდა მაგას? – იკითხა ახალმოსულმა დათომ. ტექნიკური კონტროლის განყოფილებასთან პატიმრებმა მოიყარეს თავი.

– შენ არ ჩაერიო, დავით, – გავაფრთხილე მე, – ამ საქმეს მე მივხედავ წყნარად და აუღელვებლად.

– მსჯავრდებული ბერძენიშვილის მიერ შეკერილი ხელთათმანების ხარისხი დადგენილ ნორმებს არ შეესატყვისება, – ჩამოაყალიბა ფლორმა ფორმულა, რომელსაც, როგორც ჩანს, მთელი საღამო იზეპირებდა, – ამის გამო მე ამ პროდუქციას არ ჩავიბარებ.

ადმინისტრაციის გათვლა მარტივი იყო: ფლორი არ ჩაიბარებდა პროდუქციას არც დღეს, არც ხვალ და არც არასდროს. დათოს ნორმის შეუსრულებლობისთვის მოუხსნიდნენ „ლარიოკს“, შემდეგ წაართმევდნენ ახლობლებთან შეხვედრის უფლებას, შემდეგ ჩასვამდნენ შიზოში, იქიდან გადაიყვანდნენ ბურში და ბოლოს დაუმატებდნენ ახალ ვადას. არავინ იცის, რამდენად შორს წავიდოდნენ ჩეკისტები ამ გზაზე, მაგრამ მე მთელი ეს მარშრუტი ნათლად დავინახე ფლორ ვასილის ძის სახეზე.

– რატომ აკეთებთ ასეთ რამეს, ფლორ ვასილის ძე, ჩემი ძმა ხომ თითქმის ბავშვია, თქვენ თვითონ შვილები არ გყავთ? – ხმას აუწიე მე.

– მსჯავრდებული ბერძენიშვილის მიერ შეკერილი ხელთათმანების ხარისხი დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება, – გაიმეორა უკვდავი ფორმულა ფლორმა აკანკალებული ხმით.

– მე კიდევ ვამბობ, რომ ჩემი ძმის პროდუქცია ნორმებს შეესაბამება, – ვთქვი მე და საკუთარი ხმა არ მომეწონა, რადგან მასში კავკასიურმა მეტალმა გაიჟღერა.

– აი, შეხედე, – მომაჩჩა ფლორმა დათოს შეკერილი ხელთათმანი, რომლის ორი ნაკერი მთლად პარალელურად ვერ მიჰყვებოდა ერთმანეთს.

– რამდენია ამ ლიანდაგებს შორის დასაშვები მანძილი? – ვიკითხე მე და ვიგრძენი, რომ ქარიშხალი იბადებოდა ჩემში.

– ორიდან ხუთ მილიმეტრამდე, – გამარჯვებული იერით მომასხენა ფლორმა.

– სახაზავი მოსთხოვე, – მიკარნახა დათომ. მე უკვე ვხვდებოდი, რომ ეს ვერაფერს ვერ შეცვლიდა; ორი ნაკერი ძალიან სცდებოდა ერთმანეთს, ფლორი მართალი იყო.

– მოიტანეთ სახაზავი, ფლორ ვასილის ძე, – მაინც ვუთხარი მე.

– კი ბატონო, – გაუხარდა ფლორს, რადგან საუბარი შვილებიდან და მორალიდან ტექნიკურ დეტალებზე გადავიდა, სადაც ის ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში.

მოიტანა ფლორმა სახაზავი. გაზომა. შემდეგ სხვა ხელთათმანი აიღო. კიდევ გაზომა. კიდევ აიღო. კიდევ გაზომა. ნახევარი საათი ზომავდა ფლორი ხელთათმანებს, ეძებდა აშკარა წუნს. ჩვენ წინაშე წარმოუდგენელი, დიდი სასწაული ხდებოდა. დათოს დამზადებული ყველა ხელთათმანი, რომლებიდანაც, ერთი შეხედვით, არც ერთი არ იყო სწორად შეკერილი, დასაშვებ ნორმაში ჯდებოდა.

უეცრად მომეშვა. ვერ დაუმატებენ დათოს სასჯელს. კაგებე უძღურია. სასამართლოში მამაჩემმა რომ ბოლო სიტყვა გვითხრა, რითაც მოსამართლის წყრომა დაიმსახურა, – „ეცა-

დეთ, სასჯელი არ დაგიმატონო“, – ჩვენ ვისმინეთ და შევეცადეთ. სიტუაცია დანყნარდა. და როდესაც ყველამ ჩათვალა, რომ ინციდენტი ამოიწურა, იატაკზე დაყრილი, როგორც გაირკვა, სწორად შეკერილი ხელთათმანები ერთად მოვაგროვე, უზარმაზარი გუნდა გავაკეთე და ეს კარგა მოზრდილი და მძიმე შეკვრა ფლორ ვასილის ძეს თავზე დავამხე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოველგვარი მეტაფორების გარეშე.

საამქროდან პოლიაკოვმა და ხომიზურმა გამომიყვანეს. ფლორ ვასილის ძე ადმინისტრაციაში გაიქცა და საჩივარი გააშანშალა, – უფროსი ბერძენიშვილი შვილების მოკვლით დამემუქრა და უმცროსი ძმის შეკერილი პროდუქცია თავში ჩამარტყაო.

ინციდენტს მოჰყვა შედეგები:

1. მე ჩამომართვეს „ლარიოკით“ სარგებლობის უფლება ორი თვით.

2. ორივე ძმას სასჯელის აღსრულების ბოლომდე ჩამოგვართვეს საკანცელარიო ნივთების მოთხოვნის უფლება (თვეში ორი მანეთი, რომლითაც საფოსტო მარკის, კონვერტის, რვეულის, კალმისტრის, ფანქრისა და საშლელის ყიდვა შეიძლებოდა).

3. ფლორ ვასილის ძეს განუმარტეს, რომ მის შვილებს არაფერი ემუქრება, მით უმეტეს, რომ მას ისინი არასოდეს არ ჰყოლია.

4. პეტრე ბუტოვი მოვიდა და ერთი ბოთლი ზეთი მაჩუქა, – „ლარიოკით“ სარგებლობის უფლება ჩამორთმეული გაქვს და ჩემგან ეს მოკრძალებული შენატანი მიიღეო. დათოსთვის ბოდიში არ მოუხდია.

5. ხომიზური და ანადენკო ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ კომპრომისულ შეთანხმებამდე მივიდნენ: მომავალში პატიმრის მიერ სხვა პატიმარზე დაწერილი საჩივარი ჯერ პატიმართა საიდუმლო კომიტეტს უნდა განეხილა.

6. დათომ დაიწყო გაუთავებელი ტრაბახი, რომ მაგრად კერავდა ხელთათმანებს და ეს უაღრესად საკამათო მოსაზრება ხელუხლებლად გადაიტანა შემდეგ ათასწლეულში.

ჩემი ძმა მებრძოლი კაცია. მისი წინადადებით დავინყეთ ბრძოლა და

ხანგრძლივი ომის შემდეგ მოვიპოვეთ უფლება, რუსეთიდან წერილები სამშობლოში ქართულად მოგვეწერა. ეს უფლება, ბუნებრივია, სხვებზეც გავრცელდა და ასე დაიბადა პოლიტიკური პატიმრების წერილები ნაციონალურ ენებზე.

მკაცრი რეჟიმის კოლონიაში შეხვედრების რიცხვი მკაცრად რეგლამენტირებული იყო; წელიწადში ერთი პირადი შეხვედრა (ერთიდან სამ დღემდე) და ორი ორსაათიანი შეხვედრა მაგიდასთან, ზედამხედველის თანდასწრებით. სწორედ ასეთ შეხვედრაზე ჩამოვიდა ჩემი მეუღლე და ჩვენთან ორსაათიანი შეხვედრა მისცეს. დათოს წინადადებით დავინყეთ ბრძოლა, რომ ორსაათიანი შეხვედრა ოთხსაათიანად გადაქცეულიყო, რადგან ჩვენ ორნი ვიყავით და თითოს ორი საათი გვეკუთვნოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ უარს ვამბობდით შეხვედრაზე. ეს ბრძოლაც მოვიგეთ, თუმცა მე გული მისკდებოდა, სულ არ ჩამოერთვით პირისპირ შეხვედრის უფლება და ბარაშეგოში ჩამოსული ინგა უკან არ გაებრუნებინათ, როგორც ეს ჟორა ხომიზურის მეუღლეს, წინა მელკუმოვას გაუკეთეს.

სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს არც ერთი შეხვედრა არ გაუცდენია. ჩვენს სანახავად დედაჩემიც იყო ჩამოსული, ჩემი უფროსი რძალიც, ცოლისდაც და ცოლისძმაც. როგორც წესი, ეს შემადგენლობა ბარაშეგოში ჩემს უფროს ძმას, ფრიდონს ანუ მამუკას ანუ ფორეს ჩამოჰყავდა.

ასევე დათოს წამოწყებული ბრძოლით მოვიპოვეთ უფლება, ცოცხი არ აგველო ხელში და ზონის ტერიტორია არ მოგვეხვეტა, თუმცა პატიმრებისთვის ამგვარი რამის მოთხოვნის უფლება ადმინისტრაციას ჰქონდა.

ბანაკში თავისი ყოფნის ბოლო დღეც დათომ ბრძოლით აღნიშნა: საამქროდან ჩუმად რომ გაიყვანეს და თბილისისკენ ეტაპით რომ უშვებდნენ, ჩემთან გამოთხოვების უფლებისთვის იომა და ამ პრინციპულ ომშიც გაიმარჯვა.

დათოს მიერ ბარაშეგოში გატარებული წელიწადი ომებისა და ბრძოლების წელიწადი იყო. კოლონიის ადმინის-



ტრაცია დახასიათებაში კლასიკური განმარტება ჩაუნერა, – გამოსწორების გზას არ დაადგაო, – და გათავისუფლების შემდეგ მილიციის ზედამხედველობა ანუ „ნადზორი“ მოითხოვა. უკვე სასჯელმთხედის თბილისში ცხოვრების უფლება ჩამოართვეს და ახალ ბრძოლებში შეუშვეს. სწორედ ამ ბრძოლებში დაიბადა ის ფიგურა, რომელმაც პოლიტიკური გიგანტების, „მრგვალი მაგიდისა“ და კომუნისტების ეპიკურ ომში დამოუკიდებლად, პატარა რესპუბლიკური პარტიის სახელით ბათუმის მაჟორიტარულ ოლქში კენჭი იყარა, უთანასწორო საარჩევნო ბრძოლაში წარმატებას მიაღწია, საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა და პოლიტიკურ აკემს მიაღწია, როდესაც სხვა რჩეულებთან ერთად

თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა.

ზონიდან მორდოვეთის ასსრ დედაქალაქში, სარანკში ჩაიყვანეს და მოსკოვში სამი ოფიცრის ესკორტით თვითმფრინავით გადააფრინეს. ლეფორტოვოს ციხეში უზარმაზარ საკანში მარტო იჯდა. თბილისში უშიშროების კომიტეტის იზოლატორიდან გათავისუფლდა. ამ მომენტისთვის 59 კილო იყო. ისეთი გამხდარი იყო, რომ სახლში მოსულ ჩვენს მეგობარს, ინგა ქარაიას ვერ უცვნია და მისი თანდასწრებით ჩემი მეუღლისთვის უკითხავს, – დათო როდის თავისუფლდებო.

იმ დღეს, დათო რომ თბილისში გათავისუფლდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის დამადასტურებელი

ლი დოკუმენტი ხელთ არ მქონდა, მაგრამ „ტანით ვგრძნობდი“, რომ ეს მოხდა, ლიტრიანი თერმოსით მაგარი ჩაი მოვადულე და ჩაის მთელი მარაგი დავხარჯე, თევზის პაშტეტ „ვოლნას-გან“ ზღაპრული ბუტერბროდები დავამზადე და საზეიმო სუფრაზე ხალხი დავპატიჟე. სუფრის თამადა ჟორა ხომიზური იყო. სუფრას ამშვენებდნენ მიმა პოლიაკოვი, გელი დონსკოი, ბორია მანილოვიჩი, ჯონი ლაშქარაშვილი, რაფიკა პაპაიანი და ვადიმ იანკოვი. პეტრე ბუტოვი დაუპატიჟებლად მოვიდა და ბოდიში მოიხადა. საზეიმო ისიც იყო, რომ იმ დღეს, 1985 წლის 21 ივნისს მეც „გავთავისუფლდი“, თუმცა ამის შემდეგ ბარაშევის პოლიტიკურ ზონაში კიდევ წელიწად-ნახევარი გავატარე.



# ხმა ღვთისა და ხმა ერისა

<<< ლასაწყისი 83. 96

ასეთი მითი კი ვერ დაიბადებოდა, რომ მას მის დაბადებამდე, უფრო სწორად, მის გახმოვანებამდე არ ეარსება. ყოველ ცალკეულ მითში გარკვეული რეალობა – მისი მატარებელი და დამჯერი ადამიანების სწრაფვები, სურვილები, შიშები აირეკლება. ზღაპარი და ფიქცია თავად მითის ფორმა და კონკრეტული სიუჟეტია, რომლის გამხატვრებული ფარდის უკანაც არა-გამოგონილი ცხოვრება თამაშდება. მი-

თის სინამდვილედ მიღება არა მხოლოდ თავად ამ მითის შინაარსს, არამედ მის ადამიანებზე ქმედითუნარიანობასაც უხანგრძლივებს არსებობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ემორჩილებიან იმ უხილავი, ხდომილებაში მყოფი მითის ლოგიკას, რომელიც სხვადასხვა სახითა და ფორმით კვლავაც ვლინდება; ანუ არსებობს დაჩოქებული იმ მითის სახით, რომელიც როგორც ამბავი, ისტორია არ მომხდარა, მაგრამ მუდამ ხდება რეალობაში და მას მანამ ვერ აღვიქვამთ, ვიდრე მორიგი გამხმოვანებული არ გამოჩნდება და შესაბამის სიუჟეტს არ მოუქმბნის.

## არღაჩოქილი ღაჩოქილები „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვლიარა“...

თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობა ერთ საკმაოდ პათეტიკური შინაარსის „ისტორიულ“ წარმოდგენაზე დგას: ჩვენ ვერავინ, ვერც ერთმა მტერმა და დამპყრობელმა ვერ დაგვაჩოქა! არანაირი მნიშვნელობა იმას არა აქვს, თუ რამდენად შეესატყვისება ასეთი წარმოდგენა ისტორიულ ფაქტებს. მით უმეტეს, რომ „დაჩოქება“ მეტაფორაა, რიტორიკული ფორმულაა და არა ფაქტი. თუმცა თავად ასეთი მეტაფორაც კი პატარა გრამატიკულ ნიუანსს შეი-

ცავს: ესაა განსხვავება ვინმეს მიერ იძულებით დაჩოქებასა და საკუთარი ნებით დაჩოქებას შორის. როდესაც ვინმე გვაჩოქებს, მაშინ ეს აქტი ძალადობრივია, ჩვენზე ძალადობენ, გვაძულევენ ვაკეთოთ ის, რაც ჩვენს ნებას არ შეესატყვისება. ამისგან განსხვავებით, „დაჩოქება“ სხვისი ჩარევის გარეშე, საკუთარი ნების გამოხატულება, საკუთარი არჩევანია. ამ ჟესტის პირველადი მნიშვნელობა თანაბრად რელიგიურიც და პოლიტიკურიც: დაჩოქილი ადამიანი თაყვანს სცემს ღვთაებას, აღიარებს მის ძალასა და უზენაესობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ რიტუალური აქტით იგი თანაზიარი ხდება იმ ძალის, რომელიც მის პიროვნულ შესაძლებლობებს აღემატება. ამავე პრინციპებს ემყარება ხელისუფლების პარადიგმა: სუვერენის წინაშე დაჩოქილი ადამიანი არა მხოლოდ საკუთარ ქვეშევრდომობასა და მორჩილებას აღიარებს, არამედ სწორედ თავისი ქვეშევრდომობით ხდება ხელისუფლების, რომელიც მის ხელში არაა, თანაზიარი და თანამონაწილე. პავლე მოციქულის სიტყვები – „არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებული ღვთის მიერ არის დადგენილი“ (რომაელთა მიმართ 13: 1), – თანაბრად გამოხატავს როგორც ხელისუფლების რელიგიურ

არსს, ასევე რელიგიის პოლიტიკურ შინაარსსაც: ხელისუფლება იმდენადვეა ღვთაებრივი, რამდენადაც ღვთაებრიობაა პოლიტიკური რელიგია, პოლიტიკური ინსტიტუცია, ადამიანების მართვისა და მანიპულაციის საშუალება. ორივე ერთად კი ერთი მიზნისკენაა მიმართული: ადამიანების დარწმუნება მათ არასრულყოფილებაში, რომ მათ მათზე „მაღლის“ თაყვანისცემისა და მის წინაშე მუხლის მოდრეკის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ.

მაგრამ არც საკუთარი ნებით დაჩოქება უნგარო აქტი: ესაა საკუთარი თავის რაღაც ისეთის ნაწილად და მონაწილედ განცდა, რომელიც ჩემს პიროვნულ შესაძლებლობებს აღემატება და მხოლოდ ჩემზე ძლიერის წინაშე მუხლის მოდრეკით შემოძლია საკომპენსაციო ილუზიის შექმნა. თუმცა, არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ სწორედ ამგვარი ილუზია იმისი მიზეზი, რომ ადამიანი საკუთარ თავს ნაკლოვან არსებად წარმოიდგენს, რომლის ბედ-ილბალიც მუდამ სხვის, რომელიმე ზებუნებრივი

თუ მინიერი, მაგრამ მასზე ძლიერი და აღმატებული არსების ხელშია. ვილაც – ერქმევა მას ღმერთი, მეფე, პრეზიდენტი, პატრიარქი და ა.შ. – იმიტომაც ყოვლისშემძლე და „ზეადამიანი“, რამდენადაც ადამიანებს საკუთარი თავი უუნარობად მიაჩნიათ, რათა საკუთარ „ყოფიერებას თვალი გაუსწორონ“, – როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობდა. ამასთანავე, ძალაუფლება თუ მასთან, ანუ ძლიერთან, ძალაუფლების მქონესთან სიახლოვის, ნაიზიარებლობის სურვილი, კორუფციის არსს გამოხატავს: ადამიანი საკუთარ ყოფიერებას დამოკიდებულს ხდის ძალაუფლების ილუზიაზე, რომელიც საბოლოო ჯამში, სრულიად გაურკვეველიც კია, რაში სჭირდება მას.

თუკი ქართველი ერი თავისი იდენტობის განმსაზღვრელად იგონებს, რომ ის ვერავინ დააჩოქა, ამ მითის უკან საკუთარი ნებით დაჩოქების რეალობა იმალება. ბოლო ოცი წლის საქართველოს პოლიტიკური ისტორია დაჩოქების სუბიექტების ძებნაა. ცალკეული ხელისუ-

ფლის მმართველობის ხანგრძლივობა კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტურად დააჯერებს იგი ადამიანებს, რომ ისინი მას უჩოქებენ, რომ ისინი მისი ქვეშევრდომები არიან. შემთხვევითი არაა ილია II-ის უზარმაზარი ავტორიტეტი და პოპულარობა, რომელიც თანამედროვე საქართველოში დაჩოქების სუბიექტის განსახიერებაა: პატრიარქის თაყვანისცემა და მის წინაშე მუხლის მოდრეკა არა თუ გამართლებული, არამედ იმ „მაღლის“ მიღების გარანტიცაა, ურომლისოდაც უზენაესი ძალაუფლების მითოსთან თანაზიარება და თანამონაწილეობა შეუძლებელი იქნებოდა.

ადამიანები ჯანყდებიან, როდესაც თავს დაჩოქილებად ვეღარ განიცდიან, როდესაც ბალანსი ხელმწიფესა და ქვეშევრდომებს შორის ირღვევა, როდესაც ისინი საკუთარ თავს ქვეშევრდომებად ვეღარ აღიქვამენ და ხელმწიფის მეზღაპრეობაც თავის დამაჯერებლობას კარგავს. „მეფის სიმშვილე“ კი რომ დაინახონ, ადამიანებმა ჯერ საკუთარი თვითგაბრიყვების აღიარება უნდა შეძლონ.

**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სიფრული ოფსეტური ბეჭდვა**  
 ტელ.: +995 32 995007 / 998843  
 ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



**FM**  
**სენტი**  
**98.0**







## VONG

asian fusion  
(special lunch menu)  
29 Abashidze st.  
T:(+995 32) 29 25 70

ASIAN STYLE



*cafe* BELLE DE JOUR  
(special lunch menu)  
29 Abashidze st.  
T:(+995 32) 23 09 23

PARSIAN STYLE



## BUFFET

29 Abashidze st.  
T:(+995 32) 22 49 61

As Italian As it gets



'YAKUHA 桜'

29 Abashidze st.  
T:(+995 32) 29 31 08

VERY JAPANESE



EXTREMELY FRENCH

BRASSERIE  
L'EXPRESS

(special lunch menu)  
31 Chardin st.  
T:(+995 32) 43 93 49

Upscale  
Restaurant  
Chain

MON  
group

[www.mon.ge](http://www.mon.ge)



**WWW.LIBERALI.GE**

